მთარგმნელები: ნ. თოფჩიშვილი, თ. ანდრეიშვილი, მ. ლებანიძე
«ნაკადული“ 2005

<u>ი ა პ ო ნ უ რ ი ზ ღ ა პ რ ე ბ ი</u>

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

იაპონელმა ხალხმა მდიდარი კულტურა შექმნა. იაპონური ფოლკლორის საგანძურში მრავალი მშვენიერი სიმღერა, ანდაზა, თქმულება შედის. ხალხური სიბრძნის ამ საუნჯეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ზღაპ-რებს. იაპონური ფოლკლორი მდიდარია საგმირო, ჯადოსნური, ფანტას-ტიკური, საყოფაცხოვრებო, სახუმარო და ცხოველებზე შექმნილი ზღაპრებით.

არაბული, ინდური, ირანული ზღაპრები დიდი ხანია შევიდა მსოფლიო კულტურის საგანძურში, მაგრამ იაპონურმა ზღაპრებმა კარგა ხანს ვერ ჰპოვა აღიარება. მხოლოდ მე-19 საუკუნეში გასცდა იაპონური ზღაპარი თავისი ქვეყნის საზღვრებს.

თავისებური და საინტერესოა იაპონური ჯადოსნური ზღაპრები. ჯადოსნური ზღაპრის გმირი უბრალო ადამიანია. იგი იბრძვის ბოროტი ძალების წინააღმდეგ და სძლევს მას.

ზღაპრები იქმნებოდა ძველ, ფეოდალურ იაპონიაში და ამიტომ უბრალო ადამიანს უპირისპირდებოდა ბატონი. ბატონები ავიწროებდნენ გლეხებს. თუ ვინმე ჩივილს გაბედავდა, სასტიკად სჯიდნენ. გლეხებს სძულდათ თავიანთი სისხლის მწოველები. ზღაპრებში ბატონები უმეტესად სულელებად არიან გამოყვანილნი.

იაპონურ ზღაპარს სამართლიანობა უყვარს. კეთილი ადამიანი იმარჯვებს, ბოროტი კი იღუპება.

ზღაპრების მოყოლა უმეტესად შრომით პროცესთან იყო დაკავშირებული. ცნობილი ფოლკლორისტი სეკი კეიგო აღნიშნავს, ზღაპრებს ყვებოდნენ ბრინჯის დათესვამდე, ან მოსავლის აღების შემდეგ, და ნაყოფიერების ღმერთს შესთხოვდნენ, მათზე დაებერტყა ნაყოფიერების კალთა. გლეხებს, ვისაც ბრინჯი მოჰყავდა, წყალი სჭირდებოდა, ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ წყალს აღმერთებდნენ. მინდვრებზე ბევრი იყო ლოკოკინა, ეტყობა, წყლის ღმერთებადაც ლოკოკინებს სახავდნენ.

ჯადოსნურ ზღაპრებში პოეტურ სახეებშია ნაჩვენები აგრეთვე სტიქიის მოქმედება და მასთან ბრძოლა. იაპონია კუნძულების ქვეყანაა. იაპონელი ხალხი მჭიდროდ ცხოვრობს: მთის ფერდობებზე, ზღვის ვიწრო სანაპიროებზე. წინათ მთის ფერდობები გაუვალი ტევრით იყო დაფარული. მშვენიერია იაპონიის ბუნება. იაპონელ ხალხს უყვარს ბუნება, აყვავებული ქლიავისა და ალუბლის ბაღები, ხასხასა ბალახი, პირველი თოვლი, მაგრამ ზოგჯერ ბუნება

მტრობს მათ. მიწისძვრა ხშირი სტუმარია იაპონიის კუნძულებისა. ზღვიდან საშინელი ტაიფუნი მოიჭრება და ანგრევს ზღვის სანაპირო სოფლებს.

ცხოვრების ასეთმა მკაცრმა პირობებმა თავისი დაღი დაასვა ზღაპრებსაც. ზღაპრებში ხშირად გვხვდება ეშმაკები, მაქციები, ავი სულები, კუდიანები. ყოველ მთას თავისი ავი სული ჰყავდა, წყლებში ავი სულები ბუდობდნენ და ხელში ჩაუვარდებოდათ თუ არა ადამიანი, მაშინვე შესანსლავდნენ.

დაღამებისას მგზავრს გზაზე გავლა უჭირდა, ყოველ მოსახვევში მაქცია ელანდებოდა. ხალხის რწმენით, ადამიანს შეეძლო მხეცის სახე მიეღო.

იაპონური ზღაპრის გმირი დაჯილდოებულია თავისი ხალხის საუკეთესო თვისებებით: შრომისმოყვარეობით, ერთგულებით, ვაჟკაცობით. იგი ეხმარება სუსტებს, ებრალება ცხოველები და მცენარეები. ამ კეთილშობილების გამო ცხოველები ერთგულად ემსახურებიან მას.

ხალხი ოცნებობდა უკეთეს მომავალზე, ამისათვის კი ღარიბი კაცის ცხოვრებაში სასწაული უნდა მომხდარიყო.

სახუმარო ზღაპრები, ზღაპრები-ნოველები ყველაზე საყვარელი ჟანრია იაპონური ფოლკლორისა.

ზოგიერთი ნოველა ნამდვილ მკაცრ სატირას წარმოადგენს ხალხის საძულველი მდიდრების წინააღმდეგ. ზღაპრებში დასცინიან ზარმაცებს, მატყუარებს, ძუნწებს.

ზღაპრები ცხოველებზე ერთ-ერთი უძველესი ჟანრია ხალხური შემოქმედებისა. აქ ცხოველები და მცენარეები გაიდეალებულია, ისინი ადამიანებივით მოქმედებენ.

მკითხველს ზოგიერთი სიუჟეტი ან მოტივი იაპონურ ზღაპარში ნაცნობი მოეჩვენება. იაპონურ ზღაპრებში ბევრი მოტივია შესული იაპონელ ხალხთან კულტურით ახლოს მდგომი სხვა ხალხების ზღაპრებიდან: ინდოეთის, ჩინეთის, კორეის.

იაპონია ყოველთვის არ ყოფილა ‘ჩაკეტილი» ქვეყანა, როგორიც იგი გახდა გვიანი ფეოდალიზმის ეპოქაში. იაპონიაზე დიდი გავლენა იქონია მის მეზობლად მდებარე ცივილიზებულმა აღმოსავლეთის ქვეყნებმა. VI საუკუნეში ინდოეთიდან ჩინეთისა და კორეის გზით შეიჭრა ბუდიზმი და ამასთან ერთად, ინდური ლეგენდებისა და ზღაპრების ნაკადი. ამ პოეტურმა და შინაარსით მდიდარმა ინდურმა ქმნილებებმა გაამდიდრეს იაპონური ზღაპარი, მასში გაჩნდა მრავალი ახალი სიუჟეტი და ჯადოსნური პერსონაჟი, მაგრამ შეინარჩუნა ეროვნული კოლორიტი.

როგორი წარმოშობისაც არ უნდა იყოს ცალკეული სიუჟეტები და მოტივები, იაპონური ზღაპრის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ ძირითადად იგი იაპონელი ხალხის დამოუკიდებელი შემოქმედების ნაყოფია.

საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა იაპონელი ხალხის ცხოვრება. საეჭვოა, ზეპირი გადმოცემის დროს ზღაპარს პირველქმნილი სახე შეენარჩუნებინა, მაგრამ მასში მაინც ისმის შორეული წლების გამოძახილი.

მე-19 საუკუნემდე ზღაპრებს თითქმის არ იწერდნენ, რადგან უბრალო ხალხმა არ იცოდა რთული დამწერლობა, ვინც იცოდა, ის აგდებულად ეკიდებოდა ხალხურ შემოქმედებას.

და მაინც ხალხურმა ზღაპრებმა, ხალხურმა სიმღერებმა გაამდიდრეს იაპონური ლიტერატურა. X საუკუნეში დაწერილ პირველ რომანებს: 'ტაკეტორი-მონოგატარი», 'ოტიკუბო-მონოგატარი»-ს ზღაპრული სიუჟეტები ედო საფუძვლად.

მე-19 საუკუნის ბოლოს მწერალმა ივაია საძანამიმ მხატვრულად დაამუშავა და გამოსცა 'იაპონური ზღაპრები» ('ნიხომ მუკასი ბანასი»). ამ ზღაპრებს დიდი წარმატება ხვდათ არა მარტო იაპონიაში, მის საზღვრებს გარეთაც. ითარგმნა მრავალ ენაზე.

ომის შემდგომ ცნობილმა დრამატურგმა კინოსიტა ძიუნძიმ მრავალი პოპულარული პიესა შექმნა იაპონური ზღაპრების თემებზე. განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა 'წეროს ფრთებს».

იაპონური ზღაპრები შორეულ წარსულში გადებული ხიდია და ვინც ამ ჯადოსნურ ხიდზე გაივლის, მიხვდება, რა სიხარული და მწუხარება გამოუვლია იაპონელ ხალხს.

<u>ურასიმა ტარო</u>

დიდი ხნის წინათ ტანგოს პროვინციის სოფელ მიძუნოუეში ცხოვრობდა ერთი მეთევზე, სახელად ურასიმა ტარო.

ურასიმა ყოველ დილით ზღვაზე სათევზაოდ გადიოდა, საღამოთი კი შინ ბრუნდებოდა.

ერთ საღამოს ურასიმა სანაპიროზე მიდიოდა. უცებ დაინახა, წყლის პირას ბავშვები შეგროვილიყვნენ. ნეტავ რითი ერთობიანო, _ გაიფიქრა მეთევზემ და ბავშვებთან მივიდა. თურმე კუ დაეჭირათ და ქვიშაზე არბენინებდნენ. როცა გული იჯერეს, ზოგმა ქვის სროლა დაუწყო, ზოგიც ჯოხით აწვალებდა საცოდავს. ურასიმას შეებრალა კუ.

_ ჰეი, თქვენ, დაეხსენით კუს! ამდენი წვალებით ხელში შემოგაკვდებათო, _ გაუჯავრდა ბავშვებს.

მაგრამ ბავშვები იცინოდნენ.

_ მერე რა! შენ რა გაწუხებს? კუ ჩვენია და, რასაც მოვისურვებთ, იმას ვუზამთო.

_ მოდი, მე მომეცითო, _ სთხოვა ურასიმამ.

_ კიდევ რა გნებავს! ადექი და შენ თვითონ დაიჭირეო!

_ მე ხომ მუქთად არ მინდა, ფულს გადაგიხდითო.

_ ეგ სხვა საქმეა, მოგვეცი ფული!

ურასიმამ ბავშვებს რამდენიმე წვრილი ფული მისცა და კუ გამოართვა.

კმაყოფილი ბავშვები სადღაც გაიქცნენ. ურასიმა კი მარტო დარჩა კუსთან, ალერსით გადაუსვა ბაკანზე ხელი და უთხრა:

_ ოჰ, შე საწყალო! ძალიან გაგაწვალეს? გამიგონია, ყანჩა ათას წელიწადს ცოცხლობს, კუ _ იმაზე მეტსო. შენ კი დღეს კინაღამ დაიღუპე. კარგია, რომ დროზე მოგისწარი! გეტყობა, მართლაც დიდი ხნის სიცოცხლე გიწერია. აბა, წადი ახლა და გაცურე, მხოლოდ იცოდე, მეორედ აღარ ჩაუვარდე ბავშვებს ხელში.

ურასიმამ კუ ზღვაში შეაცურა და თვითონ შინისაკენ წავიდა.

მეორე დღეს, როგორც ყოველთვის, ურასიმა ზღვაზე სათევზაოდ წავიდა. უცებ ვიღაცის ძახილი მოესმა:

_ ურასიმა-სან![1] ურასიმა-სან!

შეშინდა ურასიმა, ტალღებს დააცქერდა და იფიქრა: ვინ უნდა იყოს? ირგვლივ არავინ ჭაჭანებს, არც ნავია, არც ხალხი ჩანსო, მაგრამ უცებ სულ ახლოს წყლიდან კუმ ამოყვინთა.

_ ნუთუ შენ მეძახდიო? _ ჰკითხა გაოცებულმა ურასიმამ.

_ დიახ, მე ვიყავი, _ მიუგო კუმ და მოკრძალებით მიესალმა. _ გუშინ დიდ უბედურებას გადამარჩინე და სიცოცხლე შემინარჩუნე. ჰოდა, მეც მადლობის სათქმელად მოვედი. უღრმესი მადლიერების ნიშნად, გთხოვ, ზღვის მეფის, დრაკონის[2] სასახლეში გვეწვიო. ის სასახლე როდისმე თუ გინახავსო?

_ არა! _ გააქნია თავი ურასიმამ. _ ამბობენ, სადღაც შორს არისო!

_ შორს იყოს, მერე რა, ჩვენთვის მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. თუ გსურს, სასახლემდე მიგაცილებო!

_ მადლობელი ვარ თავაზიანი მიწვევისათვის, მაგრამ მე რომ შენ ვერ მოგყვებიო?

_ არა, ცურვა არ დაგჭირდება. ზურგზე შემაჯდები და სასახლემდე არხეინად მიხვალო.

_ მერე, ამ შენს პატარა ზურგზე როგორ დავეტევიო?

_ ნუ წუხხარ, დაეტევიო.

უცებ მეთევზის თვალწინ კუს ბაკანი გაიზარდა, გაიზარდა და იმოდენა გახდა, რომ ზედ თავისუფლად დაეტეოდა ადამიანი.

ურასიმა კუს ზურგზე აცოცდა და ორივენი ოკეანის ბობოქარ ტალღებს გაჰყვნენ დრაკონის სასახლისაკენ.

იცურეს, იცურეს და ბოლოს, როგორც იქნა, შორს წითელი ჭიშკარი დაინახეს.

_ ეს რა მოჩანსო? _ ჰკითხა ურასიმამ კუს.

_ ეგ დრაკონის სასახლეა. მაღალ სახურავს ხომ ხედავო?

_ მაშ, უკვე მოვედითო?

_ დიახ. აკი გეუბნებოდი, ჩქარა მივალთ-მეთქი. ახლა კი ნაპირზე გადადი, ფეხით წავიდეთო.

კუმ სასახლის ჭიშკრამდე მიაცილა ურასიმა. ჭიშკართან მცველები იდგნენ.

_ თქვენ, ეი, მცველებო! _ ხმამაღლა გასძახა კუმ. _ მოახსენეთ, რომ იაპონიიდან სტუმრად გვეწვია დიდსულოვანი მეთევზე ურასიმა ტარო.

როცა მცველებმა დრაკონს კუს ნათქვამი მოახსენეს, ურასიმას შესახვედრად კარის დიდებულნი _ ტაი, ხირამე, კარეი[1] _ და სხვა დიდად პატივსაცემი თევზები გამოვიდნენ და ერთი ამბით მიესალმნენ სტუმარს.

_ კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, პატივცემულო ურასიმა ტარო! დიდი პატივი დაგვდე ჩვენს წყალქვეშა სამეფოში მობრძანებით. მადლობა შენც, კეთილშობილო კუვ, რომ გაისარჯე და სასურველი სტუმარი მოგვიყვანეო.

თევზებმა ურასიმა სასახლეში შეიყვანეს, სადაც თვით სასახლის დიასახლისი, ზღვის დრაკონის მშვენიერი ქალიშვილი ოტოხიმე მიეგება თავისი მრავალრიცხოვანი ამალით. მან ურასიმა საპატიო ადგილას დასვა და ასეთი სიტყვა წარმოთქვა:

_ მადლობელი ვართ, დიდებულო ურასიმა, რომ ინებე და მობრძანდი ჩვენთან. შენ დიდი პატივი დასდე ჩვენს სამეფოს _ კუ გადაგვირჩინე და, აი, ამ დაპატიჟებით გვინდა, მადლობა გადაგიხადოთ. ისე იყავი ამ სასახლეში, როგორც საკუთარ სახლში, და დაისვენეო.

ურასიმა მიხვდა, რომ ის აქ სასურველი სტუმარი იყო, და გამხიარულდა.

_ გმადლობთ მოპატიჟებისათვის! _ თქვა მან. _ ასეთ საუცხოო სასახლეში არასოდეს არ ვყოფილვარო.

ამ დროს ნაირ-ნაირი სასმელ-საჭმელი შემოიტანეს. შემდეგ სიმღერა შემოსძახეს, მხიარული ცეკვები გააჩაღეს და დიდებული ქეიფი გაიმართა.

როცა კარგად შეზარხოშდნენ, სასახლის დასათვალიერებლად წავიდნენ. სტუმარს ოტოხიმე სასახლის დარბაზებს აჩვენებდა. ყველაფერი ძვირფასი მარჯნის, მარგალიტისა და ფირუზისაგან იყო ნაკეთები. უყურებდა ურასიმა და ცქერით ვერ ძღებოდა.

მაგრამ ნამდვილი საოცრება სასახლის ბაღი იყო. აღმოსავლეთით ნაზად ჰყვაოდა ალუბლები და ქლიავები, როგორც გაზაფხულზე იცის ხოლმე. ხშირი ზურმუხტოვანი ფოთლებიდან ბულბულის სტვენა ისმოდა. სამხრეთით კი ზაფხული სუფევდა: სწრაფად იზრდებოდა ბალახი, ჭრიჭინებდნენ ჭი-ჭინობელები და კუტკალიები. ბაღის დასავლეთ მხარეს საამოდ შრიალებდა ნეკერჩხლის მეწამული ფოთლები და ლამაზად ჰყვაოდა ქრიზანთემები, _ იქ ოქროს შემოდგომა იდგა. ჩრდილოეთით კი უკვე დაზამთრებულიყო, ხეები თოვლს დაებარდნა, მდინარეებსა და ნაკადულებს კრიალა, გამჭვირვალე ყინული გადაჰკროდა.

ურასიმა ტარო აღფრთოვანებით შესცქეროდა ყველაფერს, ამქვეყნად აღარაფერი ახსოვდა. აქ ჯადოსნური სიზმარივით შეუმჩნევლად გადიოდა დრო. მაგრამ ურასიმა მალე მოვიდა გონს. გაახსენდა, რომ შინ დედა და მამა ელოდებოდნენ, სწრაფად მოემზადა წასასვლელად და ოტოხიმეს გამოსამ-შვიდობებლად ეახლა.

_ აგერ უკვე რამდენი დღეა, შენს სტუმართმოყვარე ჭერქვეშ ვარ. ძალიან მომწონს აქაურობა, მაგრამ უნდა წავიდე. მშვიდობით!

_ ნუ მიგვატოვებ, ცოტა ხანს კიდევ დარჩიო! _ სთხოვა დრაკონის ქალიშვილმა.

მაგრამ ურასიმას გადაწყვეტილება ურყევი იყო.

_ რას იზამ, ეგრე იყოს, აღარ დაგაყოვნებ, _ დაეთანხმა ოტოხიმე. _ მხოლოდ ასე არ გაგიშვებ. სახსოვრად, აი ეს წაიღეო! _ უთხრა და ლამაზი ზარდახშა გაუწოდა.

ურასიმამ უარის თქმა დააპირა, მაგრამ სასახლის დიასახლისმა ყურიც არ ათხოვა.

ურასიმამ ზარდახშა გამოართვა.

_ მხოლოდ, იცოდე, რაც არ უნდა მოგიხდეს, არასოდეს არ გახსნა ზარდახშა, თორემ უბედურება არ აგცდებაო! _ გააფრთხილა ოტოხიმემ.

ურასიმა გამოეთხოვა მზეთუნახავ ოტოხიმეს, წამოიღო ზარდახშა და კუს ზურგზე მოკალათდა.

კუმ ზღვის ნაპირზე გაიყვანა, დაემშვიდობა და უკან გაბრუნდა. ურასიმამ ირგვლივ მიმოიხედა. თითქოს ყველაფერი ისევ ისე იყო, როგორც წინათ, მაგრამ რატომღაც ვერც ერთი ნაცნობი ადამიანი ვეღარ დაინახა.

_ ეს რა ამბავიაო? _ გაიოცა და აღელვებულმა სწრაფად გასწია შინისკენ.

მაგრამ სახლშიც უცნობი ადამიანები დახვდნენ.

ალბათ, ჩემი აქ არ ყოფნის დროს მშობლები სადმე გადასახლდნენო, _ გაიფიქრა ურასიმამ.

_ მე ურასიმა ტარო ვარ, ამ სახლში ვცხოვრობდი, _ მიმართა იქ მყოფთ, _ ჩემი მშობლები სად გადასახლდნენო?

_ შენ ურასიმა ტარო ხარ? _ გაოცებით ჰკითხეს უცნობებმა.

_ დიახ, სწორედ მე ვარო.

_ ხა-ხა-ხა! რა ხუმარა ყოფილხარ! ოდესღაც აქ ნამდვილად ცხოვრობდა მეთევზე ურასიმა ტარო, მაგრამ ეს იყო შვიდასი წლის წინათ. ჰოდა, ერთი გვითხარი, ცოცხალი როგორ გამოგვეცხადეო?

შეშფოთდა ურასიმა, არ დაიჯერა ნათქვამი:

_ რომელ შვიდას წელზე ლაპარაკობთ? ორი-სამი წლის წინათ ვცხოვრობდით აქ მე და ჩემი მშობლები. რატომ დამცინით? ისა ჯობია, სიმართლე მითხრათო!

_ ჩვენ მართალს გეუბნებით! _ უპასუხეს სოფლის მცხოვრებლებმა. _ ჩვენში არის თქმულება, რომ ოდესღაც აქ ცხოვრობდა ახალგაზრდა მეთევზე ურასიმა ტარო. ერთხელ ურასიმა სათევზაოდ წავიდა და აღარ დაბრუნებულა. დიდხანს უცადეს მშობლებმა და ისე დაიხოცნენ, ვერ ეღირსნენ შვილის ნახვას. ეს დიდი ხნის წინათ იყო. შენ რა, მშობლიური კუთხის დასათვალიერებლად მოსული მისი აჩრდილი ხომ არა ხარო?

ურასიმამ უმწეოდ მიმოიხედა გარშემო და მართლაც ყველაფერი სხვანაირი ეჩვენა. ნუთუ სიმართლეს მეუბნებიანო, _ ფიქრობდა ურასიმა და დაჯერებისა ეშინოდა.

ურასიმას თავი სიზმარში ეგონა, ადგა და ისევ ზღვის ნაპირისაკენ გასწია. თვითონაც არ იცოდა, რისთვის მიდიოდა. ახლა აღარც სახლი ჰქონდა და აღარც მშობლები ჰყავდა. გულზე მძიმე ნაღველი შემოაწვა.

უცებ ზარდახშა გაახსენდა. რატომ მაჩუქა ზღვის დრაკონის ქალიშვილმა ეს საოცარი ზარდახშა? ან რატომ მითხრა, არასოდეს გახსნაო? იქნებ ამ ზარდახშაშია ყველა საიდუმლოს გასაღები? ახლავე გავხსნიო!

ურასიმამ ზარდახშას ზონარი შემოხსნა, სახურავი ახადა და ის იყო, შიგ უნდა ჩაეხედა, რომ უცებ იქიდან იისფერი კვამლი ამოვარდა და ურასიმას ზედ სახეზე მოელამუნა. ახალგაზრდა ჭაბუკი იმ წუთშივე მოხუცად იქცა. თვალის დახამხამებაში გაჭაღარავდა, წელში მოიხარა, ფეხები აუკანკალდა. წამში ჩაიქროლეს წლებმა. თან წარიტაცეს მისი სიცოცხლე და ურასიმამ სუნთქვა შეწყვიტა.

<u>კატი-კატის მთა</u>

დიდი ხნის წინათ ერთ პატარა სოფელში მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. ბოლო ხანებში მათ ყანას ბებერი მაჩვი შეეჩვია. ბერიკაცი მთელი დღე ყანაში ფუსფუსებდა, საღამოთი კი მაჩვი მიდიოდა და იქაურობას აოხრებდა, თან ბერიკაცს ქვებსა და მიწის გოროხებსაც მიაყოლებდა ხოლმე ზურგში. ბერიკაცი გაცეცხლდებოდა, გამოედევნებოდა მაჩვს, მაგრამ მის კვალსაც ვეღარ პოულობდა. ცოტა ხნის შემდეგ მაჩვი ისევ ბრუნდებოდა ყანაში და განაგრძობდა თავის ოინებს.

ბერიკაცს მოთმინების ფიალა აევსო. ერთ მშვენიერ დღეს მახე დააგო და მაჩვი დაიჭირა.

მოხუცმა სიხარულისაგან ცეკვა დაიწყო.

_ აჰა, ბოლოს მაინც ხომ დაგიჭირეო!

მერე მაჩვს თათები გაუკრა, მხარზე მოიგდო და შინისაკენ გასწია. სახლში მაჩვი დირეზე ჩამოჰკიდა და ცოლს უთხრა:

_ იცოდე, არ გაგეპაროს! საღამოს დავბრუნდები და მაჩვის წვნიანი დამახვედრეო.

და ისევ ყანისკენ გასწია.

თათებგაკრული მაჩვი კი დირეზე ეკიდა და დაბლა იყურებოდა. დედაბერმა ფილთაქვა აიღო და ბრინჯის ნაყვა დაიწყო. კარგა ხნის შემდეგ ოფლი მოიწმინდა.

_ უჰ, როგორ დავიღალეო!

მაჩვი ხმაგაკმენდილი ეკიდა, მაგრამ როგორც კი დედაბრის ჩივილი გაიგონა, ადამიანის ხმით ალაპარაკდა:

_ მოდი, მოხუცო, მოგეხმარები! შენ ოღონდ თათები გამიხსენიო...

_ დახე, რა მოინდომა! შენ რას მომეხმარები? თათებს გაგიხსნი თუ არა, მაშინვე გაიქცევიო...

_ აბა, რას ამბობ! ბერიკაცმა ხომ დამიჭირა, ახლა როგორღა გავიქცევიო? შენ მხოლოდ დაბლა ჩამომსვიო.

მაჩვი ისე ემუდარებოდა, რომ დედაბერს გული მოულბა, მაჩვს თოკი შეხსნა და ძირს ჩამოსვა.

მაჩვმა ამოიოხრა, დაბუჟებული თათები დაიზილა და დედაბერს უთხრა:

_ აბა, მომეცი ფილთაქვა, ბრინჯს დაგინაყავო.

დედაბერს ფილთაქვა გამოართვა, მაღლა ასწია, ვითომ როდინში უნდა ჩაეკრა, და უცებ დედაბერს სთხლიშა თავში. ქალს თვალთ დაუბნელდა და მიწაზე უსულოდ დაეცა.

მაჩვმა დედაბერი ნაჭერ-ნაჭერ აქნა და წვნიანი მოხარშა. თვითონ კი დედაბრის სახე მიიღო, დიდი ამბით ჩამოჯდა კერიასთან და ბერიკაცს დაუწყო ლოდინი.

დაღამდა. ბერიკაცს აზრადაც არ მოსვლია, რა ბედი ეწია მის ცოლს. ღიმილით ბრუნდებოდა შინ და თან ფიქრობდა: ჰო-ჰო, როგორ გამოვძღები ახლა მაჩვის ხორცისაგან დამზადებული კერძითო!

შინ მოსულ ბერიკაცს მაჩვი ისეთი სახით შეხვდა, თითქოს გული გადაელია მის მოლოდინში.

_ მადლობა ღმერთს, რომ მოხვედი! მაჩვის წვნიანი დიდი ხანია მზად არისო!

_ მართლა? აი მაგისათვის კი დიდი მადლობელი ვარო!

ბერიკაცმა ცოლს მადლობა გადაუხადა და სუფრას მიუჯდა. დედაბერს საჭმელი მოჰქონდა, მოხუცი კი ჭამდა და ნახელავს უქებდა, ნეტარებისაგან პირს აწკლაპუნებდა.

ამის დანახვაზე მაჩვმა ბოროტად ჩაიცინა და უთხრა:

_ მოხუცო, ჰეი, მოხუცო, არც კი იცი, რომ შენი ცოლი შეჭამე! წადი, ნახე, იმისი ძვლები სამზარეულოში, ვარცლში ყრიაო.

მაჩვმა მოხუცს თავისი კუდი დაანახვა და უკანა კარიდან გაძვრა.

მოხუცს შიშისაგან ენა ჩაუვარდა. ვარცლიდან ცოლის ძვლები ამოიღო, დახედა და ატირდა.

უცებ ვიღაცის ხმა შემოესმა:

_ რა იყო, ბერიკაცო, რა გატირებსო?

გაიხედა და დაინახა, რომ მეზობელ მთაში მცხოვრები კურდღელი მოსულიყო.

_ ო, კურდღელო, მადლობელი ვარ, რომ მოხვედი! ნეტა იცოდე, თავს რა უბედურება დამატყდაო.

და ბერიკაცმა კურდღელს ყველაფერი უამბო.

_ ეს რა დაგმართია, ეს რა მოგსვლია! მაგრამ ნუ ტირი, სამაგიეროს მე გადავუხდიო! _ დაამშვიდა კურდღელმა მოხუცი.

_ მიშველე, სიკეთე მიყავი! ხომ ხედავ, რა დღეში ვარო!..

_ არა უშავს, მოხუცო. ხვალ მაჩვს თავის სოროდან გამოვიტყუებ და ჭკუას ვასწავლი. შენ მხოლოდ ცოტა მოითმინეო.

მაჩვი კი მოხუცის სახლიდან გაქცევის შემდეგ დაშინდა: ღრმად შეძვრა სოროში და ცხვირსაც არ ჰყოფდა გარეთ.

მეორე დღეს კურდღელმა აიღო ნამგალი, ერთი პარკი გამხმარი წაბლი და მაჩვის სოროსკენ გასწია. სოროსთან რომ მივიდა, ფიჩხის ჭრა დაიწყო, თან ტომრიდან წაბლს იღებდა და აკნატუნებდა.

მაჩვს მისი ხმა ჩაესმა, სოროდან გამოძვრა და ჰკითხა:

_ კურდღელო, ასე გემრიელად რას აკნატუნებო?

_ წაბლსაო.

_ ცოტა მეც მომეციო.

_ მოგცემ, ოღონდ ჩემი ფიჩხის ნახევარი, აგერ, იმ მთაზე წაიღეო.

მაჩვს წაბლის ჩაკნატუნება მოუნდა. ზურგზე ერთი კონა ფიჩხი მოიგდო და კურდღელს წინ გაუძღვა. მთას რომ მიუახლოვდნენ, მაჩვმა უკან მოიხედა და კურდღელს უთხრა:

_ აბა, კურდღელო, წაბლი მომეციო!

_ მოგცემ, მოგცემ, ოღონდ ფიჩხი, აგერ, იმ მთაზე მი-იტანეო.

მაჩვმა ისევ განაგრძო გზა. მალე იმ მთასთანაც მივიდნენ. მაჩვი ისევ შემობრუნდა და უთხრა:

_ აბა, კურდღელო, მაგ შენს წაბლს არც ახლა მომცემო?

_ მოგცემ, მოგცემ, ოღონდ ფიჩხი, აგერ, იმ მთაზე მიიტანე, და აუცილებლად მოგცემო.

რა უნდა ექნა მაჩვს, წაუძღვა ისევ კურდღელს, მაგრამ ახლა უფრო სწრაფად მიდიოდა, რომ მალე მისულიყო იმ მთაზე. მიდიოდა და უკან აღარ იყურებოდა... კურდღელმა დრო იხელთა, უბიდან კაჟი ამოიღო და მაჩვის ზურგზე წამოკიდებულ ფიჩხის კონაში გაკვესა. ‘კატი-კატი,» _ გაისმა მაჩვის ზურგს უკან. მაჩვმა ყურები ცქვიტა და კურდღელს ჰკითხა:

_ მითხარი, კურდღელო, ეს ‘კატი-კატი» რაღა არისო?

_ მთის სახელიაო.

_ ჰო, აი, თურმე რა ყოფილაო!..

მაჩვმა გზა განაგრძო. ამასობაში ფიჩხს ცეცხლი მოეკიდა და აგუგუნდა: ბუ-ბუ-ბუ! _ მაჩვმა ისევ დაცქვიტა ყურები.

_ მითხარი, კურდღელო, ეს ‘ბუ-ბუ-ბუ» რაღა არისო?

_ აგერ, იმ მთის სახელიაო.

_ ჰო, აი, თურმე რა ყოფილაო! _ ჩაილაპარაკა მაჩვმა, მაგრამ ახლა უკვე ზურგზე მოედო ცეცხლი.

_ ვაი, ვაი, ვაი! მიშველეთ! _ აჭყიპინდა მაჩვი და გიჟივით მოკურცხლა. მაგრამ ამ დროს მთიდან ქარმა დაუბერა და ცეცხლი უფრო აბრიალდა. მაჩვი სულ გადაირია, აყვირდა და ტკივილისაგან მიწაზე გაგორდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოიშორა აბრიალებული ფიჩხი და სოროში შეძვრა.

_ მიშველეთ! ხანძარია! ხანძარია! _ ხმამაღლა დაიყვირა კურდღელმა და შინისაკენ წავიდა.

მეორე დღეს კურდღელმა მისოში[1] წიწაკა ჩაყარა, კარგად აურია და ამ მალამოთი მაჩვის სანახავად გასწია. მაჩვს მთელი ზურგი დამწვარი ჰქონდა. გორაობდა თავის ბნელ სოროში, ტკივილისაგან კვნესოდა და ოხრავდა.

_ ეს რა ცუდი საქმე დაგემართა გუშინ, ეს რა მოგივიდაო! _ შეიცხადა კურდღელმა.

_ ნუღა ამბობ! რა ვუშველო ახლა ამ ჩემს ზურგს? შეხედე, როგორა მაქვს დამწვარიო!

_ მეც ამაზე ვფიქრობდი და მეცოდებოდი. აი, მალამო მოგიმზადე. დამწვარს წუთში არჩენსო.

_ ოჰ, როგორი მადლობელი ვარ! ჩქარა წამისვიო.

მაჩვმა ზურგი მიუშვირა და კურდღელმაც აუსვა და დაუსვა მალამო სიგრძე-სიგანეზე, აუსვა და დაუსვა. მაჩვს ზურგი აეწვა, თითქოს ხელახლა ცეცხლი მოეკიდაო. ტკივილისაგან აყვირდა და გორაობა დაიწყო.

_ არაფერია, მაჩვო. პირველად ასე იცის, მერე უცებ გაგივლის. ცოტაც მოითმინეო... _ სიცილით უთხრა კურდღელმა და შინ წავიდა.

გავიდა რამდენიმე დღე. ერთხელ კურდღელი იჯდა და ფიქრობდა: ახლა რაღა მოვიგონო, რა ვუყო მაჩვს? მოდი, ზღვაზე წავიყვან და ერთი გემოზე ვასწავლი ჭკუას!

ამის გაფიქრება იყო და, მასთან სტუმრად მომავალი მაჩვიც დაინახა.

_ გამარჯობა, მაჩვო, როგორა ხარ?

_ ცოტათი გამოვკეთდიო.

_ კარგია. მაშ, სასეირნოდ წამოსვლა შეგძლებია და ეგ არისო!

_ ვერ მოგართვეს, ახლა მთაში უკვე ვეღარ გამიტყუებო.

_ რატომ მთაში? ზღვაზე წავიდეთ, თევზი დავიჭიროთო...

_ ჰოო, ზღვაზე წასვლა კი ღირსო.

კურდღელმა და მაჩვმა ზღვისკენ გასწიეს. კურდღელმა თავისთვის ხის ნავი გამოთალა. მაჩვს შეშურდა და მიწის ნავი გააკეთა. ჩასხდნენ თავ-თავიანთ ნავებში და გასცურეს. მიცურავდნენ და შეჰხაროდნენ ზღვას. ერთი ამინდს აქებდა, მეორე შემოგარენის სილამაზით იყო აღფრთოვანებული. დიდხანს იცურეს ასე. უცებ კურდღელმა თქვა:

_ აქ თევზი არ არის, ღია ზღვაში გავიდეთ. მოდი, შევეჯიბროთ, ვინ ვის გაასწრებსო!

_ შევეჯიბროთო, _ დაეთანხმა მაჩვი.

_ ერთი... ორი... სამი! _ და ორივემ სწრაფად მოუსვა ნიჩბები.

გავიდნენ ღია ზღვაში. კურდღელმა ნავის ქიმზე დააკაკუნა და თქვა:

_ ხის ნავი მსუბუქი და სწრაფიაო.

მაჩვმა არ დაუთმო:

_ არა უშავს, მიწის ნავი მძიმეა, მაგრამ, სამაგიეროდ, მაგარიაო!

ამასობაში მიწა დასველდა და მაჩვის ნავი ნელ-ნელა დაიშალა.

_ ვაიმე, ნავი მენგრევა! _ ყვიროდა თავზარდაცემული მაჩვი. _ ვაიმე, ვიძირები, ვიხრჩობი! მიშველეთო!

კურდღელი კი მაჩვის გაწამაწიას უყურებდა და ეუბნებოდა:

_ რასაც დათესავ, იმას მოიმკი. მაშ, რა გეგონა, დედაბერი რომ მოკალი და მისი ხორცი ბერიკაცს აჭამეო!

_ მე არ მომიკლავს, მე არ მიჭმევია, მიშველე, გადამარჩინეო! _ აღრიალდა მაჩვი. მაგრამ ამ დროს მისი ნავი მთლად დაიშალა. მაჩვი ფსკერისკენ წავიდა და წყლის ზედაპირზე ბუშტები ამოტივტივდა.

მ ო მ ო ტ ა რ ო

ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა. ერთ სახლში, მდინარის პირას, მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. ქმარი ტყეში დადიოდა შეშაზე, ცოლი კი მდინარეზე სარეცხს რეცხავდა.

ერთხელ დედაბერი წყლის პირას იჯდა და თეთრეულს ავლებდა.

უცებ დაინახა, რომ მდინარეს უშველებელი ატამი მოჰქონდა. წყალი ხან ერთ გვერდზე გადააბრუნებდა და ხან მეორეზე.

რა კარგი ატამია! _ გაიფიქრა დედაბერმა. _ ნეტავ დამაჭერინა, ჩემს მოხუცს მივართმევდი და გავახარებდიო. დედაბერი წყალზე დაიხარა, ხელი გაიწოდა, მაგრამ ვერ მისწვდა. რაკი ვერ მისწვდა, ტაში დასცხო და შელოცვასავით მიაყოლა:

_ შორ-შორ წყალი ნაღველივით მწარეა,
ჩემთან ახლოს ტკბილი და ნუგბარია.
ერთი მითხარ, მწარე წყალი რად ისურვე,
ჩემთან მოდი, ტკბილი წყლისკენ გამოსცურე!

ატამი უცებ შეირხა, პირდაპირ დედაბრის ფეხებთან მიცურდა და შეჩერდა. გაუხარდა დედაბერს: ჩქარა წავუღო ჩემს მოხუცს, ატამს ერთად შევექცევითო.

აიღო ატამი, სარეცხით სავსე ვარცლში ჩადო და შინისაკენ გასწია.

მოსაღამოვდა. ბერიკაცი ზურგზე გუდურაწამოკიდებული დაბრუნდა შინ.

_ აბა, დედაკაცო, როგორა ხარ, ხომ არ მოიწყინეო?

_ ოჰო, მოხვედი? სულ შენს მოლოდინში ვიყავი. შემოდი ჩქარა! რომ იცოდე, რა დაგახვედრეო, _ უთხრა დედაბერმა.

_ ვნახოთ, ვნახოთო! _ ბერიკაცმა სანდლები გაიძრო[1] და შინ შევიდა. ცოლმა ატამი აჩვენა.

_ აბა, შეხედე!

_ უჰ-უჰ, ატამიც ამასა ჰქვია! სად იყიდეო?

_ არ მიყიდია, მდინარეში დავიჭირეო!

_ რაო? მდინარეში დაიჭირე? ო, მით უფრო საოცარიაო!

ბერიკაცმა ატამი გამოართვა და თვალიერება დაუწყო. უცებ ატამმა მოხუცის ხელში გაიტკაცუნა, ორ ნაწილად გაიპო და იქიდან ტირილ-ტირილით ლამაზი ბიჭი ამოხტა.

_ ვაი! _ წამოიძახა შეშინებულმა ცოლ-ქმარმა. _ ეს რაღაა?

შემდეგ კი გაიფიქრეს: სულ იმაზე ვჯავრობდით, რომ შვილები არ გვყავდა და ალბათ, ღმერთმა ეს ბიჭი გამოგვიგზავნაო!

ატყდა ერთი ალიაქოთი: ქმარმა წყალი შემოდგა გასაცხელებლად, ცოლმა სახვევი ჩვრები მოძებნა. აბანავეს ნაპოვნი ბიჭი. დედაბერმა ბავშვი ხელში აიყვანა, მაგრამ უცებ ბიჭმა ღონივრად ჰკრა ხელი.

_ შეხე, როგორი ჯანიანი ყოფილაო!

გაოცებულმა მოხუცებმა ერთმანეთს გადახედეს. დიდებული ვაჟიშვილი შეეძინათ! და რაკი იგი ატმიდან დაიბადა, მომოტარო[2] შეარქვეს.

მოხუცები სათუთად ზრდიდნენ ყმაწვილს. მზე და მთვარე მასზე ამოსდიოდათ. მომოტარო დღეობით კი არა, საათობით იზრდებოდა. სხვა ბავშვები ვერ ეწეოდნენ. მალე ისეთი გოლიათი დადგა, რომ მთელს ოლქში არავინ იყო მისი მომრევი. მომოტაროს კეთილი გული ჰქონდა და მოხუცებს ისეთი პატივისცემით ექცეოდა, როგორც საკუთარ მშობლებს.

თხუთმეტი წელი რომ შეუსრულდა, იაპონიაში მასზე ღონიერი აღარავინ იყო. ამიტომ სხვა ქვეყანაში წასვლა გადაწყვიტა თავისი ჯანის გამოსაცდელად.

სწორედ იმ დროს მათ მხარეში ერთი ვაჭარი გამოჩნდა. ამ ვაჭარს მთელი ქვეყნიერება ჰქონდა შემოვლილი. სხვადასხვა კუნძულსა და შორეულ ზღვის გაღმა ქვეყნებში იყო ნამყოფი და ბევრ საინტერესო ამბავს ჰყვებოდა. მან კუნძულ ონიგასიმას ამბავიც იცოდა. იქ მისასვლელად წლობით მიცურავდნენ ზღვაზე. ონიგასიმას მიუვალ რკინის ციხესიმაგრეში ეშმაკები ცხოვრობდნენ და სხვადასხვა ქვეყნაში ნაძარცვ უთვალავ სიმდიდრეს სდარაჯობდნენ.

მომოტარომ ყური მოჰკრა ეშმაკების კუნძულის ამბავს და მოსვენება დაკარგა. გადაწყვიტა, როგორმე მიეღწია იქამდე. შინ რომ მივიდა, მამას უთხრა:

_ მამა, გამიშვიო!

ბერიკაცი შეშინდა.

_ საით გაგიწევიაო?

_ ონიგასიმასკენ, _ უპასუხა მომოტარომ. _ ეშმაკები უნდა გავრეკოო!

_ რა გაეწყობა, წადი! ვაჟკაცური საქმეაო.

დედაბერიც დაეთანხმა და დაუმატა:

_ შორი გზა გექნება და მოგშივდება, მაგრამ არა უშავს, საგზალს მოგიმზადებო.

ბერიკაცმა შუა ეზოში უშველებელი როდინი გამოათრია, დედაბერმა ფეტვი მოიტანა. ბერიკაცმა ფილთაქვა აიღო და კვერების გამოსაცხობად ფეტვის ნაყვა დაიწყეს. ძალიან კარგი კვერები დაცხვა. ამასობაში მომოტარომაც მოათავა სამზადისი. იმ მოსასხამით შეიმოსა, რომელსაც მეომრები იცვამენ ლაშქრობის

დროს. ქამარზე ერთ მხარეს ხმალი დაიკიდა, მეორე მხარეს _ კვერებიანი პარკი, მერე ატმებიანი საბრძოლო მარაო[1] აიღო და თავი მოწიწებით დახარა.

_ მშვიდობით, მამა. მშვიდობით, დედა!

_ აბა, შენ იცი, იმ ეშმაკებს რა დღესაც დააყრიო! _ უთხრა გამომშვიდობებისას მამამ.

_ ფრთხილად იყავი, თავს მოუარეო! _ დაარიგა დედაბერმა.

_ ნუ წუხხარ! ისეთი კვერები მიმაქვს, უკეთესს მთელ იაპონიაში ვერსად იშოვიო, _ უპასუხა მომოტარომ და მხიარულად გაუდგა გზას.

მოხუცებმა ეზოს გარეთ გააცილეს და მანამდე გასცქეროდნენ ჭაბუკს, სანამ თვალს არ მიეფარა.

იარა მომოტარომ, იარა და ერთ მაღალ მთაზე ავიდა. უცებ ხშირი ბუჩქებიდან დიდი ძაღლი გამოვარდა ყეფით. მომოტარომ მიიხედა. ძაღლი მოწიწებით მიესალმა და ადამიანის ხმით შეეკითხა:

_ მომოტარო-სან, საით მიემგზავრებიო?

_ ონიგასიმაზე სალაშქროდ მივდივარო.

_ პარკში რა გიდევსო?

_ ფეტვის კვერები. ასეთ კვერებს მთელს იაპონიაში ვერ ნახავო.

_ ერთი ცალი მომეცი და შენთან ერთად წამოვალო.

_ კარგი, წამოდი! აჰა, კვერიო!

ძაღლმა შეჭამა კვერი და მომოტაროს უკან გაჰყვა.

მთიდან დაეშვნენ, ცოტაც გაიარეს და ტყეში შევიდნენ.

უცებ ხიდან მაიმუნი ჩამოხტა ყვირილით.

მომოტარომ მიიხედა. მაიმუნი თავაზიანად მიესალმა და ადამიანის ხმით შეეკითხა:

_ მომოტარო-სან, საით მიემგზავრებიო?

_ ონიგასიმაზე სალაშქროდ მივდივარო.

_ პარკში რა გიდევსო?

_ ფეტვის კვერები. ასეთ კვერებს მთელს იაპონიაში ვერ ნახავო.

_ ერთი ცალი მომეცი და შენთან ერთად წამოვალო.

_ კარგი, წამოდი! აჰა, კვერიო!

მაიმუნმა შეჭამა კვერი და ისიც უკან გაჰყვა მომოტაროს.

მთიდან დაეშვნენ, ტყე გაიარეს და გაშლილ მინდორზე გავიდნენ. უცებ ციდან ხოხობი ჩამოფრინდა.

მომოტარომ მიიხედა. ხედავს, ხოხობი მის წინ ჩამოჯდა, თავაზიანად მიესალმა და ადამიანის ხმით შეეკითხა:

_ მომოტარო-სან, საით მიემგზავრებიო?

_ ონიგასიმაზე სალაშქროდ მივდივარო!

_ პარკში რა გიდევსო?

_ ფეტვის კვერები. ასეთ კვერებს მთელს იაპონიაში ვერ ნახავო.

_ ერთი ცალი მომეცი და შენთან ერთად წამოვალო.

_ კარგი, წამოდი! აჰა, კვერიო!

ხოხობმა კვერს ჩაუნისკარტა და მომოტაროს უკან გაჰყვა.

ასე გაუჩნდა მომოტაროს სამი ერთგული მსახური: ძაღლი, მაიმუნი და ხოხობი. ახლა ოთხნი უფრო მეტი ხალისით მიდიოდნენ.

ცოტა იარეს თუ ბევრი იარეს, როგორც იქნა, ზღვასთან მივიდნენ. ბედზე იქვე ნავიც დაინახეს.

მომოტარო ნავში სწრაფად ჩახტა და ერთგული მსახურებიც უკან მიჰყვნენ.

_ ნიჩბებს მე მოვუსვამო, _ თქვა ძაღლმა და ნიჩბები მოიმარჯვა.

_ მე მესაჭე ვიქნებიო, _ თქვა მაიმუნმა და საჭეს მიუჯდა.

_ მე კი წინ გავიხედავო! _ თქვა ხოხობმა და ნავის ცხვირზე ჩამოჯდა.

მზე კაშკაშებდა. ზღვა სარკესავით ბრწყინავდა. ნავი ისე მიჰქროდა, როგორც მშვილდს ასხლეტილი ისარი, როგორც ღრუბლის გამგმირავი ელვა. მალე ნავის ცხვირზე შემომჯდარმა ხოხობმა იყვირა:

_ კუნძულს ვხედავ, კუნძულს ვხედავო!

ფრთები ხმაურით ააფათქუნა, ცაში აიჭრა და პირდაპირ კუნძულისკენ გაფრინდა.

მომოტარომ იქით გაიხედა, საითაც ხოხობი გაფრინდა. შორს, ძალიან შორს, სადაც ცა ზღვას უერთდებოდა, ღრუბელივით მუქი რაღაც დაინახა, მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა ნავი, მით უფრო ცხადად ჩანდა, რომ ეს რაღაც ღრუბელი კი არა, პირქუში კუნძული იყო.

_ აგერ, ონიგასიმას კუნძულიც! შეხედეთო! _ თქვა მომოტარომ.

_ ვაშაა! _ ერთხმად შესძახეს ძაღლმა და მაიმუნმა.

ნავი კი ნაპირს უახლოვდებოდა. გამოჩნდა ეშმაკების ციხესიმაგრეც. გარშემო მიუვალი სალი კლდე ერტყა. უზარმაზარ თუჯის ჭიშკართან გუშაგები მოჩანდნენ.

ყველაზე მაღალ სახურავზე ხოხობი შემომჯდარიყო და თავისიანებისკენ იყურებოდა.

სხვას ალბათ დიდი, ძალიან დიდი დრო დასჭირდებოდა ეშმაკების კუნძულამდე მისასვლელად, მომოტარო კი თვალის დახამხამებაში იქ გაჩნდა.

ნაპირს რომ მიადგნენ, მომოტარო გადახტა და ერთგული მსახურებიც თან მიჰყვნენ.

ეშმაკებმა უცხოები რომ დაინახეს, შეშინდნენ, სწრაფად მიიმალნენ ციხის კედლებში და თუჯის ჭიშკარი მაგრად ჩაკეტეს.

ძაღლი ჭიშკარს ეცა, თათებით ფხოჭნა დაუწყო, თან ხმამაღლა ყეფდა:

_ ჰეი, თქვენ, ეშმაკებო, გააღეთ ჭიშკარი! იაპონიიდან თვით მომოტარო გეახლათო!

ამ სიტყვების გაგონებაზე ეშმაკები შიშისაგან აცახცახდნენ, ჭიშკარს მთელი ძალ-ღონით მიაწვნენ და არ გააღეს.

ამ დროს სახურავიდან ხოხობი ჩაფრინდა და ეშმაკებს თვალების კორტნა დაუწყო. ეშმაკებმა ვეღარ გაუძლეს და მიიფანტ-მოიფანტნენ. მაშინ მაიმუნი მაღალ კედელზე აცოცდა, შიგნით გადახტა და ჭიშკარი გააღო.

მომოტარო და მისი მეომრები საბრძოლო ყიჟინით შეცვივდნენ ციხე-სიმაგრეში. წინ ეშმაკებით გარშემორტყმული მთავარი ეშმაკი შემოხვდათ. მოდიოდნენ, საშინლად კიოდნენ და რკინის კომბლებს იქნევდნენ.

ეშმაკები მხოლოდ გარეგნობით იყვნენ საზარელნი. როგორც კი ხოხობმა თვალების კორტნა დაუწყო და აყეფებული ძაღლი ფეხებში ეცა, მაშინვე დაიბნენ, აქეთ-იქით მიაწყდნენ და ტკივილისაგან აწივლდნენ. როცა მაიმუნმაც თავისი ბრჭყალები აგემა, სულ გადაირივნენ, უფრო ხმამაღლა აკივლდნენ, კომბლები გადაყარეს და აქეთ-იქით მიიმალნენ.

მხოლოდ მთავარი ეშმაკი იბრძოდა ბოლომდე. მომოტარომ ისიც მიწაზე დასცა, ფართო ზურგზე მოაჯდა, ღონიერი ხელები კისერში წაუჭირა და უთხრა:

_ აჰა, შენი აღსასრულის დღეც ხომ დადგაო!

ეშმაკს სული შეეხუთა, თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა და მომოტაროს შეევედრა:

_ ოღონდ გამიშვი და მთელ ჩემს სიმდიდრეს მოგცემო!

მომოტარომ გაუშვა. მთავარმა ეშმაკმა საკუჭნაოები გააღო და მთელი სიმდიდრე მისცა. ამ სიმდიდრეს დედამიწაზე არაფერი შეედრებოდა. აქ იყო უჩინმაჩინის წამოსასხამიც, უჩინმაჩინის ქოლგაც, ბედნიერების ღმერთის ჯადოსნური სარაკუნაც,[1] ძვირფასი მარგალიტიც, მარჯანიც, კუს ბაკნის ფარები და უამრავი სხვა სიმდიდრე.

ყველაფერი ეს მომოტარომ ნავში ჩააწყო და თავის მსახურებთან ერთად შინისკენ გაბრუნდა. ახლა ნავი ადრინდელზე უფრო სწრაფად მისრიალებდა და სულ მალე იაპონიას მიუახლოვდა.

მოგზაურები ნაპირს მიადგნენ. ძვირფასეულობით ურემი დატვირთეს, შიგ ძაღლი შეება, ხოხობი თოკით ეწეოდა გვერდიდან, მაიმუნი უკანიდან აწვებოდა. ასე მიაგორებდნენ მძიმე ურემს.

მოხუცი მშობლები მოუთმენლად ელოდნენ მომოტაროს. უკვე შინ დაბრუნების დრო მოუვიდაო, _ ხან ერთი ამბობდა, ხან მეორე.

და, აი, დადგა სასიხარულო დღეც, მომოტარო შინ დაბრუნდა. ვაჟი ამაყად მოდიოდა წინ, უკან კი ერთგულ მსახურებს მდიდარი ნადავლი მოჰქონდათ. მოხუცებმა დაინახეს მომოტარო და სიხარულით ცას ეწიენ:

_ აი, მესმის გმირი! _ აღტაცებით თქვა მოხუცმა მამამ. _ მისი მჯობნი არავინ არის მთელ იაპონიაში!

_ კარგია, რომ უვნებელი დაბრუნდა! _ თქვა დედამ. _ ყველაფერს ესა სჯობიაო!

მომოტარო თავის ერთგულ მსახურებს მიუბრუნდა:

_ აბა, ერთი თქვით, ეშმაკებთან ბრძოლა ძნელი იყოო?

პასუხად ძაღლმა მხიარულად დაიყეფა, მაიმუნმა ხმამაღლა გაიცინა და თავისი თეთრი კბილები გამოაჩინა. ხოხობმა დაიკრიახა, ჰაერში აფრინდა და რამდენჯერმე ამოტრიალდა.

ნათელი და უღრუბლო დღე იყო. ბაღში ალუბლები ყვაოდა.

ენამოჭრილი ბეღურა

დიდი ხნის წინათ ერთ სოფელში მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. განგებას მათთვის შვილი არ გაემეტებინა, ბერიკაცს გალიაში ბეღურა ჰყავდა და ღვიძლი შვილივით უყვარდა.

ერთხელ ბერიკაცი ტყეში წავიდა შეშის მოსატანად. ცოლი კი შინ დარჩა სარეცხის დასარეცხად. დედაბერს სამზარეულოში სახამებელი დაავიწყდა, უკან შებრუნდა, მაგრამ სახამებელი იქ აღარ დახვდა. სანამ ჭასთან სარეცხს რეცხავდა, ბეღურა გალიიდან გამოფრენილიყო და სულ შეეჭამა. დედაბერი მიხვდა, რომ ბეღურამ შეუჭამა, და ძალზე გაბრაზდა. დაიჭირა საბრალო ჩიტი, ნისკარტი გაუხსნა და უთხრა:

_ შენმა ენამ ჩაიდინა ეს საძაგლობა, არა?

დასტაცა ხელი მაკრატელს _ კრიჭ! _ და უენო ბეღურა დედაბერმა ქუჩაში გადააგდო, თან სიცილით თქვა:

_ ახლა საითაც გინდა, იქით წადიო!

_ ვაი, ვაი, ვაი!.. _ საცოდავად დაიწრიპინა ბეღურამ და გაფრინდა.

საღამო ხანს ტყიდან ზურგზე გუდურაწამოკიდებული ბერიკაცი დაბრუნდა.

_ უჰ, როგორ დავიღალე! ალბათ ბეღურაც უჭმელია. ცოტა მარცვალს დავუყრიო.

მივიდა გალიასთან და რას ხედავს: ბეღურა შიგ აღარ ზის. გაოცდა მოხუცი და დედაბერს ჰკითხა:

_ დედაკაცო, ჩვენი ბეღურა რა იქნაო?

_ ჰა, ბეღურა? შენმა ბეღურამ მთელი სახამებელი შემიჭამა, ენა მოვაჭერი და გავაგდეო, _ უთხრა გულმოსულმა დედაბერმა.

_ უჰ, შე საცოდავო, რა მკაცრად დაუსჯიხარო! _ გული დაეთუთქა მოხუცს.

ბერიკაცს მთელი ღამე არ დასძინებია, სულ იმაზე ფიქრობდა, ნეტავ ენამოჭრილი ბეღურა საით წავიდოდაო. მეორე დღეს ალიონზე ადგა და თავისი საყვარელი ბეღურის საძებნელად წავიდა. მიდიოდა, მაგრამ თვითონაც არ იცოდა, საით. მიდიოდა, ჯოხს აკაკუნებდა და იძახდა:

_ სადა ხარ, ენამოჭრილო ბეღურავ? ხმა გამეცი! სად დაბინავდი, სად დაბინავდიო?

ასე გადაიარა ბერიკაცმა ველი და მთა, მერე ისევ ველი, ისევ მთა და, ბოლოს, ბამბუკის ჭალას მიადგა. უცებ შემოესმა:

_ ენამოჭრილი ბეღურა აქ ცხოვრობსო!

გაუხარდა ბერიკაცს და იქით წავიდა, საიდანაც ხმა მოესმა. ხედავს: ხშირი ბამბუკის ბარდში წითელი სახლი დგას. ენამოჭრილ ბეღურას კი უკვე ჭიშკარი გაუღია და ეგებება:

_ ბერიკაცო, კეთილი იყოს შენი მობრძანებაო!

_ როგორა ხარ, ბეღურავ? ძალიან მომენატრე და შენ სანახავად მოვედიო.

_ ძალიან მოხარული ვარ, გმადლობ, მოხუცო. მობრძანდიო! _ სტუმარი შინ შეიყვანა, მოხუცის ფეხთით დაემხო და უთხრა:

_ დამნაშავე ვარ, რომ დაუკითხავად შევჭამე ძვირფასი სახამებელი. გთხოვ, ნუ გამიბრაზდებიო.

_ რას ამბობ, რას ამბობ? შენ კი არა, მე ვარ დამნაშავე, რომ ჩემი იქ არ ყოფნის დროს ასეთი უბედურება შეგემთხვა. მაგრამ ახლა ბედნიერი ვარ, რომ გხედავო.

ბეღურამ თავის ნათესავებსა და მეგობრებს დაუძახა და ბერიკაცს მისი საყვარელი საჭმელებით გაუმასპინძლდა. შემდეგ კი მხიარულ სიმღერაზე ბეღურებმა ცეკვა-თამაში გააჩაღეს. მოხუცი ისეთ ნეტარებაში იყო, შინ დაბრუნებაც კი დაავიწყდა. გარეთ ბინდდებოდა. აჩქარდა ბერიკაცი.

_ მადლობელი ვარ, ბეღურავ, მხიარულად გავატარე ეს დღე. ახლა კი ნება მომეცი, გამოგემშვიდობო. სანამ მზე არ ჩასულა, შინ უნდა დავბრუნდეო.

_ ღარიბულია ჩემი ქოხი, მაგრამ გთხოვ, ამაღამ ჩემთან დარჩეო! _ სთხოვა ბეღურამ და დანარჩენი ბეღურებიც აჰყვნენ.

_ დიდი სიამოვნებით დავრჩებოდი, მაგრამ შინ ჩემი დედაბერი მელოდება. მაპატიე, დღეს ვერ დავრჩები. სხვა დროს კიდევ მოვალო.

_ სამწუხაროა, სამწუხარო. რას იზამ! ცოტა ხანს მომიცადე, საჩუქარი მოგიმზადეო.

ბეღურა წავიდა და მალე დაბრუნდა. ხელში ორი კალათა ეჭირა.

_ აი, მოხუცო, ორი კალათა: ერთი მძიმეა, მეორე _ მსუბუქი, აირჩიე, რომელი გინდაო!

_ რას ამბობ, ასე კარგად გამიმასპინძლდი და საჩუქრისთვის რაღად წუხდებოდი... ჰო, კარგი, რაკი ასეა, წავიღებ, მაგრამ მოხუცი ვარ და შორი გზა მაქვს გასავლელი, მსუბუქი კალათა მირჩევნიაო.

მოხუცმა მხარზე მოიგდო მსუბუქი კალათა და ბეღურას გამოემშვიდობა.

_ აბა, ნახვამდის! კიდევ შემოგივლიო.

_ უსათუოდ გვეწვიე! გელოდებით! იცოდე, თავს გაუფრთხილდიო!

ბეღურებმა მოხუცი ჭიშკრამდე გააცილეს.

დედაბერი კი შინ იჯდა და ცოფებს ჰყრიდა, მზე ჩავიდა და ბერიკაცი ჯერ არსად ჩანსო.

_ ნეტავი სად დაიკარგაო? _ ბუზღუნებდა დედაბერი.

და აი, როგორც იქნა, ზურგზე კალათაწამოკიდებული ბერიკაციც გამოჩნდა.

_ სად დაიკარგეო! _ გაალმასებული ეცა ცოლი.

_ ნუ ბრაზობ, დედაკაცო! ბეღურასთან ვიყავი სტუმრად! რომ იცოდე, როგორი პატივი მცეს! როგორი ცეკვები მაჩვენეს! საჩუქარიც მომართვესო.

ბერიკაცმა ზურგიდან კალათა ჩამოიღო. დედაბერი უკვე ალერსიანად იღიმებოდა:

_ ო, ეს კარგია! ნეტავ კალათაში რა არისო?

კალათას თავსახური ახადა და გაოცდა: ამდენი ოქრო-ვერცხლი, მარჯანი და მარგალიტი არასოდეს ენახა.

ყველაფერი თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. გაუხარდა ბერიკაცს.

_ იცი, ბეღურა ორ კალათს მაძლევდა: ერთი მძიმე იყო, მეორე _ მსუბუქი. მითხრა, რომელიც გინდა, ის წაიღეო. აბა, ამოდენა გზაზე მძიმე კალათის თრევა სად შემეძლო, ავდექი და მსუბუქი კალათა წამოვიღე. მართალი გითხრა, მაშინ სულაც არ მიფიქრია, რომ შიგ ასეთი განძეულობა იქნებოდაო.

დედაბერი გაბრაზდა:

_ ჰაი, შე ბებერო სულელო! რატომ მძიმე კალათა არ წამოიღე. იმაში ხომ უფრო ბევრი თვალ-მარგალიტი იქნებოდაო!

_ ნუ ხარ ასეთი ხარბი, დედაკაცო. ესეც გვეყოფაო.

_ ეს რას გვეყოფა? თუმცა, შენ რა უნდა გელაპარაკო. მე თვითონ წავალ და იმ მძიმე კალათას წამოვიღებო.

ბერიკაცი ემუდარა, არ წახვიდეო, მაგრამ დედაბერს სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა. გათენებასაც არ მოუცადა, ისე გავიდა სახლიდან.

დაღამდა, მაგრამ დედაბერი მაინც მიდიოდა, ხელში ჯოხი ეჭირა და იძახდა:

_ სადა ხარ, ენამოჭრილო ბეღურავ? ხმა გამეციო!

ასე გადაიარა დედაბერმა ველი და მთა, მერე ისევ ველი, ისევ მთა, და ბოლოს ბამბუკის ჭალას მიადგა. უცებ შემოესმა:

_ ენამოჭრილი ბეღურა აქ ცხოვრობსო!

როგორც იქნა, ვიპოვე! _ გაიფიქრა დედაბერმა და იქით წავიდა, საიდანაც ხმა მოესმა. ხედავს, ენამოჭრილ ბეღურას უკვე ჭიშკარი გაუღია.

_ ოჰ, შენა ხარ, დიდედა! კეთილი იყოს შენი მობრძანებაო! _ ალერსიანად უთხრა ბეღურამ, დედაბერი შინ შეიყვანა და ზედა ოთახებისკენ წაუძღვა, მაგრამ დედაბერმა ირგვლივ მიმოიხედა და უარი უთხრა:

_ მაღლა ამოსვლა არ მინდა, უკვე ვხედავ, რომ ჯანმრთელად ხარ და მეტი არც არაფერი მაინტერესებს. სჯობია, ჩქარა მომცე საჩუქარი და შინ გამისტუმროო.

ო, რა ხარბი ხარო! _ გაიფიქრა ბეღურამ. დედაბერი კი აჩქარებდა:

_ სწრაფად, სწრაფად გაინძერიო!

_ ახლავე მოვიტან, ახლავე, ცოტა მოიცადეო, _ უთხრა ბეღურამ და საჩქაროდ მოიტანა ორი კალათა.

_ აი ორი კალათა: მძიმე და მსუბუქი. ამოირჩიე, რომელი გინდაო!

_ მძიმე მომეციო!

დედაბერმა მძიმე კალათა ზურგზე მოიგდო, გამოემშვიდობა ბეღურას და შინისაკენ გასწია. კალათა ისედაც მძიმე იყო, მაგრამ როგორც კი დედაბერმა ზურგზე მოიგდო, კიდევ უფრო დამძიმდა. დედაბრის ძვლებს სულ ტკაცატკუცი გაჰქონდა, ცოტაც და, ხერხემალი გადაემტვრეოდა. მაგრამ დედაბერი მაინც არ ეშვებოდა კალათას.

_ უჰ!.. ეს ისეთი მძიმეა, ალბათ შიგ ბლომა განძეულიაო, _ ჩიფჩიფებდა დედაბერი. _ მოდი ერთი, ვნახავ, თან ცოტასაც შევისვენებო.

დედაბერი გზის პირას ქვაზე ჩამოჯდა, კალათა მიწაზე დადგა, სწრაფად ახადა სახურავი და რას ხედავს: თვალისმომჭრელი განძეულის ნაცვლად კალათიდან ათასნაირი ურჩხული და გველი ამოცოცდა.

_ აი, ის ხარბი და კუდიანი დედაბერი! _ შესძახეს ქვეწარმავლებმა და ეცნენ დედაბერს. ზოგნი საზარლად უბრიალებდნენ თვალებს, ზოგნი წებოვანი ენით ულოკავდნენ სახეს. დედაბერს მკვდრისფერი დაედო.

_ მიშველეთ! მიშველეთო! _ საზარლად დაიყვირა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.

ცოცხალმკვდარმა მხოლოდ გათენებისას მიაღწია სახლამდე.

_ დედაკაცო, რა მოგივიდაო? _ შეეშინდა ქმარს.

დედაბერმა უამბო ყველაფერი, რაც თავს გადახდა. ბერიკაცმა უთხრა:

_ ხომ ხედავ, რა დღე დაგადგა! იქნება ასეთი გულქვა და ხარბი ამის შემდეგ მაინც აღარ იყოო.

<u>თაგვის მაჭანკლობა</u>

ერთხელ თაგვები ბეღელში ჩასახლდნენ და დაიწყეს უდარდელი ცხოვრება. ყველაფერი თავსაყრელი ჰქონდათ: ბრინჯიც, ხორბალიც, ფეტვიცა და ლობიოც. ერთი ეს იყო, რომ შვილები არ ჰყავდათ. თაგვებმა ღმერთებს დაუწყეს ვედრება, შვილი გვაღირსეო, და მალე, მართლაც, ეყოლათ წრუწუნა-ქალიშვილი. წრუწუნა წამოიზარდა და მზეთუნახავ თაგვად იქცა. იაპონიის მთელ სათაგვეთში იმაზე ლამაზი საპატარძლო არ მოიძებნებოდა.

მშობლებმა სასიძოს ამორჩევა დააპირეს, მაგრამ, გაგიგონია? სად მოძებნიდნენ ასეთი მზეთუნახავის შესაფერისს.

_ ჩვენი ქალიშვილი ულამაზესია მთელს იაპონიაში, _ თქვეს მშობლებმა, _ ამიტომ მისი საქმროც ყველას უნდა სჯობდესო.

ბევრი იფიქრეს, ვინ არის ამქვეყნად ყველაზე ძლიერი და ყველაზე კარგიო. ბოლოს თქვეს, ყველაზე ძლიერი და ყველაზე კარგი მზე არისო: ცხოვრობს თავისთვის მაღლა, ცაში, და მთელს დედამიწას ანათებსო.

მშობლებმა მზისკენ გასწიეს და თან თავიანთი ქალიშვილიც წაიყვანეს. მივიდნენ მზესთან, მიესალმნენ და უთხრეს:

_ ჰოი, მზეო! შენ ყველაზე ძლიერი ხარ, გთხოვთ, ჩვენი ქალიშვილი ცოლად შეირთოო.

მზემ ალერსიანად გაიღიმა.

_ მადლობელი ვარ, მაგრამ ამქვეყნად ჩემზე ძლიერი საქმროც მოიძებნებაო.

_ შენზე ძლიერი? _ გაოცდა მამა. _ ვინ არისო?

_ ღრუბელი! _ უპასუხა მზემ. _ რამდენიც უნდა ვეცადო, ჩემი სხივებით ღრუბელს ვერ გავარღვევო.

_ აი თურმე რა ყოფილაო!

რა გაეწყობოდა, მამამ დედა-შვილი შინ გაგზავნა და თვითონ ღრუბელთან წავიდა. მივიდა და უთხრა:

_ ღრუბელო! შენ ყველაზე ძლიერი ხარ ამ ქვეყანაზე, გთხოვ, ჩემი ქალიშვილი ცოლად შეირთოო!

_ მადლობელი ვარ, მაგრამ ქვეყნად ჩემზე ძლიერი საქმროც მოიძებნებაო.

_ შენზე ძლიერი? _ გაოცდა მამა. _ ვინ არისო?

_ ქარი! _ უპასუხა ღრუბელმა. _ დაუბერავს და, საითაც უნდა, თავს იქით მიკრავსო.

_ აი თურმე რა ყოფილაო!

თაგვის მამამ თავი გააქნია და ქარისაკენ გასწია. მივიდა და უთხრა:

_ ო, ქარო! შენ ყველაზე ძლიერი ხარ ამ ქვეყანაზე! გთხოვ, ჩემი ქალიშვილი ცოლად შეირთოო!

_ მადლობელი ვარ, მაგრამ ქვეყნად ჩემზე ძლიერი საქმროც მოიძებნებაო.

_ შენზე ძლიერი? _ გაოცდა მამა. _ ვინ არისო?

_ კედელი! _ უპასუხა ქარმა. _ რამდენიც არ უნდა დავუბერო, ვერ დავანგრევო!

_ აი თურმე რა ყოფილაო!

თაგვის მამამ კეფა მოიქექა და კედლისაკენ გასწია.

მივიდა და უთხრა:

_ ო, კედელო! შენ ყველაზე ძლიერი ხარ ამ ქვეყანაზე. გთხოვ, ჩემი ქალიშვილი ცოლად შეირთოო!

_ მადლობელი ვარ, მაგრამ ქვეყნად ჩემზე ძლიერი საქმროც მოიძებნებაო.

_ შენზე ძლიერი? _ გაოცდა მამა. _ ვინ არისო?

_ თაგვი! _ უპასუხა კედელმა. _ რაც უნდა მაგარი ვიყო, თაგვი მაინც თავისუფლად გამომთხრის ხოლმეო.

_ აი თურმე რა ყოფილაო! _ წამოიძახა კიდევ უფრო მეტად გაოცებულმა მამამ. მერე კმაყოფილმა ხელები მოიფშვნიტა და თქვა:

_ რატომ ადრე არ ვამჩნევდი, რომ ჩვენ ვართ ამქვეყნად ყველაზე ძლიერები! კედელო, მადლობას მოგახსენებო.

და თაგვი ამაყად გაეშურა შინისაკენ.

მშობლებმა თავიანთი ქალიშვილი მეზობელ თაგვს მიათხოვეს. ახალგაზრდები ტკბილად და მხიარულად ცხოვრობდნენ. დიდ პატივს სცემდნენ თავიანთ მშობლებს და შვილებიც ბლომად შეეძინათ. მას შემდეგ თაგვების მოდგმა ბედნიერად ცხოვრობს ბეღელში.

<u>ხატიკაცუგი</u>

ოდესღაც კავატის პროვინციის სოფელ კატანოში ცხოვრობდა ერთი სამურაი[1], სახელად სანეტაკა. სანეტაკას ბევრი მიწა და ფული ჰქონდა, მზეთუნახავი ცოლიც ჰყავდა, მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა _ უშვილო იყო.

ცოლ-ქმარი ქალღმერთ კანონს[2] ევედრებოდა, ერთი შვილი მაინც მოგვეციო. და, აი, ერთ მშვენიერ დღეს ქალიშვილი შეეძინათ.

ცოლ-ქმარმა ხასეს ტაძარში მადლობა შესწირა ქალღმერთს მათი ვედრების შესმენისათვის და ბუდას თავიანთი ქალიშვილის მფარველობა სთხოვეს.

დრო სწრაფად გადიოდა. გოგონას ცამეტი წელი რომ შეუსრულდა, სწორედ მაშინ დედას რაღაც უკურნებელი სენი შეეყარა. მამა-შვილი ყოველ ღონეს ხმარობდა ავადმყოფის გადასარჩენად, მაგრამ ამაოდ.

ერთ საღამოს დედამ ქალიშვილი მიიხმო, თავზე გამხდარი ხელი გადაუსვა და უთხრა:

_ როგორი გრძელი თმა გაქვს! სამი წელიწადიც რომ მეცოცხლა, მთლად დაქალიშვილებულს გნახავდიო.

თქვა და მწარედ ატირდა. შემდეგ აიღო პრიალა ყუთი, თავზე დაადგა გოგონას და სანამ გოგონა ფიქრობდა, ნეტავ ყუთში რა დევსო, დედამ დინჯად ჩამოახურა ზემოდან უზარმაზარი ხის ქოთანი. ქოთანი იმოდენა იყო, მის ქვემოდან აღარაფერი ჩანდა.

_ ესეც ასე, _ შვებით ამოისუნთქა დედამ, _ მოწყალების ქალღმერთის ნება-სურვილი შევასრულეო.

მერე თვალები დახუჭა და ისე მშვიდად მოკვდა, თითქოს ჩაიძინაო. მამა და შვილი ტირილით მისცვივდნენ, მაგრამ ქალს უკვე საუკუნო ძილით ეძინა.

სანეტაკამ თავისი ცოლი დაასაფლავა და მხოლოდ მაშინღა შეამჩნია გოგონას თავზე ხის დიდი ქოთანი. სცადა მოეხადა, მაგრამ ვერ მოხადა. ქოთანი თითქოს თავს შეხორცებოდა.

საცოდავი გოგონა! _ ფიქრობდა მამა და დამწუხრებული შესცქეროდა ქალიშვილს. _ უდედოდაც დარჩა და თანაც ასე დამახინჯდაო.

საწყალ გოგონას ხალხი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა და ხუმრობით ‘ხატიკაცუგის» ეძახდა, რაც ნიშნავს: ‘ატარე ქოთანი».

გავიდა ცოტა ხანი და სანეტაკა მშობლებისა და მეგობრების რჩევით მეორედ დაქორწინდა, მაგრამ ხატიკაცუგის თავისი დედა მაინც არ ავიწყდებოდა. ხშირად იგონებდა ხოლმე. დედინაცვალს ეს ამბავი გულზე ეკლად ესობოდა. ამიტომ შეიძულა გერი და ფიქრს მიეცა, როგორ მოეშორებინა თავიდან. დედინაცვალს შვილი რომ შეეძინა, ხატიკაცუგისათვის სახლში სულ აღარ დარჩა ადგილი. დედინაცვალს მამაც აჰყვა და უკვე აღარ ფიქრობდა ღვიძლი შვილის ბედზე. ხატიკაცუგი ყველასთვის ზედმეტი იყო.

გოგონა ყოველდღე დადიოდა დედის საფლავზე და თვალცრემლიანი ევედრებოდა: მალე წამიყვანე შენთან, ჩემო საყვარელო დედავ! მეტის მოთმენა აღარ შემიძლიაო! დედინაცვალმა გაიგო, რომ ხატიკაცუგი დედის საფლავზე დადიოდა და ქმარს უთხრა:

_ შენს შვილს უნდა სიცოცხლე მოგვისპოს, ჩვენს ოჯახს სწყევლის და კრულავსო.

ხატიკაცუგის მამა გაბრაზდა და შვილს აუყვირდა:

_ მე შენ მეცოდებოდი, ვფიქრობდი, ამას თავის გასაჭირი ეყოფა, ასეთი მახინჯია-მეთქი, შენ კი წყევლა-კრულვას გვაყრი, საძაგელო! დამეკარგე აქედან, თვალით აღარ დამენახოო!

დედინაცვალს გაუხარდა, ხელი სტაცა ხატიკაცუგის, ჭუჭყიანი ძონძები ჩაცვა და სახლიდან გააგდო.

თვალცრემლიანი ხატიკაცუგი მშობლიური სახლიდან წავიდა, მაგრამ რა გზას დასდგომოდა, არ იცოდა.

იარა, იარა და დიდი მდინარე დაინახა.

უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ ხეტიალს სიკვდილი მირჩევნიაო, _ გაიფიქრა ხატიკაცუგიმ, ღრმა მორევთან მივიდა და წყალში გადავარდა, მაგრამ მაინც არ დაიხრჩო: თავზე ჩამომხობილმა ხის ქოთანმა წყლის ზედაპირზე აატივტივა.

ამ დროს მეთევზეებმა ჩაუარეს ნავით. ქოთანი რომ დაინახეს, ხელი სტაცეს, წყლიდან ამოვიღოთო, მაგრამ ქოთნის ქვეშ ადამიანი დახვდათ! მეთევზეებს შეეშინდათ, ხატიკაცუგის ხელი უშვეს და იქაურობას გაშორდნენ.

_ ქვეყნად ჩემზე უბედური არავინ არის! _ მწარედ მოთქვამდა გოგონა. _ სიკვდილიც კი სანატრელი გამიხდაო.

როგორც იქნა, ნაპირზე ამოვიდა და ისევ გზას დაადგა. მიდიოდა და თვითონაც არ იცოდა, საით მიდიოდა.

კარგა ხანს იარა. ბოლოს ერთ სოფელში შევიდა. სოფლის შარაზე გამოჩნდა თუ არა, ხალხში ერთი შეშინებული ჩურჩული ატყდა:

_ შეხედე, შეხედე, ქოთან-ჯადოქარი მოსულაო.

მთელ სოფელში კაციშვილმა ვერ გაბედა საბრალო ხატიკაცუგისათვის ერთი ლუკმა პური ან თავშესაფარი მიეცა.

სწორედ იმ დროს სოფელზე პროვინციის მმართველმა ჩაიარა თავისი ამალით. მან შორიდან დაინახა თავზე ქოთანჩამომხობილი გოგონა და მის გარშემო თავმოყრილი ხალხი.

_ წადი, გაიგე, რა ამბავიაო! _ უბრძანა მსახურს.

მსახური გაიქცა. როგორც კი გლეხებმა მსახური დაინახეს, მაშინვე აქეთ-იქით გაიფანტნენ, იმ ადგილას მხოლოდ ხატიკაცუგიღა დარჩა. იდგა საწყალი და მწარედ ქვითინებდა. გაუკვირდა მსახურს, გოგონას თავზე ქოთანი რად ახურავსო. ადგა და თავის ბატონთან მიიყვანა. ბატონმა შეხედა ხატიკაცუგის და ბრძანა:

_ ქოთანი მოხადეთო!

მსახურები გოგონას მისცვივდნენ, მაგრამ, როგორც კი ქოთანს ხელი წაავლეს, გოგონამ შეჰკივლა:

_ არა, არა, ამ ქოთნის მოხდა არ შეიძლებაო!

_ რა სისულელეს ამბობ! ვითომ რატომ არ შეიძლებაო? _ არ დაუჯერეს მსახურებმა და სცადეს, ძალით მოეხადათ ქოთანი. მაგრამ ვერას გახდნენ: ქოთანი გოგონას თავზე შეზრდოდა.

რა გაეწყობოდა, ხელი ჩაიქნიეს და ჩამოეხსნენ. მმართველი გაოცდა:

_ სადაური ხარ, ასე ვინ დაგამახინჯაო? _ ჰკითხა ხატიკაცუგის.

სიმართლე რომ ვუთხრა, მამას შევარცხვენო, _ გაიფიქრა ხატიკაცუგიმ და მმართველს უპასუხა:

_ ერთ ღარიბ ოჯახში დავიბადე. დედა მომიკვდა. მე სულ ვტიროდი. ერთხელ უცებ ციდან ქოთანი ჩამოვარდა, პირდაპირ თავზე დამეცა და მას შემდეგ ასე დავრჩიო.

_ რამდენი საოცრება ხდება ამქვეყანაზე! _ გაოცდა მმართველი. _ ახლა სად მიდიხარო?

_ არსად, _ უპასუხა გოგონამ. _ დედაჩემის სიკვდილის შემდეგ აღარავინ დამრჩა ახლობელი. ვის რად ვუნდივარ ასეთი მახინჯი! ყველა მდევნის, ყველა გამირბისო.

მმართველს შეეცოდა გოგონა და უთხრა:

_ მართლაც ძალიან ცუდ დღეში ყოფილხარ. ჩემთან წამოდიო.

ხატიკაცუგი მმართველის სახლში მიიყვანეს. მსახურთუფროსმა ჰკითხა:

_ რის გაკეთება შეგიძლიაო?

ხატიკაცუგის ბავშვობაში დედა კითხვას, ლექსების შეთხზვას, კოტოს[1] და ბივას[2] დაკვრას ასწავლიდა, მაგრამ, აბა, ეს რაში გამოადგებოდა მსახურ გოგონას! შეწუხდა ხატიკაცუგი.

_ არა, არაფერი შემიძლიაო.

_ მაშინ საბანაო წყალს გააცხელებო, _ უთხრა მსახურთ უფროსმა.

ასე გახდა ხატიკაცუგი ცეცხლფარეში. უთენია დგებოდა და მანამდე მუშაობდა, სანამ ყველანი არ დაწვებოდნენ დასაძინებლად. ხან წყალს ეზიდებოდა, ხან ცეცხლს ანთებდა ქვაბისათვის. ყოველთვის გამურული და ჭვარტლიანი დადიოდა. დილდილაობით უყვიროდნენ:

_ აბა, გეყოფა ძილი, ადექი! სასწრაფოდ წყალი გააცხელეო!

საღამოთი ლანძღავდნენ:

_ რას ამთქნარებ? ბატონი უკვე მობრძანდაო!

ასე ატარებდა დღეებს კვამლში, ქვაბის გვერდით. თავისუფალ დროს რომ მოიხელთებდა, სადმე ბნელ კუთხეში მიჯდებოდა, რომ არავის დაენახა, და მწარედ ქვითინებდა.

მმართველს ოთხი ვაჟიშვილი ჰყავდა. სამი უფროსი უკვე დაქორწინებული იყო. სამივემ ლამაზი ცოლი მოიყვანა. ყველაზე უმცროსს, საისიოს, ჯერ საპატარძლოც კი არ ჰყავდა შერჩეული.

კეთილი გული ჰქონდა საისიოს. ხედავდა, რომ ხატიკაცუგი დილიდან საღამომდე შრომობდა, ყველაზე შავ სამუშაოს ასრულებდა და მისი ცოდვით

გული ეკუმშებოდა. სხვები მხოლოდ ლანძღავდნენ ხატიკაცუგის, ის კი ყოველთვის ალერსიანად ესაუბრებოდა. სხვა მოახლეებს შეშურდათ:

_ ნეტავ ახალგაზრდა ბატონს ასეთი მახინჯი რამ შეაყვარაო.

ადგნენ და თავიანთ ბატონებს ჭორები მიუტანეს. იმათაც შეიძულეს ხატიკაცუგი. გადაწყვიტეს, როგორმე სახლიდან გაეგდოთ. ეს ამბავი საისიომ გაიგო და დაღონდა. მერე მშობლებთან მივიდა და უთხრა:

_ როგორ არ გეცოდებათ საწყალი გოგონა! მერე რა მოხდა, რომ ულამაზოა, მე მაინც მიყვარს. ნება მომეცით, ცოლად შევირთოო.

გაბრაზდა მმართველი, შვილი გალანძღა და აუკრძალა ხატიკაცუგისთან ლაპარაკი. მაგრამ საისიომ გადაწყვიტა გაჭირვებაში არ მიეტოვებინა საწყალი გოგონა. მთელი ღამეები არ ეძინა, ფიქრობდა, როგორ ვუშველოო.

საისიოს დედამ შეამჩნია შვილის წუხილი და შეშფოთდა. მაშინვე ძიძას დაუძახა.

_ იქნებ ისეთი რამ მოვიგონოთ, რომ ხატიკაცუგი თვითონ წავიდესო?

მოხუცი ძიძა ძალიან ეშმაკი ქალი იყო. ყველაფერს მიხვდა და ქალბატონს ურჩია:

_ გამოაცხადეთ, რომ გადაწყვეტილი გაქვთ, ხატიკაცუგი საისიოს შერთოთ ცოლად. დანიშნეთ საპატარძლოს ნახვის დღე და რძლები დაპატიჟეთ. ხატიკაცუგი თავის თავს მათ შეადარებს სილამაზეში, განათლებასა და განსწავლულობაში. როგორი უსირცხვილოც არ უნდა იყოს, ასეთ შერცხვენას ვერ აიტანს, უსათუოდ გაიქცევა სახლიდან და ახალგაზრდა ბატონი საისიოც ხელს ჩაიქნევსო.

ქალბატონს გაუხარდა, რომ ასე იოლად დააღწევდა თავს ხატიკაცუგის, და გამოაცხადა, საპატარძლოს ნახვის დღე ინიშნებაო.

ეს ამბავი საისიომ რომ გაიგო, ყველაფერს მიხვდა და ძალიან დასწყდა გული. მაშინვე ხატიკაცუგისთან მივიდა და უთხრა:

_ შენ ჩვენს სახლში ყველას სძულხარ, ახლა უნდათ, მთლად აბუჩად აგიგდონ. რას იზამო?

გოგონა ატირდა.

_ ამას იმიტომ აკეთებენ, რომ სახლიდან გამაგდონ. მირჩევნია, მე თვითონ წავიდეო.

საისიოს შეეშინდა:

_ რას ამბობ! მარტოკა სად წახვალ? მაშინ ყველანი მასხრად აგიგდებენ! მე კი ამას ვერ ავიტან. არა, სადაც უნდა წახვიდე, მაინც არ მიგატოვებო.

და ორივენი საგზაო სამზადისს შეუდგნენ. ღამე ყველაფერი მზად იყო და საისიო და ხატიკაცუგი ჩუმად გაიპარნენ სახლიდან.

როგორც კი ეზოდან გავიდნენ, სპილენძის დიდ სარკესავით გაბრწყინებული მთვარე გამოჩნდა.

ხატიკაცუგიმ მთვარეს შეხედა. მთვარე სწორედ იმ მხარეს ანათებდა, სადაც ხასეს ტაძარი იდგა. გოგონამ ხელები აღაპყრო და ჩურჩულით თქვა:

_ მოწყალების ქალღმერთო, ნუ მიმატოვებო!

უცებ გოგონას თავიდან ქოთანი ჩამოვარდა და მიწაზე ოქროს ფულები და ძვირფასი ქვები დაცვივდა.

საისიომ ხატიკაცუგის შეხედა და გაოცდა: მის წინაშე იდგა ულამაზესი ქალიშვილი, რომლის მსგავსიც არსად ენახა.

საისიო ქოთნის ასაღებად დაიხარა. შიგ ძვირფასეულობით სავსე ორი ყუთი დაინახა. ერთში ვერცხლის და ოქროს სამკაულები ეწყო, მეორეში ძვირფასი სამოსი.

გაიხარა ქალ-ვაჟმა. სახლიდან გაქცევას ახლა უკვე აზრი აღარ ჰქონდა. საისიო და ხატიკაცუგი უკან დაბრუნდნენ და გათენებას დაელოდნენ.

სახლში კი მხოლოდ საპატარძლოს ნახვაზე ჰქონდათ ლაპარაკი. ყველა ფიქრობდა და მარჩიელობდა, ხატიკაცუგის ეყოფოდა თუ არა გამბედაობა, თვალი გაესწორებინა უფროსი რძლებისათვის.

და აი, დადგა ნახვის დღეც.

უფროსმა ვაჟებმა საზეიმოდ მორთულ დარბაზში თავიანთი ცოლები გამოიყვანეს და საპატიო ადგილებზე დასხეს. სულ უფროსი ვაჟის ცოლი ოცდასამი წლისა იყო. მეორე ძმისა _ ოცი წლის, უმცროსი ძმის ცოლს კი ის-ის იყო თვრამეტი წელი უსრულდებოდა. ყველანი ისე იყვნენ მორთულ-მოკაზ-მულები, რომ ცქერით ვერ გაძღებოდით. სამივენი ლამაზები იყვნენ, ერთმანეთს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ.

დაბლა, მათგან ცოტა მოშორებით, ცარიელ ფიცრებზე, დაძონძილი ჩალის საფენი დააფინეს. ზედ ხატიკაცუგი უნდა დაესვათ.

ყველანი შეგროვდნენ და ელოდებოდნენ, როდის გამოჩნდებოდა ხატიკაცუგი. ის კი არ ჩანდა.

სახლიდან თავის ნებით რატომ არ წავიდაო, _ სინანულით ფიქრობდა მმართველი.

მაგრამ, აი, როგორც იქნა, გამოჩნდა საისიო. ვაჟს ხელჩაკიდებული მოჰყავდა ხატიკაცუგი.

ყველა გაოცდა, როცა გამურული და საცოდავი მსახურის ნაცვლად დაინახეს თვრამეტი წლის ძვირფასად ჩაცმული მზეთუნახავი. ეს გოგონა ციდან ხომ არ ჩამოფრინდაო, _ გაიფიქრა ხალხმა. ხატიკაცუგის ისეთი ხასხასა და ბრწყინვალე ტანსაცმელი ეცვა, მის გამოჩენაზე სახლიც უცებ განათდა. ყველანი გაშეშდნენ გაოცებისაგან, ენა ჩაუვარდათ.

ხატიკაცუგი თავის ბრწყინვალე სამოსით მისთვის გამოყოფილ ადგილთან მივიდა. მაგრამ, როგორც კი დააპირა დაძონძილ საფენზე დაჯდომა, მმართველი მივარდა, ხელი მკლავში წაავლო და შეაჩერა:

_ ასეთი ლამაზი ქალიშვილის აქ დატოვება როგორ შეიძლებაო!

გოგონა კამიძაზე[1] აიყვანა და გვერდით მოისვა.

ხატიკაცუგიმ ამოიღო ოქროს სამკაულები და ძვირფასი ნივთები და საისიოს მშობლებს მიართვა. არც ერთ უფროს რძალს არ ჰქონდა ასეთი ძვირფასეულობა და ლამაზი საჩუქრები. თვით ხატიკაცუგიც ყველაზე ლამაზი იყო იქ მყოფთა შორის.

საისიოს დედა და მამა გახარებულები იყვნენ, რომ ასეთი ლამაზი რძალი ჰყავდათ. უფროსი ძმების ცოლებმა კი შურისაგან მოსვენება დაკარგეს. ფიქრობდნენ, როგორ გაეჯავრებინათ ხატიკაცუგი. ბევრი იფიქრეს და ბოლოს გადაწყვიტეს, შეჯიბრი მოეწყოთ მუსიკალური ინსტრუმენტების დაკვრაში. ადგა უფროსი და დაიწყო ბივას დაკვრა, საშუალომ _ ფლეიტისა, უმცროსმა _ დაფდაფისა, ხატიკაცუგის კი კოტო მისცეს. გოგონა ჯერ უარს ამბობდა, შემდეგ გაახსენდა, რომ დედამ ასწავლა დაკვრა, და ნელა შეეხო სიმებს. გაისმა საოცარი ხმები. მასზე უკეთ ვერავინ დაუკრა.

რძლებმა დაინახეს, რომ ვერც ამით შეარცხვინეს ხატიკაცუგი. აბა, თუ ასეაო, ახლა ქაღალდი და საწერ-კალამი მოიმარჯვეს:

_ მოდით, ლექსი შევთხზათ! ვინც ერთ ტანკაში[1] ხოტბას შეასხამს ყვავილს, გაზაფხულს, ზაფხულს და შემოდგომას, ჩვენს შორის გამარჯვებული ის იქნებაო.

ხატიკაცუგიმ უარი თქვა, უცოდინარი გოგო ვარ და ლექსს როგორ შევთხზავო, მაგრამ ყური არავინ უგდო. სხვა რა გზა ჰქონდა, აიღო ფუნჯი და ლამაზი ხელით დაწერა ლექსი:

გაზაფხულზე ალუბალი ყვავის,
ზაფხულს მოაქვს ნარინჯების ღიმი,
შემოდგომა ქრიზანთემის დროა,
რომელ მათგანს დაეცემა, ნეტავ,
თვალციმციმა მარგალიტი ცვრისა!

უფროსმა რძლებმა ლექსი წაიკითხეს და გაჩუმდნენ: მიხვდნენ, რომ ამაზე უკეთესს ვერ დაწერდნენ, და თავი დახარეს ხატიკაცუგის წინაშე.

მმართველმა უმცროს ვაჟიშვილს ლამაზი სასახლე აუშენა, ნოყიერი მიწები აჩუქა. ხატიკაცუგი და საისიო ბედნიერად ცხოვრობდნენ.

გავიდა რამდენიმე წელიწადი. ახალგაზდებს შვილები ეყოლათ. ხატიკაცუგის მამა გაახსენდა და გაიფიქრა: ნეტავ ერთი შეახედა, როგორი შვილიშვილები ეზრდებაო!

ერთხელ ხატიკაცუგი და მისი ქმარი ხასეს ტაძარში წავიდნენ მოწყალების ქალღმერთისათვის მადლობის გადასახდელად. უცებ ხატიკაცუგიმ დაინახა, რომ ტაძრის კუთხეში ვიღაც ჭუჭყიანი, ჩამოძონძილ-ჩამოკონკილი მოხუცი ბერი ლოცულობდა. ხატიკაცუგი მოხუცს დააკვირდა და მამა იცნო.

მოხუცი ცრემლმორეული მივარდა თავის შვილს, გადაეხვია და უამბო:

_ რაც სახლიდან გამოგაგდე, იმ დღიდან ბედმა ზურგი შემაქცია. მთელი სიმდიდრე გამინიავდა, მსახურებმაც მიმატოვეს ჩემი ბოროტი ცოლის გამო. მაშინ შენ გამახსენდი და მომინდა, ერთხელ მაინც შემეხედა შენთვის. ჩავიცვი ბერის სამოსი, შენს საძებნელად გამოვწიე. დიდხანს ვიარე, მთელი იაპონია შემოვიარე და ბედმა მხოლოდ დღეს გამიღიმაო.

ხატიკაცუგიმ მამა შინ წაიყვანა და ისიც მშვიდად და ბედნიერად ცხოვრობდა თავის ქალიშვილთან და შვილიშვილებთან ერთად.

<u>მ ე ლ ა ს მ ა დ ლ ო ბ ა</u>

ერთ სოფელში ღარიბი ბერიკაცი ცხოვრობდა. ერთხელ ქალაქში წასვლა დასჭირდა. სოფელს რომ გასცდა, დაინახა, ბავშვებს მელა დაეჭირათ, თათები შეეკრათ და მიწაზე დაათრევდნენ. შეეცოდა ბერიკაცს საბრალო ნადირი:

_ ჰეი, ყმაწვილებო, მომყიდეთ მელა! ას მონს[1] მოგცემთო.

ბავშვები სიხარულით დათანხმდნენ.

ბერიკაცმა მელა მხარზე მოიგდო, ფიჭვნარში შეიყვანა და უთხრა:

_ მელაკუდავ, იცოდე, დღისით-მზისით მთიდან აღარ ჩამოხვიდე. სოფელს არ გაეკარო, თორემ კიდევ დაგიჭერენ და შავი დღე დაგადგება. ახლა კი შინ გაიქეციო.

ბერიკაცმა მელაკუდა გაუშვა. მელაკუდას მადლობის ნიშნად ცრემლი ღვარად ჩამოსდიოდა. ასე ტირილ-ტირილით დაბურული ტყისაკენ მოკურცხლა, მაგრამ ვიდრე თვალს არ მიეფარა, სულ უკან იყურებოდა, ბერიკაცს უყურებდა.

ამ ბერიკაცს ხანდახან დალევა უყვარდა. ამჯერადაც ქალაქში საკე[2] დალია და უკან დაბრუნებულმა ფიჭვნარი ბარბაცით გამოიარა.

უცებ გზის პირას სწორედ ის მელაკუდა გამოვარდა, მოხუცს თავაზიანად მიესალმა და უთხრა:

_ ბაბუა! ბაბუა! შენ რომ იმ დღეს სიკვდილს გადამარჩინე, მადლობა მინდა გადაგიხადო, მაგრამ რა ვქნა, რომ არაფერი მაბადია. მე ხომ მხოლოდ მელა ვარ. აი, რას გეტყვი, სოფელში ტაძრის წინამძღვარს ამ დღეებში ქვაბი გაუტყდა, მისოს ვერაფერში მოხარშავს. მე ქვაბად გადავიქცევი, წამიღე წინამძღვართან და მიმყიდე. ცოტაოდენ ფულს იშოვიო.

მელამ რკალივით შემოივლო გარშემო კუდი, სამჯერ შემოტრიალდა და უცებ გაქრა. მის მაგიერ გზასთან ქვაბი იდო.

ბერიკაცმა გაიფიქრა: რახან მელაკუდა ქვაბად იქცა და ჩემი პატივისცემა უნდა, მისი გზაზე მიტოვება არ შეიძლებაო.

აიღო ქვაბი და ტაძარში წავიდა. ტაძრიდან წინამძღვარი გამოეგება.

_ ქვაბი ხომ არ გჭირდებაო? _ ჰკითხა ბერიკაცმა.

წინამძღვარს მართლაც სჭირდებოდა ქვაბი, სწრაფად ჩაუთვალა ფული და ქვაბი გამოართვა. გაუხარდა ბერიკაცს, ფული ისე წამოიღო, არც დაუთვლია, და სწრაფად გასწია შინისაკენ.

წინამძღვარი გახარებული დარჩა, რომ ასე იაფად იყიდა მოზრდილი ქვაბი, და გადაწყვიტა, მთელი წლის სამყოფი მისო მოეხარშა. ხალხს თავი მოუყარა. მსახურებს უბრძანა, ქვაბი წყლით გაავსეთ, შიგ ცერცვი ჩაყარეთ და ცეცხლზე შემოდგითო.

როგორც კი ცეცხლი აბრიალდა, ქვაბმა მაშინვე დაიწრიპინა:

_ ვაი, ვაი, მსახურებო, ვიწვი, ვიწვიო!

და მოკურცხლა ცერცვიანად.

_ დაიჭით! დაიჭითო! _ აყვირდნენ ყველანი და გამოუდგნენ ქვაბს, მაგრამ რას დაეწეოდნენ!

მეორე დღეს ბერიკაცი მთაში წავიდა ფიჩხის ჩამოსატანად. უცებ, საიდანღაც მელა გამოცუნცულდა.

_ რაო, ბაბუა, ფიჩხს აგროვებო?

ბერიკაცს გაუხარდა:

_ შენ გუშინდელი მელა არა ხარ? ცუდი დღე კი დაგადგა, ქვაბად რომ იქეცი. ვიფიქრე, რა ეშველება-მეთქი! მაგრამ, საბედნიეროდ, ვხედავ, კარგადა ხარო.

_ მსახურებმა ცერცვი ჩამაყარეს, მისო უნდა მოეხარშათ, _ უპასუხა მელამ, _ მე კი გამოვიქეცი, ცერცვიც წამოგიღე საჩუქრად, მერე კი მთაში დავიმალე. მაგრამ შენი სიკეთისათვის ჯერ კიდევ მთლიანად არ გადამიხდია მადლობა. ახლა ცხენად ვიქცევი, შენ კი ვინმე მდიდარ კაცთან მიმიყვანეო.

თქვა ეს, კუდი რკალივით შემოივლო, სამჯერ შემოტრიალდა და შესანიშნავ შავრა ცხენად იქცა.

_ რას ამბობ, რას ამბობ! _ გაასავსავა ხელები ბერიკაცმა. _ არა ღირს ამდენ შეწუხებად! მაგრამ რახან უკვე იქეცი ცხენად, მეტი რა გზა მაქვსო.

მოხუცმა ცხენს სადავეში ჩასჭიდა ხელი და ქალაქში მდიდარ ვაჭართან წაიყვანა. ვაჭარს ცხენი მოეწონა.

_ დიდებულიაო, _ თქვა და მოხუცს ფული ჩაუთვალა. ბერიკაცს ამდენი ფული არასოდეს ენახა. სიხარულისაგან აღარ იცოდა, რა ექნა.

ვაჭარი კი ფიქრობდა: რა იაფად ვიყიდე! რა ლამაზი, კარგად გახედნილი ცხენია. ქალაქში ასეთი ცხენი გაცილებით უფრო ძვირი ღირსო.

საღამოთი ცხენს მოსართავები რომ ახსნეს, მაშინვე მთისკენ მოკურცხლა.

ბერიკაცი მეორე დღეს კიდევ წავიდა ფიჩხზე. ხედავს, ისევ ეძახის მელა:

_ ბაბუა! ბაბუა! წუხელ საჯინიბოდან გამოვიქეცი. იცი რა, ერთ მოხუცს ცოლი მოუკვდა. ახლა ახალგაზრდა და ლამაზი ცოლის შერთვა უნდა. მოდი, მე წამიყვანეო.

თქვა მელაკუდამ და ახალგაზრდა ლამაზ ქალად იქცა.

ბერიკაცმა წაიყვანა და იმ მდიდართან მიიყვანა. როგორც კი ქვრივმა ლამაზი ქალი დაინახა, თავბრუ დაესხა, ბერიკაცს ბლომა ფული აჩუქა და მეორე დღისათვის დანიშნა ქორწილი. მაგრამ მელაკუდა ღამით გაექცა და მთაში დაბრუნდა.

მას შემდეგ ბერიკაცი გამდიდრდა. ის და მელა განუყრელი მეგობრები გახდნენ. მელა სიკვდილამდე მის სახლში ცხოვრობდა და დიდ პატივისცემაში იყო.

<u>მეფლეიტე ტოხეი</u>

ოდესღაც ცხოვრობდა ერთი მეფლეიტე, სახელად ტოხეი. ამქვეყნად ყველაზე ძალიან თავისი ფლეიტის დაკვრა უყვარდა. ასე უკრავდა და უდარდელად ცხოვრობდა მანამდე, ვიდრე მთელი თავისი ქონება არ შემოეხარჯა. მეგობრებმა მაშინვე მიატოვეს, მხოლოდ თავისი ფლეიტაღა შემორჩა. მის ფლეიტას მთელი იაპონია იცნობდა. მთელ იაპონიაში მხოლოდ სამი ფლეიტა იყო. ტოხეიმ ამ ფლეიტით მთელი ქვეყანა შემოიარა, იყო ჩინეთშიც, ინდოეთშიც. ყველგან სიხარულით ხვდებოდნენ, უსმენდნენ და აქებდნენ მის ხელოვნებას.

ასე ხეტიალობდა რამდენიმე წელიწადს, სანამ თავისი მოხუცი მშობლები არ მოენატრა.

ნეტავ როგორ ცხოვრობენ, რა დაემართათო, _ ფიქრობდა ტოხეი.

ბოლოს დარდმა სძლია და ტოხეი სამშობლოში დაბრუნდა. მშობლიური სახლი ისე დაძველებულიყო, ძლივსღა იცნო. შინ არავინ დაუხვდა. ვაჟმა მშობლების ამბავი მეზობლებს გამოჰკითხა.

_ რამდენიმე წელია, რაც შენი მშობლები გარდაიცვალნენ, _ უთხრეს მეზობლებმა. _ დედა სიკვდილის წინ გიგონებდა, მამამაც გახსენაო.

ტოხეის დაწვრილებით უამბეს, რა თქვეს სიკვდილის სარეცელზე მისმა მშობლებმა.

ღრმად დამწუხრებულმა ტოხეიმ მშობლების საფლავის სანახავად გასწია. საფლავზე ქვის დამდებიც კი არავინ ყოფილა. მან იქ მხოლოდ ძველი დამტვრეული ვედრო ნახა. ტოხეი მთელი დღე ლოცულობდა მშობლების საფლავზე. შემდეგ შინ დაბრუნდა და ცხოვრობდა მარტოდმარტო, სულ თავის საცოდავ მშობლებზე ფიქრობდა და წუხდა.

და აი, ერთხელ საიდანღაც უცნობი მზეთუნახავი გაბედულად მივიდა ტოხეის სახლთან და იკითხა:

_ აქ ტოხეი ხომ არ ცხოვრობსო?

_ ტოხეი ცხოვრობსო, _ უპასუხა ტოხეიმ.

_ მე შენმა მშობლებმა გამომგზავნეს, შენი ერთგული ცოლი უნდა ვიყო, ნება მომეცი, ერთად ვიცხოვროთო.

გაოცდა ტოხეი.

_ არ ვიცი, ვინა ხარ და საიდან მოხვედი, მაგრამ ალბათ ხედავ, როგორი ღარიბი ვარ, ვერ შეგინახავ. არა, მე ცოლად ვერ გითხოვო!

_ თუ გამაგდებ, შერცხვენილ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნიაო, _ უპასუხა ქალმა. _ მე ხომ შინ დაბრუნება არ შემიძლიაო!

შეშფოთდა ტოხეი, მაგრამ რას იზამდა? ძალაუნებურად დათანხმდა.

მზეთუნახავი შინ შევიდა, ნახა, რომ სახლი დიდი ხნის დაულაგებელი იყო, და დალაგებას შეუდგა. მალე მთელ სახლს კრიალი დააწყებინა.

ახალგაზრდა ცოლმა მეორე დღეს უბიდან ტომსიკა ამოიღო, რამდენიმე ხურდა ფული ამოყარა და ქმარს უთხრა:

_ ამ ფულით ძაფი იყიდე და, თუ გადაგრჩა რაიმე, ბრინჯიც მოაყოლეო.

ტოხეიმ ქალაქისაკენ გასწია და ძაფი იყიდა. მზეთუნახავმა დაიწყო ქსოვა. არაჩვეულებრივი სილამაზის სურათი ამოქარგა და ქმარს უთხრა:

_ წაიღე ჩემი ნამუშევარი ქალაქში და სამას რიოდ გაყიდე. ეს არის მანდარა[1], ზედ ქალღმერთი კანონია გამოხატული ოცდაცამეტი სხვადასხვა სახით.

ტოხეი ქალაქში წავიდა და დაიწყო ძახილი:

_ შეხედეთ, შეხედეთ, აი მანდარა, ზედ ქალღმერთ კანონის ოცდაცამეტი სახეა გამოხატულიო.

მისცვივდნენ ქალაქელები და სთხოვეს:

_ აბა, გვაჩვენეო!

ნახეს და თქვეს:

_ ჰოო, ეს ნამდვილი საოცრებაა! არაჩვეულებრივი სილამაზის სურათია! რას აფასებო?

_ სამას რიოსო, _ უპასუხა ტოხეიმ.

ერთმა მდიდარმა ვაჭარმა ჯიბიდან ფული ამოიღო და ჰკითხა:

_ ვინა ხარ, ასეთი ძვირფასი სურათი სად იშოვეო?

_ მე ერთი საწყალი მეფლეიტე ტოხეი ვარ, სურათი კი ჩემმა ცოლმა მოქსოვაო.

მთელ ქალაქს მოედო გაუგონარი საოცრების ამბავი. ხალხი დაუსრულებელ ტალღად მოდიოდა, რომ დამტკბარიყო ამ შესანიშნავი მანდარის ცქერით. და ვაჭრის საქმეებიც კარგად წავიდა.

ამ ამბავმა თვით მთავრის ყურამდე მიაღწია. მთავარმა მოიხმო დიდებულები და უთხრა:

_ საიდან ჰყავს ღარიბ მეფლეიტეს ასეთი ხელოვანი ცოლი? ის არ არის ასეთი ცოლის ღირსი! ქალი ჩემს სასახლეში უნდა მოიყვანოთ. მოიფიქრეთ ისეთი რამ, რასაც ტოხეი ვერ შეასრულებს, და ამ მიზეზით ცოლი წავართვათო.

უფროსმა ვასალმა თქვა:

_ ეს უბრალო საქმეა, ტოხეის უბრძანეთ, ფერფლისაგან ათასი გორგალი თოკი დაგრიხოს, და თუ ვერ შეასრულებს, ცოლი მოგვცესო.

_ კარგად მოგიფიქრებიაო! _ შეაქო მთავარმა და ტოხეის მოყვანა ბრძანა.

ტოხეი შეშფოთდა: ნეტავ რისთვის ვჭირდებიო! მაგრამ რაკი სხვა გზა არ ჰქონდა, სასახლისაკენ გასწია.

_ ეს სურათი შენმა ცოლმა ამოქარგა? _ ჰკითხა მთავარმა. _ დიდებული ხელოვანი ყოფილა! აბა, ერთი შენც გვიჩვენე, რა შეგიძლია: ფერფლისაგან ათასი გორგალი თოკი დაგრიხე. თოკი ხვალვე უნდა იყოს მზად! თუ ვერ შეასრულებ ბრძანებას, შენ იმ ცოლის ღირსი არ ყოფილხარ და ჩემთან წამოვიყვანო!

_ ბატონი ბრძანდებითო, _ თქვა ტოხეიმ და შინისაკენ გასწია.

რა ვქნა? როგორ მოვიქცეო, _ ფიქრობდა გზადაგზა.

შინ კი ცოლი მოუთმენლად ელოდა.

_ მთავარმა რატომ დაგიბარაო?

ტოხეიმ ყველაფერი უამბო.

ცოლმა უთხრა:

_ ეს უბრალო საქმეა. წადი და ათასი გორგალი თოკი იყიდეო.

ტოხეიმ ცოლს დაუჯერა, თოკი იყიდა და მოუტანა. ცოლმა თოკები ყუთში ჩააწყო, ზედ სქლად დააყარა მარილი და დაწვა. თოკები დაიწვა, მარილი კი ზემოდან დარჩა მაგარი ქერქივით, ერთი სიტყვით, ფერფლის თოკები მზად იყო.

დილით ადრე ტოხეიმ სასახლეში წაიღო ფერფლისაგან დაგრეხილი თოკები. გაოცდა მთავარი, მაგრამ რა უნდა ექნა, მეფლეიტე შინ გაუშვა. გავიდა ცოტა ხანი და ტოხეი ხელახლა იხმეს სასახლეში.

შეშფოთდა ტოხეი, ნეტავ ახლა რაღა უნდათო, _ და წავიდა.

მთავარს კი ახალი, პირველზე ეშმაკური ოინი მოეგონებინა.

_ ისეთი დოლი მომიტანე, რომ თავისით გუგუნებდესო!

დაღონებული ტოხეი შინ დაბრუნდა.

ცოლი მოუთმენლად ელოდა.

_ მთავართან რატომ დაგიძახესო?

_ მთავარმა ბრძანა, ისეთი დოლი მომიტანე, თავისით გუგუნებდესო. ახლა ასეთი დოლი სად ვიშოვოო?

_ სულ ეს იყო, მეტი არაფერი? _ ჰკითხა ცოლმა. _ ეგ ხომ ადვილი საქმეა. გასწი ქალაქში და ძველი დოლი იყიდე. ხვალ დილით კი უთენია მთაში წადი, ონავრების ბუდე მოძებნე და მომიტანეო.

ტოხეიმ დაუჯერა ცოლს. ცოლმა კი აიღო ონავრების ბუდე, დოლში ჩადო, ჭუჭრუტანაზე ქაღალდი დააწება და ქმარს უთხრა, დოლი მთავრის სასახლეში წაიღეო.

ტოხეიმ დოლი სასახლეში მიიტანა, მთავრის წინ დადო და უთხრა:

_ მოვიტანე დოლი, სულ თავისით გუგუნებსო.

მთავარმა და მსახურებმა მოუსმინეს და გაოცდნენ. დოლი მართლაც გუგუნებდა. ალბათ ძალიან ეშმაკურად არის მოწყობილიო. შიგ ჩახედვა მოინდომეს, სურდათ გაეგოთ, რა იყო დოლში დამალული. გახსნეს დოლი, იქიდან კი ონავრების გუნდი ამოვარდა, დაესივნენ მთავარსა და მსახურებს და კბენა დაუწყეს! შეშინებული მთავარი და მსახურები აქეთ-იქით გაიფანტნენ, მაგრამ ონავრებს სად დაემალებოდნენ! მთელ სასახლეს მოედვნენ, იკბინებოდნენ და გუგუნებდნენ, თითქოს ასი დოლი გრუხუნებსო.

ტოხეი ამასობაში მშვიდობიანად გაიპარა სასახლიდან.

გავიდა ცოტა ხანი და მთავარმა ისევ დაიბარა ტოხეი. დაღონდა ტოხეი და ცოლს უთხრა:

_ ჩემო კარგო, ორჯერ გადამარჩინე, მესამედ კი უკვე ვეღარ გავექცევი უბედურებას. მთავარი ისეთ რამეს მოიგონებს, რომ ვერ შევასრულებ და ძალით წაგიყვანს. ალბათ უკვე დადგა ჩვენი განშორების ჟამი. რას ვიზამ. სასახლეში მაინც უნდა წავიდეო...

დაღონებული ტოხეი სასახლისკენ გაეშურა. მთავარს უკვე მოეფიქრებინა ახალი დავალება:

_ ორჯერ უკვე შეასრულე ჩემი ბრძანება, გეტყობა, ყველაფერი გეხერხება. ახლა კი ცხრა ჭექა-ქუხილის ამტეხი[1] მომიყვანე. თუ ვერ მომიყვან, ცოლს წაგართმევო!

შეეშინდა ტოხეის, მაგრამ რა უნდა ექნა! მესმისო, _ უპასუხა მთავარს და შინისკენ გასწია. ცოლი მოუთმენლად ელოდა.

_ მთავარმა რა დაგავალაო?

_ მიბრძანა, ციდან ცხრა ჭექა-ქუხილის ამტეხი ჩამომიყვანეო. ახლა კი ნამდვილად დავიღუპეო!

_ ამას ვერც მე შევასრულებ ასე სწრაფად, _ უთხრა ცოლმა, _ მიდი მთავართან და ერთი კვირის ვადა სთხოვეო.

ტოხეი მთავართან წავიდა და ვადის გაგრძელება სთხოვა... დაფიქრდა მთავარი და დაეთანხმა. ტოხეი შინ დაბრუნდა. ცოლი მოუთმენლად ელოდა:

_ დაგთანხმდაო?

_ დამთანხმდაო.

_ მაშ, ნუ გეშინია, ცაში ასვლას მოვასწრებო.

ეს რომ თქვა, შედგა ფარდულის ქვეშ დაგდებულ ქვაზე, რომელზედაც წვიმის წყალი დიოდა ხოლმე, ცას ახედა და ლილისფერი მარაო დაიქნია. უცებ ციდან ნელა დაეშვა ლილისფერი ღრუბელი და ტოხეის ცოლი ჩიტზე უფრო მსუბუქად გაფრინდა ამ ღრუბლით. ტოხეის გაოცებისაგან ენა ჩაუვარდა.

გავიდა რამდენიმე დღე და ტოხეის ცოლიც დაბრუნდა, თან დიდ შავ ღრუბელზე შემომჯდარი ცხრა ჭექა-ქუხილის ამტეხი მოიყვანა. თითოეულს დიდი დოლი, ერთი ტომარა წვიმა, ერთი ტომარა ელვა და ცეცხლის გასაჩაღებელი კაჟი ჰქონდა. ჩამწკრივდნენ ჭექა-ქუხილის ამტეხნი და მორთეს ყვირილი:

_ მთავართან წაგვიყვანეო!

ტოხეიმ მთავართან წაიყვანა. სასახლეში მივიდა და მთავარს უთხრა:

_ შენი ბრძანებისამებრ, ცხრა ჭექა-ქუხილის ამტეხი მოგიყვანე, გარეთ იცდიანო.

_ ეგ შეუძლებელიაო! _ არ დაუჯერა მთავარმა.

უცებ კარს უკან ჭექა-ქუხილის ხმა გაისმა. რაღა გზა ჰქონდა მთავარს, უნდა დაეჯერებინა ტოხეისათვის. მაშინვე ბრძანა:

_ შემომიყვანეო!

მთავარი შემაღლებულ სავარძელზე დაჯდა, მარჯვნივ და მარცხნივ მსახურები ამოიყენა და ბრძანა, ჭექა-ქუხილის ამტეხებს ეცეკვათ.

_ ვიცეკვებთ, თუ გსურთო! _ დაიყვირეს ჭექა-ქუხილის ამტეხებმა და შემოჰკრეს თავიანთ უზარმაზარ დაფდაფებს და წვიმიან და ელვიან ტომრებს, თან კაჟით ცეცხლს კვესავდნენ. ტრიალებდნენ და დახტოდნენ. მთავრის სასახლეში ქარმა დაუბერა, მთავარი აიტაცა, დაატრიალა, ეკლიან ბუჩქნარში გადაისროლა და მსახურებიც თან მიაყოლა. ზოგი დასახიჩრდა, ზოგიც

მოკვდა. ბოლოს უცებ ცხრაჯერ გაიელვა და მთავრის სასახლე ცეცხლში გაეხვია.

ამის დანახვაზე მთავარმა ძლივსღა ამოიღო ხმა:

_ ტოხეი, ტოხეი, დამნაშავე ვარ შენ წინაშე! მაპატიე, ნუ მომკლავ! გააჩერე შენი ჭექა-ქუხილის ამტეხნი! სამაგიეროდ, მთელ სოფელს გაჩუქებო...

ტოხეი ცოლს მოეთათბირა და მთავარს უთხრა:

_ კარგი, აღარ მოგკლავ, მაგრამ, იცოდე, თუ კიდევ შემაწუხებ, ჭექა-ქუხილის ამტეხთ ისევ მოგიყვანო.

ტოხეიმ შეაჩერა ჭექა-ქუხილის ამტეხნი. ცოლმა კი თეთრ ღრუბელზე დასხა და ცაში გაგზავნა.

იმ დღიდან მთელ ქვეყანაზე გავარდა ხმა, ტოხეი ჭექა-ქუხილის ამტეხთ დაემოყვრაო. მთავარმა სასწრაფოდ გაუგზავნა ძვირფასი საჩუქრები და მას შემდეგ აღარ შეუწუხებია. ტოხეი თავის მარჯვე ცოლთან ერთად მშვიდად და უზრუნველად ცხოვრობდა, უკრავდა ფლეიტას და ახარებდა ხალხსაც და თავის თავსაც.

<u>გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ უ ლ ი კ ე ნ ძ ო</u>

დიდი ხნის წინათ ზღვის ნაპირზე ცხოვრობდა ღარიბი მეთევზე კენძო სინობუ.

ერთ ქარიან და სუსხიან დღეს კენძოს ქოხის კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. კენძომ კარი გამოაღო და ზღურბლთან ერთი დაჩაჩანაკებული ბერიკაცი დაინახა.

_ თუ შეიძლება, ღამე გამათევინეო, _ სთხოვა ბერიკაცმა. _ დიდი გზა გამოვიარე და არ დამისვენია, გთხოვ, შემიფარო და დამაპუროო.

კენძო შეშფოთდა:

_ პატივცემულო მასწავლებელო,[1] მე ძალიან ღარიბი კაცი ვარ და ერთი პატარა თევზის მეტს ვერაფერს შემოგთავაზებო.

ცეცხლზე შემოდგმულ ქვაბში მართლა ერთი პატარა თევზი იხარშებოდა.

_ იმ თევზს ხომ შენთვის ხარშავო, _ უთხრა მოხუცმა.

_ მე ახლახან ვივახშმე და სულაც არა მშიაო, _ არწმუნებდა მშიერი კენძო. _ უარს ნუ მეტყვი ამ მცირე მასპინძლობაზე და გთხოვ, ჩემზე ნუ იფიქრებო.

მწირმა ივახშმა. კენძომ მას თავისი ჭილოფი გაუშალა, თვითონ კი მიწის იატაკზე დაწვა.

შუაღამისას კენძო მწირის კვნესამ გამოაღვიძა.

_ რა მოგივიდათ, მასწავლებელო? _ შეშფოთდა კენძო.

_ მცივა, ძალიან მცივა! თუ ახლავე არ დაანთებ ცეცხლს, ნამდვილად მოვკვდებიო.

რა უნდა ვქნა ახლა? _ გაიფიქრა კენძომ. _ ერთი ღერი შეშაც არა მაქვსო.

კენძოს ბევრი აღარ უფიქრია, სტაცა ხელი ნაჯახს და სწრაფად გაეშურა ზღვის სანაპიროსაკენ, სადაც თავისი ძველი ნავი ეგულებოდა. მეთევზემ ნავი ნაფოტებად აქცია, შინ წამოიღო და დიდი ცეცხლი დაანთო.

ქოხში რომ დათბა, მწირი ჭილოფიდან ადგა და უთხრა:

_ მადლობას მოგახსენებ, უკვე კარგად ვარ. ახლა ის მითხარი, შენი სანუკვარი ოცნება რა არისო?

კენძო არც კი დაფიქრებულა, ისე უპასუხა:

_ მე მსურს ყველა იაპონელმა პატიოსანი გზით შეიძინოს სიმდიდრე, ყველა იაპონელი ბრძენი, ჯანმრთელი, გულადი, განათლებული და მხიარული იყოსო.

ბერიკაცმა უპასუხა:

_ ეგ ადამიანური სიკეთე ინახება ყუთში, ოქროს მთის მწვერვალზე. მას ლურჯი ურჩხული იცავს. ბევრმა გაბედულმა ვაჟკაცმა სცადა ოქროს მთაზე ასვლა, მაგრამ მიზანს ვერავინ მიაღწია. ყოველი ფეხის ნაბიჯზე სიკვდილი ელის იმას, ვინც ეცდება, ეს სიკეთე ხელში ჩაიგდოსო.

_ მე არაფრისა შემეშინდება! _ ხმამაღლა თქვა კენძომ. _ ოღონდ მითხარი, პატივცემულო მასწავლებელო, ეგ ოქროს მთა სად არისო.

მწირმა უპასუხა:

_ სამხრეთით უნდა წახვიდე, მაგრამ გახსოვდეს: ოქროს მთას მხოლოდ ის მიაღწევს, ვისაც საკუთარ თავზე მეტად უყვარს თავისი ხალხი და ვისაც სიკვდილისა არ შეეშინდებაო.

დილით მზე ამოვიდა თუ არა, კენძო გზას გაუდგა. ოც დღეს იარა სამხრეთით, როგორც მწირმა უთხრა, და ოცდამეერთე დღეს ერთი განიერი მდინარის ნაპირზე გავიდა.

კენძო დაფიქრდა, მდინარის მეორე ნაპირზე როგორ გადავიდეო. შორს ვიღაცის სახლი დაინახა და იქით გაეშურა.

_ ბატონო, მეორე ნაპირზე მინდა გადავიდე და ნავის შოვნა სად შეიძლებაო? _ ჰკითხა სახლის პატრონს.

_ რას ამბობთ, რას ამბობთო! _ გაასავსავა ხელები სახლის პატრონმა, _ ამქვეყანაზე ჯერ არ გაჩენილა ისეთი ადამიანი, რომ მეორე ნაპირზე შეეძლოს გასვლა. მდინარეში უამრავი საშინელი მორევია! ვინც მეორე ნაპირზე გასვლა დააპირა, ყველა დაიღუპაო!

_ მე კი უეჭველად უნდა გავიდეო! _ უთხრა კენძომ.

_ ეს მდინარე ჯერ არავის გადაუცურავსო! _ გაუმეორა სახლის პატრონმა.

_ ახლა რომ ერთი შულო აბრეშუმის ძაფი მქონდეს, მეორე ნაპირზე გავიდოდიო, _ თავისას გაიძახოდა კენძო.

_ მე მოგცემ ერთ შულო აბრეშუმის ძაფს, _ უთხრა სახლის პატრონმა. _ მაგრამ ვერ გამიგია, აბრეშუმის ძაფით მდინარე როგორ უნდა გაცურაო.

კენძომ აბრეშუმის ძაფი გამოართვა, უშველებელი ფრანი დაწნა და მასპინძელს უთხრა:

_ ძალიან გთხოვ, ამ ფრანს მიმაბი და ჰაერში ამიშვი. როგორც კი ქარი მეორე ნაპირზე გადამიტანს, თოკს გადავჭრი და მიწაზე დავეშვებიო.

სახლის პატრონი ცდილობდა, როგორმე გადაეთქმევინებინა:

_ მერე, რომ დაიმტვრე? გირჩევ, აქ დარჩე. ჩემს ერთადერთ ულამაზეს ქალიშვილს მოგათხოვებ და როცა მოვკვდები, ჩემი ტყეები და მიწები შენ დაგრჩებაო.

კენძომ უპასუხა:

_ იაპონური ანდაზა ამბობს: 'ვისაც სურს, ურჩხულს ჯადოსნური ქვა წაართვას, ურჩხულს უნდა შეებრძოლოსო». ვისაც ხალხის ბედნიერება სურს, სიკვდილს არ უნდა შეუშინდესო.

_ კარგი, ისე იყოს, როგორც შენა გსურსო, _ უთხრა სახლის პატრონმა, კენძო ფრანს მიაბა და მაღლა აუშვა. ქარმა სწრაფად აიტაცა ფრანი და ფართოდ გაშლილ, შფოთიან მდინარეზე გადააფრინა. მალე ქარი ჩადგა და კენძო ძირს დაეშვა. ფეხი მიწას რომ შეახო, მაშინვე სიხარულით წამოიძახა:

_ ახლა ჩქარა უნდა გავუდგე გზას, დროის დაკარგვა არ შეიძლებაო!

მაგრამ, რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, ბუჩქებიდან გამძვინვარებული ვეფხვი გამოვარდა, ზურგს უკან კი გველის საშინელი სისინი მოესმა. გადარჩენის იმედიც კი აღარ ჰქონდა: წინ ვეფხვი იყო, უკან _ გველი.

უცებ საშინელი ხმა გაისმა და ციდან ქვასავით დაეშვა უშველებელი არწივი. არწივმა კენძო კლანჭებში მოიქცია და, სანამ ვეფხვი და გველი გონს მოვიდოდნენ, ჰაერში აიტაცა.

არწივი სულ მაღლა-მაღლა მიფრინავდა. კენძო უკვე ვეღარ ხედავდა დედამიწას და მაშინვე მიხვდა, რომ ფრინველთ მეფეს თავის ბუდეში მიჰყავდა.

როცა არწივი დაბლა დაეშვა, კენძომ აბობოქრებული ოკეანე და მაღალი კლდეები დაინახა. ფრთის რამდენიმე მოქნევა და, არწივი თავის ბუდესთან დაფრინდებოდა, მაგრამ უცებ დაინახა, რომ ბუდეში მაიმუნი იჯდა და მართვეს შესანსვლას აპირებდა. არწივმა შემზარავად დაიყივლა, კენძოს კლანჭები გაუშვა და მაიმუნს დააცხრა.

კენძო წყალში ჩავარდა. უზარმაზარმა ტალღებმა შუა ოკეანეში გაიტაცეს.

ნუთუ ისე დავიღუპები, რომ ჩემს ხალხს ბედნიერებას ვერ მოვუტანო, _ ფიქრობდა შეწუხებული კენძო.

სწორედ ამ დროს გვერდით ვეშაპი დაინახა. უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, ვეშაპთან მიცურდა და ზურგზე ააცოცდა. ვეშაპი იმოდენა იყო, არაფერი გაუგია.

მალე ვეშაპს მობეზრდა ერთ ადგილზე ყოფნა, უშველებელი ტალღები ააქოჩრა და გზას გაუდგა.

ვეშაპის ზურგზე წამოწოლილ დაღლილ კენძოს თვითონაც არ გაუგია, როგორ ჩაეძინა. როდესაც გამოეღვიძა, სულ ახლოს ნაპირი დაინახა. კენძოს დიდხანს არ უფიქრია, წყალში გადაეშვა და ნაპირზე გავიდა.

როგორც კი ფეხი ქვიშიან ნაპირზე დადგა, შიმშილისა და დაღლილობისაგან გრძნობა დაკარგა და დაეცა.

ასე იწვა საბრალო კენძო, ვიდრე ერთმა ბიჭუნამ ნაპირზე ხარები არ მორეკა. ბიჭმა კენძო დაინახა, მივიდა და მარაოთი გაუნიავა. კენძომ თვალი გაახილა, მაგრამ ფეხზე ადგომა ვერ შეძლო. ბიჭი მიეხმარა, ხარზე შესვა და ბამბუკის ჭალისკენ წაიყვანა.

ბამბუკის ჭალაში დიდი სახლი იდგა. სახლიდან ერთი კაცი გამოვიდა და ბიჭს ჰკითხა:

_ ვინ მოიყვანეო?

_ მამა, ეს კაცი გონებადაკარგული იწვა ზღვის ნაპირზე და ვერ მივატოვეო, _ უპასუხა ბიჭმა.

მამამ ბიჭი შეაქო. კენძო შინ შეიპატიჟა, დაანაყრა და მოასვენა.

დიდხანს ეძინა კენძოს. როცა გაიღვიძა, ოთახში ბიჭის მამა შემოვიდა და ჰკითხა:

_ დიდად პატივცემულო, საით გაგიწევიათო?

_ ოქროს მთის მწვერვალზე მივდივარ, ხალხს სიბრძნე, ჯანმრთელობა, სიმდიდრე, ცოდნა, გამბედაობა და სიხარული უნდა მოვუტანოო.

_ გამიგონია იმ მთის ამბავი, _ უთხრა ბიჭის მამამ. _ თუ სიცოცხლე ძვირად გიღირს, ნუ წახვალ. იქიდან ცოცხალი არავინ დაბრუნებულა. დარჩი ჩემთან და მანამდე იცხოვრე, ვიდრე მოგეწყინებაო.

_ არაო! _ მტკიცედ მიუგო კენძომ. _ სანამ ცოცხალი ვარ, ვერაფერი შემაჩერებსო.

კენძომ ისევ სამხრეთისაკენ განაგრძო გზა. უკან მოიტოვა უკაცრიელი ველი, გადაცურა უზარმაზარი ტბა, გაიარა უდაბური ტყე და ერთ უკიდეგანო უდაბნოს მიადგა. სამ დღეს მიდიოდა მშიერ-მწყურვალი კენძო ცხელ უდაბნოში და მეოთხე დღეს შორს ოქროს მთის მწვერვალი დაინახა.

გახარებულმა კენძომ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მთისკენ მოკურცხლა. შუადღისას მთის ძირს მიაღწია და შეუჩერებლივ განაგრძო გზა მწვერვალისაკენ. რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარა, უცებ ზემოდან ქუხილივით ხმა მოესმა:

_ ფეხი აღარ გადმოდგა, თორემ ნაკუწებად გაქცევო!

მაგრამ კენძოს შეშინება არც ისე ადვილი იყო. მან ხმალი იძრო და კვლავ წინ წავიდა. უცებ ხახადაღებული, გააფთრებული, საშინელი ძაღლები შემოეხვივნენ, თვალები ნაკვერჩხლებივით უელავდათ.

ზემოდან ხელახლა გაისმა ხმა:

_ მოშორდი აქაურობას და ძაღლები არაფერს დაგიშავებენ. თუ არადა, ერთი ნაბიჯიც რომ გადმოდგა, მაშინვე დაგგლეჯენო!

კენძომ ხმალი მოუქნია ერთ ძაღლს. ძაღლმა კუდი ამოიძუა და გაიქცა. დანარჩენებმა კი საზარლად დაიყმუვლეს და კბილები გააკრაჭუნეს. კენძომ ახლა მეორე ძაღლს მოუქნია ხმალი და ისიც კუდამოძუებული გაშორდა იქაურობას.

_ ერთი ნაბიჯი მაინც გადადგი უკან და გადარჩებიო! _ კვლავ გაისმა მრისხანე ხმა.

კენძო მიხვდა, რომ ეს ძაღლები მხოლოდ იმათთვის იყო საშიში, ვინც საფრთხის დანახვაზე წინ წასვლის მაგიერ უკან იხევდა.

და კენძოც სწრაფად წავიდა წინ. გააფთრებული ძაღლები საცოდავად აწკმუტუნდნენ და გაუჩინარდნენ.

უეცრად კენძომ ლამაზი ქალიშვილი დაინახა. ხელებგამოწვდილი მორბოდა მისკენ და სულ ერთ სიტყვას იმეორებდა:

_ მიშველეთ! მიშველეთო!

_ ვინ გაბედა შენი წყენინებაო? _ ჰკითხა კენძომ.

_ ლურჯ დრაკონს გამოვექეცი და უკან მომდევსო!

_ მე გიშველიო! _ შესძახა კენძომ და ხმალი აღმართა.

_ ლურჯ დრაკონს ხმალი ვერაფერს დააკლებს, მაგრამ აქვე ერთი გამოქვაბული ვიცი, ლურჯი დრაკონი შიგ არასოდეს არ შედისო.

_ მაშინ იქ გავიქცეთო! _ გაუხარდა კენძოს.

ქალიშვილი დაწინაურდა და კენძოც უკან გაჰყვა. გამოქვაბულში კენძო გაოცებისაგან დიდხანს ვერ მოვიდა გონს. შუაში დაბალი მაგიდა იდგა, ზედ უამრავი სანოვაგე იყო დახვავებული და ღვინით სავსე დოქებიც ჩაემწკრივებინათ.

ქალიშვილმა კენძო ქათქათა ჭილოფზე დასვა და თავაზიანად გაუმასპინძლდა.

ღვინოს ხან ერთი დოქიდან უსხამდა, ხან მეორიდან. კენძოს ასეთი ღვინო თავის დღეში არ დაელია.

მალე კენძოს ჩაეძინა. როცა გამოეღვიძა, შიშისაგან კინაღამ გული გაუსკდა: ქალიშვილი აღარსად ჩანდა, თვითონ კი გამოქვაბულის კედელზე იყო მიჯაჭვული.

კენძო მაშინვე მიხვდა, რომ ქალიშვილის სახით ცბიერი ლურჯი დრაკონი გამოეცხადა, შეიტყუა გამოქვაბულში, დააძინა და გამოქვაბულის კედელზე მიაჯაჭვა.

საბრალო კენძო იწვა გამოქვაბულში და ელოდა საშინელი დრაკონის გამოჩენას. მაგრამ დრაკონი არ მოდიოდა.

გავიდა ხანი. გამოქვაბულის კედელზე მიჯაჭვულ კენძოს შიმშილი და წყურვილი ტანჯავდა, თანდათან ღონე აკლდებოდა და, აი, როცა სიკვდილის პირას მივიდა, უცებ გამოქვაბულში ქარმა გაიზუზუნა, კედლები შეირყა და მეთევზის წინ ლურჯი დრაკონი გაჩნდა.

საშინელი სანახავი იყო ეს დრაკონი. გველის კისერზე ხარისყურებიანი უშველებელი ცხენის თავი ება. მუცელსა და ზურგზე სქელი ქერცლი გადაჰკვროდა.

_ თუ უკან გაბრუნდები, ხელს არ გახლებ! _ ამოიხავლა დრაკონმა. _ თუ არადა, შიმშილით სულს ამოგხდიო.

_ ვიდრე ცოცხალი ვარ, ჩემს ოცნებაზე ხელს არ ავიღებ, მე მინდა ჩემს ხალხს ბედნიერება მოვუტანო, _ უპასუხა კენძომ.

დრაკონმა ხახა დააღო და გამოქვაბული მყრალი ბოლით აავსო. ისევ აზუზუნდა ქარი, ხელახლა შექანდა გამოქვაბულის ქვის კამარა. როდესაც ბოლი გაიფანტა, დრაკონი უკვე გამქრალიყო, მაგრამ მაშინვე შემოვარდა ათი დემონი. ათივენი რიგრიგობით მიდიოდნენ კენძოსთან და ერთსა და იმავეს ჩასჩიჩინებდნენ:

_ შინ დაბრუნდი და იმდენ ოქროს მოგცემთ, რამდენსაც მოერევიო.

კენძო ყველას ერთსა და იმავეს ეუბნებოდა:

_ მირჩევნია მოვკვდე, ვიდრე ადამიანური სიკეთე აქ დავტოვო და სამშობლოში ხელცარიელი დავბრუნდეო.

მაშინ დემონებმა სტაცეს ხელი რკინის კომბლებს და ერთი თუ ორი, მისცხეს კენძოს. დაჰკრავდნენ კომბალს და ეკითხებოდნენ:

_ არც ახლა წახვალო?

კენძო კი ყოველ შეკითხვაზე იმეორებდა:

_ არაო!..

დემონებმა კარგა მაგრად სცემეს, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდნენ და სწრაფად გაეშურნენ თავიანთ მფარველთან.

ლურჯი დრაკონი გააფთრებული ღრიალით შევარდა გამოქვაბულში, გაწყვიტა ჯაჭვი, კენძო უშველებელ ჩანჩქერთან მიათრია და წყლის უფსკრულში გადააგდო. მაგრამ როგორც კი კენძო გაშმაგებულმა წყალმა ჩაითრია, ისევ ამოიყვანა და უთხრა:

_ დაბრუნდი შინ და, იმდენ მარგალიტს მოგცემ, რამდენსაც მოერევი. თანახმა ხარო?

_ არა, არაო! _ შესძახა კენძომ.

_ არა და, მოვიდა შენი აღსასრულიო! _ დაიბღავლა გაშმაგებულმა დრაკონმა, კენძო მაღალ ფიჭვზე მიაბა, მის თავს ზემოთ კი ასი თოკით უშველებელი ლოდი ჩამოჰკიდა და უთხრა:

_ ეს ლოდი ასი თოკით არის ჩამოკიდებული. ყოველ წუთში თითო თოკს გადავჭრი. თუ ასი წუთის შემდეგ არ იტყვი, რომ დამარცხებული ხარ, ლოდი თავს გაგიჭეჭყავსო!

როგორც თქვა, ასეც მოიქცა, ყოველ წუთში თითო თოკს ჭრიდა.

გავიდა ოთხმოცდაცხრამეტი წუთი, ქვა მხოლოდ ერთ თოკზეღა ეკიდა.

_ უკანასკნელად გეკითხები: წახვალ თუ არაო! _ დაიღრიალა დრაკონმა.

_ არაო! _ უპასუხა კენძომ.

_ მაშინ მოკვდიო! _ დაიყვირა დრაკონმა და გააფთრებით დაიქნია ხმალი უკანასკნელი თოკის გადასაჭრელად.

სწორედ ამ დროს გაისმა მრისხანე ხმა:

_ შეჩერდი!

კენძომ თვალები გაახილა და დრაკონის გვერდით სწორედ ის მწირი დაინახა, ოქროს მთისა და ადამიანური სიკეთით სავსე ყუთის ამბავი რომ

მოუთხრო. მწირს წითელი აბრეშუმის ტანსაცმელი ეცვა, მარჯვენა ხელში ოქროს ჯოხი ეჭირა.

ბოროტი დრაკონი არც კი შემობრუნებულა მწირისკენ, დაიქნია ხმალი და უკანასკნელი თოკი გადაჭრა.

მაგრამ მწირი თურმე სინამდვილეში ყოვლისშემძლე ჯადოქარი ყოფილიყო, ოქროს ჯოხით შეეხო ლოდს და ლოდი კენძოს ფეხებთან დაეცა.

_ ახლავე ნაფლეთებად გაქცევო! _ აღრიალდა დრაკონი, სასიკვდილო ალი ამოანთხია და მწირს ეკვეთა, მაგრამ მწირმა ჯადოქრული სიტყვა წარმოთქვა და გოლიათად გადაიქცა. ამის დანახვაზე დრაკონი ლომად იქცა. მაშინ გოლიათმა ხელახლა მიიღო ადამიანის სახე, მაღლა ასწია ოქროს ჯოხი და ლომის თავზე ღრუბლებიდან ბასრი ისრების წვიმა წამოვიდა.

ლომი ტკივილისაგან აღრიალდა, ერთი შეხტა და გაუჩინარდა.

_ თქვენ ლურჯი დრაკონი დაამარცხეთო! _ გაიხარა ხეზე მიბმულმა კენძომ.

მაგრამ ჯადოქარმა იცოდა, რომ ეს სიხარული ნაადრევი იყო. ამოიღო სარკე, მიწაზე დადო და ყველაფერი გამოჩნდა, რაც ღრუბლებს მიღმა ხდებოდა. კენძომ ცაში დრაკონი დაინახა. ხელში შხამიანი ისარი ეჭირა და ჯადოქარს უმიზნებდა. ჯადოქარმა კვლავ ასწია ოქროს ჯოხი და დრაკონი მიწაზე დაენარცხა. მაგრამ დაენარცხა თუ არა, მაშინვე მგლად იქცა და მოკურცხლა. ჯადოქარი ვეფხვად გადაიქცა და გამოუდგა. მაშინ მგელი ძერად გადაიქცა, ჯადოქარი კი _ მძლავრ არწივად. მაგრამ სწორედ იმ წუთში, როცა არწივი ძერას უნდა დასწეოდა, ძერამ ფრთები დაკეცა, ბალახებში ჩავარდა, თხუნელად იქცა და ღრმად ჩაძვრა მიწაში. იმავე წამს არწივმა ტახის სახე მიიღო და თხუნელას სოროს დაუწყო ჩიჩქნï. თხუნელა მიწიდან ამოძვრა, გადაიქცა ქვად და მთიდან დაგორდა. მაშინ მწირმა ხელახლა დაიბრუნა თავისი სახე, ქვას ოქროს ჯოხი დაჰკრა და წვრილ ნამსხვრევებად აქცია. მაგრამ ნამსხვრევები ჰაერში აცვივდა და შხამიან ბუზებად იქცნენ. მწირმა აიღო ერთი მუჭა ქვიშა და მაღლა შეისროლა. ჰაერში ბეღურები გაჩნდნენ, ბუზებს დაერივნენ და ერთის გარდა ყველა გადასანსლეს. კენძომ ის ერთი ბუზი მაშინ დაინახა, როცა უკვე მაღლა ცაში ასულიყო და ღრუბლებს უნდა მოფარებოდა. მწირმა ღრუბლებს სული შეუბერა, მთელი ცა ობობას ქსელით დაფარა და ის ბუზი ქსელში გააბა.

კენძო ხედავდა, როგორ წვალობდა ქსელში გაბმული ბუზი. მაგრამ რაც უფრო მეტს მოძრაობდა, მით უფრო მეტად იხლართებოდა. ჯადოქარმა ბუზს ოქროს ჯოხი ესროლა. ბუზი დრაკონად გადაიქცა, გაარღვია ქსელი, მიწაზე დაენარცხა და სულიც ამოხდა.

მწირმა კენძო ხიდან ახსნა და უთხრა:

_ შენ სიცოცხლე გასწირე ხალხისათვის და მეც ამიტომ მოვედი დასახმარებლად. შენ სიკვდილს არ შეუშინდი, უარი არ თქვი შენს ოცნებაზე და ამიტომ ვერ შეძლეს ბოროტმა ძალებმა შენი დამარცხება. გასწი ოქროს მთის მწვერვალზე. დღეიდან შენთვის იქ მისასვლელი გზა ხსნილიაო.

გახარებულ კენძოს დაღლილობა არც გახსენებია, სწრაფად გასწია მწვერვალისაკენ. მწვერვალზე ხელად იპოვა სანუკვარი ყუთი, დასტაცა ხელი და სწრაფადვე დაეშვა დაბლა.

დღე და ღამე შეუჩერებლად მიდიოდა კენძო, შინისაკენ მიიჩქაროდა, რომ ხალხისათვის მიეტანა ადამიანური სიკეთე. როგორც კი სამშობლოს მიწას დაადგა ფეხი, ყუთს თავსახური ახადა. ყუთიდან ამოფრინდა სიბრძნე, ჯანმრთელობა, სიმდიდრე, გამბედაობა, ცოდნა და სიხარული.

ყველა ეს სიკეთე დღემდე ცოცხლობს დედამიწაზე, მაგრამ, ამბობენ, მხოლოდ იმათთვის არსებობს, ვინც საკუთარ თავზე არასოდეს არ ფიქრობს და მხოლოდ თავისი ხალხის მშვიდობასა და ბედნიერებაზე ზრუნავსო.

<u>სამი განძი</u>

ერთ გლეხკაცს სამი ვაჟიშვილი ჰყავდა. უფროსი დინჯი და წყნარი იყო, ოჯახში ყველანი უეშმაკო და მიამიტ ადამიანად თვლიდნენ.

ერთ დღეს მამამ თავის ვაჟიშვილებს უთხრა:

_ შვილებო, მე მალე მოვკვდები და დროა მემკვიდრე ამოვარჩიო. ჩემთვის ყველანი ერთნაირად ძვირფასები ხართ, არ მინდა, რომელიმეს გაწყენინოთ. ამიტომ ბედნიერების საპოვნელად სხვა ქვეყნებში წადით. სამივეს ფულს მოგცემთ და ვინც სამი წლის შემდეგ ჩემს საკუჭნაოს საუკეთესო საქონლით აავსებს, ჩემი მემკვიდრე ის იქნებაო.

მოხუცმა შვილებს თანაბრად გაუყო ფული და ვისაც საით უნდოდა, იქით გაუშვა.

უმცროსმა ძმებმა უფროსს დასცინეს:

_ ჩვენი მიამიტი ძმა ნეტავ რას მოიტანსო!

ძმები პირველ გზაჯვარედინზევე დაშორდნენ ერთმანეთს და სხვადასხვა მხარეს წავიდნენ. უმცროსებმა დიდი ქალაქებისაკენ გასწიეს, უფროსი კი ალალბედზე დაადგა გზას.

იარა, იარა და ხედავს: ღრმა მდინარეზე გადებული ხიდი წყალს წაუღია. მდინარის გაღმა ტყე და მინდორი ამწვანებულა, მაგრამ იქაურობა არავის არგია, რადგან მდინარეზე გასასვლელი ხიდი აღარ არის.

უფროსმა ძმამ გაიფიქრა: ხიდი უნდა შევაკეთო, რომ მდინარის გაღმა მიწა ტყუილუბრალოდ არ გაცდეს, ხალხს სარგებლობა მოუტანოსო.

დაიწყო ხიდის შეკეთება და მთელ სამ წელიწადს შრომობდა. მამის მიცემული ფული მთლიანად შემოეხარჯა და სხვა გზა აღარ დარჩენოდა, შინ ხელცარიელი უნდა დაბრუნებულიყო. ახლა კი ჩემი ძმები მართლა დამცინებენო, _ გაიფიქრა, მაგრამ რას იზამდა. მდინარის პირას წამოწვა დასაძინებლად. სიზმარში ჭაღარაწვერიანი ბერიკაცი გამოეცხადა.

_ შენ კარგი სამსახური გაუწიე ხალხს, _ უთხრა ბერიკაცმა, _ საკუთარი თავი კი დაგავიწყდა. მაგრამ შრომა ფუჭად არ ჩაგივლის. აჰა, ეს ანკესი, დადექი ხვალ შუა ხიდზე და სამჯერ ისროლე მდინარეში. პირველად ქისას დაიჭერ. უბრალო ქისა არ გეგონოს, დაიქნევ და შიგნიდან ოქროს ფულები გამოცვივა. მეორედ დაიჭერ შესანიშნავ სურას. როგორც კი დახრი ამ სურას, ღვინის ნაკადი წამოვა. მესამედ დაიჭერ ცოცხს. ერთი შეხედვით, უბრალო მოგეჩვენება, მაგრამ მთვარეზე ნაზარდი ხის ტოტებისაგან არის შეკრული[1] და საოცარი თვისება აქვს: საკმარისია ეს ცოცხი მოხუცს შემოჰკრა და მაშინვე გაახალგაზრდავდება. მაგრამ გახსოვდეს, მხოლოდ ორჯერ ან სამჯერ უნდა შემოჰკრა, მეტჯერ არა.

დილით უფროს ძმას გაეღვიძა და გაიფიქრა: როგორი უცნაური სიზმარი ვნახე, კაცს რა არ დაესიზმრებაო.

უცებ ხედავს, მის წინ მართლაც დევს ანკესი. მაშინვე მიხვდა, რომ ეს კარგის მომასწავებელი სიზმარი იყო. დადგა შუა ხიდზე და ანკესი მდინარეში ისროლა. მაშინვე წყალში რაღაცამ გაიელვა. ანკესი შეირხა. უფროსმა ძმამ ქისა ამოსწია. გახსნა და ხიდზე წკრიალით დაცვივდა ოქროს ფული. ანკესი მეორედ ისროლა და, სურა დაიჭირა. სურიდან შარბათივით ღვინო გადმოიღვარა. ასეთი ღვინო არასოდეს დაელია.

მესამედ ისროლა ანკესი და ცოცხი თავისით მოცურდა ტალღებზე. სამივე განძი ხელსახოცში გაახვია, ჯოხზე ჩამოკიდა, მხარზე მოიგდო და შინისაკენ გასწია.

ხედავს, გზაზე მისი ძმები მოდიან. ორივეს სამ-სამი ურემი დაუტვირთავს, მოდიან და მოუხარიათ. უმცროსმა ძმებმა სიცილი დააყარეს უფროსს:

_ შეხედე, ერთი პატარა ბოხჩა მოაქვს! აკი ვამბობდით, სამ წელიწადში ვერაფერი შეუძენია, ფული ტყუილად გაუფლანგავსო!

უფროს ძმას ხმა არ ამოუღია, მხოლოდ იღიმებოდა. ასე იარეს სახლამდე.

მოხუცი მამა სიხარულით შეეგება შვილებს. ყველას თითო საკუჭნაო დაახვედრა. სოფლის მცხოვრებლებსა და ნათესავებს თავი მოეყარათ, ერთი ვნახოთ, ბერიკაცის შვილები საკუჭნაოებს რით გაავსებენო.

გააღეს პირველი საკუჭნაოს კარი და რას ხედავენ, ჭერამდე სავსეა გადარჩეული ბრინჯით.

_ კარგია, შვილო! _ თქვა მამამ. _ უბრინჯოდ გლეხის ცხოვრება რა ცხოვრებაო!

გააღეს მეორე საკუჭნაოს კარი _ აბრეშუმით არის სავსე!

_ ყოჩაღ! _ შეაქო მამამ შუათანა შვილი. _ დიდი სიმდიდრე შეგიძენიაო!

მესამე საკუჭნაოში არც კი შეიხედა, ისე შებრუნდა სახლში.

_ მამი! _ დაუძახა უფროსმა შვილმა. _ ნუთუ ჩემს საკუჭნაოში შეხედვაც არ გინდაო!

_ რისთვის შევიხედო, მხოლოდ იმისათვის, რომ სტუმრებთან შევრცხვე? შენ ხომ ერთი ბოხჩის მეტი არაფერი მოგიტანიაო, _ უპასუხა მამამ.

_ ნუ მაწყენინებ! მეც ხომ შენი შვილი ვარო.

მეტი რა გზა ჰქონდა ბერიკაცს, უხალისოდ შეაღო მესამე საკუჭნაოს კარი და, უცებ იხუვლა ოქროს ფულმა. მისმა ბრჭყვიალებამ ყველას თვალი მოსჭრა.

იდგნენ სტუმრები და გაოცებისაგან კრინტს ვერ ძრავდნენ.

_ ყველამ თითო მუჭა ოქრო აიღეთ, _ უთხრა ხალხს უფროსმა ვაჟმა. _ გთხოვთ, ნუ გრცხვენიათ! კიდევ ბევრი დამრჩება! მერე კი ნადიმზე გვეწვიეთ.

სტუმრები სანადიმოდ დასხდნენ. უფროსმა ვაჟმა ყველას დაუსხა შესანიშნავი ღვინო და დაიწყო მხიარულება.

_ ყველაფერი კარგია, მხოლოდ ერთი რამ მაღონებსო! _ წუხდა მამა. _ ძალიან მოვხუცდი, თორემ სიხარულისაგან ვიცეკვებდიო.

_ მაგის წამალიცა მაქვსო, _ უთხრა უფროსმა ვაჟმა და მოხუცს ზურგზე ორჯერ დაარტყა ცოცხი.

_ რას შვრები, მამას პატივს სულ აღარა სცემო? _ უსაყვედურეს სტუმრებმა, მაგრამ უცებ დაინახეს, რომ ჭაღარა მოხუცი მამა შავთმიან ღონიერ ვაჟკაცად იქცა, _ ოცდაათ წელზე მეტს ვერაფრით მისცემდით! მამა წამოხტა და დაიწყო ცეკვა. აბა თუ ასეაო, დანარჩენებმაც სთხოვეს, ცოცხი ჩვენც დაგვკარიო. დაუძლურებული ბებიაც კი გაახალგაზრდავდა. ბებიამ ხმამაღლა გადაუხადა მადლობა, მაგრამ გულში კი გაიფიქრა, შვილიშვილს ცოცხი დაენანა! ხომ შეეძლო, ოცი ან ჩვიდმეტი წლის ქალიშვილად ვექციეო.

ყველა ცეკვავდა, მხოლოდ ბებიამ არ იცეკვა: დარჩა მარტოდმარტო და შემდეგ სადღაც გაქრა. როდის-როდის გაახსენდათ. მიაკითხეს, მოძებნეს და ნახეს, რომ ცოცხისაგან მარტო დამტვრეული წკეპლებიღა დარჩენილიყო! იქვე, მის გვერდით, იატაკზე, ბებიას ხალათი ეგდო, მის ერთ სახელოში კი ძუძუმწოვარა ბავშვი ფართხალებდა და ტირილით იკლებდა იქაურობას.

რაღა უნდა ექნათ, შვილიშვილებმა მოუარეს ბებიას. ცოცხი კი სადღაც გაქრა. აი, რატომ აღარ ახალგაზრდავდებიან ახლა მოხუცები.

<u>რძალი და დედამთილი</u>

ერთ სახლში ცხოვრობდნენ რძალი და დედამთილი. როგორც მაიმუნი და ძაღლი, ისე იყვნენ ერთმანეთზე წაკიდებულები და გაუთავებლად ჩხუბობდნენ ხოლმე.

ერთხელ დედამთილი ავად გახდა.

ო, ახლა კი სიცოცხლეს მოგისპობო! _ გაუხარდა რძალს, მეზობელ მკურნალთან წავიდა და საწამლავი სთხოვა.

_ რად გინდაო! _ გაოცდა მკურნალი.

რძალიც ადგა და სიმართლე უთხრა: _ დედამთილის მოწამვლა მინდაო.

_ ჰო, ეს კარგი საქმეაო, _ მიუგო მკურნალმა. _ ძლიერ საწამლავს მოგცემ, მხოლოდ იცოდე, სწრაფად არ მოქმედებს. შენ ხომ სწორედ ასეთი საწამლავი გინდა! დედამთილი რომ უცბად მოგიკვდეს, ხალხი ყველაფერს მიხვდება და ორივენი პასუხს ვაგებთ. ასე რომ, ფრთხილად მოიქეცი. სხვის დასანახავად

ავადმყოფს უკეთ მოუარე და საჭმელში ყოველდღე ცოტ-ცოტა საწამლავი შეაპარეო.

რძალი შინ კმაყოფილი დაბრუნდა.

_ დედა! დედა! დღეს მკურნალთან ვიყავი და შენთვის საოცარი წამალი მომცა, აბა, დალიეო!

დედამთილი გააოცა რძლის კეთილმა გულმა. სიხარულისაგან ცრემლი მოერია და საწამლავი დალია.

სულ ერთია, ხვალ თუ არა, ზეგ მაინც ამოგძვრება სული, შე საზიზღაროო! _ ფიქრობდა რძალი და თავგამოდებით უვლიდა დედამთილს.

დედამთილი კი ვერაფერს ხვდებოდა. დაინახავდა თუ არა რძალს, სულ ებოდიშებოდა:

_ მაპატიე, შვილო! არ ვიცოდი, თუ ასეთი კეთილი გული გქონდაო.

რძალი დიდხანს იკავებდა თავს, მაგრამ ბოლოს ვეღარ მოითმინა, შეეცოდა დედამთილი, გაიქცა მკურნალთან და უთხრა:

_ აღარ მინდა დედამთილის მოკვლა! მირჩიე შხამის საწინააღმდეგოდ რა მივცეო.

_ ახლა აღარაფერი უნდა. ისედაც არ მოკვდება. ჩემმა შხამმა, ადამიანი კი არა, შენს გულში ჩაბუდებული ბოროტება მოკლაო.

რძალმა მკურნალს მადლობა გადაუხადა, შინ წავიდა და ავადმყოფს უფრო გულით დაუწყო მოვლა. დედამთილი გამოჯანმრთელდა. ამის შემდეგ რძალი და დედამთილი მეგობრულად და მხიარულად ცხოვრობდნენ.

<u>ყველაზე მოხერხებული მატყუარა</u>

დიდი ხნის წინათ ედოში, ოსაკასა და კიოტოში სამი სახელგანთქმული მატყუარა ცხოვრობდა. როგორც კი ერთად შეიყრებოდნენ, ერთმანეთს ტყუილის თქმაში ეჯიბრებოდნენ. ერთმა თქვა:

_ ამას წინათ დედამიწას ცა ავაგლიჯე და ნესტოებში შევიტენე. მაგრამ რა გგონიათ? ნესტოებში მაინც სიცარიელე მაქვს! აი, სტვენა გესმითო?

მეორემ თქვა:

_ სულ ეგ იყოო? მე კი გუშინ გასართობად ცას და დედამიწას ვაბურთავებდი, უცებ ცხვირი დავაცემინე და ორივე უკვალოდ გაქრაო.

მესამემ მაშინვე მიაყოლა:

_ ამას წინათ მზე ძალიან აცხუნებდა. მე თავზე მთელი სამყარო ჩამოვიფხატე და ასე მოვიჩრდილეო.

მაგრამ ვერაფრით ვერ გადაწყვიტეს, ვინ იყო მათ შორის ყველაზე მოხერხებული მატყუარა.

ერთხელ კიოტოელმა და ედოელმა მატყუარებმა ოსაკელი მატყუარასკენ გასწიეს სტუმრად.

სტუმრებს ოსაკელი მატყუარას პატარა ბიჭი გამოეგება და უთხრა:

_ მამა შინ არ არისო!

_ სად წავიდაო?

_ მამამ თქვა, ამას წინათ გრიგალმა ფუძის მთა დასძრა და სადაცაა, წაიქცევაო. ჰოდა, წავიდა, რომ ორი ყალიონის ტარი შეუყენოსო.

_ დედა სადღაა?

_ დედამ თქვა, ინდოეთის მიწა დაიხაო, სამი საკერავი ნემსი წაიღო და გასაკერად წავიდაო.

ორივე მატყუარა საგონებელში ჩავარდა. ის იყო გაქცევა დააპირეს, რომ უცებ გულზე დარდი შემოაწვათ და ისევ ბიჭს მიუბრუნდნენ.

_ ჰეი, ბიჭიკო, გესმის? ამას წინათ გრიგალმა ქვის დიდი როდინი მოგვტაცა, თქვენს სახლში ხომ არ შემოვარდნილაო?

_ შეიძლება კიდეც შემოვარდა, _ უპასუხა ბიჭმა. _ ნახეთ, ფანჯრის თავზე აბლაბუდაში ხომ არ გაებაო.

ორივე მატყუარამ ენა მუცელში ჩაიგდო და სწრაფად გაშორდნენ იქაურობას.

ამ დროს მამაც დაბრუნდა. შვილმა უთხრა:

_ ჩვენთან კიოტოელი და ედოელი ძიები იყვნენო.

_ მართლა? მერე, რა თქვესო?

_ მკითხეს, მამაშენი სად არისო. მე ვუპასუხე: ფუძის მთა გრიგალს მოუგლეჯია და მამამ ყალიონის ტარები წაიღო მის გასამაგრებლად-მეთქი. მერე მკითხეს, დედაშენი სად არისო. მე ვუპასუხე: ინდოეთის მიწა გახეულა და მის გასაკერად არის წასული-მეთქი. ძიები წავიდნენ, მაგრამ ისევ უკან დაბ-რუნდნენ და მკითხეს: გრიგალს ჩვენი დიდი ქვის როდინი თქვენთან ხომ არ შემოუგდიაო. მე ვუპასუხე: მოდით და ნახეთ, აბლაბუდაში ხომ არ გაეხვია-მეთქი. მაშინ კი დამნებდნენ და დარცხვენილებმა მოკურცხლესო.

შეშფოთდა მამა.

_ შენ ჯერ ბავშვი ხარ და ასე უსინდისოდ კი ცრუობ! შინ არ გაგაჩერებ, სადმე წაგიყვანო.

ბიჭი ნახშირის ტომარაში ჩასვა, თავი მოუკრა, მხარზე მოიგდო და წავიდა.

მალე გზაზე სამიკიტნო შემოხვდა. სამიკიტნოდან ღვინის სუნი გამოდიოდა. მამას უყვარდა ღვინის სმა. ტომარა ფიჭვის ტოტზე ჩამოჰკიდა და ღვინის დასალევად სამიკიტნოში შევიდა.

ვიდრე მამა გამოვიდოდა, პატარა მატყუარამ ტომარაში ჭუჭრუტანა იპოვა და გარეთ გამოიხედა. ხედავს, გზაზე წელში მოხრილი მოხუცი მოდის კოჭლობით. ბიჭუნამ ლოცვასავით გააბა:

_ მოხუცო, გაახალგაზრდავდი! მოხუცო, გაახალგაზრდავდიო!

მოხუცი ტომარასთან მივიდა და ბიჭუნას შესძახა:

_ მაგ ტომარაში რას აკეთებო.

_ ეს ჯადოსნური ტომარაა! შიგ ვინც ჩაჯდება და დაიძახებს: ‘მოხუცო, გაახალგაზრდავდი! მოხუცო, გაახალგაზრდავდი!» ყველანი

გაახალგაზრდავდებიანო. გუშინ დილას სამოცი წლისა ვიყავი. მაგრამ შევძვერი ტომარაში, დიდხანს ვილოცე და, აი, ხომ ხედავ, ბავშვად ვიქეცი.

მოხუცმა გაოცებისაგან თვალები დააჭყიტა.

_ დახე, როგორი შესანიშნავი ტომარა ყოფილა! მეც მინდა გაახალგაზრდავება! მოდი, მეც ჩამსვიო!

_ რა გაეწყობა, ჩაგსვამ, ოღონდ მუქთად არაო.

_ თუ გინდა, ამ გემრიელ მანძიუს[1] მოგცემო.

ბიჭუნამ მანძიუ გამოართვა, მოხუცი ტომარაში ჩასვა და შინისაკენ მოკურცხლა.

მალე ბიჭის მამა გამხიარულებული გამოვიდა სამიკიტნოდან. შეხედა ტომარას და გაოცებულმა თვალები მოიფშვნიტა: შიგ მისი შვილის მაგიერ უცნობი მოხუცი იჯდა და გაიძახოდა: მოხუცო, გაახალგაზრდავდი! მოხუცო, გაახალგაზრდავდიო!

მამას გაუკვირდა, მაგრამ როცა ყველაფერი გაიგო, კინაღამ ჭკუაზე შეიშალა.

_ ოჰ, ის საძაგელი! ის ბიჭი ჩემი შვილია. იშვიათად ნახავთ ისეთ მატყუარას. აჰა, თქვენც მოუტყუებიხართ. თუ შეიძლება, მაპატიეთო, _ ბოდიში მოიხადა მამამ და მოხუცი ტომრიდან ამოიყვანა.

მამა შინ დაბრუნდა და ხედავს: ბიჭი უკვე მისულა, ზის და მოხუცის მანძიუს შეექცევა. მამამ სტაცა ხელი შვილს კისერში და ისევ ტომარაში უკრა თავი.

_ შე საძაგელო, შენა! ახლა კი გასწავლი ჭკუასო!

მამამ ბიჭი სხვა გზით წაიყვანა, მაგრამ ამ გზაზეც შეხვდა სამიკიტნო, იქიდანაც ღვინის სუნი გამოდიოდა. აბა, ისე როგორ ჩაუვლიდა, რომ შიგ არ შესულიყო! ითმინა, ითმინა, მაგრამ ბოლოს ვეღარ მოითმინა, ტომარა ისევ ხეზე ჩამოჰკიდა და ღვინის დასალევად სამიკიტნოში შევიდა.

ბიჭმა ჭუჭრუტანიდან გამოიხედა და ხედავს: გზაზე ერთი ბეცი დედაბერი მოდის. ხეს რომ მოუახლოვდა, ბიჭმა ბუტბუტი დაიწყო: თვალებო, ამეხილეთ! თვალებო, ამეხილეთო!

დედაბერი გაოცდა, ტომარასთან მივიდა და ჰკითხა:

_ მანდ რას აკეთებო?

_ როგორ თუ რას ვაკეთებ? ვზივარ ჯადოსნურ ტომარაში და ვლოცულობ: თვალებო, ამეხილეთ! თვალებო, ამეხილეთ-მეთქი. დილას აქეთ ასე ვლოცულობ და ამეხილა კიდეც თვალები. მანამდე კი ბრმა ვიყავიო.

_ რა საოცარი ტომარა ყოფილა! მეც ძალიან ცუდად ვხედავ, თუ შეიძლება, მაგ შენს ტომარაში ცოტა ხნით მაინც ჩამსვიო, _ შეევედრა დედაბერი.

_ ჩაგსვამ, როგორ არ ჩაგსვამ, მაგრამ უფასოდ არაო.

_ ხურმას მოგცემ და ჩამსვიო.

დედაბერმა ერთი კალათა ხურმა მისცა. ბიჭმა დედაბერი ტომარაში ჩასვა და თვითონ კი შინისაკენ მოკურცხლა.

გამხიარულებული მამა მალე გამოვიდა სამიკიტნოდან. ხედავს: ტომარაში ვიღაცა დედაბერი ზის, თვალებს ახამხამებს და ლოცულობს: თვალებო, ამეხილეთ, თვალებო, ამეხილეთო!

გაოცდა მამა, მაგრამ როცა ყველაფერი გაიგო, უფრო მეტად განცვიფრდა.

_ ეს სულ ჩემი საძაგელი შვილის ოინებია. გამოუსწორებელი მატყუარაა! თუ შეიძლება, მაპატიეთო, _ მოიბოდიშა და დედაბერი ტომრიდან ამოსვა.

დაბრუნდა მამა შინ და რას ხედავს? ბიჭი ხურმით გამძღარა, შუა ოთახში გაშხლართულა და სძინავს.

აბა, რა უნდა ექნა ასეთი შვილისათვის?!

ამის შემდეგ ედოელი, ოსაკელი და კიოტოელი მატყუარები უკვე აღარ კამათობდნენ, ვინ იყო მათს შორის ყველაზე მოხერხებული მატყუარა.

<u>საბურო-გატეხილი ჯამი</u>

დიდი ხნის წინათ სამი ძმა ცხოვრობდა. უფროსს ტარო ერქვა, შუათანას _ ძირო, უმცროსს კი _ საბურო. ერთხელ ძმებმა თქვეს:

_ მოდით, რაიმე ხელობა ვისწავლოთ და ჩვენი მოხუცი მამა გავახაროთო.

მოილაპარაკეს და სამი წლით დატოვეს მშობლიური სახლ-კარი. სამივემ თავისი საყვარელი საქმე აირჩია.

სამივენი ძალ-ღონის დაუზოგავად შრომობდნენ და სამი წლის შემდეგ საუკეთესო ოსტატები დადგნენ. ამასობაში შინ დაბრუნების დროც მოვიდა.

პირველად უფროსი ვაჟი ტარო დაბრუნდა.

_ გამარჯობა, მამი! გიხაროდეს, მე საუკეთესო ჭონი ვარ მთელს იაპონიაში. ისეთ ქუდებს ვკერავ, ყველას მოერგება ხოლმე. ჩინოვნიკი მომთხოვს ქუდს თუ მეომარი, სიტყვის დამთავრებასაც ვერ ასწრებენ, რომ ქუდი მზადა მაქვს! ჩემს შეკერილ ქუდს რომ იხურავენ, სიხარულისაგან აღარ იციან, რა ქნანო! _ დაიწყო ტრაბახი ტარომ.

_ მაშინ, მოდი, ჩვენს მთავარსაც შეუკერე, _ უთხრა მამამ. _ სულ იმას ჩივის, ერთი ხეირიანი ქუდი არა მაქვს, რომ ლამაზიც იყოს და თავზეც კარგად მეხუროსო.

ტარომ დაუჯერა მამას და მთავარს ქუდი შეუკერა. გაუხარდა მთავარს.

_ უჰ, უჰ, რა ლამაზი ქუდია! თავზეც რა კარგად მომერგო. დღეიდან ჩემს სამთავროში ქუდები მარტო ტარომ უნდა შეკეროსო.

იმ დღიდან ტაროს საქმე დიდებულად აეწყო. მამის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

მეორე ვაჟს, ძიროს, ბავშვობიდანვე ყველაზე უფრო მშვილდ-ისრის სროლა უყვარდა.

სროლის ხელოვნებას ყველაზე ცნობილ ოსტატებთან დაეუფლა და ბოლოს ძიროს დიდების ხმამ მთავრის ყურამდეც მიაღწია. იხმო მთავარმა ძირო და ორ კილომეტრზე ხიდან მსხლის ჩამოგდება უბრძანა.

ძირო სიხარულით დათანხმდა, რომ მთავრისთვის თავისი ხელოვნება ეჩვენებინა. ისროლა ისარი და ჩამოაგდო მსხალი. მაგრამ, ჰოი, საკვირველებავ, ისარი უკან გამობრუნდა და მის წინ დაეცა. ძირომ სულ სამი ისრით ჩამოყარა მსხლები. ნაყოფით დახუნძლულ ხეს ერთიც არ შეარჩინა. მთავარმა მადლობა გადაუხადა და დაავალა, ჩემს მეომრებს მშვილდ-ისრის სროლა ასწავლეო.

მესამე ვაჟმა, საბურომ შეუმჩნევლად მიპარვის ხელოვნება შეისწავლა. ეს რომ მოხუცმა მამამ გაიგო, მოიღუშა და უთხრა, შენი ცოდნა ხალხს არ გაუმხილოო. მაგრამ საბურო მამას არწმუნებდა, ჩემს ხელობას ქურდობასთან არაფერი აქვს საერთოო და, აი, რა უამბო:

_ ერთხელ მინდორ-მინდორ მივდიოდი. მეც არ ვიცოდი, საით მივდიოდი. უცებ ვხედავ: მოშორებით არაჩვეულებრივი სახლი დგას. გადმოპირქვავებულ მრგვალ ჯამს ჰგავდა. შესასვლელი ჯამის ჩამოტეხილ ნაპირს მიუგავდა. მივედი ახლოს, შევიხედე და რას ვხედავ? შიგ ხის ჯამების მთელი გროვა ეყარა. შუა ოთახში კი დედაბერი იჯდა. მან გაოცებით შემომხედა და მკითხა:

_ საიდან მოხვედიო?

მეც ვუპასუხე: მინდა რაიმე ხელობა შევისწავლო-მეთქი.

_ თუ ასეა, სწორედ იქ მისულხარ, სადაც საჭირო იყოო.

დავრჩი დედაბერთან. არც პირველ წელიწადს და არც მეორე წელიწადს ჩემთვის არაფერი უსწავლებია. გავიდა მესამე წელიწადიც და დედაბერს ვთხოვე, გამათავისუფლე, წავალ-მეთქი. დედაბერმა წასვლა არ დამიშალა, მხოლოდ ეს მითხრა:

_ რაკი ასე გულმოდგინედ მემსახურებოდი, მინდა, სამახსოვროდ რამე გაჩუქო, მაგრამ ხომ ხედავ, ჯამების გარდა არაფერი მაქვს. რომელიც მოგწონს, აიღეო.

ვიწყინე დედაბრის სიტყვები და ვუთხარი:

_ ჯამი უნდა მაჩუქო? მაშინ ჩემთვის ესეც ბევრია-მეთქი! _ და გულმოსულმა უვარგისი, გატეხილი ჯამი ავირჩიე.

წამოვედი მინდორ-მინდორ და ვფიქრობ:

რა სისულელე მომივიდა! სამი წელიწადი გულმოდგინედ ვემსახურე და საჩუქრად კი ერთი გატეხილი ჯამი მივიღე-მეთქი.

ჯამი მიწას დავანარცხე და ის იყო იქაურობას უნდა გავშორებოდი, რომ ჯამმა ადამიანის ხმით დაილაპარაკა:

_ საბურო, ტყუილად გადააგდე შენი ბედნიერება! იცოდე, მე შეუმჩნევლად მიპარვის დიდ ხელოვნებას ვფლობ. ჩემი თავი იმიტომ გაჩუქეს, რომ შეგასწავლო ეს ხელოვნება. მე ყველგან შენთან ერთად ვივლიო!

უცებ ჯამს ორი ფეხი გამოება და ხტუნვა-ხტუნვით გამომყვა უკან. ისე შემეშინდა, კინაღამ არ მოვკვდი, მაგრამ გამახსენდა, რომ ჯამი გაბედნიერებას შემპირდა. წამოვედით ერთად, გადავიარეთ მთები და ველები. გატეხილმა ჯამმა გზადაგზა მასწავლა შეუმჩნევლად მიპარვის ხელოვნება და ახლა მეც ამ საქმის ოსტატი ვარო.

მამა დაღონდა, მისმა შვილმა მხოლოდ ქურდებისათვის გამოსადეგი ხელოვნება რომ იცოდა. მამას არ უნდოდა, ვინმეს გაეგო ეს ამბავი, და გადაწყვიტა, კრინტი არავისთან დაეძრა. მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. საბუროს ასეთი საოცარი ხელოვნების ამბავი მთელ სამთავროს მოედო და თვით მთავრის ყურამდეც მივიდა. მთავარმა საბურო მიიხმო და უბრძანა:

_ ჩემს სამთავროში ერთი ხარბი და შეძლებული კაცი ცხოვრობს. მე მას წინასწარ ვეტყვი, რომ მისი გაძარცვა გინდა. შენ კი შეუმჩნევლად გაქურდეო.

საბურომ უპასუხა:

_ მე მიპარვა იმიტომ კი არ მისწავლია, რომ ვინმე გავძარცვო. არა, ეს სამხედრო ხელოვნებაა და შეიძლება ჩვენს ქვეყანას გამოადგეს, როცა მტრები შემოესევიან. მე არ მინდა ჩემი ხელოვნება დავამცირო და შევბღალოო.

მაგრამ მთავარი გაჯიუტდა:

_ მერე რა, რომ შენი ხელოვნება სახელმწიფოს დასჭირდება! მე მანამდე მინდა გამოგცადო. თვითონ ის ხარბიც კი გათამამდა და ამბობს: ყველანაირად ვეცდები, ჩემი ფულები დავიცვაო, მაგრამ თუკი საბურო მაინც მოახერხებს მოპარვას, შერჩეს, ღირსი ყოფილა. თუმცა, დარწმუნებული ვარ, არაფერი გამოუვაო! ასე რომ, ფრთხილად იყავი, არ ჩავარდეო.

საბურომ ბევრი იუარა, მაგრამ ბოლოს მაინც დამორჩილდა მთავრის ბრძანებას.

მდიდრის ოჯახში კი ერთი ალიაქოთი იდგა. ყველანი ფხიზლად იყვნენ და ელოდნენ, როდის მოიპარებოდა საბურო. ფულით სავსე სკივრები საკუჭნაოდან ამოათრიეს და ოთახებში დაალაგეს. ყარაულად თვით პატრონი დადგა. მსახურებს კი უბრძანა:

_ როგორც დავიყვირებ, ქურდი-მეთქი, მაშინვე სინათლეები აანთეთ და AG აქეთ გამოიქეცითო.

მსახურებს კაჟი და ასანთები ჯოხები ჩამოურიგეს.

საჯინიბოშიც ყველაფერი მზად იყო. მსახურებს შეკაზმული ცხენების აღვირები ეჭირათ ხელში, რომ ქურდს ვერ გამოეყენებინა ცხენები ფულით სავსე სკივრების წასაღებად და თვითონ თუ დასჭირდებოდათ, ქურდს სწრაფად გამოსდევნებოდნენ.

დაღამდა. კოკისპირული წვიმა წამოვიდა. საბურო ამ თავსხმაში მიადგა მდიდრის სახლს. მიპარვით კი არა, ყველას დასანახად მივიდა, ხელში დიდი ქოლგა ეჭირა. გაოცდა მდიდარი, თან გაუხარდა კიდეც.

_ ერთი ამას შეხედეთ! შეუმჩნევლად მიპარვაში დახელოვნებული ჩვენი ოსტატი გაშლილი ქოლგით გამოგვეცხადა! აგერ, შემოსასვლელში დგას. ახლა სკივრებს ყველას თვალწინ მოიპარავს? ხა-ხა-ხა! _ იცინოდა.

მდიდარს ესმოდა, როგორ ეცემოდა საბუროს ქოლგაზე წვიმის წვეთები, და სიცილით იხრჩობოდა.

ამ დროს კი საბურო-გატეხილმა ჯამმა ქოლგა შემოსასვლელში დატოვა და თვითონ ღია დარაბიდან სახლში შეიპარა. ვიდრე მსახურები სიცილით

იხოცებოდნენ, ცეცხლის ასანთები ჯოხები ფლეიტებით შეცვალა, ხოლო კაჟების მაგივრად პატარა დოლები დააწყო, მერე მდიდრის ჩაის ფინჯანში თავისი გატეხილი ჯამიდან ძილის წამალი ჩაყარა და დაიცადა.

მალე მდიდარმა ჩაი დალია და უცებ თვალთ დაუბნელდა, თავი დაუმძიმდა. მდიდარი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აღრიალდა:

_ ეს საბუროა, საბურო! აანთეთ ჩირაღდნები, შემოიტანეთ ფარნები!

მსახურები აქეთ-იქით ეცნენ, ატყდა ერთი ღრიანცელი. ფლეიტები წიოდნენ: ‘პი-რო-რო! პი-რო-რო!» დოლები გუგუნებდნენ: ‘დონ-დონ! დონ-დონ-დონ!» გააფთრებული მდიდარი კი ღრიალებდა:

_ სულელებო, ჩირაღდნები, ჩირაღდნებიო!

მსახურები შიშისაგან კინაღამ დაგიჟდნენ. ამ აურზაურში უცბად შემოესმათ:

_ სკივრები ცხენებზეო!

სტაცეს ხელი ფულით სავსე სკივრებს და ცხენებს აჰკიდეს.

საბურომ ჩაიჩურჩულა:

ახლა კი ყველაფერი რიგზეაო.

და, როგორც კი დრო მოიხელთა, სკივრებით დატვირთული ცხენები მთავართან წაიყვანა.

მაგრამ საბურო მთავრის სამსახურში არ დარჩა. ადგა და ისეთი ადგილის საძებნელად წავიდა, სადაც მტერთან შეუმჩნევლად მიპარვის ხელოვნება ხალხს ნამდვილ სარგებლობას მოუტანდა.

<u>ყველაზე ძლიერი</u>

ერთხელ ერთი მდიდარი და შურიანი სამურაი სასეირნოდ წავიდა. მზე შუბისტარზე იდგა და ისე მაგრად აცხუნებდა, კაცს აბრეშუმის ქოლგაც კი ვერაფერს შველოდა.

სამურაიმ მარაო დაინიავა, ცას ახედა, ღრმად ამოიოხრა და თქვა:

_ დედამიწაზე ყველაზე სუსტი არსება ადამიანია, ქარიც მას იჯაბნებს, ყინვაც და მზეც. ნეტავი ერთი მზედ მაქცია! მზეზე ძლიერი ამქვეყნად არაფერიაო.

სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ სამურაი მზედ გადაიქცა.

მზე-კაცმა ზემოდან დახედა დედამიწას და ამაყად თქვა:

_ ჩემზე ძლიერი არავინ არის! რაც კი ადამიანმა მოიყვანა დედამიწაზე, შემიძლია ერთ წუთში გადავწვაო.

_ ტყუილად ფიქრობ, რომ შენზე ძლიერი არავინ არისო! _ მიაძახა უშველებელმა შავმა ღრუბელმა და გვერდზე ჩაუარა, _ ტყუილად ფიქრობო!

ღრუბელი გაიშალა მზის ქვეშ და დედამიწას ჩამოეფარა.

ბევრი ეცადა მზე, მაგრამ ვერა და ვერ გაარღვია უშველებელი შავი ღრუბელი.

დაღონდა მზე: ღრუბელი ჩემზე ძლიერი ყოფილა! ოჰ, ნეტავ ერთი ღრუბლად მაქციაო!

როგორც კი ეს გაიფიქრა, მზე მაშინვე ღრუბლად იქცა.

გაუხარდა ღრუბელს: დედამიწაზე ჩემზე ძლიერი არავინ არის! ახლა მზეს ჩამოვეფარები და მთელ დედამიწას დავტბორავო!

მართლაც, ჩამოეფარა მზეს და კოკისპირული წვიმა დაუშვა.

მთებიდან სწრაფად გადმოსკდა საზარელი ნიაღვარი. მდინარეები ადიდდა, წყალი მინდვრებზე გადმოვიდა და ხალხს ქოხებში შეუვარდა.

ღრუბელი კი იცქირებოდა მაღლიდან და ხარობდა:

_ ჩემზე ძლიერი არავინ არისო!

მაგრამ უეცრად ღრუბელს გააფთრებით ეცა ქარი და ოკეანისკენ გააქანა.

_ თურმე ყველაზე ძლიერი მე კი არა, ქარი ყოფილაო! _ დაიყვირა ღრუბელმა. _ როგორ მინდა, ქარად ვიქცეო!

როგორც კი ეს თქვა, ღრუბელი მაშინვე ქარად გადაიქცა, საშინელი ხმით აზუზუნდა, მირეკ-მორეკა ღრუბელი, შემდეგ ზღვაზე გაფრინდა და უშველებელი წყლის ზვირთები ცას შეახალა.

_ მზეზე ძლიერიც ვარ, ღრუბელზე ძლიერიც, ამქვეყნად ყველაფერზე ძლიერი ვარო! _ ხარობდა ქარი. _ ახლა ქალაქებში გავფრინდები და დავანგრევ ყველაფერს, რაც კი იმ საცოდავ კაცუნებს შეუქმნიათო!

ქარმა მიატოვა ზღვა და ნაპირისაკენ გასწია. გზად გრანიტის კლდე რომ დაინახა, იყვირა:

_ მე ყველაზე ძლიერი ვარ! ახლავე მტვრად გაქცევო! _ და კლდეს ეცა, მაგრამ ძვრაც ვერ უყო.

_ მე მზეზე ძლიერიც ვარ, ღრუბელზე ძლიერიც და ზღვაზე ძლიერიც! ახლავე დაგანგრევო! _ დაიზუზუნა გაბოროტებულმა ქარმა და ისევ ეძგერა კლდეს.

მაგრამ კლდე ისევ ისე იდგა, ამაყი, მაღალი და ძლიერი.

ქარი მაშინვე მიხვდა, რომ ვერაფერს დააკლებდა.

_ მაშინ, ყველაზე ძლიერი მე კი არა, კლდე ყოფილა! _ დაიზუზუნა ქარმა. _ ო, როგორ მინდა, კლდედ ვიქცეო!

როგორც კი ეს თქვა, მაშინვე გრანიტის კლდედ გადაიქცა.

მკერდზე უშველებელი ტალღა მიეხეთქა, მაგრამ კლდემ ვერც კი იგრძნო. გამძვინვარებული ქარი გაშმაგებით ეცა მწვერვალს, მაგრამ კლდემ ვერც ეს შეამჩნია. მზემაც შეუსია თავისი მცხუნვარე სხივები, მაგრამ კლდე ისევ ისე იდგა _ მაღალი, ძლიერი, და ხარობდა:

_ ახლა კი ყველაზე ძლიერი ვარ! ვეღარავინ მაჯობებს, ვერც მზე, ვერც ზღვა და ვერც ქარიო!

სწორედ ამ დროს კლდემ უეცრად ძლიერი დარტყმა იგრძნო. ერთხელ, მეორედ, მესამედ. ყოველ დარტყმაზე გრანიტი უშველებელ ლოდებად იმსხვრეოდა.

_ ვინ გამიბედა ხელის ხლებაო! _ დაიყვირა კლდემ და ძირს ჩაიხედა, მაგრამ ვერაფერი დაინახა, რადგან მწვერვალი ნისლით ჰქონდა დაბურული.

უხილავი არსება კი ისევ ურტყამდა და ურტყამდა.

_ მაშ, ამქვეყნად მზეზე, ზღვაზე, ქარზე, ღრუბლებზე და ჩემზე ძლიერი არსებაც ყოფილა. ნეტავ ეს ბუმბერაზი გოლიათი ვინ არისო?

ამ დროს ქარმა ნისლი გადაფანტა და კლდემ ჩვეულებრივი ადამიანი დაინახა. ეს იყო ქვის მთლელი. ქვის მთლელი ეროს რომ დაჰკრავდა, კლდეს გრანიტის დიდრონი ნატეხები სცვიოდა.

_ როგორ? _ წამოიძახა გაოცებულმა კლდემ. _ ზღვის ტალღებს არ მოვუხარე ქედი, ძლიერმა ქარიშხალმა ძვრაც ვერ მიყო, მცხუნვარე მზის სხივებს არ შევუშინდი, ეს საცოდავი კაცი კი ეროს მირტყამს და მე ვერაფერი გამიწყვია. ნუთუ ეს ქვის მთლელი ჩემზე ძლიერიაო?

ამის გაგონებაზე ქვის მთლელმა მიუგო:

_ რა თქმა უნდა, შენზე ძლიერი ვარ, იმიტომ რომ შრომა შემიძლია. იცოდე, ამქვეყნად ადამიანზე ძლიერი არავინ არისო! _ და კვლავ მუშაობას შეუდგა. ეროს ყოველ მოქნევაზე კლდე სულ უფრო და უფრო პატარავდებოდა.

დიდხანს იშრომა ადამიანმა ზღვის პირას. მალე უშველებელი კლდე პატარა რიყის ქვად იქცა. მაგრამ ეს რიყის ქვაც დიდხანს არ დარჩენილა ზღვის სანაპიროზე. ერთხელ ქარიშხალი ამოვარდა და ტალღებმა ზღვაში გადაუძახეს. მალე ქვის ქვეშ პატარა კიბორჩხალებმა მშვენიერი ბინა გაიკეთეს.

<u>სიჭაბუკის მარაო</u>

დიდი ხნის წინათ ახალგაზრდა გლეხს, სახელად მასაოს, მეთევზის ულამაზესი ქალიშვილი ო-ტაკე შეუყვარდა. ო-ტაკესაც შეუყვარდა მასაო. დღედაღამ ორივენი ერთმანეთზე ფიქრობდნენ.

ერთხელ მასაო ქალიშვილს შეხვდა და უთხრა:

_ ხვალ მამაშენს შუამავლები უნდა მივუგზავნოო.

გახარებული ო-ტაკე შინისაკენ გაიქცა. მაგრამ შინ ცუდი ამბავი დახვდა: მის მამას მდიდარი მოხუცი მედუქნე სწვეოდა და ეუბნებოდა:

_ ალბათ გახსოვს, ჩემი ასი რიო რომ გმართებსო?

მეთევზემ თავი დაუკრა მედუქნეს:

_ ვინც ვალებს ივიწყებს, ის მხოლოდ თევზის ლუკმად თუ გამოდგებაო.

_ ჰოდა, ერთ დღეს კიდევ დაგაცდი, ხვალზევით კი სრულად დამიბრუნე ვალი, თორემ ციხეში ჩაგსვამო.

_ ნუ დამღუპავ, ჩემი ქალიშვილი მაინც შეიბრალეო! _ შეჰღაღადა მეთევზემ.

მედუქნემ უთხრა:

_ კარგი, გაპატიებ, მხოლოდ იმ პირობით: ხვალზევით ო-ტაკე ჩემი ცოლი უნდა გახდესო.

ეს თქვა მედუქნემ, ადგა და წავიდა.

დილით კი საჩუქრებით დატვირთული მასაოს შუამავლები ო-ტაკეს მამასთან მივიდნენ და გაიგეს, რომ მეორე დღეს ო-ტაკე მოხუც მედუქნეს უნდა გაჰყოლოდა. შუამავლები სწრაფად დაბრუნდნენ მასაოსთან და ეს სამწუხარო ამბავი შეატყობინეს.

მასაო მაშინვე მეთევზესთან გაიქცა, დაუჩოქა მშვენიერ ო-ტაკეს მამას და შეევედრა:

_ შენი ქალიშვილი სიცოცხლეზე მეტად მიყვარს. მომათხოვე, გეფიცები, ჩემს სიცოცხლეში არ ვაწყენინებო.

მეთევზემ ამოიოხრა.

_ აბა, როგორ მოგათხოვო, შენ ხომ ასი რიო არ გექნება, რომ მომცე და ვალი გავისტუმრო! განა რა ძალა შეგწევს, რომ ციხიდან მიხსნა? სხვა გზა არ არის, ჩემი ქალიშვილი ამ ჩემი უბადრუკი სახლიდან ორ დღეში წავაო.

გამწარებულმა მასაომ წამოიძახა:

_ მირჩევნია აქვე დავბრმავდე, რომ ვერ დავინახო, როგორ გაჰყვება ო-ტაკე მახინჯსა და ხარბ მოხუცს!

მასაო იმავე დღეს წავიდა თავისი მშობლიური სოფლიდან, რომ მეზობელ პროვინციაში დასახლებულიყო სამუდამოდ.

იარა, იარა და ტყეში შემოაღამდა. ღამის გასათევად დიდი ფუღურო შეარჩია, შეძვრა შიგ და დაიძინა. შუაღამისას რაღაც ხმაურმა გამოაღვიძა. მასაომ ფუღუროდან გამოიხედა და დაინახა, ზურგზე ყუთწამოკიდებული კაციჭამია დემონი მოფრინავს. მოფრინდა, იქვე ახლოს მუხასთან დაეშვა, ყუთს თავი ახადა და იქიდან დარბაისელი ბერიკაცი ამოათრია. მერე ღმუილით სტაცა ხელი, მუხაზე მიაბა, დაამთქნარა და უთხრა:

_ მეძინება. გათენებისას გავიღვიძებ და შეგჭამო!

დემონმა ერთხელ კიდევ დაამთქნარა, შემდეგ ხმალი გვერდზე მოიდო და ხვრინვა ამოუშვა.

მასაო ხედავდა, როგორ ცდილობდა ხეზე მიბმული ბერიკაცი თოკის გაწყვეტას. მაგრამ დემონს ისე მაგრად მიება, ბერიკაცმა ვერაფერი გააწყო.

მასაო ფუღუროდან გამოძვრა, უხმაუროდ მიცოცდა ბერიკაცთან და თოკი გადაჭრა. განთავისუფლებულმა ბერიკაცმა მაშინვე ხმალს სტაცა ხელი, მივარდა დემონს, დაჰკრა ხმალი და მძინარე ურჩხული შუაზე გაკვეთა. მერე მდაბლად დაუკრა თავი მასაოს და უთხრა:

_ კეთილო ადამიანო, შენ მე სიკვდილს გადამარჩინე და ამიტომ დაგასაჩუქრებო.

ბერიკაცმა მოკლულ დემონს ქამრიდან მარაო ამოაძრო, რამდენჯერმე გაინიავა და, ჰოი, საკვირველებავ, ბერიკაცი გაახალგაზრდავდა. წუთიც არ იყო გასული, რომ მასაოს წინ უკვე ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცი იდგა.

_ ო, მასაო! დემონმა ეს სიჭაბუკის მარაო მომპარა, _ უთხრა ვაჟკაცმა. _ ახლა შენ გაჩუქებ ამ მარაოს. იცოდე, მოხუცმა კაცმა ხუთჯერ რომ გაინიაოს ამ მარაოთი, უცებ გაახალგაზრდავდებაო.

ეს თქვა და გაოცებულმა მასაომ თვალიც ვერ შეასწრო, როგორ გაქრა უცნობი.

მასაომ ჯადოსნურ მარაოს დახედა და გაიფიქრა: ჩვენს სოფელში თითქმის ყველა ოჯახშია უძლური მოხუცი. მოდი, ამ მარაოთი ყველას გავაბედნიერებო.

ამის გაფიქრებაზე მაშინვე უკან გაბრუნდა. შუადღისას უკვე თავის სოფელში იყო. უცებ დაინახა, რომ მედუქნის სახლთან უამრავ გამოპრანჭულ ხალხს მოეყარა თავი.

_ რა ამბავიაო? _ იკითხა მასაომ.

ვიღაცამ უპასუხა:

_ დღეს მოხუცი მედუქნე ჯვარს იწერს მზეთუნახავ ო-ტაკეზე. მედუქნემ მამამისს ვალი აპატია და თანაც ხუთი მარგალიტი აჩუქა... ქორწილში ჩვენც მივდივართ, თუ გინდა, შენც წამოდიო!

მასაო მედუქნის სახლში რომ შევიდა, სტუმრებს უკვე თავი მოეყარა და პატარძალს უცდიდნენ.

მასაო მედუქნის გვერდით დაჯდა და ისიც დაელოდა ო-ტაკეს.

მალე მხიარული შეძახილები გაისმა: პატარძალი ტახტრევანით მოჰყავდათ.

დაღონებული ო-ტაკე, როგორც წესი და რიგი იყო, სასიძოს პირდაპირ დაჯდა და მაშინვე დაინახა მასაო. მედუქნემ შეამჩნია, რომ პატარძალი მასაოს უყურებდა, გაბრაზდა და ახალგაზრდა გლეხს უთხრა:

_ ახლავე წადი აქედან! მე ჩემს ქორწილში არ დამიპატიჟებიხარო!

მასაო წამოდგა და მიუგო:

_ ო-ტაკეს ბედნიერებისათვის არაფერს დავიშურებ. აჰა, ეს სიჭაბუკის მარაო, ხუთჯერ გაინიავე და გაახალგაზრდავდებიო.

მედუქნემ ხელიდან გამოსტაცა მარაო და გაინიავა. სახეზე მაშინვე გაუქრა ნაოჭები. ჭაღარა თმა გაუშავდა, წელში გასწორდა, თვალები გაუბრწყინდა და, მეხუთეჯერ რომ გაინიავა, დაჩაჩანაკებული ბერიკაცი ორმოცი წლის ბრგე ვაჟ-კაცად გადაიქცა.

_ ახლა კი დამიბრუნე მარაო და წავალო, _ უთხრა მასაომ. _ ჩვენს სოფელში ბევრი მოხუცია. დღესვე ყველანი ახალგაზრდებად იქცევიანო.

მაგრამ მედუქნემ ხელი ჰკრა მასაოს და იყვირა:

_ არ მინდა, ორმოცი წლისა ვიყო. მე მსურს, შენი ხნისა გავხდეო! _ და მეექვსეჯერ დაინიავა მარაო.

უეცრად სტუმრების თვალწინ სასიძო ახალშობილ ბავშვად იქცა. მედუქნის საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილი ახალშობილი ფართხალებდა და ტირილით იკლებდა იქაურობას.

სტუმრებმა სიცილი ვეღარ შეიკავეს.

_ ესეც შენი სასიძო! ახლა მაგას ცოლი კი არა, ძიძა სჭირდებაო.

მასაოს არ დაუცინია მედუქნისათვის, მივიდა ო-ტაკეს მამასთან, გაუწოდა მარაო და უთხრა:

_ აი ჩემი საქორწილო საჩუქარი. ნუთუ სიჭაბუკე ხუთ მარგალიტზე ნაკლები ღირსო?

ვიდრე ო-ტაკეს მამა უპასუხებდა, ქორწილში დაპატიჟებულმა ყველა მოხუცმა თქვა:

_ ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი ახალგაზრდობააო!

ო-ტაკეს მამამ მასაოს საქორწილო საჩუქარი გამოართვა და მეორე დღეს მასაოს და ო-ტაკეს ქორწილი გადაიხადა. ქორწილზე მთელი სოფელი იყო დაპატიჟებული. არ მივიდა მხოლოდ მედუქნე. ან კი როგორ მივიდოდა, როცა ჯერ სიარული არ იცოდა და ჩვრებში იყო გახვეული?

ო-ტაკემ და მასაომ დიდხანს იცოცხლეს უბერებლად, იმიტომ, რომ ო-ტაკეს ქორწინების დღიდან არავინ იცოდა, რა იყო მოხუცებულობა, ყველანი ახალგაზრდები და ჯანმრთელები იყვნენ.

<u>მ ხ დ ა ლ ი კ უ რ ა ტ ა</u>

ერთ კაცს, სახელად კურატას, ძალიან უყვარდა ტრაბახი, ღონიერი და გამბედავი ვარო. ხალხი უჯერებდა და, სოფელში გავლილს რომ დაინახავდნენ, ყველანი პატივისცემით ამბობდნენ ხოლმე:

_ შეხედეთ, შეხედეთ, გულადი და უძლეველი კურატა მოდისო!

ერთხელ ამ ქვეყანაში ომი დაიწყო. სოფლის ყველა მამაკაცი ომში წავიდა, მხოლოდ კურატა დარჩა შინ.

მეზობლებმა უთხრეს:

_ შენ ხომ გულადი და ღონიერი ხარ, რატომ ზიხარ შინ? წადი, მტერს შეებრძოლეო!

კურატას შეეშინდა.

_ მე მხოლოდ ცხენზე ამხედრებული ვიბრძვი. ცხენი რომ მყავდეს, მტერს ერთიანად დავიფრენდიო.

ერთმა მოხუცმა უთხრა:

_ ჩემ ცხენს მოგცემ, წაიყვანე და გასწი ბრძოლის ველზე. მტერი უკვე ჩვენს სოფელს უახლოვდებაო!

ტრაბახა კურატას მაშინვე მოჰგვარეს ცხენი. კურატამ ერთი ალმაცერად გადახედა და თქვა:

_ მე მხოლოდ შავრა ცხენით ვიბრძვი, თქვენ კი თაფლა მოგიყვანიათ! მომგვარეთ შავრა ცხენი და ნახავთ, მტერს რა დღეს დავაწევო!

კურატამ იცოდა, რომ სოფელში არავის ჰყავდა შავრა ცხენი და იმიტომ ამბობდა ასე. მაგრამ, მისდა საუბედუროდ, სწორედ ამ დროს იქვე შავრა ცხენით ვიღაც კაცმა ჩაიარა. კურატას სიტყვებს ყური რომ მოჰკრა, მივიდა კურატასთან, მიესალმა და უთხრა:

_ დიდებულო მეომარო! თუ ასეთი ღონიერი და ძლიერი ხარ, წაიყვანე ჩემი შავრა, ღმერთმა ხელი მოგიმართოს და იაპონიის ყველა მტერი დაგამარცხებინოსო.

რაღა უნდა ექნა კურატას? შეჯდა შავრა ცხენზე და სახიფათო გზას გაუდგა.

ერთი საათიც არ იყო გასული, რომ უამრავ მეომარს მოჰკრა თვალი, მოესმა ყიჟინა, ხმლების ჩახაჩუხი, ცხენების ჭიხვინი. ტრიალ მინდორზე გაცხარებული ბრძოლა იყო გაჩაღებული.

კურატა შიშისაგან ცხენიდან ჩამოვარდა და ბუჩქებში შეძვრა, ცხენი კი მაშინვე სადღაც გაიქცა.

ბრძოლა მთელ დღეს გაგრძელდა. კურატა კი ბუჩქებში იჯდა და შიშისაგან ცახცახებდა. როგორც კი დაღამდა და ბრძოლა შეწყდა, კურატა ბუჩქიდან გამოძვრა და შინისაკენ მოკურცხლა.

უცებ გზაში გაიფიქრა: უცხენოდ როგორ დავბრუნდე? მაშინვე მიმიხვდებიან, რომ გამექცა. მე კი ვამბობდი, ბრძოლა მხოლოდ ცხენით შემიძლია-მეთქი. რამე უნდა მოვიგონო!

ამ დროს გზაზე ვიღაცის მოკლული ცხენი დაინახა.

_ მოვიგონე, მოვიგონეო! _ დაიყვირა გახარებულმა, მივარდა ცხენს და კუდი მოსჭრა.

გათენებისას კურატა სოფელში შევიდა. მეზობლები მაშინვე შემოეხვივნენ და ბრძოლის ამბავი ჰკითხეს.

კურატას წარბიც არ შეუხრია, ისე მოჰყვა ტყუილებს:

_ ხუთი კაცის მაგივრად ვიბრძოდი! ხუთისა კი არა, ათის მაგივრად. ვისაც შემოვკარ, ფეხზე არ დამიტოვებია! ჩემი შავრა მათ გათელვას ვერც კი ასწრებდაო.

_ შენი დიდებული შავრა სადღაა? _ გაახსენდათ მეზობლებს.

_ ჩემი საბრალო ცხენი სწორედ ბრძოლის დასასრულს მოკლესო, _ თქვა კურატამ და თავი ისე დაიჭირა, თითქოს ძალზე გულდაწყვეტილი იყო. _ მოკლეს ჩემი კარგი შავრა! სახსოვრად მხოლოდ ეს კუდიღა დამრჩა. წამოსვლის წინ მოვაჭერიო.

სწორედ ამ დროს მზე ამოვიდა და ყველამ დაინახა, რომ კურატას ხელში თეთრი კუდი ეჭირა. თურმე სიბნელეში თეთრი ცხენისათვის მოეჭრა კუდი.

_ ე-ე-ე! _ დაიყვირეს გლეხებმა. _ როდის იყო, შავრა ცხენებს თეთრი კუდები ჰქონდათო!

კურატამ ვეღარაფერი თქვა. ყველა მიხვდა, რომ კურატა ყოველთვის ცრუობდა, როცა თავის ვაჟკაცობაზე ლაპარაკობდა.

ამის შემდეგ სოფელში გავლილს რომ დაინახავდნენ, ზიზღით ამბობდნენ:

_ შეხედეთ, შეხედეთ, ტრაბახა და მშიშარა კურატა მოდისო!

<u>სამკუთხა სიზმარი</u>

ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა. ერთ ქალაქში ცხოვრობდა ორი მეგობარი: ტეპეიროკუ და ხატიკორობეი. ახალი წლის წინა დღეს მოილაპარაკეს: პირველად რა სიზმარსაც ნახავდნენ, მაშინვე ეამბნათ ერთმა-

ნეთისათვის. მასლაათში და ღვინის სმაში ხატიკორობეის ჩათვლიმა. ძილში სიცილი აუტყდა: ხა-ხა-ხა, ხი-ხი-ხი. ტეპეიროკუმ ხელი წაჰკრა მეგობარს.

_ ხატიკორობეი, შენ უკვე პირველი სიზმარი ნახე. ეტყობა, კარგი რამეა, აბა, ჩქარა ჩამოკაკლე, რა დაგესიზმრაო.

_ რას მიჰქარავ! მართალია, ცოტა ჩავთვლიმე, მაგრამ ძილით არ მძინებიაო!

_ ახლა ტყუილებიც დაიწყე? მაშ, ვინ იყო, რომ ხვრინავდა და ხითხითებდა, თითქოს უღიტინებენო. გეძინა და სიზმარიც ნახე, ჩქარა მიამბე, სული მიმდისო!

_ არ ვიცი, ვხითხითებდი თუ რასა ვშვრებოდი, მაგრამ დამიჯერე, სიზმარი არ მინახავს. რას ჩამაცივდი, ჩემი თავისა მე უკეთ არ ვიცი? არ მინახავს, მორჩა და გათავდაო!

_ არა, სტყუი, ნახე, ნახე! შე წუწურაქო, გინდა სიზმარი შეიტყაპუნოო!

აყვირდნენ ორივენი: ერთი ყვიროდა, მე გატყობ, რომ სიზმარი ნახეო. მეორე ეუბნებოდა, არა, არ მინახავსო. აჰყვნენ ერთმანეთს, ერთმა უთხრა მკვახე სიტყვა, არც მეორე დარჩა ვალში და გაჩაღდა ჩხუბი. ბოლოს კი საქმე იქამდე მივიდა, ტეპეიროკუმ ხატიკორობეი სასამართლოში წაათრია.

მოსამართლე დაჟინებით მოითხოვდა:

_ გამოტყდი, ახალი წლის ღამეს რა დაგესიზმრაო, _ მაგრამ ხატიკორობეი ჯიუტობდა, რაც არ მინახავს, არ მინახავსო. გაბრაზდა მოსამართლე და ბრძანა, ხატიკორობეი მიებათ ფიჭვის ხის კენწეროზე, გოტენის მთაზე.

გიყვარდეს, ქარმა იქ კარგად გააქან-გამოაქანა ხატიკორობეი.

შუაღამისას გაისმა ფრთების ტყლაშუნი. უეცრად გამოჩნდა ტენგუ[1] და ნელ-ნელა დაეშვა ფიჭვის ხეზე.

_ ჰეი, ვინ არის აქ, ხმა გამეციო!

_ მე ვარ, ხატიკორობეი მქვიაო.

_ ამ შუაღამისას ხის კენწეროზე რა გინდაო?

_ მოსამართლე ძალას მატანს, გამოტყდი, რომ სიზმარი ნახეო. მე კი არ მინახავს. ხეზე ამიტომ მიმაბესო.

_ უი, შე საბრალო, მე ჩამოგხსნიო.

_ მადლობელი ვარ, ბატონო ტენგუ, მაგრამ ძალიან მინდა გავიგო, როგორ დაფრინავ. ალბათ ძალიან ძნელი იქნებაო.

_ სრულებითაც არ არის ძნელი. დიდი არაფერია. ყველა შეძლებს ფრენას, ვინც ტენგუს საუნჯეს ხელში ჩაიგდებსო.

_ ტენგუს საუნჯე რაღა არისო?

_ აი, ეს არის, უყურე! ხედავ ამ ჯოხს? ერთი შეხედვით უბრალოა, მაგრამ სასწაულებს ახდენს. თუ ცაში გინდა აფრინდე, დაიქნევ ამ ჯოხს და იტყვი: ‘სიტიარაკატიანტიან, სიტიარაკატიანტიან». თუ მიწაზე ჩამოფრენა გინდა, დაიქნევ ჯოხს და იტყვი: ‘ოძუიძუინოძუი, ოძუიძუინოძუი», ეს არის და ეს. ჰო, აი, კიდევ რას გეტყვი: შენ მარწმუნებ, სიზმარი არ მინახავსო. სინამდვილეში კი სიზმარი ნახე და თანაც როგორი სიზმარი! თუ გინდა, გავცვალოთ. შენ მომეცი შენი სიზმარი, მე ჩემს ჯადოსნურ ჯოხს მოგცემო.

_ თუ ჯოხი მართლა ჯადოსნურია, გავცვალოთ. ოღონდ, წინასწარ გამოვცადოთ, მაგ შენს ჯოხს რა სასწაულის მოხდენა შეუძლიაო.

_ აჰა, გამოსცადეო, _ უთხრა ტენგუმ და მიაწოდა ჯოხი.

ხატიკორობეიმ დაიქნია ჯოხი და შესძახა: 'სიტიარაკატიანტიან, სიტიარაკატიანტიან». უეცრად ცაში აფრინდა. ხატიკორობეის ისე ესიამოვნა ფრენა, უკან დაბრუნება აღარ უნდოდა. უცადა, უცადა ტენგუმ და ბოლოს ხმამაღლა შესძახა:

_ ხატიკორობეი, გეყოფა ფრენა, დამიბრუნე ჩემი საუნჯე. არ მინდა შენი სიზმარი, ოღონდ ჯოხი დამიბრუნეო.

ხატიკორობეი კი, ვითომც არაფერიო, მიფრინავდა და მიფრინავდა. რა ექნა საწყალ ტენგუს?

კიდევ დიდხანს იფრენდა ხატიკორობეი, შიმშილს რომ არ შეეწუხებინა. მეტი რა გზა ჰქონდა, ძირს უნდა ჩამოფრენილიყო. თქვა: 'ოძუიძუინოძუი, ოძუიძუინოძუი», დაიქნია ჯოხი და ნემატაში დაეშვა. მაშინვე მიიხედ-მოიხედა, სად წავისაუზმოო. იქვე ახლოს ერთი სახლი დაინახა. სამკუთხედ აბრაზე ეწერა: 'სამკუთხა სასაუზმე».

უცნაური წარწერაა, ნეტავ რას უნდა ნიშნავდესო, _ გაიფიქრა ხატიკორობეიმ, _ წიწიბურას მარცვალია სამკუთხა. იქნება ამის შეჭამანდს აკეთებენო.

კარზე დააკაკუნა.

_ ეი, რომელია აქ უფროსი: წიწიბურას შეჭამანდი ხომ არა გაქვთო?

კაკუნზე გამოვიდა კურდღლისტუჩა მედუქნე.

_ შინ შემობრძანდით, აი, ამ კიბით ზევით ამოდითო.

ავიდა ხატიკორობეი ზემო სართულზე და სამკუთხა ოთახში ამოყო თავი.

_ ხომ არ ინებებთ, ჯერ იბანაოთო?

ხატიკორობეი შევიდა აბანოში და რას ხედავს, აბაზანაც სამკუთხაა. კურდღლისტუჩა იქ იყო და ცეცხლს აგიზგიზებდა. ხატიკორობეიმ კარგა გემრიელად იბანავა.

_ აბა, ახლა ბლომა შეჭამანდი მომართვითო.

მაშინვე წინ დაუდგეს პატარა მაგიდა, ისიც სამკუთხიანი იყო.

მე ისე ვატყობ, აქ ყველაფერი სამკუთხიანიაო, _ გაიფიქრა ხატიკორობეიმ და საჭმელს მადიანად შეექცა.

უეცრად მაგიდაზე სამკუთხა ბაყაყი შემოხტა.

ხატიკორობეი ჭამას მორჩა თუ არა, კურდღლისტუჩამ ფულის გადახდა მოსთხოვა.

რა ექნა ხატიკორობეის, ჯიბეში ერთი გროშიც არ ედო.

_ არ გადავიხდი ფულს: შენს საჭმელზე ბაყაყები დახტიანო.

_ ნახეთ ერთი, რა მოიგონა! ახლავე გადაიხადე ფული, მუქთად გინდა გამოხვიდეო? _ შეედავა კურდღლისტუჩა და გაიმართა დაკა-დაკა.

კურდღლისტუჩამ ისეთი მუშტი უთავაზა, რომ ხატიკორობეი კიბეზე დაგორდა, თავი სამკუთხა ბოძს მიარტყა და შუბლზე სამკუთხა კოპი დააჯდა.

ხატიკორობეიმ სიმწრისაგან შეჰყვირა, თვალები დააჭყიტა და გაუხარდა, ყველაფერი სიზმარში მომხდარაო.

_ ჰა, მითხარი! ამ ახალი წლის ღამეს რა სიზმარი ნახეო, _ ეუბნებოდა მეგობარი.

მოხერხებული პატარძალი

ერთ სოფელში მდინარის მახლობლად ერთი მოხუცი გლეხი ცხოვრობდა. ორი ქალიშვილი ჰყავდა. ხელმოკლე ბერიკაცი დილიდან საღამომდე თოხით ჩიჩქნიდა თავის ერთ მტკაველ მიწას, მაგრამ მიწა ისეთი მწირი იყო, რომ მოსავალი ნახევარ წელიწადსაც არ ჰყოფნიდათ.

ერთხელ გლეხი თავის ნაკვეთში მუშაობდა. ცოტა ხანს რომ იმუშავა, მასთან მდიდრულ კიმონოში გამოწყობილი ვიღაც კაცი მივიდა და უთხრა:

_ დილა მშვიდობისა, მეგობარო! მზე ჯერ არ ამოსულა, შენ კი უკვე მინდორში ხარ. ასე ძალიან თავს რატომ იწუხებო?

_ მზეს უნდა დავასწრო ადგომა, თორემ მე და ჩემი ქალიშვილები შიმშილით დავიხოცებითო, _ უპასუხა გლეხმა.

_ მებრალები, მოდი, შენ დაისვენე, მე გაგითოხნიო, _ უთხრა უცნობმა.

გლეხს ეუხერხულა.

_ გმადლობთ, კეთილო ადამიანო, მაგრამ მე ძალიან ღარიბი ვარ და გასამრჯელოს ვერ მოგცემო.

უცნობმა ხელები მუხლებზე დაიბჯინა და გლეხს თავი დაუკრა:

_ შენი ერთ-ერთი ქალიშვილი მომათხოვე და გავსწორდებითო.

გაუხარდა ღარიბ გლეხს, ჩემს ქალიშვილს ასეთი ზრდილობიანი, შრომისმოყვარე ქმარი ეყოლებაო, და უარი არ უთქვამს:

_ კარგი, თანახმა ვარო.

გლეხი შინ დაბრუნდა და უფროს ქალიშვილს უთხრა:

_ ბედი გქონია, გიხაროდეს, ერთი კეთილი და შრომისმოყვარე კაცი ცოლად გთხოულობს. ის კაცი ახლა ჩვენს მინდორში მუშაობსო.

ქალიშვილი ფანჯარასთან მივიდა, მინდორს გახედა და დაიყვირა:

_ მამა, მამა, შეხედე, ის ხომ კაციჭამია ჯადოქარიაო!

გლეხი ფანჯარასთან მივიდა და თავის მიწის ნაკვეთზე საზიზღარი ბანჯგვლიანი მაიმუნი დაინახა.

უფროსი ქალიშვილი ატირდა:

_ ეს რა ჩაიდინე! ეს ხომ აქაური ტყიდან მოსული კაციჭამიაა. რამდენი ქალიშვილი შეუჭამია, ახლა წამიყვანს და მეც შემჭამსო.

თავზარდაცემული მამა ხმას ვეღარ იღებდა.

_ ნუ გეშინია, დაო, _ თქვა უცებ უმცროსმა ქალიშვილმა. _ მამა, შენც ნუ დაღონდები. კაციჭამიას უთხარი, რომ თანახმა ვარ, ცოლად გავყვე. ოღონდ, მზითვად ლამაზი მარაო და დიდი ქოთანი გამატანეთო.

მზის ჩასვლისას მაიმუნმა კვლავ ადამიანის სახე მიიღო. კაციჭამია გლეხის სახლში შევიდა, მიესალმა და უთხრა:

_ ჩემი დანაპირები შევასრულე, მინდორი დავამუშავე, ახლა შენ შეასრულე შენი პირობა _ ერთ-ერთი ქალიშვილი მომათხოვეო.

გლეხმა უმცროს ქალიშვილზე მიუთითა:

_ ეს არის შენი საცოლე. მაგრამ არ მინდა, ჩემი ქალიშვილი უმზითვოდ გაგატანო. ხვალ შუადღისას მოდი და ყველაფერი მზად გვექნებაო.

_ კარგიო! _ დაჰყაბულდა კაციჭამია. _ ხვალ ზუსტად შუადღისას მოვალო.

როგორც კი კაციჭამია გაუჩინარდა, გლეხი მაშინვე დუქნისკენ გაეშურა და თავისი უკანასკნელი ფულით კუს ბაკნის მარაო და დიდი ქოთანი იყიდა. მეორე დღეს, ზუსტად შუადღისას, კაციჭამიამ თავის მსხვერპლს მიაკითხა. პატარძალს თეთრი საქორწილო ტანსაცმელი ეცვა, ხელში ახალი, ლამაზი მარაო ეჭირა და საქმროს უცდიდა. დაინახა თუ არა, უთხრა:

_ მე უკვე მზადა ვარ, მაგრამ ამ ქოთანს რა ვუყო? ჩემი მზითვია და ვერ დავტოვებო.

კაციჭამიამ ალმაცერად შეხედა ქოთანს და ჩაიბუტბუტა:

_ ვინ გეუბნება, დატოვეო, წამოიღე, თუ ასე ძალიან გინდაო...

_ აბა, რას ამბობო! _ წამოიძახა პატარძალმა. _ ვერ ხედავ, რამოდენაა, როგორ მოვერევიო!

_ კარგი, მე წამოვიღებ, ოღონდ მალე წავიდეთო, _ აჩქარდა კაციჭამია.

_ შენ რომ წამოიღო, ორივე ხელი დაკავებული გექნებაო, _ უთხრა პატარძალმა.

_ მერე რა, მქონდესო! _ იყვირა გაბრაზებულმა კაციჭამიამ.

_ მერე, მდინარეზე როგორ გადავიდეო? _ ჰკითხა საცოლემ. _ იქ ისეთი ვიწრო და მორყეული ხიდებია, შენს ხელს რომ არ დავეყრდნო, შიშისაგან მოვკვდებიო.

_ მაშინ, დავტოვოთ ეს უკუღმართი ქოთანი. ხვალ მოვალ და წამოვიღებო.

_ არა, არა, უსათუოდ თან უნდა წავიღო. იცი, რა მოვიფიქრე? მოდი, ქოთანს ზურგზე აგკიდებ და ყველაფერი მოგვარდება, მდინარეზე გადასვლაშიც მიშველიო.

_ კარგიო, _ დაეთანხმა კაციჭამია. _ ჩქარა ამკიდე ქოთანი და გზას გავუდგეთო!

გულში კი გაიფიქრა: ერთი ტყეში შეგიყვანო და იქ გაჩვენებ სეირსო!

გოგონამ მაგრად მიაბა ზურგზე უშველებელი ქოთანი, გამოემშვიდობა მამას, დას და საქმროსთან ერთად გზას გაუდგა. წინ კაციჭამია მიდიოდა, უკან საცოლე მისდევდა და წარამარა თავის მარაოს აქებდა.

_ ოჰ, რა შესანიშნავი მარაოა! დარწმუნებული ვარ, ამაზე უკეთესი წარჩინებული სამურაის ქალიშვილსაც კი არ ექნება! ალბათ ჯავრისაგან მოვკვდები, ეს მარაო რომ დამეკარგოს!

კაციჭამიას ესმოდა საცოლეს სიტყვები და გაბრაზებული ფიქრობდა: მოიცა, მალე მოგიღებ ბოლოს! მდინარის გაღმა უკვე ხის კენწეროებს ვხედავ, სწორედ იქ შეგჭამო!

მალე მდინარესთან მივიდნენ. მდინარეზე ხის ხიდი იყო გადებული. კაციჭამიამ ხელი ჩასჭიდა ქალიშვილს და ხიდზე შედგნენ. შუა მდინარემდე რომ მივიდნენ, ქალიშვილი შეშინებული აყვირდა:

_ მოიცადე, მოიცადე! მარაო წყალში ჩამივარდა, ჩემი ლამაზი მარაო! ვაიმე, ეს რა უბედურებაა!

_ აბა, ეს რა უბედურებაა, _ გაცეცხლდა კაციჭამია. _ შინ იმდენი ძვირფასი მარაო მაქვს, ვერც კი დათვლი. ვიჩქაროთ და შენი თვალით ნახავ. გარწმუნებ, ერთი საათის შემდეგ შენი მარაო აღარც გეხსომებაო.

რა თქმა უნდა, გლეხის ქალი მაშინვე მიხვდა, რატომ აჩქარებდა კაციჭამია. სახეზე ხელები მიიფარა, ვითომ ტიროდა, და გულსაკლავად წამოიკვნესა:

_ ეს მარაო ჩემმა ძვირფასმა მამამ მაჩუქა! ნუთუ არ იცი, როგორი გაფრთხილება უნდა მშობლის საჩუქარს! არა, არა, ღმერთები დამსჯიან მშობლის საჩუქრის დაკარგვისათვის, გევედრები, ჩემი ძვირფასი მარაო ამომიღეო.

_ კარგი! _ დაუყვირა კაციჭამიამ. _ ამოგიღებ მარაოს! აქ იდექი და არ გაინძრე, თორემ წყალში ჩავარდებიო.

კაციჭამია ხიდიდან ნაპირზე დაბრუნდა და წყალში შევიდა.

_ კიდევ გადადგი რამდენიმე ნაბიჯი, მარაო ცოტა იქით ჩავარდაო, _ უთხრა ქალიშვილმა კაციჭამიას.

კაციჭამია კიდევ უფრო ღრმად შევიდა წყალში და ხელები მდინარის ფსკერზე მოაფათურა.

_ მანდ არა, მანდ არაო! _ უყვიროდა საცოლე.

კაციჭამიას ახლა წყალი უკვე მკერდამდე სწვდებოდა.

_ სულ ცოტა დაგრჩა, სულ ცოტა! _ იძახდა ქალიშვილი. _ მარაო შენს ფეხებთან გდია, კარგად ვხედავ. მალე ჩაყვინთე, თორემ დინება წაიღებსო.

კაციჭამიას დაავიწყდა ზურგზე აკიდებული უშველებელი ქოთანი და ღრმად ჩაყვინთა წყალში. ქოთანი სწრაფად აივსო წყლით და კაციჭამია მაშინვე ჩაითრია ფსკერზე. ბევრი იწვალა კაციჭამიამ, მაგრამ ვერა და ვერ ამოვიდა წყლიდან. ქოთანი ძალიან მაგრად ჰქონდა მიკრული ზურგზე.

ასე იხსნა გასაჭირისაგან გლეხის ქალიშვილმა თავისი თავიც და უფროსი დაც.

მას შემდეგ ხალხი ამბობს: უბედურებას ცრემლით კი არა, ჭკუით უნდა შეებრძოლოო.

კეთილი და ხარბი

ოდესღაც ერთ სოფელში ცხოვრობდა მოხუცი ხანასაკა. ხანასაკას ქოხის წინ ლამაზი ალუბლის ხე ხარობდა.

ერთ დილას, მზე ჯერ არც კი იყო ამოსული, ხანასაკამ ალუბლის ძირში გაძვალტყავებული ძაღლი დაინახა. კეთილ ხანასაკას შეეცოდა მშიერი ძაღლი, აჭამა და თავის ქოხში შეიყვანა.

დადგა ალუბლის აყვავების დრო. ერთხელ ხანასაკა სახლიდან გამოვიდა, რომ აყვავებული ხის მზერით დამტკბარიყო. უკან ძაღლი მოჰყვებოდა. უცებ ძაღლმა აყვავებულ ალუბალთან მიირბინა და ძირში თათებით მიწას დაუწყო ფხოჭნა.

_ მოშორდი, ხეს ფესვები არ დაუგლიჯო, თორემ ჩემს საყვარელ ალუბალს დამიღუპავო, _ გაუჯავრდა ხანასაკა.

მაგრამ ძაღლი მაინც თხრიდა მიწას.

გაბრაზებული ხანასაკა ალუბლის ხესთან მივარდა, რომ ძაღლისათვის ეცემა, მაგრამ ამ დროს დაინახა, ძაღლს დიდი ყუთი ამოეთხარა. გაოცდა ხანასაკა. ყუთს ფრთხილად ახადა თავი და, რას ხედავს! ყუთი ვერცხლის ფულით იყო სავსე.

გახარებულმა ხანასაკამ იმავე დღეს მეზობლებს უამბო განძის ამბავი. ხანასაკას მეზობლად ერთი მდიდარი და ხარბი მოხუცი ცხოვრობდა. იმასაც გაეგო, ხანასაკას ძაღლმა განძი იპოვაო, მივიდა ხანასაკასთან და უთხრა:

_ რა კარგი ძაღლი გყავს, ხანასაკა-სან, რა მშვენიერი! ნება მომეცი, ცოტა ხანს ჩემს ბაღში გავასეირნოო.

ხანასაკამ არ აწყენინა მეზობელს და ნება დართო, მზის ჩასვლამდე ასეირნეო.

მდიდარმა ძაღლი თავის ბაღში შეიყვანა და უბრძანა:

_ ეძებე განძი!

მაგრამ ძაღლს ყურიც არ გაუბარტყუნებია, დაწვა ბილიკზე, დაამთქნარა და თვალები დახუჭა.

_ ჰაი, შე ზარმაცო ლეშო! _ გაუწყრა მდიდარი და ჯოხით დაუწყო ცემა, _ მოძებნე ახლავე განძი! ესეც შენ! ესეც შენაო!

ნაცემი ძაღლი წამოხტა, კვიპაროსის ძირში მიირბინა და თხრა დაიწყო.

_ სწრაფად, სწრაფად მოთხარეო! _ აჩქარებდა ხარბი მდიდარი და არც ერთი ნაბიჯით არ შორდებოდა.

უცებ დაინახა, ძაღლმა დიდი ჟანგიანი ყუთი ამოთხარა.

_ განძი ვიპოვე, განძი ვიპოვეო, _ წამოიყვირა გახარებულმა მდიდარმა და ყუთს სახურავი ააგლიჯა.

უცებ ყუთიდან სისინით, წივილითა და სტვენით ამოცოცდნენ საზიზღარი გველები, ხვლიკები, ობობები, გომბეშოები და ღამურები.

_ ჰაი, შე საძაგელო არსებავ! _ დაიღრიალა გაშმაგებულმა მდიდარმა და ძაღლს ისე ჩასთხლიშა თავში, უგრძნობლად დასცა მიწაზე.

ულმობელმა მოხუცმა მკვდარი ძაღლი გზაზე გაათრია, ფიჭვის ძირას დამარხა და ხანასაკასთან მივიდა.

_ შენმა ძაღლმა ფეხები გაფშიკა, _ უთხრა გულმოსულმა. _ გზის პირას, ფიჭვის ძირას დავმარხეო...

ნაღვლიანი ხანასაკა დიდხანს იდგა თავისი ძაღლის საფლავთან. შემდეგ ფიჭვი მოჭრა და როდინი გამოთალა.

_ როცა ამ როდინში მარცვალს დავნაყავ, ყოველთვის ჩემი ძაღლი გამახსენდებაო.

იმავე საღამოს ხანასაკამ როდინში ერთი პეშვი ბრინჯი ჩაყარა დასანაყად და საოცარი რამ მოხდა: როდინი სწრაფად აივსო ბრინჯით. მაგრამ ყველაზე დიდი საოცრება ის იყო, რამდენჯერაც როდინიდან ბრინჯი ამოიღო, იმდენჯერვე ისევ გაივსო პირამდე.

მალე ხანასაკას ქოხში ყველა ტომარა სავსე იყო დარჩეული სუფთა ბრინჯით.

გაოცდა მდიდარი მეზობელი, ხანასაკას ამდენი ბრინჯი საიდან აქვსო. ერთ მშვენიერ დღეს მივიდა ხანასაკასთან, თავი დაუკრა და ეშმაკურად ჰკითხა:

_ პატივცემულო ხანასაკა-სან, ამდენი საუკეთესო ბრინჯი საიდანა გაქვსო?

გულმართალმა ხანასაკამ მეზობელს არც ახლა დაუმალა სიმართლე.

მაშინ ხარბი მდიდარი საცოდავად შეევედრა:

_ ძვირფასო ხანასაკა-სან, ერთი დღით მათხოვე შენი როდინი. მხოლოდ ერთი დღით. ჩემი სულ თაგვებმა დახრეს და ბავშვები შიმშილით მეხოცებიანო.

კეთილმა ხანასაკამ დაუჯერა მატყუარას და ჯადოსნური როდინი მისცა.

მდიდარი მაშინვე შინ გაიქცა, როდინში მარცვალი ჩაყარა, რომ დაენაყა, მაგრამ მოხდა საოცრება: როდინიდან ამოფრინდნენ შხამიანი ბუზები, კოღოები, კრაზანები, ქინქლები, ბზუილით დაესივნენ გულქვა კაცს და დაკბინეს.

მდიდარმა კაცმა ხელი დასტაცა როდინს და ანთებულ ბუხარში შეაგდო. ჯადოსნური როდინი დაიწვა, მხოლოდ ნაცრის გროვაღა დარჩა.

მეორე დღეს ხანასაკა მეზობელთან მივიდა და თავისი როდინი მოსთხოვა. მდიდარმა უთხრა:

_ შენი როდინი ჭკუაზე შეცდა: ცეცხლში ჩახტა და დაიწვაო.

ხანასაკა შეწუხდა:

_ ეგ როდინი ჩემს კეთილ ძაღლს მაგონებდა. როდინიდან დარჩენილი ნაცარი მაინც მომეციო.

_ წაიღე, ნაცარს როგორ დაგიკავებო, _ უთხრა მდიდარმა.

ხანასაკამ ხელისგულზე ცოტა ნაცარი დაიყარა და დაღონებული გაბრუნდა შინისაკენ. ზამთარი იდგა, ხეები თოვლით იყო დაფარული. როცა ხანასაკა თავის ქოხთან მივიდა, ამოვარდა ქარი, ხელისგულზე დაყრილ ნაცარს დაუბერა და ალუბლის ხეს შეაფრქვია. და უეცრად სასწაული მოხდა: ყველას თვალწინ ალუბლის ხე ნაზი ყვავილებით დაიფარა.

როცა ეს ამბავი ხარბმა მეზობელმა გაიგო, დიდად გაიხარა:

_ ახლა კი გავმდიდრდებიო! _ დამწვარი როდინის ნაცარი მოხვეტა და პროვინციის მმართველის სასახლის ეზოსკენ გაიქცა.

სასახლესთან მდიდარი კაცი მცველებმა შეაჩერეს.

_ მოახსენეთ კეთილშობილ მმართველს, რომ შუა ზამთარში შემიძლია ყოველი ხე ავაყვავოო, _ უთხრა მცველებს.

მცველებმა მოხუცის ნათქვამი მმართველს მოახსენეს. გაოცდა მმართველი, გამოვიდა გარეთ, ერთი ვნახო, ვინ არის, რომ ზამთარში ხის აყვავება შეუძლიაო. მერე ვაშლის ხესთან შეჩერდა და მოხუცს უთხრა:

_ აი, ეს ვაშლის ხე ააყვავე და გულუხვად დაგასაჩუქრებო.

ხარბი მდიდარი მარჯვედ აძვრა ხეზე და დიდხანს არც უფიქრია, ტოტებს ერთი ქუდი ნაცარი გადააყარა. ნაცარი იმდენი იყო, რომ მმართველსაც კი ამოევსო თვალები, ცხვირი, ყურები და პირი. ხე კი, როგორც იყო, ისევე დარჩა.

_ მატყუარა ყოფილა ეს კაცი. ეჰეი, მცველებო! ახლავე შეიპყარითო! _ ბრძანა გაბრაზებულმა მმართველმა.

მცველებმა ჩამოაგდეს ხიდან მდიდარი კაცი და ისე სცემეს ჯოხებით, რომ ცოცხალ-მკვდარი მილასლასდა შინ.

მას შემდეგ ახლოსაც არ გაჰკარებია ხანასაკას ქოხს.

<u>გოგონა, თევზი და მაიმუნი</u>

სოფელ კატანოში ერთი გლეხი ცხოვრობდა. ჰყავდა ცოლი და ერთი კეთილი და მხიარული გოგონა.

ერთხელ გოგონას დედა ავად გახდა და გარდაიცვალა. ერთი წლის შემდეგ მამამ ცოლად შეირთო მეზობლად მცხოვრები ბოროტი და უშნო ქალი.

დედინაცვალს არ უყვარდა გერი, სულ ლანძღავდა და ყველაზე ძნელ სამუშაოს აკეთებინებდა.

ერთ ზაფხულს დედინაცვალმა გოგონას უბრძანა, წყლით დატბორილი ბრინჯის ყანა გაემარგლა. გოგონა წავიდა გასამარგლად. მივიდა ყანაში და დაინახა, რომ ვიღაც ბიჭმა ბადით თევზი დაიჭირა.

_ ეგ თევზი რად გინდაო? _ ჰკითხა გოგონამ.

_ კატას უნდა ვაჭამოო.

გოგონას თევზი შეეცოდა და მეთევზეს სთხოვა:

_ მე მომეციო.

_ ამას დამიხედეთ! _ გაბრაზდა ბიჭი. _ შენთვის კი არ დამიჭერიაო.

_ კარგი, რახან არ მაძლევ, ცერცვზე გამიცვალეო, _ უთხრა გოგონამ. _ მე ერთ მუჭა ცერცვს მოგცემ, შენ კი თევზი მომეციო.

_ თანახმა ვარ, შენ ცერცვი მომეცი, მე თევზს მოგცემო, _ დაჰყაბულდა ბიჭი.

გოგონამ გამოართვა მომაკვდავი თევზი და მდინარეში ჩაუშვა. თევზი მაშინვე გამოცოცხლდა, ულვაშები შეარხია და წყლის ფსკერზე დაეშვა.

მეორე დღეს დედინაცვალმა გოგონა კიდევ გაგზავნა ბრინჯის გასამარგლად. როგორც კი გოგონა მდინარესთან მივიდა, დაინახა, რომ მისი გადარჩენილი თევზი ნაპირთან დაცურავდა. დროდადრო წყლიდან ამოხტებოდა და ისევ ფსკერზე ჩასრიალდებოდა. გოგონამ ერთი მუჭა ბრინჯი გადაუყარა და გზა განაგრძო.

ამის შემდეგ გოგონა ყოველდღე მიდიოდა მდინარესთან და თევზს ბრინჯს უყრიდა.

ერთ დღეს დედინაცვალმა დაინახა, რომ მისი გერი ბრინჯს უყრიდა თევზს.

_ ჰაი, შე საძაგელო! მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა აჭამო თევზს ბრინჯი! _ დასჭექა და იქვე, მდინარის პირას, ისე მაგრად სცემა, რომ გოგონა კარგა ხანს ვერ წამოდგა ფეხზე.

თევზმა ყველაფერი დაინახა და შეწუხდა: ბოროტმა ქალმა გოგონა ჩემი გულისათვის დასაჯა, ახლა ვერასოდეს ვეღარ ვნახავო.

როგორ გაოცდა თევზი, როცა რამდენიმე დღის შემდეგ გათენებისას მასთან კვლავ მოირბინა გოგონამ, ბრინჯის რამდენიმე მარცვალი გადაუგდო და უთხრა:

_ ნუ გამიჯავრდები, ამის მეტი არა მაქვს. დედინაცვალი ახლა სამ დღეში ერთხელ მაძლევს ერთ მუჭა ბრინჯს!

დედინაცვალს ალბათ უნდოდა გერი შიმშილით მოეკლა, მაგრამ გოგონა მინდორში ბალახის ფესვებს აგროვებდა და ღამღამობით ჭამდა, რომ დედინაცვალს არ გაეგო.

დედინაცვალმა რაკი ამით ვერაფერი გააწყო, გადაწყვიტა, გერი სხვა გზით მოეშორებინა თავიდან. მან იცოდა, რომ შორეული ტყის გადაღმა ერთი ღრმა ტბა იყო, ამ ტბის ფსკერზე კი დრაკონი ცხოვრობდა.

ერთხელ დედინაცვალმა ალერსიანად უთხრა გოგონას:

_ ჩემო კარგო, ხომ იცი, როგორ მიყვარს ქრიზანთემა. შორეული ტყის გადაღმა, მორევის ნაპირზე, ათასნაირი ყვავილი ხარობს. ძალიან გთხოვ, წითელი ქრიზანთემები დამიკრიფე და, უკან რომ დაბრუნდები, აბრეშუმის კიმონო იყიდე შენთვის. აჰა, ფული წაიღეო.

მორჩილი გოგონა ტბისკენ გაეშურა. გზად ტყეში უნდა გაევლო. ტყეში რომ შევიდა, უეცრად მონადირე დაინახა. მშვილდი მოეზიდა და კვიპაროსის კენწეროზე შემომჯდარ მაიმუნს უმიზნებდა.

_ არ მოკლა, არ მოკლაო! _ დაიყვირა გოგონამ.

_ ვაჰ, რატომ არ უნდა მოვკლა, მაიმუნის ტყავში ფულს მომცემენო! _ უთხრა მონადირემ.

გოგონამ სწრაფად ამოიღო თავისი ფული და მონადირეს გაუწოდა.

_ აჰა, ფული, აიღე, ოღონდ ამ საცოდავ მაიმუნს ხელს ნუ ახლებო.

_ ეს სხვა საქმეაო! _ თქვა კმაყოფილმა მონადირემ და შინისაკენ გაბრუნდა.

გოგონამ კი ხელი დაუქნია მაიმუნს და გზა განაგრძო.

ტბის სანაპიროზე შორიდანვე დაინახა უამრავი ყვავილი, ზედ წყლის პირას კი წითელი ქრიზანთემები ყვაოდა.

მრისხანე დრაკონიც სწორედ იმას ელოდა, რომ ამ წყნარი ტბის ზედაპირზე ადამიანის ჩრდილი დაცემულიყო.

გოგონა სულ ახლოს მივიდა ტბასთან. კიდევ წუთიც, მისი ჩრდილი წყალზე დაეცემოდა და უკვე ვეღარავინ იხსნიდა დრაკონისაგან.

მაგრამ, როგორც კი გოგონა ტბას მიუახლოვდა, წყლის ზედაპირზე თევზების ქარავანი გამოჩნდა. ისინი ნაპირთან ირეოდნენ, კუდს ატლაშუნებდნენ და წყალს ამღვრევდნენ. გამჭვირვალე წყალი ისე გაშავდა, ტბის ზედაპირზე ვერაფრით ვერ გაარჩევდით გოგონას ჩრდილს.

გოგონას სულაც არ უგრძვნია, რომ საფრთხე ელოდა. დინჯად დაკრიფა ქრიზანთემები და საღამო ხანს უკვე შინ იყო.

დედინაცვალმა რომ დაინახა, გოგონა ცოცხალი დაბრუნდაო, სიბრაზისაგან სულმთლად დაკარგა გონება. ამის შემდეგ გერის მოწამვლა განიზრახა.

რამდენიმე დღე გავიდა და დედინაცვალმა ბრინჯის კვერები გამოაცხო.

ყველა კვერში საწამლავი ჩადო და გოგონას ალერსიანად უთხრა:

_ ჩემო საყვარელო შვილო! მე ავად ვარ. არ ვიცი, დილამდე გავაწევ თუ არა. მხოლოდ შენ შეგიძლია გადამარჩინო. ციცაბო კლდის სამხრეთით სამკურნალო ბალახია. წადი და ერთი კონა ბალახი მომიტანეო.

გოგონა მაშინვე შეუდგა მზადებას. წელზე ქამარი რომ გაინასკვა, დედინაცვალმა უთხრა:

_ შორი გზა გაქვს გასავლელი. საგზაოდ კვერები გამოგიცხვე, როცა მოგშივდება, შეჭამეო.

გოგონამ დედინაცვალს მადლობა გადაუხადა და ციცაბო კლდისაკენ გასწია. შუადღისთვის უკვე დაკრიფა ერთი კონა სამკურნალო ბალახი და საჩქაროდ გამობრუნდა შინისკენ... ისე ჩქარობდა, არც კი შეუმჩნევია, როგორ გაჩნდა სწორედ იმ ტყეში, სადაც პატარა მაიმუნი გადაარჩინა. სახლამდე ჯერ კიდევ კარგა შორს იყო. გოგონას ძალიან მოშივდა, მაგრამ ავადმყოფი დედინაცვალი გაახსენდა და გაიფიქრა: შინ რომ მივალ, მერე ვჭამ, ახლა კი უნდა ვიჩქარო; წყალს დავლევ და სწრაფად გავიქცევიო.

გოგონა წყაროსთან მივიდა, დაიხარა და... დაინახა თავისი ძველი ნაცნობი თევზი. თევზმა პირი დააღო და გოგონას მიუშვირა.

_ გეტყობა, ძალიან გშია. რა გაჭამოო? _ ჰკითხა გოგონამ.

უცებ თავისი კვერები გაახსენდა და თევზს გადაუყარა. კვერები ნელა ცვიოდა ფსკერზე, თევზი კი ახლოსაც არ ეკარებოდა. ბოლოს სიხარულით მოიქნია კუდი და იქაურობას გაშორდა.

როდესაც გოგონამ წყაროს წყალი შესვა, უცებ ძილი მოერია, ქუთუთოები ერთმანეთზე ეწებებოდა. ცოტას შევისვენებო, _ იფიქრა და ხის ძირას ჩამოჯდა. როგორც კი ხეს მიეყრდნო, მაშინვე ჩაეძინა.

გოგონა რაღაც სასიამოვნო ხმამ გამოაღვიძა. თვალები გაახილა და დაინახა, რომ ხიდან ყვითელი ფოთლები ცვიოდა და ოქროს ფულებად იბნეოდა ირგვლივ.

გაოცებულმა გოგონამ მაღლა აიხედა. ხეზე პატარა მაიმუნი დაინახა. ყვითელ ფოთლებს თურმე ეს მაიმუნი უყრიდა თავის მხსნელს.

გოგონამ რამდენიმე ფული აიღო, მაიმუნს ალერსიანად დაუქნია ხელი და შინისაკენ გასწია.

დედინაცვალმა ცოცხალი და უვნებელი გოგონა რომ დაინახა, სიბრაზისაგან გაფითრდა და ჰკითხა:

_ ბრინჯის კვერები არ გიჭამიაო?

გოგონას უცებ გაახსენდა, თევზს ბრინჯი რომ გადაუყარა და დედინაცვალმა ამის გულისთვის სცემა. ეს რომ გაახსენდა, ვეღარ გაბედა სიმართლის გამხელა და იცრუა:

_ როგორ არა, ვჭამეო.

_ მერე, რა დაგემართაო? _ მოუთმენლად ჰკითხა დედინაცვალმა.

_ მერე წყაროს წყალი დავლიე, დავჯექი ხის ძირას და ჩამეძინა, როდესაც გამეღვიძა, ხის გარშემო მიწა ოქროს ფულებით იყო დაფარული. რამდენიმე წამოვიღე კიდეც. აი, ნახეო.

დედინაცვალმა ფული ხელიდან გამოსტაცა და გაიფიქრა: მოდი, მეც შევჭამ მოწამლულ კვერს, ზედ ტყის წყაროს წყალს დავაყოლებ, ცოცხალიც დავრჩები და გავმდიდრდები კიდეცო.

მეორე დღეს ბოროტმა ქალმა მოწამლული ბრინჯის კვერი გამოაცხო და ტყისკენ გასწია. მივიდა წყაროსთან, შეჭამა კვერი, შესვა წყალი, დაჯდა ხის ქვეშ და ჩაეძინა.

მაგრამ ისე მაგრად ჩაეძინა, რომ აღარასოდეს აღარ გაღვიძებია.

<u>ორი მეზობელი</u>

დიდი ხნის წინათ ქალაქ კიოტოში ორი მეზობელი ცხოვრობდა. ერთი ღარიბი მეწაღე იყო, მეორე კი _ თევზის სავაჭროს მდიდარი პატრონი. სავაჭროს პატრონი დილიდან გვიან საღამომდე თევზით იყო გართული. ხან ბამბუკის ოროლზე წამოაგებდა, მაყალის თავზე ჩამოჰკიდებდა და ბოლში გამოჰყავდა, ხან ახმობდა და ხან კი წვავდა. განსაკუთრებით გემრიელად ამზადებდა გველთევზას: თევზს სურნელოვან საწებელში ამოავლებდა, მერე გავარვარებულ ტაფაზე ქონში შეწვავდა და ზედ ძმარს მოასხამდა ხოლმე.

ერთი სიტყვით, ამ კაცმა იცოდა თავისი საქმე! თევზის სავაჭროს პატრონს მხოლოდ ერთი ცუდი ზნე ჰქონდა: ძალზე ძუნწი იყო და საქონელს არავის აძლევდა ნისიად.

მის მეზობელ ღარიბ მეწაღეს კი ძალიან უყვარდა შებოლილი გველთევზა, თუმცა, სამწუხაროდ, ზედმეტი ფული არასოდეს ჰქონდა, რომ საკუთარი თავი გაენებივრებინა. მაგრამ, ნათქვამია, სიღარიბე კაცს ათას რამეს გამოაგო-

ნებინებსო და ჩვენმა მეწაღემაც იპოვა გამოსავალი, როგორ დაეცხრო თავისი სიყვარული შებოლილ გველთევზასადმი.

შუადღისას, როცა სადილობის დრო მოახლოვდებოდა, მეწაღე მეთევზესთან მივიდოდა, უბიდან ბრინჯის კვერს ამოიღებდა და იქ ჯდებოდა, სადაც გველთევზა იბოლებოდა. საბრალო მეწაღე მეთევზეს საუბარს გაუბამდა, ამ ლაპარაკის დროს ხარბად იყნოსავდა შებოლილი თევზის სუნს.

მერე როგორი სასიამოვნო სუნი იყო! მეწაღეს ეჩვენებოდა, რომ მსუქან და ნაზ გველთევზას შეექცეოდა.

ასე მეორდებოდა ყოველდღე.

ერთხელ ძუნწი მეთევზე მეწაღეს ეშმაკობას მიუხვდა და გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ფული გადაეხდევინებინა.

ერთ მშვენიერ დილას, როცა მეწაღე ვიღაცის წაღებს აკერებდა, მეთევზე მივიდა და უხმოდ მიაწოდა ქაღალდის ფურცელი. ფურცელზე ეწერა, რამდენჯერ იყო მეწაღე დუქანში და რამდენჯერ იყნოსა შებოლილი თევზის სუნი.

_ პატივცემულო ბატონო, ამ ქაღალდს რისთვის მაძლევო? _ ჰკითხა მეწაღემ.

_ როგორ თუ რისთვის? ხომ არ გგონია, რომ ყველას შეუძლია მოვიდეს ჩემთან და უფასოდ იყნოსოს შებოლილი გველთევზას შესანიშნავი სუნი? ასეთი სიამოვნებისათვის ფული უნდა გადაიხადოო! _ უთხრა მედუქნემ.

მეწაღემ უხმოდ ამოიღო ცხვირსახოციდან ორი სპილენძის ფული, ჩაყარა ფინჯანში, ზედ ხელისგული დააფარა და ნჯღრევა დაუწყო, რომ ფულები აჩხარუნებულიყო.

რამდენიმე წუთის შემდეგ ფინჯანი მაგიდაზე დადგა, თევზის სავაჭროს პატრონის ქაღალდს მარაოთი შეეხო და თქვა:

_ ესეც ასე, ახლა ბარიბარში ვართო...

_ როგორ თუ ბარიბარში? რას ამბობ? უარს მეუბნებიო?

_ აკი გადავიხადეო?

_ როგორ თუ გადამიხადე! როდის გადამიხადე?

_ გველთევზას სუნში საფასური ჩემი ფულის ჩხარუნით გადაგიხადე, მეტი რაღა გინდა? მაგრამ თუ ფიქრობ, რომ ჩემმა ცხვირმა მეტი იყნოსა, ვიდრე შენმა ყურებმა გაიგონა, შემიძლია ფულები კიდევ ავაჩხარუნოო.

ეს თქვა და ფინჯანს მისწვდა ასაღებად. მაგრამ ძუნწი მედუქნე მიხვდა, რომ მეწაღემ გააბრიყვა. მაშინვე გატრიალდა და სწრაფად გასწია თავისი დუქნისაკენ.

<u>თევზის გამყიდველი ტემპო</u>

ერთ სოფელში ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. ცოლი ჭკვიანი იყო, ქმარი კი ცოტა მოსულელო. ცოლი დილიდან საღამომდე მუშაობდა, ქმარი კი მთელ დღეს უსაქმოდ დაეხეტებოდა.

ერთხელ ცოლმა უთხრა:

_ ტემპო, მოდი, რაიმე სამუშაოს მოჰკიდე ხელიო.

_ მოვკიდებდი ხელს, როგორ არ მოვკიდებდი, მაგრამ არ ვიცი, რა გავაკეთო, ქვეყნად ათასნაირი ხელობააო, _ მიუგო ქმარმა.

_ თევზით ვაჭრობა დაიწყე, მე ჩვენს მდინარეში სალამურებს დავიჭერ, შენ კი გაყიდეო, _ უთხრა ცოლმა.

_ მერე, ვინ იყიდისო? _ გაოცდა ტემპო. _ ვისაც თევზი უნდა, თვითონ დაიჭერს. ჩვენს მდინარეში იმდენი სალამურაა, მთელ სოფელს ეყოფაო.

_ შენც ადექი და იქ წაიღე, სადაც არც მდინარეა და არც ტბა. იქ ხელად გაჰყიდიო, _ უთხრა ცოლმა.

მართლაც, წავიდა ცოლი მდინარეზე, ორი კალათა სალამურა დაიჭირა, კალათები სამხრეზე დაჰკიდა და ქმარს უთხრა:

_ ახლა გასწი და გახსოვდეს: ისეთ ადგილას არ მიხვიდე, სადაც მდინარე ან ტბაა. იქ ისედაც ბევრი თევზი ექნებათო.

ტემპომ სამხრე მარჯვენა მხარზე მოიგდო და გზას გაუდგა.

ნაშუადღევს რომელიღაც სოფელში მივიდა. ხედავს, გვერდით მდინარე ჩაუდის. ტემპო უკან გამობრუნდა და მეორე მხარეს წავიდა.

მალე დიდი ქალაქი დაინახა და გამვლელს ჰკითხა:

_ მითხარი, პატივცემულო, თქვენს ქალაქში მდინარე ან ტბა თუ არისო?

_ ჩვენი ქალაქი შესანიშნავ ტბაზეა გაშენებული, ეს ტბა საუკეთესოა მთელს იაპონიაში, _ ამაყად უპასუხა გამვლელმა.

ეჰ, ბედი არა მწყალობსო, _ გული დასწყდა ტემპოს, მერე გამვლელს თავაზიანად დაუკრა თავი და ჰკითხა:

_ ხომ არ შეგიძლიათ, ისეთი ადგილი მიმასწავლოთ, სადაც არც მდინარეა და არც ტბაო?

_ მიგასწავლით, როგორ არ მიგასწავლითო, _ ასევე თავაზიანად უპასუხა გამვლელმა. _ ამ გზას გაჰყევი, ორი კილომეტრი გაიარე და ისეთ ადგილს მიადგები, სადაც წვეთი წყალი არ არისო.

გახარებულმა ტემპომ გამვლელს მადლობა გადაუხადა და გზას გაუდგა. გაიარა თუ არა ორი კილომეტრი, მთებში ამოყო თავი. ირგვლივ არც ტბა ჩანდა და არც მდინარე. კმაყოფილი ტემპო მიდიოდა მთის ბილიკზე და ხმამაღლა იძახდა:

_ თევზი! ახალი თევზიო!

მაგრამ სულელ ვაჭარს ყვირილმა ვერ უშველა: სალამურას არავინ ყიდულობდა, იმიტომ, რომ მთებში არავინ ცხოვრობდა.

ტემპო გვიან საღამოს დაბრუნდა შინ. ცოლმა გაიგო, რომ უკაცრიელ მთებში დადიოდა თევზის გასაყიდად და უთხრა:

_ თევზი იქ უნდა წაიღო, სადაც ხალხი ცხოვრობს. რაც უფრო მეტია ხალხი, მყიდველიც მით უფრო ბევრი იქნებაო.

მეორე დღეს ტემპომ ისევ აიკიდა კალათები და მეზობელ ქალაქში გასწია. იარა, იარა ტემპომ ქუჩებში და ერთ შესახვევში თავმოყრილ ხალხს მოჰკრა თვალი. სახლს ხანძარი გასჩენოდა და ცეცხლს აქრობდნენ.

_ თევზი! ახალი თევზი! _ დაიყვირა გახარებულმა ტემპომ და შესახვევისაკენ მოკურცხლა. კალათებაკიდებული ტემპო ძლივს მიიკვლევდა გზას და, როგორც იქნა, შიგ შუა ხალხში შერგო თავი.

_ რა უნდა ამ კაცს აქ? ცეცხლის ჩაქრობაში ხელს გვიშლისო, _ გაბრაზდა ხალხი.

ვიღაცამ ქამარში ჩაავლო ხელი და ისეთი პანღური უთავაზა, თევზის გამყიდველი ტყვიასავით გამოვარდა შესახვევიდან.

დაბრუნდა ტემპო შინ და ცოლს უსაყვედურა:

_ შე ასეთო და ისეთო! ხალხში თევზის გაყიდვა რად მირჩიეო!

ცოლმა უთხრა:

_ ვინა ჰყიდის თევზს ხანძრის დროს? შენ ხალხს ცეცხლის ჩაქრობაში უნდა დახმარებოდიო.

იმ ღამეს არაფერი, მეორე დღეს ტემპო ისევ გაეშურა თევზის გასაყიდად. გზად სოფლის სამჭედლოსთან უნდა ჩაევლო. უცებ გრდემლის ხმა მოესმა. ტემპომ შეყო თავი სამჭედლოში და აგიზგიზებული ქურა დაინახა. ჩერჩეტს მაშინვე ცოლის ნათქვამი გაახსენდა, სტაცა ხელი ვედროს და წყალი ანთებულ ქურას გადაასხა.

მჭედელი განრისხდა, თევზი მიწაზე გადმოუყარა და ტემპო ერთიანად გამჭვარტლა.

გამურული, ტანსაცმელშემოხეული ტემპო ხელცარიელი დაბრუნდა შინ.

_ კიდევ შეგემთხვა რამეო? _ შეწუხდა ცოლი.

_ ჰო. გზაზე მომესმა, რომ სამჭედლოში ვიღაც რატომღაც გამეტებით ურტყამდა რაღაცას. მაშინვე იქ გავჩნდი და, ვხედავ, ქურა გიზგიზებს. ვტაცე ხელი ვედროს, წყალი ცეცხლს მივასხი და ჩავაქრე. უმადურმა მჭედელმა კი ნახე, რა მიყოო.

_ ქურაზე წყალი არ უნდა დაგესხა, _ აუხსნა ცოლმა. _ მჭედელს უნდა მოხმარებოდი იმ რაღაცის ცემაში და მადლობას გეტყოდაო.

_ ეგ კი ვერ მოვიფიქრე! _ შეწუხდა ტემპო. _ შემდეგში აუცილებლად ასე მოვიქცევიო.

გავიდა რამდენიმე დღე. ტემპომ ისევ მოიგდო მხარზე კალათები და სავაჭროდ გასწია.

ნაშუადღევს რომელიღაც უცხო ქალაქში შევიდა. ერთ დიდ შენობას რომ ჩაუარა, ხმაური და ყვირილი შემოესმა. ამ შენობაში თეატრი იყო და სწორედ იმ დროს წარმოდგენას უჩვენებდნენ. ტემპო შენობაში შევარდა და რას ხედავს, ადამიანები ერთმანეთს დარევიან და სცემენ. ტემპოს უცებ გაახსენდა ცოლის

რჩევა: მიეხმარებოდი მჭედელს იმ რაღაცის ცემაში და მადლობასაც გეტყოდაო.

შეხტა სცენაზე, სამხრე მოიქნია და მსახიობებს დასცხო და დასცხო.

_ ვინ არის ეს გადარეული, მსახიობებს დაგვისახიჩრებსო! _ აყვირდა ხალხი.

ტემპოს სამხრე გამოსტაცეს და ისე მიბეგვეს, რომ სახლამდე ძლივსღა მილასლასდა.

როდესაც ტემპოს ნაცემი მოუშუშდა, ცოლმა უთხრა:

_ ამის შემდეგ იცოდე, ორ მოჩხუბარს რომ დაინახავ, ჩადექი მათ შორის, შეარიგე და მადლობას გეტყვიანო.

_ კარგი, ასე მოვიქცევიო, _ შეჰპირდა ტემპო, თან თევზებით სავსე კალათები წაიღო და მეზობელი სოფლისაკენ გასწია.

სოფელს რომ მიუახლოვდა, დაინახა, მდელოზე ორი ხარი ერქინებოდა ერთმანეთს. უცებ გაახსენდა ცოლის ნათქვამი, ჩავარდა მათ შორის და დაიყვირა:

_ შერიგდით, პატივცემულებო! ჩქარა შერიგდით და მადლობაც მითხარითო!

გააფთრებულმა ხარებმა წააქციეს საცოდავი თევზის გამყიდველი და ისე გათელეს, ძლივსღა მილასლასდა სახლამდე. ტემპოს კვნესა მთელ სოფელს ესმოდა. მალე მეზობლებმაც მოირბინეს, ნეტა ზარმაც ტემპოს რა დაემართაო.

როდესაც ტემპომ უამბო, როგორ ჩავარდა მოჩხუბარ ხარებს შუა, მეზობლებმა თავი ვეღარ შეიკავეს და ხარხარი ატეხეს.

ყველაზე მოხუცმა და ბრძენმა მეზობელმა კი თქვა:

_ ჭკვიანი უდაბნოშიც იშოვის წყალს, სულელი კი შუა მდინარეშიც წყურვილით მოკვდებაო!

მას შემდეგ ტემპო თავისი სოფლიდან აღარსად წასულა.

<u>მ ო ტ ყ უ ე ბ უ ლ ი თ ა ღ ლ ი თ ი</u>

ქალაქ ოსაკაში ერთი თაღლითი ცხოვრობდა. ამ თაღლითმა სხვადასხვა ავადმყოფობის მკურნალობა იცოდა. ერთხელ გაიგო, რომ ვიღაც ქალი დაბრმავებულიყო, მივიდა და უთხრა:

_ ქალბატონო, ასი იენი მომეცი და შვიდი დღის შემდეგ ისევ ისეთი მხედველობა გექნება, როგორიც ადრე გქონდაო.

ქალმა თაღლითს უპასუხა:

_ ასს კი არა, ორას იენს მოგცემ, თუ ისევ ისეთი მხედველობა მექნება, როგორიც ავადმყოფობამდე მქონდაო.

_ კარგი, თანახმა ვარო, _ უთხრა გაიძვერამ.

ამ შეთანხმების შემდეგ თაღლითმა ათი იენის ღირებულების სხვადასხვანაირი წამალი იყიდა და ყოველ დილას ავადმყოფთან მიდიოდა.

ერთხელ თაღლითმა კუთხეში მიდგმულ პატარა მაგიდაზე, სარკის გვერდით, რაღაც კოლოფი შეამჩნია. მკურნალმა კოლოფში ჩაიხედა და შიგ ერთი იენი დაინახა. ამ კაცს ისეთი ხასიათი ჰქონდა, არაფრით არ შეეძლო სხვისი ფულისათვის გვერდის ავლა. ამიტომ დიდხანს არც უფიქრია, ფული ჯიბეში ჩაიდო და წავიდა.

თაღლითი ექვს დღეს მკურნალობდა ბრმა ქალს. მეშვიდე დღეს ქალს გაეღვიძა, თვალები გაახილა და ყველაფერი დაინახა. ბედნიერი ქალი სარკეს მივარდა. თავის გამოსახულებას შეხედა და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ უკვე გამოჯანმრთელებული იყო. გახარებულმა გადაწყვიტა, იენი ეჩუქებინა იმ გაჭირვებულისთვის, ვინც პირველი შეხვდებოდა. გახსნა კოლოფი და გაოცდა: იენი გამქრალიყო.

სწორედ ამ დროს ოთახში თაღლითი შევიდა.

_ ქალბატონო, მე შეგპირდი და მოგარჩინე. დადგა დრო, შენც შეასრულო პირობა. ორასი იენი გადამიხადეო.

ქალმა უპასუხა:

_ შენ ვერ განმკურნე და მეც არაფერს არ გადაგიხდიო.

გაბრაზებული თაღლითი აყვირდა:

_ ნუთუ ისევ ისე ხედავ, როგორც ადრე ხედავდიო?

_ რა თქმა უნდა, არა, ვერაფერს ვერ ვხედავ. ამ კოლოფში ერთი იენი დევს, მე კი ვერ ვხედავო.

_ იმიტომ ვერ ხედავ, ვიღაც ქურდს მოუპარავსო!

_ ეგ შეუძლებელიაო, _ იუარა ქალმა. _ ჩემს ოთახში შენს გარდა არავინ შემოდიოდა. მოუპარავთ კი არა, უბრალოდ, ვერ შეძელი ჩემი განკურნება და მეტი არაფერი. მშვიდობით ბრძანდებოდეო.

წავიდა თაღლითი და ორასი იენის ნაცვლად მხოლოდ ერთი იენი წაიღო. მაგრამ როცა გაახსენდა, რომ წამალზე საკუთარი ათი იენი ჰქონდა დახარჯული, ამოიღო ჯიბიდან მოპარული იენი და ტალახში გადაისროლა.

ასე დააკარგვინა უსინდისო ადამიანს ორასი იენი ერთმა სხვისმა იენმა.

<u>ტ რ ა ბ ა ხ ა გ ე მ ბ ე ი</u>

ერთ სოფელში ცხოვრობდა ერთი გლეხი, სახელად გემბეი. მეზობლებს არ უყვარდათ გემბეი, რადგან მეტისმეტად ტრაბახა იყო. ვინმეს რაიმე უსიამოვნება რომ შეემთხვეოდა, გემბეი იცინოდა:

_ მე ასეთი რამ თავის დღეში არ დამემართება! ასე ადვილად არ გავბრიყვდებიო!

ერთხელ გემბეიმ ქალაქში დააპირა წასვლა. ბაზარზე უშობელი უნდა ეყიდა. ცოლმა ყველაზე მაგარი თოკი შეურჩია, გემბეის მისცა და უთხრა:

_ უშობელს თოკი შეაბი და ისე წამოიყვანე. მხოლოდ, იცოდე, გზაზე არავინ მოგპაროსო.

_ რა სისულელეს ამბობ! _ გაბრაზდა გემბეი. _ მე მომპარონ? ასე ადვილად ვერ გამაბრიყვებენო!

გემბეი იმავე დღეს გაეშურა ქალაქისკენ. დიდხანს იხეტიალა ბაზარში და, როგორც იქნა, იპოვა მოზრდილი, კარგად ჩასუქებული, თეთრი უშობელი.

სწორედ ის არის, რასაც ვეძებდი! ასეთი უშობელი მთელ სოფელში არავის ეყოლებაო, _ გაუხარდა გემბეის და კმაყოფილებისაგან პირიც კი გააწკლაპუნა.

ხელად მოურიგდა გამყიდველს და უშობელი წინ გამოიგდო. ქალაქის გარეუბანში რომ გავიდა, გაახსენდა, იქვე, ახლოს მისი ძველი მეგობარი მეწაღე ცხოვრობდა.

გემბეიმ მეგობართან შეიარა და მაშინვე ტრაბახს მოჰყვა:

_ ერთი შეხედე, როგორი უშობელი ვიყიდე! ასეთი შენს სიცოცხლეში არა გყოლიაო!..

და სიამოვნებისაგან ისევ გააწკლაპუნა პირი.

მეწაღეს ჰყავდა ერთი ქარგალი ბიჭი, სახელად იტირო. იტირომ შეხედა უშობელს, გემბეისავით გააწკლაპუნა პირი და თქვა:

_ მართლაც კარგი უშობელია. მხოლოდ, ფრთხილად იყავი, გემბეი-სან, გზაზე არავინ მოგპაროსო.

გემბეიმ გაიცინა.

_ შენ, რა თქმა უნდა, მოგპარავდნენ, მე კი ვერავინ გამაბრიყვებს, მე სხვა კაცი ვარო!

თქვა, გამოემშვიდობა მასპინძელს და სოფლისკენ გასწია.

როგორც კი თვალს მიეფარა, იტირო მეწაღეს შეეხვეწა:

_ ბატონო, ნება მომეცი, ეს კაცი ტრაბახს გადავაჩვიოო.

_ ამ სენისაგან მას ვერავინ განკურნავსო, _ მიუგო ოსტატმა.

_ მაინც გთხოვ, ნება მომცე, ვსინჯოო.

_ რას აპირებო?

_ უშობელს მოვპარავო.

_ კარგი, თუ ძალიან გინდა, სცადე, მაგრამ არაფერი გამოგივა. უშობელი ხომ თოკზე ჰყავს გამობმულიო.

_ ვნახოთ, ვნახოთო! _ წამოიძახა ქარგალმა, კედლიდან ახალი სანდლები ჩამოიღო და სწრაფად გავარდა ქუჩაში.

იტირომ იცოდა, რომელი გზით უნდა ევლო გემბეის. გზის გასწვრივ ბილიკებს გაჰყვა და ტრაბახას გაუსწრო. გზაზე რომ გავიდა, ერთი სანდალი მიწაზე დააგდო, თვითონ კი ბალახში ჩაიმალა.

კმაყოფილი გემბეი წინ მიუძღოდა თოკჩაბმულ უშობელს და თან რაღაცას ღიღინებდა. უცებ გზაზე სანდალი დაინახა.

_ სამწუხაროა, რომ მეორეც არ გდია, ცალი სანდლისთვის ძირს დახრა არც კი ღირსო, _ თქვა ტრაბახამ.

მერე ისევ მოქაჩა თოკი და გზა განაგრძო. ასე მშვიდობიანად გაიარა სამიოდე კილომეტრი. მუხის ტყეში რომ შევიდა, მეორე ისეთივე სანდალი იპოვა.

_ აფსუს, რატომ ისიც არ ავიღე! _ შეწუხდა გემბეი. _ თუმცა, რა უშავს, იქავე არ იქნებაო?

გემბეიმ უშობელი სასწრაფოდ მუხაზე მიაბა და იქით მოკურცხლა, სადაც ცალი სანდალი ეგულებოდა. სანდალი ისევ იმ ადგილას ეგდო.

გემბეიმ დასტაცა ხელი და ტყისკენ გაეშურა, მაგრამ მუხასთან რომ მივიდა, უშობელი აღარ დაუხვდა.

მთელი ტყე შემოიარა გემბეიმ, მაგრამ უშობელი არსად ჩანდა, თითქოს მიწამ უყო პირი და თან ჩაიტანაო.

_ მაინც როგორ აიშვა? _ დანაღვლიანდა გემბეი. _ ნეტავ არავინ გაიგოს, რაც დამემართაო...

უშობლის პოვნის იმედი რომ გადაუწყდა, ისევ ქალაქში გაბრუნდა. მაშ, რა ექნა, ცოლთან ხელცარიელი რომ დაბრუნებულიყო, ყველაფერი უნდა გაემხილა.

იტირომ კი ამასობაში უშობელი შინ მიიყვანა და ეზოში დამალა. მერე ოსტატს უამბო, როგორ მოატყუა გემბეი და ორივენი დიდხანს იცინოდნენ.

_ ახლა ამ უშობელს რა ვუყოთო? _ ჰკითხა ქარგალმა.

პატრონმა პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო, რომ კარი გაიღო და სახლში გემბეი შემოვიდა.

_ პატივცემულო გემბეი, უშობელი რა უყავიო? _ ისე ჰკითხა ოსტატმა, ვითომც აქ არაფერიაო.

_ უშობელი? ჰო, უშობელი! აღარ მომეწონა და გამვლელს მივყიდე. ახლა სხვა უნდა ვიყიდო და იმიტომ დავბრუნდიო.

ოსტატმა გემბეის თამბაქო შესთავაზა.

_ ბედმა გაგიღიმა: დიდი ხანია ჩემი უშობლის გაყიდვა მინდა და, თუ არ იძუნწებ, მოგყიდიო.

და ქარგალს უშობლის მოყვანა უბრძანა.

_ რამდენს თხოულობ ამ უშობელში? _ ჰკითხა გემბეიმ, როდესაც იტირომ პატრონის ბრძანება შეასრულა.

_ იმდენს, რამდენიც შენს უშობელში მიეციო.

_ ერთი ამას დამიხედეთ! _ ხელები გაასავსავა გემბეიმ. _ განა შეიძლება შენი და ჩემი უშობელის შედარება? ჩემი უფრო დიდი და მსუქანი იყო! შენსას კი ბალანიც ბევრად უფრო მოკლე აქვსო!

_ შენი საქმისა შენ იცი! ნაკლებად არ გავყიდიო.

სხვა გზა არ იყო, გემბეიმ მეორეჯერ გადაიხადა ფული თავის უშობელში.

როდესაც უშობელი ეზოდან გამოიყვანა, ოსტატმა უთხრა:

_ გემბეი-სან, იმედი მაქვს, გზაზე არავინ მოგპარავსო!

გემბეიმ ისევ დაიტრაბახა:

_ რას ამბობ, ასე როგორ გამაბრიყვებენ! მე სხვა კაცი ვარო!

როგორც კი გემბეი წავიდა, იტირომ ისევ სთხოვა მეწაღეს:

_ ბატონო, ნება მომეცი, უშობელი ერთხელ კიდევ მოვპაროო.

_ მეორეჯერ აღარ გამოგივა! ახლა ასე ადვილად ვეღარ მოატყუებო.

_ ერთხელაც ვცდი. ძალიან მინდა, ეს კაცი ტრაბახს გადავაჩვიოო.

_ შენი ნებაა, სცადეო...

იტირომ ხელახლა მოკურცხლა ტყისკენ, რომ ტრაბახასთვის გაესწრო. გზის შორიახლოს ბუჩქებში მიიმალა და დაელოდა. როგორც კი გემბეი გამოჩნდა, ქარგალმა ხმამაღლა დაიღმუვლა:

_ მუ-უუ, მუ-უ-უ...

_ ეს ხომ ჩემი დაკარგული უშობელი ბღავისო! _ გაუხარდა გემბეის. _ ახლავე დავიჭერ და ორი უშობელი მეყოლებაო.

მუხას სამჯერ შემოახვია თოკი, მაგრად გამონასკვა და ბუჩქებისკენ მოკურცხლა.

იტირომ იმდენი იბღავლა, სანამ ტრაბახა შუაგულ ტყეში არ შეიტყუა. მერე მუხასთან მიირბინა, აუშვა უშობელი და შინ წაიყვანა.

გემბეი მხოლოდ მზის ჩასვლისას გამოვიდა ბილიკზე და ნახა, მეორე უშობელიც დაკარგულიყო.

სხვა რა გზა ჰქონდა, ადგა და ისევ ქალაქისკენ გასწია.

მეწაღის სახლში შესვლისას უხმოდ შეჩერდა ზღურბლთან.

_ რამ მოგიყვანა ხელახლა ქალაქში ან შენი შესანიშნავი უშობელი რა უყავიო? _ ჰკითხა ეშმაკმა იტირომ.

_ მოგეხსენებათ, გზად მიმავალმა ტაძარში შევიარე და უშობელი წინამძღვარს ვაჩუქე, რომ ღმერთებმა კეთილი თვალით გადმომხედონ. დილით ბაზარზე გავალ და ახალ უშობელს ვიყიდიო, _ წაიტრაბახა მატყუარამ.

მასპინძელმა ჩაიცინა და უთხრა:

_ რატომ უნდა იცადო დილამდე? მე ერთი კარგი უშობელი კიდევ მყავსო.

იტირომ გამოიყვანა თეთრი უშობელი. მეწაღე კი სახეზე მარაოს იფარებდა, რომ არ გასცინებოდა.

გემბეიმ შეხედა ხბოს და უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა:

_ ეს უშობელი ჩემსაზე ასჯერ ნაკლებიაო.

ახლა კი ოსტატმა და ქარგალმა თავი ვეღარ შეიკავეს და ისეთი ხარხარი ატეხეს, მეზობლები გამოცვივდნენ, რა ამბავიაო.

მეწაღემ მეზობლებს უამბო, რომ ტრაბახა გემბეიმ ერთი და იგივე უშობელი ორჯერ იყიდა და ახლა მესამედაც აპირებდა ყიდვას.

ამ ამბის გაგონებაზე მეზობლებსაც სიცილი წასკდათ.

როცა სიცილით გული იჯერეს, ოსტატმა თქვა:

_ გემბეი-სან, პირობა დადე, რომ არასოდეს აღარ იტრაბახებ და ფულსაც დაგიბრუნებ, უშობელსაცო.

გემბეი იძულებული იყო, პირობა დაედო. აბა, შინ ხელცარიელი ხომ არ დაბრუნდებოდა! მერე მსხვილი თოკი ითხოვა, შეაბა უშობელს და სახლისკენ წაჩანჩალდა.

მალე ამ ამბავმა მის სოფლამდეც მიაღწია.

ამის შემდეგ როცა გემბეი ისევ დაიწყებდა ტრაბახს, მაშინვე მიაძახებდნენ ხოლმე:

_ გემბეი-სან, ერთი გვიამბე, ერთი და იგივე უშობელი სამჯერ როგორ იყიდეო.

დარცხვენილი ტრაბახა სახეზე მარაოს იფარებდა და კრინტს აღარ სძრავდა.

<u>მეტოქე სარკეში</u>

ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა. ერთმანეთს აუმხედრდა ორი ძლიერი გვარი: მინამოტი და ტაირო. ამ ბრძოლაში მინამოტის გვარმა გაანადგურა თავისი მტერი. ტაიროს გვარიდან ვინც სიკვდილს გადაურჩა, მთებში გაიხიზნა, რომ თვალში არავის მოხვედროდნენ.

გავიდა დიდი დრო და ტაიროს შთამომავლები თანდათან ხალხში გაერივნენ. მთიდან ჩამოსულები ისეთი გამოუცდელები და უვიცები იყვნენ, ხშირად სასაცილო რამ ემართებოდათ.

ერთ დღეს ტაიროს გვარის ერთი ახალგაზრდა კაცი პირველად წავიდა ქალაქ კუმამოტოში. გაცეცებული დააბოტებდა ქალაქის ქუჩებში. უცებ დუქანში შეიხედა, სადაც სარკეებს ყიდიდნენ. შეიხედა და მამა დაინახა. ლანდი ძალიან ჰგავდა მამას, ოღონდ ახალგაზრდა იყო. როგორცა ჩანს, ეს სურათი დიდი ხნის წინათ დახატესო, _ გაიფიქრა ვაჟმა.

_ როგორ მიხარია, რომ მამაჩემს კიდევ ვხედავო.

სიხარულით ფრთაშესხმულს ბევრი აღარ უფიქრია, საჩქაროდ იყიდა სარკე და დიდი სიფრთხილით გააქანა შინისაკენ.

ნაყიდი საუნჯე კარადაში შეინახა. ყოველდღე გამოაღებდა კარადას და ტკბებოდა თავისი მამის ცქერით. მამა ყოველთვის ცოცხალივით უღიმოდა.

ეს ამბავი ცოლს არ გამოჰპარვია. ერთ დღეს, როცა ქმარი შინ არ იყო, დიდი სიფრთხილით გამოაღო კარადის კარი და რასა ხედავს, კარადიდან შემოსცქერის ლამაზი ახალგაზრდა ქალი. ცოლი გაფითრდა, აკანკალდა და მოთქმა-ტირილი დაიწყო. ამ ხმაურზე შემოვიდა დედამთილი:

_ რა დაგემართა, შვილო, რა მოხდაო?

_ რაღა მეშველება, ჩემს ქმარს აღარ ვუყვარვარ! ქალაქიდან ჩამოუყვანია ლამაზი ქალი და ჩვენს კარადაში ჰყავს დამალულიო.

_ ხომ არ გაგიჟდი, გოგო! აბა, მაჩვენე, სადა მალავსო!

_ აი, ამ კარადაშია, მიდი, შენ თვითონ ნახეო.

დედამთილმა კარადის კარი გამოაღო.

_ ამაზე ლაპარაკობ? ნუ ტირი, შვილო, დამიჯერე, ამ უშნო ბებრუხანას მალე შეიძულებსო.

ამ დროს ოთახში მონაზონი შემოვიდა. გაეგო, რა უბედურებაც სჭირდა მეზობლებს, და ეფიქრა, მოდი, მეცა ვნახავ, ამ ოჯახის ამფორიაქებელი ვინ არისო.

_ დამშვიდდით, რა გატირებთ, მართალია, ამ ქალბატონს შუბლზე აწერია, რომ წინათ დიდი გაიძვერა ვინმე ყოფილა, მაგრამ, ეტყობა, ახლა მოინანია ცოდვები და მონაზვნად შედგა. ასე რომ, სადარდებელიც არაფერი გაქვთო.

<u>გულადი ისიმბოსი</u>

ამ ზღაპარში ერთი პატარა ბიჭუნას ამბავს გიამბობთ. ეს ბიჭუნა ისეთი პატარა იყო, რომ მშობლებმა ისიმბოსი შეარქვეს, რაც ცეროდენას ნიშნავს. მართალია, ცეროდენა ეთქმოდა, მაგრამ მეტად გულადი, მხიარული და ჭკვიანი ბიჭუნა იყო.

თექვსმეტი წლისა რომ შესრულდა, მივიდა მშობლებთან და უთხრა:

_ მინდა ვნახო, როგორ ცხოვრობს ხალხი იაპონიაში. გამიშვით, კიოტოში წავალო.

დედას შეეშინდა:

_ სად უნდა წახვიდე, უცხო ქალაქში დაიღუპები! ყველა შენ დაგჩაგრავსო!

_ მე თავს არავის დავაჩაგვრინებ, ნუ გეშინიათო! _ ანუგეშა ისიმბოსიმ.

_ რახან ასეთი გულადი ხარ, წადიო, _ დაეთანხმა მამა.

ისიმბოსი მზადებას შეუდგა. მახათისგან ხმალი გაიკეთა, ჩალისაგან _ ქარქაში, კაკლის ნაჭუჭისაგან _ ნავი, ბრინჯის საჭმელი ჯოხებისაგან კი _ ნიჩბები.

გამოემშვიდობა ისიმბოსი მშობლებს, ჩაჯდა თავის კაკლის ნავში და მდინარეს აღმა აჰყვა. კარგა ხანს უსვამდა ნიჩბებს, სანამ კიოტოს მიადგებოდა.

და აი, როგორც იქნა, ისიმბოსი დედაქალაქში შევიდა. ხელი თავმომწონედ ჩამოიდო ხმლის ვადაზე და ხმაურიან ქუჩებს გაუყვა. როგორი უზარმაზარი და ლამაზი სახლები იყო ამ ქალაქში! მერე რამდენი ხალხი ირეოდა ქუჩებში!

სეირნობა-სეირნობაში ისიმბოსი ვიღაცის დიდებული სასახლის წინ აღმოჩნდა.

_ რა ბრწყინვალე სასახლეა! _ შესძახა ისიმბოსიმ. _ მე მსურს, ამ სასახლეში ვიცხოვროო!

უნდა იცოდეთ, რომ ისიმბოსის სიტყვა და საქმე ერთი იყო. ამიტომაც დიდხანს არ უფიქრია, მაშინვე შევიდა ჭიშკარში, ავიდა კიბეზე და სასახლეში ამოყო თავი. ეს სასახლე ეკუთვნოდა იმპერატორის კარის პირველ მინისტრს თავად სანძოს.

მცველებმა ვერ შეამჩნიეს, როგორ შევიდა ისიმბოსი პირველი მინისტრის საბრძანებელ დარბაზში. მინისტრი თავმომწონედ იჯდა სავარძელში.

_ გამარჯობათ, ჩემო ბატონო! _ ხმამაღლა მიესალმა ისიმბოსი.

_ ვერავის ვხედავ, ვინ მესალმებაო! _ გაოცდა სანძო.

ისიმბოსი სულ ახლოს მივიდა და უფრო ხმამაღლა თქვა:

_ აქა ვარ, ჩემო ბატონო. თქვენს ფეხებთან ვდგავარო!

მინისტრმა დაბლა დაიხედა და ნამცეცა კაცუნა დაინახა.

_ ვინა ხარ, საიდან მოხვედიო? _ გაოცდა სანძო.

_ ისიმბოსის მეძახიან. კიოტოში იმისთვის მოვედი, რომ ვნახო, როგორ ცხოვრობს აქაური ხალხი. ნება მომეცით, თქვენთან დავრჩე და მოგემსახუროთო!

_ ნუთუ შენ რაიმეს გაკეთება შეგიძლია? ჩემი მსახურები სიცილს დაგაყრიანო!

_ აბა, ერთი გაბედონ! _ გაბრაზდა ისიმბოსი და ჩალის ქარქაშიდან ხმალი დააძრო.

_ ოჰო, აი თურმე როგორი შეუპოვარი ყოფილხარ! _ გაუკვირდა მინისტრს. _ ძალიან კარგი, მეც სწორედ გულადი ხალხი მჭირდება. დარჩი ჩემთან და მემსახურეო!

ასე დასახლდა ისიმბოსი იმპერატორის პირველი მინისტრის სასახლეში, თავად სანძოსთან.

გავიდა ცოტა ხანი და ახალი მსახური ყველას შეუყვარდა. ისიმბოსი თავაზიანი იყო, მხიარული და დაუზარელი. მინისტრის ბრძანებას ზუსტად და სწრაფად ასრულებდა.

ისიმბოსის განსაკუთრებით შეეჩვია თავადის ქალიშვილი, თხუთმეტი წლის ოგინი.

ისიმბოსი ოგინის გასართობად ბივას უკრავდა, სოფლურ სიმღერებს მღეროდა და სეირნობისას სულ თან ახლდა ქალიშვილს.

ერთხელ სეირნობაში ისიმბოსი და ოგინი ქალაქგარეთ ისე გასულიყვნენ, ვერც შეამჩნიეს. იქვე, შორიახლოს, ტყე მოჩანდა. ამ ტყეში საშინელი ეშმაკები ცხოვრობდნენ.

ისიმბოსი და ოგინი ტყეს რომ მიუახლოვდნენ, იქიდან უშველებელი ეშმაკი გამოვარდა. ეშმაკს ქამარში ხმლის მაგივრად საცეხველი ჰქონდა გაჩრილი.

ეშმაკის დანახვაზე შეშინებულმა ოგინმა კიოტოსაკენ მოკურცხლა. ისიმბოსი კი არც განძრეულა, იძრო თავისი ხმალი და მკაცრად შეუტია:

_ შეჩერდი! ადგილიდან არ დაიძრაო!

ეშმაკი გაოცდა:

_ ვინა ხარო?

ისიმბოსი კი თავისას გაიძახოდა:

_ შეჩერდი, თორემ ხმალს გაგიყრიო!

ეშმაკმა როდის-როდის დაინახა ისიმბოსი. შეხედა და სიცილი აუტყდა. ისიმბოსი ძალზე სასაცილოდ იქნევდა მახათს.

_ ჰაი, შე საცოდავო ლოკოკინავ! ახლავე ცოცხლად გადაგყლაპავო!

ეშმაკმა ისიმბოსი აიტაცა და გადასანსლა.

როგორც კი ბიჭუნამ ეშმაკის მუცელში ამოყო თავი, მაშინვე მისდგა ურჩხულს და მახათით ჩხვლიტა.

ეშმაკი საშინელი ხმით აღრიალდა და ტკივილისაგან თვალები გადმოკარკლა.

ისიმბოსი კი ისევ ჩხვლეტდა და ჩხვლეტდა.

ეშმაკს მალე მუხლები მოეკვეთა, მიწაზე გაგორდა და აღმუვლდა, მაგრამ ამაოდ, ისიმბოსი ისევ ჩხვლეტდა.

ბოლოს ეშმაკმა მოიფიქრა, როგორ მოეშორებინა ისიმბოსი თავიდან: ერთი ჩაისუნთქა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მერე ამოისუნთქა და თან ამოაყოლა ისიმბოსი.

გაუხარდა ეშმაკს, რომ აღარ ჩხვლეტდნენ, და ტყისკენ მოკურცხლა. საცეხველი კი იმ ადგილას დარჩა, სადაც გორაობდა.

ისიმბოსიმ აიღო საცეხველი და ოგინს დაედევნა. ოგინი ქალაქის შესასვლელთან იდგა და ტიროდა. გოგონას ეგონა, რომ უზარმაზარმა ეშმაკმა მოკლა ცეროდენა ისიმბოსი.

_ აი, მეც აქა ვარო! _ მხიარულად უთხრა ისიმბოსიმ და ვითომც აქ არაფერიაო, ეშმაკის საცეხველი შეათამაშა.

_ გმადლობ, გმადლობ! შენ რომ არ ყოფილიყავი, ეშმაკი ტყეში გამიტაცებდა! ჩქარა წავიდეთ შინ, მამას უნდა ვუამბო, როგორი გულადი ხარო! _ სიხარულით ფეხზე აღარ იდგა ოგინი.

და ორივენი სასახლისაკენ გაემართნენ.

ისიმბოსი ოგინის გვერდით მიდიოდა და თან საცეხველს იქნევდა. უცებ საცეხველი ოგინის მარაოს მოხვდა. მარაო მაშინვე ერთიორად იქცა. გაოცებულმა ისიმბოსიმ საცეხველი თავის ხმალს შეახო და ხმალიც ერთიორად დაგრძელდა.

_ ეშმაკს ჯადოსნური საცეხველი დაუკარგავს! _ იყვირა ისიმბოსიმ. _ შეხედე, ახლა რა მოხდებაო!

ხის ძირას ჭიაყელა დაინახა, მივიდა, საცეხველით შეეხო და ჭიაყელა წამსვე ანკარასოდენა გახდა.

_ მომეცი ჩქარა ეგ საცეხველი! _ სთხოვა გახარებულმა ოგინმა. _ მე ვიცი, რასაც ვიზამო!

ოგინმა სტაცა ხელი საცეხველს და ხუთჯერ შეახო ისიმბოსის. ისიმბოსი ყოველ შეხებაზე სულ იზრდებოდა და იზრდებოდა. ბოლოს, საცეხველი მეექვსეჯერ რომ შეეხო, ცეროდენას ნაცვლად ოგინის წინ კარგა მოსული, ლამაზი ჭაბუკი იდგა.

ისიმბოსი და ოგინი დარბაზში რომ შევიდნენ, მინისტრმა იკითხა:

_ ვინ არის ეს ყმაწვილი და ჩემს სახლში რა უნდაო?

ოგინმა უამბო, როგორ გადაარჩინა ისიმბოსიმ ეშმაკისაგან, როგორ დაკარგა შეშინებულმა ეშმაკმა ჯადოსნური საცეხველი და როგორ იქცა ცეროდენა მაღალ, ლამაზ ყმაწვილად.

ისიმბოსიმ წინ წადგა ნაბიჯი, მინისტრს მიესალმა და უთხრა:

_ მე მიყვარს ოგინი და ოგინსაც ვუყვარვარ მე...

სანძოს ქალიშვილმაც წინ წადგა ნაბიჯი და უთხრა:

_ ნუთუ თქვენს ქალიშვილს არ მისცემთ ნებას, იმას გაჰყვეს ცოლად, ვინც სიკვდილს გადაარჩინაო?

რა თქმა უნდა, მინისტრი ისე მოიქცა, როგორც ოგინი სთხოვდა. ისიმბოსი და ოგინი დაქორწინდნენ. მალე კიოტოში ისიმბოსის მშობლებიც ჩამოვიდნენ და ყველანი ისე მხიარულად და მეგობრულად ცხოვრობდნენ, როგორც კარგ ადამიანებს შეეფერება.

<u>დ ო ყ ლ ა პ ი ა</u>

ერთ სოფელში ერთი დოყლაპია ცხოვრობდა. მეზობლებს მისი ნამდვილი სახელი დავიწყებოდათ და პირში თუ პირს უკან სულ დოყლაპიას ეძახდნენ.

ერთხელ დოყლაპიამ ცოლს უთხრა:

_ ხვალ ქალაქში დიდი დღესასწაულია. სადღესასწაულო ტანსაცმელი მომიმზადე, გათენებისას უნდა წავიდეო.

_ მოგიმზადებ, _ შეჰპირდა ცოლი. _ მხოლოდ საჩუქრის მოტანა არ დაგავიწყდესო!

მეორე დღეს დოყლაპიამ ალიონზე გააღვიძა ცოლი და ჰკითხა:

_ ჩემი ჩალის ქუდი სად არისო?

_ საკიდზეო, _ უპასუხა ნამძინარევმა ცოლმა.

დოყლაპია საკიდთან მივიდა. ერთ კაუჭზე ჩალის ქუდი ეკიდა, მეორეზე ჩალის კალათა. დოყლაპიამ თავზე კალათა ჩამოიმხო და ფეხსაცმელს მიუტრიალდა. ერთ წინდაში ფეხი გაუყარა, მეორე კი იატაკის საწმენდ ჯოხზე ჩამოაცვა, მარჯვენა ფეხზე ჩალის სანდალი მოირგო, მარცხენაზე _ ხის ფეხ-საცმელი.

_ ახლა ქამარს შემოვიკრავ და წავედიო, _ ჩაილაპარაკა თავისთვის დოყლაპიამ.

_ ჰეი, დედაკაცო, გაიღვიძე! ჩემი აბრეშუმის ქამარი სად არისო?

_ ყველაფერი მეორე ოთახშიაო, _ უპასუხა ნამძინარევმა ცოლმა.

მეორე ოთახში კი ერთ ლურსმანზე დოყლაპიას ქამარი ეკიდა, მეორეზე _ მისი ცოლის ჭრელი აბრეშუმის სარტყელი. დოყლაპიამ წელზე ცოლის ჭრელი სარტყელი შემოირტყა და ისევ დაფიქრდა, კიდევ ხომ არაფერი მავიწყდებაო.

ყოველი შემთხვევისთვის ხანჯალიც უნდა გავიყოლო, რა ვიცი, გზაზე ვინ შემხვდებაო, _ გაიფიქრა და ისევ აყვირდა:

_ ჰეი, დედაკაცო! ჩემი ხანჯალი რა უყავიო?

_ სამზარეულოში ჰკიდიაო, _ უპასუხა ცოლმა.

დოყლაპია სამზარეულოში შევიდა და დაინახა, რომ ერთ კედელზე ხანჯალი ეკიდა, მეორეზე _ ქოლგა. დოყლაპიამ ქოლგა ქამარში გაირჭო და ქალაქისკენ გაეშურა.

ასე მორთულ-მოკაზმული შევიდა მეზობელ სოფელში. ხალხმა დაინახა და სიცილი დააყარა:

_ შეხედეთ, შეხედეთ! ამ ბრიყვს თავზე ქუდის ნაცვლად კალათა ჩამოუმხვიაო.

ნეტავ ვინ არის ის ახირებული კაცი, თავზე ქუდის ნაცვლად კალათა რომ ჩამოუმხვიაო, _ გაიფიქრა დოყლაპიამ. გაიხედა მარჯვნივ _ არავინ იყო, გაიხედა მარცხნივ _ იქაც არავინ იყო. გაიხედა უკან და დაინახა, რომ ხალხს თავი მოეყარა, ხელს მისკენ იშვერდნენ და იცინოდნენ.

_ აი, ქუდიც ასეთი უნდაო!

დოყლაპიამ თავზე ხელი იტაცა და მიხვდა, რომ ქუდის მაგივრად ჩალის კალათა ეხურა. სიბრაზისაგან კალათა მიწაზე დაახეთქა და თავშიშველამ განაგრძო გზა.

მეორე სოფელში რომ შევიდა, ზურგს უკან ისევ მოესმა სიცილი:

_ შეხედეთ, შეხედეთ ამ ბრიყვს! ცალ ფეხზე ჩალის სანდალი აცვია, ცალზე კი ხის ფეხსაცმელიო!

დოყლაპიამ გაიძრო ფეხსაცმელი, ჩალის სანდალიც და უქუდომ და ფეხშიშველამ განაგრძო გზა.

იარა, იარა დოყლაპიამ და გზაზე ვიღაც გამვლელი შეხვდა.

_ პატივცემულო, წინდა მარტო ცალ ფეხზე რატომ გაცვიაო? _ ჰკითხა გამვლელმა.

დოყლაპიამ ფეხებზე დაიხედა. წინდა, მართლაც, ცალ ფეხზე ეცვა. დოყლაპიამ გაიხადა ის ერთი წინდაც და გზა განაგრძო.

ბრინჯის ყანას რომ ჩაუარა, გლეხებმა დაინახეს დოყლაპია და ჰკითხეს:

_ ასეთ მცხუნვარე მზეში უქუდოდ რატომ დასეირნობ? ქოლგა მაინც დაიფარეო!

ეწყინა დოყლაპიას:

_ ქოლგა რომ მქონდეს, უთქვენოდაც დავიფარებდიო!

_ აბა, ქალის სარტყელში რა გაქვს გარჭობილიო?

_ ქალის სარტყელს სად ხედავთო! _ გაბრაზდა დოყლაპია.

_ შენ ხომ ქალის ჭრელი სარტყელი გარტყია და შიგ ქოლგა გაქვს გარჭობილიო.

დოყლაპიამ ქალის ჭრელი სარტყელი შემოიხსნა, ქოლგა მუხლზე გადაიმტვრია და შინისკენ გაბრუნდა. აბა, ქალაქში გამართულ დღესასწაულზე უქუდოდ, უქამროდ და ფეხშიშველი ხომ არ მივიდოდა!

დოყლაპია გულმოსული მიიჩქაროდა შინისაკენ.

_ ყველაფერი ცოლის ბრალია! ეს რა მიყო, მე იმას ვუჩვენებ სეირსო!

დოყლაპიამ თავის სოფლამდე მიაღწია, სახლში შევარდა და აყვირდა:

_ ზარმაცო, უქნარავ! შენი გულისათვის დღესასწაულზე ვეღარ წავედი! ყველამ მასხარად ამიგდოო!

_ გონს მოდი, მეზობელო, მე რა დაგიშავეო?

მხოლოდ ახლა დაინახა დოყლაპიამ, რომ ცოლს კი არა, მეზობელს ეჩხუბებოდა. თურმე სხვის სახლში შევარდნილიყო.

დოყლაპია ქუჩაში გამოვარდა. გზაზე ჩაის გამყიდველი შემოხვდა. გამოართვა ერთი კოლოფი ჩაი: მეზობელს უნდა ვაჩუქო, თორემ ტყუილუბრალოდ ვაწყენინეო, _ გაიფიქრა.

გამყიდველს ფული გადაუხადა, შევიდა სახლში და თქვა:

_ მაპატიე, რომ ასე გიყვირე... აჰა, საჩუქარიო, _ და ქალს ერთი კოლოფი ჩაი გაუწოდა.

_ როდის მიყვირეო? _ ჰკითხა ქალმა. _ ანდა ქალაქიდან ასე ადრე რატომ დაბრუნდიო?

შეხედა დოყლაპიამ ქალს და თავისი ცოლი იცნო. თურმე მეზობელთან კი არა, თავის სახლში შესულიყო.

ჯერ დაიბნა დოყლაპია, შემდეგ კი თქვა:

_ იმ ქალაქში არაფერი არ არის საინტერესო. საჩუქრად ერთი კოლოფი ჩაი გიყიდე და უკან დავბრუნდი. მოდი ერთი, ახალი ჩაი დავლიოთო.

<u>მაჩვი და მელაკუდა</u>

დიდი ხნის წინათ ქალაქ მაცუმოტოს მახლობლად, უღრან ტყეში, უამრავი გარეული ნადირი ცხოვრობდა. ეს ამბავი მონადირეებმა გაიგეს და ტყეში სანადიროდ სიარულს მოუხშირეს. დილიდან საღამომდე გაისმოდა ყვირილი და სროლის ხმა. ყოველ გასროლაზე ტყეში სულ უფრო და უფრო ცო-ტავდებოდა მხეცები. და აი, დადგა დღე, როცა ტყეში დარჩნენ მაჩვი და მელია თავისი პატარა მელაკუდათი.

მაჩვი და მელია ძალიან დიდხანს არ გამოდიოდნენ თავიანთი ბუნაგებიდან, მონადირეებისა ეშინოდათ. მონადირეებმა კი იფიქრეს, ყველა მხეცი დავხოცეთო, და შეწყვიტეს ტყეში სიარული.

ერთხელ სოროში წამოწოლილმა მელამ გაიფიქრა: ნეტავ, სოროდან რომ გამოვძვრე, მონადირე დამინახავს თუ არა? კიდევ რამდენიმე დღეს რომ დავრჩე აქ, მე და ჩემი მელაკუდა შიმშილით დავიხოცებითო.

გაიფიქრა და ფრთხილად გამოყო თავი სოროდან, აქეთ-იქით გაიხედა, სადმე ადამიანი ხომ არ არისო, მაგრამ ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო.

გახარებული მელა მაჩვის სოროსკენ გაიქცა და დაუძახა:

_ ბატონო მაჩვო! გამოძვერით, ნუ გეშინიათ: მონადირეები უკვე აღარ დადიან ჩვენს ტყეში! გადავრჩითო!

მშიშარა მაჩვი დიდხანს ვერ ბედავდა სოროდან გამოსვლას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს შიმშილმა თავისი გაიტანა და მაჩვი თავშესაფრიდან გამოძვრა.

_ რა ვქნათ ახლა? _ ჰკითხა მელას. _ ჩვენს ტყეში არც ერთი მხეცი აღარ დარჩა. ერთი-ორი დღის შემდეგ შიმშილით დავიხოცებით, სჯობდა მონადირის ტყვიას მოვეკალითო.

მელამ უპასუხა:

_ ჩვენ ხომ ორივეს შეგვიძლია ისეთი სახე მივიღოთ, როგორსაც ვისურვებთ. მოდი, ასე მოვიქცეთ: მე მონადირედ გადავიქცევი, შენ თავი მოიმკვდარუნე. მერე რომელიმე ვაჭარს შევატყუებ შენს თავს და იმ ფულით იმას ვიყიდი, რაც მინდა, მერე შენ დროს იხელთებ, ტყეში გამოიპარები და ნადავლსაც გავიყოფთო.

_ თანახმა ვარო! _ წამოიძახა გახარებულმა მაჩვმა. _ მოდი, ვიჩქაროთ, შიმშილის მოთმენა აღარ შემიძლიაო.

_ კარგიო, _ თქვა მელამ და მონადირედ იქცა.

მაჩვმა დაინახა თუ არა მონადირე, მაშინვე თავი მოიმკვდარუნა.

მონადირე მელამ მაჩვი ზურგზე მოიგდო, გამოემშვიდობა მელაკუდას და ქალაქ მაცუმოტოსკენ გასწია.

შემდეგ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მოილაპარაკეს. მელამ მაჩვი რომელიღაც ვაჭარს მიჰყიდა, ვაჭარმა კი მაჩვი კუთხეში მიაგდო და თქვა:

_ ხვალ დილით ტყავს გავაძრობ. ახლა კი, პატივცემულო, მაჩვის საფასური გამომართვიო.

მონადირე მელამ ფული გამოართვა და ბარისკენ გასწია. რაღა არ იყიდა, საჭმლით სავსე ტომარა ძლივს მიათრია სახლამდე.

მშიერმა მელაკუდამ ამდენი საჭმელი რომ დაინახა, სიხარულისაგან აკუნტრუშდა. მაგრამ მელამ უთხრა:

_ ხელი არაფერს ახლო: ბატონ მაჩვს მოვუცადოთ, რომ ყველაფერი გავიყოთო.

მთელ დღეს წკმუტუნებდა მშიერი მელაკუდა და ეხვეწებოდა დედას, თევზის ბოლო მაინც მაჭამეო. მელას ძალიანაც ეცოდებოდა შვილი, მაგრამ მაინც უარზე იდგა:

_ ცოტაც მოითმინე, სულ ცოტა. მოვა ბატონი მაჩვი, შუაზე გავყოფთ ჩვენს ნადავლს და მაშინ რამდენიც გინდა, იმდენი ჭამეო.

მაჩვი გათენებისას გამოექცა ვაჭარს. მელას სოროსთან მიირბინა და გაბრაზებულმა იყვირა:

_ ღორმუცელებო, ალბათ ყველაფერი უჩემოდ შეჭამეთო!

_ რას ბრძანებ, ბატონო მაჩვო! უშენოდ ტომარაც კი არ გაგვიხსნიაო! _ უპასუხა მელამ.

_ უცებ არ დაგიჯეროთ! _ ჩაიბურტყუნა მაჩვმა. აიღო თავისი წილი საჭმელი და შინისკენ წავიდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მაჩვი მელასთან მივიდა და უთხრა:

_ მე უკვე ყველაფერი შევჭამე. ახლა ჩემი რიგია. შენ თავი მოიმკვდარუნე, მე კი მონადირედ ვიქცევი, ქალაქში წავალ და გაგყიდიო.

მართლაც, მელამ თავი მოიმკვდარუნა, მაჩვმა მონადირის სახე მიიღო და ქალაქში წაიყვანა გასაყიდად.

შევიდა თუ არა ბაზარში, ვიღაც ვაჭარმა მაშინვე მიიპატიჟა თავის დუქანში და მელა იყიდა. სანამ ვაჭარი ფულს თვლიდა, მაჩვმა გაიფიქრა: როგორმე უნდა მოვიშორო ეს აბეზარი მელა და საჭმლის გაყოფა აღარ დამჭირდებაო.

გაბრაზებულმა მაჩვმა გვერდზე გაიხმო ვაჭარი და ჩასჩურჩულა:

_ მელამ თავი მოიმკვდარუნა, სინამდვილეში ცოცხალია და ამაღამ გაგეპარებაო.

ამის გაგონებაზე ვაჭარმა კეტი მოიქნია და უბედური მელა მოკლა.

გულქვა მაჩვმა კი ორი ტომარა საჭმელი იყიდა და ტყეში წაათრია.

საბრალო მელაკუდა ამაოდ ელოდა დედას. გათენდა თუ არა, მაჩვთან მიირბინა და ამბავი ჰკითხა.

მაჩვს უკვე მოესწრო დანაყრება და ტომრებზე გაშხლართულიყო. დაინახა მელაკუდა და ტყუილებს მოჰყვა:

_ სულ არ უყვარხარ დედაშენს! რამდენი ვეხვეწე, მაგრამ მაინც შინ არ წამომყვაო.

მელაკუდამ მაჩვთან იმდენი საჭმელი რომ დაინახა, მიხვდა, მაჩვი ყველაფერს იგონებდა და მელას დაღუპვა მისი ბრალი იყო.

მელაკუდას არაფერი უთქვამს. დაბრუნდა სოროში და დაიწყო ფიქრი, როგორ გადაეხადა სამაგიერო გულქვა მაჩვისათვის.

ერთ მშვენიერ დღეს მელაკუდამ დიდხანს ვერ დაიძინა შიმშილისაგან და გათენებისას გადაწყვიტა, საჭმლის საშოვნელად მახლობელ სოფელში წასულიყო. წავიდა, მაგრამ ბედმა უმტყუნა, მას ეგონა, იმ დროს მთელ სოფელს ეძინებოდა, მაგრამ სოფლის განაპირა გზაზე გლეხები გამოსულიყვნენ და მუშაობდნენ.

მელაკუდა მაღალ ბალახში ჩაიმალა და ყური მიუგდო ხალხის ლაპარაკს. ხალხი კი ლაპარაკობდა, რომ შუადღისას ამ გზაზე თვით დიდებულ თავადს უნდა ჩაევლო და საჭირო იყო ტყისკენ მიმავალი გზის სწრაფად შეკეთება. გზა სწორი და სასიამოვნო სავალი უნდა ყოფილიყო. მელაკუდამ მაჩვთან მიირბინა და უთხრა:

_ ბატონო მაჩვო! დედაჩემისაგან გამიგონია, რომ თქვენ შეგიძლიათ ყოველნაირი სახე მიიღოთ. ნუთუ ეს მართალიაო?

_ რა თქმა უნდა, მართალიაო, _ დაიტრაბახა მაჩვმა.

_ იცით თუ არა, რომ მეც შემიძლია ყოველნაირი სახის მიღებაო? _ ჰკითხა მელაკუდამ.

_ არაფერიც არ შეგიძლია, ტყუიხარო! _ გაბრაზდა მაჩვი.

_ არ ვტყუივარ! დღეს შუადღისას გარდავიქმნები და თუ მიცნობ, სიკვდილამდე თქვენი მონა ვიქნებიო.

_ კარგიო! _ დაიყვირა მაჩვმა. _ თანახმა ვარ! მხოლოდ იცოდე: როცა ჩემი მონა გახდები, არ დაგინდობო!

შუადღისას მაჩვი ტყის ბილიკზე გავიდა და იქაურობა მოათვალიერა. უცებ დაინახა, რომ გზაზე ხალხს ტახტრევანი მოჰქონდა, ტახტრევანში კი თვით დიდებული თავადი იჯდა და მარაოთი ინიავებდა.

აი, თურმე, ეშმაკ მელაკუდას ვისი სახე მიუღიაო, _ გაიფიქრა მაჩვმა, ტახტრევანში შეხტა, თავადს ხელიდან მარაო გამოსტაცა და დაიყვირა:

_ შე საცოდავო ქმნილებავ! ასე როგორ გაკადნიერდი და იფიქრე, რომ შენზე ბრიყვი ვარ! დღეიდან ჩემი მონა იქნები სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. ამწუთს ტახტრევანიდან გადმოდიო!

შეშინებული თავადი ტახტრევანიდან გადმოხტა და იყვირა:

_ ცოფიანი მაჩვი! ცოფიანი მაჩვი! ჩქარა მოკალითო!

ერთ-ერთმა მსახურმა მაშინვე იძრო ხმალი და მაჩვს თავი წააგდებინა.

ასე გადაუხადა მელაკუდამ მაჩვს სამაგიერო.

<u>მოგზაური ბაყაყები</u>

იყო და არა იყო რა, იყო ორი ბაყაყი _ კავაძუ და კაძიკა. კავაძუ იაპონიის უძველეს დედაქალაქ კიოტოში ცხოვრობდა ერთ ჭაში, კაძიკა კი _ ქალაქ ოსაკაში, ზღვის სანაპიროზე.

ერთხელ კავაძუ ჭაში იჯდა და გაიგონა, რომ ვიღაც კაცი სიცილით ამბობდა:

_ ბაყაყისთვის ჭაც ზღვა არისო!

კავაძუ ძალიან თავმოყვარე და ფხუკიანი ბაყაყი იყო. ეწყინა ასეთი დაცინვა და გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ენახა, ზღვა რით განსხვავდებოდა ჭისაგან. როცა გაიგო, ქალაქი ოსაკა ზღვის სანაპიროზე იყო გაშენებული, იმავე დღეს შეუდგა საგზაო მზადებას. ტანთ აბრეშუმის კიმონო[1] გადაიცვა, წელზე მაგრად შემოირტყა სარტყელი და შიგ ლამაზი მარაო გაირჭო.

როცა იმ მიდამოების ბაყაყებმა კავაძუს განზრახვა გაიგეს, სთხოვეს, არსად წასულიყო.

_ აბა დაფიქრდი, რამდენი ხიფათი გელის. ბოლოს და ბოლოს, შეიძლება ზღვაში დაიხრჩო კიდეც! ამბობენ, ზღვა ძალიან ღრმა არისო! _ ეუბნებოდნენ მეგობრები.

_ ეგ არაფერია! მე არაფრის არ მეშინია! დარწმუნებული ვარ, სინამდვილეში არც ჩვენს ჭაზე ღრმაა და არც ჭაობზე განიერიო! _ ანუგეშებდა კავაძუ.

ბოლოს მაინც ადგა და ოსაკასკენ გასწია.

სწორედ იმ დროს ოსაკაში, ერთი სახლის უკანა ეზოში, გუბის გარშემო კაძიკა დახტოდა. გუბეს ორმა დარბაისელმა ადამიანმა ჩაუარა. ერთმა თქვა:

_ ვისაც ჩვენი დიდებული დედაქალაქი კიოტო არ უნახავს, ის სიკვდილამდე სულელად დარჩებაო.

ეს რომ კაძიკამ გაიგონა, დაიყიყინა:

_ დღესვე წავალ კიოტოში და ჩვენი პროვინციის ბაყაყებს შორის ყველაზე ჭკვიანი ბაყაყი ვიქნებიო!

მეგობრები კაძიკას ემშვიდობებოდნენ და ეუბნებოდნენ:

_ პატივცემულო კაძიკა, როცა კიოტოში მიხვალ, გემუდარებით, არ დაიზარო, ყველა ქუჩა დაათვალიერე, რომ ჩვენც ვიცოდეთ, ჩვენი დედაქალაქი ოსაკაზე რამდენად დიდიაო.

_ მე შესანიშნავი მეხსიერება და დიდებული მხედველობა მაქვს, _ წაიტრაბახა კაძიკამ. _ არაფერს გამოვტოვებ, ყველაფერს ვნახავო!

გამოემშვიდობა მეგობრებს და ხტუნვა-ხტუნვით გასწია კიოტოსაკენ.

ასე რომ, კაძიკამ და კავაძუმ ერთსა და იმავე დღეს დაიწყეს მოგზაურობა. ერთი კიოტოდან ოსაკაში მიხტოდა, მეორე კი _ ოსაკადან კიოტოში. და, რა თქმა უნდა, შუა გზაზე ისინი ერთმანეთს შეხვდნენ.

როგორც ბაყაყებს შეჰფერით, კაძიკა და კავაძუ თავაზიანად მიესალმნენ ერთმანეთს. თქვეს თავიანთი სახელები და მოგზაურობაზე ჩამოაგდეს საუბარი. საუბარს შეჰყვნენ და უნებურად მაღალი ბორცვის მწვერვალზე ამოყვეს თავი. გადაწყვიტეს იქ შეესვენათ. ორივენი უკვე ხანდაზმულები იყვნენ და საკმაოდ დაიღალნენ უჩვეულო მოგზაურობისაგან.

კავაძუ და კაძიკა მზეს ხშირ ბალახებში დაემალნენ, ამოიღეს თავ-თავიანთი საგზალი და თავაზიანად შესთავაზეს ერთმანეთს.

_ ოჰ, არასოდეს მიჭამია ასეთი ბრინჯის კვერი! _ აღტაცებით დაიყიყინა კავაძუმ. _ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ დედამიწაზე ასეთი შესანიშნავი საჭმელი არსებობდაო!

_ რას ბრძანებთ! ჩემთვის უდიდესი პატივია ვისაუზმო დედაქალაქის მცხოვრებთან ერთად! _ მორიდებით თქვა კაძიკამ. _ პატივცემულო კავაძუ, ნუთუ კიოტო სამუდამოდ დატოვეთო?

_ არა, რას ამბობთ! მე ოსაკაში იმიტომ მივდივარ, რომ ხალხი ამბობს, ზღვა ჭაზე ღრმა და განიერიაო. მინდა გავიგო, მართალს ამბობენ თუ არაო.

კაძიკას თავის სიცოცხლეში არ ენახა ჭა და ვერც წარმოედგინა, როგორი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამ ბაყაყს ძალიან უყვარდა, როცა მოსაუბრეს ასიამოვნებდა ხოლმე, ამიტომ კავაძუს უთხრა:

_ ხალხი ყოველთვის რაღაც სისულელეს ლაყბობს! გარწმუნებთ, თქვენი ჭა ზღვაზე უფრო ღრმაც არის და უფრო განიერიცო.

_ მაშ, რამ წამომიყვანა ამ სიშორე და ამ სახიფათო გზაზე, _ გაბრაზდა კავაძუ. _ მე მგონი, უაზრობა იქნება, კვლავ განვაგრძო გზა. ზღვასა და ოსაკას ამ მაღალი ბორცვიდან შევხედავ და ისიც მეყოფაო.

_ საოცრად გონივრული გადაწყვეტილებაა! _ მოუწონა კაძიკამ. _ თქვენთან საუბარმა, რა თქმა უნდა, უჭკვიანეს ბაყაყად მაქცია ჩვენი პროვინციის ბაყაყებს შორის. არც მე განვაგრძობ გზას. ამ ბორცვიდან გადავხედავ კიოტოს და უკან დავბრუნდებიო.

ასე გადაწყვიტეს და უკანა ფეხებზე შედგნენ. კიოტოდან წამოსული კავაძუ ოსაკას სანახავად ზურგით შებრუნდა თავისი მშობლიური ქალაქისაკენ, კაძიკამ კი ოსაკას მიაქცია ზურგი, რომ კიოტო დაენახა, მაგრამ, რადგანაც ბაყაყებს თვალები კინკრიხოზე აქვთ, უკანა ფეხებზე შემდგარმა კავაძუმ და კაძიკამ ის დაინახეს, რაც მათ უკან იყო, კავაძუმ _ თავისი კიოტო, კაძიკამ კი _ ოსაკა.

კავაძუმ კიოტოს ერთ-ერთ ქუჩაზე გუბე შეამჩნია და აღშფოთებით დაიყიყინა:

_ აი, თურმე, როგორი ყოფილა ზღვა! მართალს მეუბნებოდნენ მეგობრები, ადამიანებს არ დაუჯეროო!

კაძიკა კი სწორედ ამ დროს ოსაკას უყურებდა და კიოტო ეგონა, ამიტომ სასოწარკვეთით წამოიძახა:

_ თურმე ჩვენი დედაქალაქი სულაც არ ყოფილა ჩემს ქალაქზე დიდი და ლამაზი. მოდი და ამის შემდეგ ხალხს დაუჯერეო.

ბაყაყებმა გული იჯერეს თავიანთი ქალაქების ცქერით, ლანძღეს ადამიანები და თავ-თავისი სახლისკენ გაეშურნენ.

შინ დაბრუნებულმა კავაძუმ ყველა ნაცნობ ბაყაყს ამცნო, ზღვა ვნახეო.

_ სულაც არ ყოფილა ჩვენს გუბეზე დიდი! ჩვენს ჭას არც კი შეედრებაო.

შინ დაბრუნებული კაძიკა კი თავის მეგობრებს უამბობდა:

_ იცოდეთ, ადამიანები უსინდისო ენაჭარტალები არიან: კიოტო და ოსაკა ბრინჯის მარცვლებივით ჰგვანან ერთმანეთსო!

დიახ, თურმე მართალს ამბობენ ხალხში: ბაყაყისთვის ჭაც ზღვა არისო.

<u>მაიმუნი და მედუზა</u>

დიდი ხნის წინათ ზღვის ფსკერზე დრაკონს მშვენიერი სასახლე ედგა და ცხოვრობდა თავისი ცოლით. ყველა თევზის ხელმწიფე ის ბრძანდებოდა და არავინ იყო ზღვაში ისეთი, მისი მორჩილი არ ყოფილიყო.

ერთხელ დრაკონს ცოლი გაუხდა ავად, ლოგინად ჩავარდა. რამდენს არ ეცადნენ ექიმები, რა არ უწამლეს _ ვერაფერმა მოარჩინა.

თვალსა და ხელს შუა დნებოდა დრაკონის ცოლი და არავინ იცოდა, მიაღწევდა თუ არა მეორე დღემდე.

მოსვენება დაკარგა დრაკონმა, შეშფოთებულმა თავის ხელქვეითებს უხმო და ბჭობა გამართა, რა ვიღონოთ, როგორ მოვიქცეთო. მაგრამ ყველანი საგონებელში ჩავარდნილიყვნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ. წინ წარსდგა მაშინ ბრძენი რვაფეხა, თაყვანი სცა ზღვათა ხელმწიფეს და მოახსენა:

_ სად არ მივლია, ხელმწიფეო, რა არ ვიცი ადამიანებსა და მხეცებზე, რომელნიც ხმელეთზე ცხოვრობენ! ჰოდა, მსმენია, ყველაფერზე უკეთ ასეთ ავადმყოფს ცოცხალი მაიმუნის ღვიძლი შველისო.

_ მერე, ეგ ცოცხალი მაიმუნი სადღა ვიშოვოთო?

_ ჩვენგან სამხრეთით მდებარეობს კუნძული სარუგასიმა, რაც ‘მაიმუნების კუნძულს» ნიშნავს. იმ კუნძულზე უამრავი მაიმუნი ცხოვრობს. აი, იქ უნდა გაიგზავნოს ვინმე მაიმუნის დასაჭერადო.

მოჰყვნენ ბჭობას და თათბირს, სახელდობრ, ვინ გაეგზავნათ მაიმუნის დასაჭერად და მოსაყვანად. წინ წარსდგა ზღვის ქორჭილა და თქვა:

_ ამისთანა დავალებას ყველაზე უკეთ, მე მგონი, მედუზა შეგვისრულებს. შესახედავად, მართალია, უშნო და მახინჯია, მაგრამ ოთხი თათი აქვსო.

უნდა ითქვას, რომ იმ შორეულ დროში მედუზა ისეთი არ იყო, როგორიც ახლა არის: მაშინ ძვლებიც ჰქონდა და მძლავრი თათებიც, ზღვაში ცურვაც შეეძლო და მიწაზე კუსავით ბაჯბაჯიც.

იმწამსვე იხმეს მედუზა და უბრძანეს, მაიმუნების კუნძულზე გამგზავრებულიყო.

ზღვის მცხოვრებლებში მედუზა მაინცდამაინც დიდად არ გამოირჩეოდა ჭკუა-გონებით. წარმოდგენაც არ ჰქონდა, როგორ შეეპყრო მაიმუნი და როგორ მიეგვარა დრაკონისთვის.

მოჰყვა მედუზა კითხვა-კითხვას, ვინც კი შემოხვდა, ყველა გააჩერა და გამოჰკითხა:

_ მითხარით, მაიმუნი შესახედავად რანაირიაო.

თევზებმა უთხრეს:

_ იმ ნადირს ტუჩ-პირიც წითელი აქვს და უკანალიც, ხეებზე კარგად დაძვრება და წაბლი და ხურმა ძალიან უყვარსო.

_ მერედა, რანაირად დავიჭიროო?

_ უნდა მოატყუოო.

_ როგორ მოვატყუოო?

_ იმაზე ემუსაიფე, რაც მაიმუნს ყველაზე მეტად მოსწონს, მერე კი უამბე: დრაკონს თავის სასახლეში ათასნაირი გემრიელი საჭმელი აქვს-თქო. რამე ისეთი უთხარი, მაიმუნს შენთან წამოსვლა მოუნდესო.

_ მერე, წყალქვეშა სასახლემდე რითღა მოვიყვანოო?

_ ზურგზე შეისვი და ისე მოიყვანეო.

_ მძიმე იქნებაო.

_ მეტი რა გზაა, უნდა მოითმინო, დრაკონის ბრძანება ასეთიაო.

_ კარგი, ვეცდებიო, _ თქვა მედუზამ და კუნძულ სარუგასიმასკენ გაცურა.

მალე შორს კუნძული გამოჩნდა.

_ სხვა რა უნდა იყოს, სარუგასიმა იქნებაო, _ თქვა გულში მედუზამ და ახლოს მიცურდა. აფოფხდა ნაპირზე, მიიხედ-მოიხედა ირგვლივ და ხედავს: მახლობლად, ფიჭვის შტოზე, რაღაც საფრთხობელა ქანაობს _ ტუჩ-პირიც წითელი აქვს და უკანალიც.

აი, თურმე მაიმუნი რანაირი ყოფილაო! _ გაიფიქრა მედუზამ, ვითომც აქ არაფერიაო, მიცოცდა ხესთან დინჯად და ასძახა:

_ გამარჯობა, მაიმუნო, დღეს რა კარგი დარიაო!

_ ჰო, კარგი დარიაო, _ მიუგო მაიმუნმა, _ ოღონდ უწინ ამ ჩვენს კუნძულზე თითქოს არ მინახავხარ, ასეთი უცნაური აქ საიდან გაჩნდიო?

_ მედუზას მეძახიან, მისი უდიდებულესობის, ზღვის დრაკონის ქვეშევრდომი ვარ. დღეს რაღაც ძალიან კარგი ამინდი დადგა, ჰოდა, სასეირნოდ გამოვედი. სწორი უთქვამთ: სარუგასიმა, მართლაც, მშვენიერი ადგილი ყოფილაო!

_ ჰო, ცუდი არ არის. ადგილი ხომ ლამაზია, ხურმა და წაბლიც თავსაყრელად იცის. არა მგონია, სხვაგან ამდენი იცოდესო, _ თქვა მაიმუნმა და ამაყად გადმოხედა მედუზას.

მოუსმინა მედუზამ მაიმუნს და ყასიდად ერთი ისეთი გადაიხარხარა, თითქოს მართლაც რამე ყოფილიყოს სასაცილო.

_ არა, რა თქმა უნდა, სარუგასიმა, მართლაც, მშვენიერი ადგილია! ოღონდ სად სარუგასიმა და სად დრაკონის სასახლე. შენ იქ არ ყოფილხარ, იმიტომაც ტრაბახობ ამ შენი კუნძულით. ეჰ, ნეტავი ჩვენი წყალქვეშა სამეფო გაჩვენა! სასახლე ერთიანად ოქრო-ვერცხლისა და ძვირფასი მარჯნისაა. ბაღში კი ზამთარ-ზაფხულ წაბლი, ხურმა და ათასი სხვა ხილი მწიფს, ინებე, სულო და გულო, რამდენიც გაგიხარდებაო!

ცქვიტა ყური მაიმუნმა და თანდათან მედუზასკენ ჩამოიწია. ბოლოს სულაც მიწაზე ჩამოვიდა და ეუბნება:

_ მაგისთანა ადგილის ნახვაზე უარს არ ვიტყოდიო.

მგონი, საქმე რიგზე მიდისო, _ გაუხარდა მედუზას და მაიმუნს უთხრა:

_ თუ გინდა, თან წაგიყვანო.

_ მე რომ ცურვა არ ვიციო?

_ არა უშავს, ზურგზე შემაჯექი, მე წაგიყვანო.

_ ძალიან კარგი! მადლობის მეტი რა მეთქმისო!

შეაჯდა მაიმუნი ზურგზე და მიჰყვნენ ცურვით ზღვის ტალღებს. გაცურეს ცოტაოდენი და მაიმუნი ეკითხება:

_ მედუზავ, დრაკონის სასახლე კიდევ შორს არისო?

_ ჰო, საკმაოდ შორს არისო.

_ მგზავრობა ძალიან მოსაწყენი კიაო.

_ მანდ წყნარად იჯექ და მაგრად მომეჭიდე, თორემ, ვინ იცის, იქნებ ზღვაშიც მოადინო ტყაპანიო.

_ ვაიმე, ფრთხილად, ძალიან გთხოვ, ასე ჩქარა ნუ მიცურავო!

ასე მასლაათით მიცურავდნენ და მიცურავდნენ. მედუზა კი, იმის გარდა, რომ ჭკუასუსტი იყო, ყბედიც გახლდათ. ვერ მოითმინა და მაიმუნს ეკითხება:

_ ყური მიგდე, მაიმუნო, ცოცხალი ღვიძლი ხომ გაქვსო?

რა უცნაური შეკითხვაა, _ გაიფიქრა მაიმუნმა.

_ რა თქმა უნდა, მაქვს, ოღონდ, ეს მითხარი, ცოცხალი ღვიძლი რამ გაგახსენაო?

_ როგორ თუ რამ! მთავარი ღვიძლიაო!

_ როგორ თუ მთავარი ღვიძლიაო?

_ არაფერი, ისე ვთქვიო.

მაგრამ შეფიქრიანებული მაიმუნი არ მოეშვა. მედუზას მაიმუნის მდგომარეობა სასაცილოდ მოეჩვენა და გამოჯავრება დაუწყო. შეშფოთებული მაიმუნი კი სულ ეკითხებოდა:

_ ყური მიგდე, მედუზავ, მითხარი, რა ამბავია, რა მოხდაო?

_ აბა, რა გიყო, გითხრა თუ არ გითხრაო?

_ ნუ მახელებ, მითხარი ჩქარაო!

_ რაც არის, არის, გეტყვი. აი, რა: ამას წინათ დრაკონს ცოლი გაუხდა ავად, მძიმე ავადმყოფი შეიქნა. ამბობენ, მაიმუნის ცოცხალი ღვიძლი თუ გადაარჩენს, თორემ სხვა ვერაფერიო. ჰოდა, კუნძულზე მოვცურდი, რომ გაგიტყუო. ახლა ხომ გაიგე, რისთვისაც გითხარი, მთავარი ღვიძლია-მეთქი?

ეს რომ გაიგონა, შიშისაგან ცახცახი აუვარდა მაიმუნს. გულში კი გაიფიქრა: სანამ ზღვაზე ვართ, რამდენიც უნდა ვიყვირო, სულ ერთია, ვერაფერს გავხდებიო. _ ჰოდა, ეუბნება:

_ აი, თურმე რა მომხდარა! თუკი ჩემი ცოცხალი ღვიძლი დრაკონის ცოლს მოარჩენს, ინებეთ. ოღონდ რატომ ადრე არ მითხარი? მე ხომ არაფერი ვიცოდი, მთელი ჩემი ღვიძლი კუნძულზე დავტოვეო.

_ რაო, კუნძულზე დატოვეო?

_ ჰო-მეთქი, კუნძულზე დავტოვე! მე რომ ფიჭვზე ვიჯექი, იმის ტოტებზე მიკიდია. ხომ იცი, ღვიძლი ისეთი რამ არის, დროდადრო თუ არ ამოიღე და კარგად არ გააშრე, არ ივარგებსო.

ეს რომ უთხრა მაიმუნმა, მედუზას კინაღამ გული შეუღონდა.

_ ეს რა დამემართა! რა უნდა ვქნა ახლა, რანაირად მიგიყვანო დრაკონის სასახლეში, უღვიძლოდ იქ ვის რად უნდიხარო?

_ ჰო, როგორღაც მეც კი მეუხერხულება: სასახლეში მივდივარ და საჩუქარი არ მიმაქვს. ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ მეტი გზა არ გვაქვს, უნდა გაისარჯო. ერთი, უკანვე კუნძულზე მიმაბრუნე, იმ ჩემს ღვიძლს წამოვიღებ და მერე ისევ დრაკონის სასახლისკენ გავცუროთო.

იბუზღუნა მედუზამ, იბუზღუნა, მაგრამ მეტი რა გზა იყო, უკანვე გაცურეს კუნძულისკენ. როგორც კი ნაპირს მიადგნენ, ისკუპა მაიმუნმა მედუზას ზურგიდან და მკვირცხლად აცოცდა ხეზე. ზის ხეზე და ძირს აღარ ჩამოდის.

_ ჰეი, მაიმუნო, მანდ რას დამჯდარხარ? დროზე წამოიღე ეგ შენი ღვიძლი და აქ ჩამოდიო! _ შეჰყვირა მედუზამ.

მაიმუნი კი ზის ხეზე და იქიდან დაჰხითხითებს:

_ მეტი საქმე არა მაქვს! გასწი, წაეთრიე, მეყოფა ზღვაზე სეირნობაო!

მედუზა გულზე სკდება ბოღმით:

_ ეგ იყო შენი პირობაო?

_ სულელი ხარ, მედუზავ, და მეტი არაფერი! რომელი გიჟი მოგცემს თავის ღვიძლს? ღვიძლი შენ მოგცე და მე სიცოცხლეს გამოვეთხოვო? ბოდიში! არა, თუ ჩემი ღვიძლი ასე ძალიან გინდა, აქ ამოდი და წაიღე. რაო, ხეზე ამოსვლა არ შეგიძლია? ვაი, შე შტეროო!

მიხვდა მედუზა, რომ მოაღორეს, მაგრამ რა უნდა ექნა, იძულებული გახდა, დრაკონის სასახლეში ხელცარიელი დაბრუნებულიყო.

მიცურდა მედუზა სასახლეში. იქ კი მოუთმენლად ელოდნენ. შემოეხვივნენ ირგვლივ და ეკითხებიან:

_ აბა, რა ჰქენი, მაიმუნი რა უყავ, ცოცხალი ღვიძლი იშოვე თუ არაო?

რა უნდა ექნა? იძულებული იყო, ყველაფერი თავიდან ბოლომდე მოეყოლა.

გადაირია ზღვის დრაკონი, სულ ცოფები ყარა:

_ ოხ, შე შტერო და გამოთაყვანებულო! დაჩეჩქვეთ მაგრად, სულ ძვლები დაამტვრიეთ, იქნებ ჭკუა ახლა მაინც ისწავლოს! ჰეი, მანდ ვინა ხართ! მანამდე ურტყით, სანამ ძვალსა და რბილს არ გაუერთიანებთო!

მისცვივდნენ ზღვის მკვიდრნი მედუზას და ურტყეს დაუზოგავად, ვისაც რით შეეძლო.

_ ესეც შენ, ყბედო! ესეც შენ, დოყლაპიაო!

ურტყეს და ურტყეს, სულ დაუმტვრიეს ძვლები, ძვალი და რბილი გაუერთიანეს. მას შემდეგ გახდა მედუზა ისეთი, როგორიც დღეს არის.

<u>კოჭლი მელა</u>

ოდესღაც ერთ კორტოხზე ერთი მელია ცხოვრობდა. რაც იმ არემარეზე მელიები სახლობდნენ, ყველას წინამძღოლი ის იყო. ერთხელ თოფით დაჭრეს და დიდხანს იავადმყოფა, მთელი ზამთარი სოროში გაატარა. ბოლოს, გაზაფხული რომ მოახლოვდა, მომჯობინდა. ეწვივნენ მაშინ ხელქვეითი მელაკუდები, გამოჯანმრთელება მიულოცეს და ძღვენიც მიართვეს: ვის ხოხობი დაეჭირა და ვის კურდღელი.

ხეობაში ერთი ხნიერი კოჭლი მელა ცხოვრობდა. გაიფიქრა: მეც მოვალე ვარ, მივიდე, კეთილად გამოჯანმრთელება მივულოცო ჩვენს წინამძღოლს და ცოტა რამ ძღვენიც მივართვაო.

დიდხანს იხეტიალა მელიამ კლდე-ღრეში, მაგრამ ვერაფერი დაიჭირა. დაინახავდნენ თუ არა კურდღლები, ხელად მოცოცხავდნენ ხოლმე. ვერც ერთს ვერ დაეწია კოჭლი მელია და დანიშნულ დღეს წინამძღოლთან ხელცარიელს მოუხდა წასვლა.

მივიდა და ხედავს: წევს ბატონი მელია, იმის ზურგს უკან კი იმდენი რამ დახვავებულა, ტევა აღარ არის. რა არ მოუზიდავთ ხელქვეით მელაკუდებს: ქათმები, ბატები და კატები, ირმებიც კი მიურთმევიათ, წვრილ ნადირს ხომ სათვალავი არ აქვს!

მელიების წინამძღოლი კოჭლ მელიას ეკითხება:

_ შენ, შენ რაღა მომართვიო?

სირცხვილით დაიწვა საწყალი, უხერხულად აიწურა, აღარ იცოდა, რა ეპასუხა. ყველამ მასხარად აიგდო, სიცილი დააყარეს და გამოაგდეს

წინამძღოლის ბრძანებით. გასწია კოჭლმა მელიამ თავისი სოროსკენ, მიცანცალებს და ტირის:

_ ვაიმე და ვაიმე! კოჭლი და ხეიბარი არ ვიყო, ხომ მეც მივართმევდი ჩვენს წინამძღოლს რამეს! რისთვის მომჭრა თავი, რა დავაშავეო?!

შეძვრა კოჭლი მელია თავის სოროში და ტირის მწარედ. უცბად ესმის: ბრუნდებიან წინამძღოლთან სტუმრად ნამყოფი მთვრალი, გახალისებული მელაკუდები და ხმამაღლა მასლაათობენ:

_ ქვემო სოფელში რომ შეძლებული ბერიკაცია, ჩვენი წინამძღოლი იმის ქალიშვილზე ქორწინდება. ქორწილის დღე უკვე დანიშნულია. ჰოი, რა სუფრა იქნება და რანაირად დავნაყრდებით! ყველანი მაყრებად წავყვებით ჩვენს წინამძღოლს, ამ ხეიბარს კი ნიშნობაშიც არ წავიყვანთ. ხო-ხო, რა სეირს ვუყურებთო!

კოჭლმა მელიამ გაიფიქრა: მწარე სიტყვები კი მესმის, მაგრამ ეგ ჯერ კიდევ საკითხავია, სეირს ვინ უყურებსო!

მეორე დღეს კოჭლი მელია კოჭლ მოხუცად გადაიქცა და ქვემო სოფელში იმ შეძლებული მოსახლისკენ წაცუხცუხდა. ჭიშკართან მივიდა და მასპინძელს გადასძახა:

_ ჰეი, რომელი ხარ მანდ, ბერიკაცი შინ ბრძანდებაო?

ბერიკაცი შინ იყო, ქორწილის სამზადისი ჰქონდა და ოჯახში ფუსფუსებდა. გაუკვირდა ბერიკაცს:

_ არასდროს აქ არ მინახავხარ, კოჭლო მოხუცო, სადაური კაცი ხარო?

უცნობმა მიუგო:

_ მართალი თუ გინდა, გეტყვი _ მელია ვარ. ისიც იცოდე, სასიძოს რომ ელი, არც ის არის კაცი, ისიც მელიაარ!

უფრო მეტად გაოცდა ბერიკაცი:

_ აი, დასწყევლის ღმერთი! რას მეუბნები? მან ხომ დარბაისელი მოციქულები მომიგზავნა, მგონი, თვითონ სასიძოც კაი ოჯახიშვილი ყოფილაო.

კოჭლმა მელიამ კი მიუგო:

_ ეგ სულ მელური ოინებია! მაგრამ თუ იმას ფიქრობ, რომ გატყუებ, ქორწილის დღეს ჭიშკართან ცერცვი დაყარე, თვითონ ნახავ, ნეფე და მაყრები როგორ მიესევიან და თქვლეფას დაუწყებენ. ამის გარდა, დარბაზის ყოველ კუთხეში მოზრდილი კოდი დადგი, თითო კოდში თითო ძაღლი ჩაამწყვდიე, მერე ნეფე საბანებელ კასრში ჩასვი და სარქველი ლურსმნით დააჭედე, მაშინ დარწმუნდები, რომ ყველანი მელიები ბრძანდებიანო.

აფორიაქდა ბერიკაცი, ეს რომ გაიგონა. გადაწყვიტა, რჩევას დაჰყოლოდა. გაამზადა ოთხი კოდი, მოიყვანა ოთხი ძაღლი, ჭიშკრიდან სახლის კარებამდე, ეზოს ბილიკზე, ქორწილის დღეს ცერცვი მოაბნია, დაჯდა და ლოდინი დაიწყო.

დანიშნულ დროს მობრძანდა ნეფე თავისი მაყრებით. ისე მორთულ-მოკაზმულიყვნენ, ისეთი დიდებული შესახედაობა ჰქონდათ, მათი ცქერით ვერ გაძღებოდით.

უცბად სტუმრებმა ძირს მობნეული ცერცვი დაინახეს, გულმა არ გაუძლოთ და მისცვივდნენ, კრეფდნენ და პირში იყრიდნენ.

შეუძღვნენ სტუმრებს დარბაზში, სამზადში კი ამ დროს განგებ თაგვებს სწვავენ: მთელ სახლში ისმის, როგორ შიშხინებენ თაგვები ერბოში, თანაც შემწვარ-მოხრაკულის ისეთი სუნი დგას, რომ მელიებმა პირდაპირ აღარ იციან, რა ქნან.

ვერ მოითმინეს საღერღელაშლილმა სტუმრებმა, მოჰყვნენ დარბაზში სირბილსა და სუნსულს. ჰაი, ჰაი, რომ ასე იზამდნენ: თავიანთი საყვარელი საჭმლის სუნი იგრძნეს! ნელ-ნელა დრუნჩები დაუგრძელდათ და ზუსტად ისეთები გაუხდათ, როგორებიც მელიებს აქვთ.

_ ეჰეო, _ გაიფიქრა ბერიკაცმა, _ ეტყობა, მართლაც არ არიან ადამიანები, ნამდვილად მელიები არიანო!

აღარ გაუმასპინძლდა სტუმრებს ბერიკაცი, მაგიდაზე მხოლოდ თევზის შიგნეული დაუყარა, თვითონ კი ადგა და მეზობლის ბიჭებს დაუძახა; წინასწარ ჰყავდა გაფრთხილებული.

ისევ დარბაზში შემობრუნდა ბერიკაცი და სტუმრებს ეუბნება:

_ სმენა იყოს და გაგონება, ბატონებო! ჩვენში ასეთი წესია, ქორწილი ისე არ იქნება, თუ ცულებით არ ვიცეკვეთო. აბა, ცეკვას უცქირეთო!

მოუქნიეს ზორბა ბიჭებმა თავიანთი ცულები სტუმრებს და ეცნენ ასაჩეხად. დაფრთხნენ სტუმრები და შიშისაგან წამსვე მელიებად იქცნენ. მაშინ ოთხი კოდიდან ოთხი ძაღლი ამოხტა და ისინიც მისცვივდნენ მელიებს.

ამასობაში ნეფე წყლით სავსე მოზრდილ კასრში ჩაესვათ, ვითომდა ბანაობას ვუპირებთო. მაგრამ როგორც კი მელიების ოინბაზობა გამოაშკარავდა, კასრს უმალ სარქველი დაახურეს, ცეცხლზე შემოდგეს და სანეფო მელია შიგ ჩაფუფქეს. ასე პირწმინდად გაიჟუჟნენ მელიები, მხოლოდ ერთი გამხდარი, გაქუცული მელია გადარჩა, კარში გაასწრო და გაიქცა.

მიირბინა იმ გაქუცულმა მელიამ კოჭლ მელიასთან და უამბო:

_ ასე და ასე შეგვემთხვა, ცოცხალი მარტო მე გადავრჩიო.

_ ასე მოუხდებათო! _ მიუგო პასუხად კოჭლმა მელიამ. _ ამიერიდან ადამიანებს თავს ვეღარ მოაბეზრებენო!

_ მაგას რას ამბობ! მაგ ადამიანებზე მე შური უნდა ვიძიოო!

_ მაინც რანაირად უნდა იძიოო? _ ჰკითხა კოჭლმა მელიამ.

გაქუცულმა მელიამ მიუგო:

_ საშინელი ჯადო ვიცი. პირველი თვის მეთხუთმეტე ღამეს იმათი სახლის სახურავზე ავძვრები და სამჯერ შევძახებ: ‘ტანკორორინ, ტანკორორინ, ტანკორორინ!» _ მთელი ოჯახი იმ წამსვე ამოწყდება, ყველანი დაიხოცებიანო.

_ ნუ იზამ მაგასო! _ უთხრა კოჭლმა მელიამ. _ სახურავზე აცოცებისას რომ ბერიკაცმა შენი ხმაური გაიგონოს, წინსაფარი მოიხსნას, გასაღებზე ჩამოკიდოს

და ‘ქინძიკარენ, ქინძიკარენ, ქინძიკარენ!» _ სამჯერ ზედიზედ დაიძახოს, თვითონაც კარგად იცი, რაც მოგივა! გათავებულია შენი საქმეო!

_ ოჰ! ტყუილია! საიდან უნდა გაიგონ ადამიანებმა ეგ საიდუმლო? არა, საშიში არაფერიაო!

_ ასე ტყუილად ფიქრობ, ყველაფერი შეიძლება მოხდესო! _ უთხრა კოჭლმა მელიამ.

მაგრამ გაქუცულ მელიას არაფრის გაგონება არ სურდა და ერთი სული ჰქონდა, ის ჯადოსნური მეთხუთმეტე ღამე მალე დამდგარიყო. მიხვდა კოჭლი მელია, რომ განზრახულს ვერ გადაათქმევინებდა, წავიდა ბერიკაცთან და ყველაფერი უამბო.

მიიპარა გაქუცული მელია პირველი თვის მეთხუთმეტე ღამეს ბერიკაცის სახლთან და სახურავზე აცოცდა ფრთხილად. ‘შრრ, შრრ», _ გაიგონა ბერიკაცმა სახურავის ნამჯის შრიალი, საჩქაროდ მოიხსნა წინსაფარი, დაკიდა გასაღებზე და, ქინძიკარენ, ქინძიკარენ, ქინძიკარენო! _ შესძახა სამჯერ.

ანაზდად რაღაც დაგორდა სახურავზე და მიწაზე ზღართანი მოადინა. მერე ყველაფერი მიყუჩდა. წამოდგა მეორე დილით ხალხი, გამოვიდა გარეთ და ხედავს: თოვლში მკვდარი მელია გდია, გამხდარზე გამხდარია და გაქუცული, მთლად ძვალი და ტყავია, კბილები კი ავად დაუკრეჭია.

<u>ცოლი წეროს ბუდიდან</u>

იყო ერთი ღარიბი კაცი. ცოლ-შვილი არ ჰყავდა, მთაში ქოხი ედგა და შიგ მარტოკა ცხოვრობდა. დღედაღამ მუშაობდა, მაგრამ მაინც თავს ძლივს ირჩენდა. ხშირად ფიქრში წასულს ღამე წამოეპარებოდა ხოლმე. იჯდა და ფიქ-რობდა თავის მწარე ბედზე: რა ვქნა, ხვალ რა გზას ვეწიო, რანაირად ვიცხოვროო.

ერთხელაც სამუშაოდ იყო პატრონთან, ვისთანაც მოჯამაგირეობდა. თავის ქოხში შეღამებულზე დაბრუნდა, მიწვა და მიეძინა. შუაღამისას საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. გამოეღვიძა საწყალ მოჯამაგირეს და საიდანღაც წივილი შემოესმა: მიშველეთ, მიხსენითო!

_ საიდან უნდა იყოსო? _ გაუკვირდა. ამასობაში ინათა კიდეც. მოჯამაგირე წამოდგა და მთაში გასწია ფიჩხისთვის. აქ კი ხელახლა შემოესმა იგივე ხმა: მიშველეთ, მიხსენითო! მიჰყვა მოჯამაგირე იმ ხმას და რას ხედავს: ქარიშხალს ვეებერთელა ხე მოუთხრია. ზედ წეროს ბუდე ჰქონია, წაქცეულა ის ხე და დედა წერო ქვეშ მოჰყოლია. საცოდავად წივის ხის ქვეშ მოტანებული წერო, შორიდან კი გეგონება, ვინმე იძახის: მიშველეთ, მიხსენითო! მივიდა ღარიბი კაცი ახლოს. კვნესის წერო და იტანჯება. შეეცოდა ფრინველი, მიეშველა და გაათავისუფლა.

_ ოი, შე საბრალოვ, შემაშინე მაგ შენი წივილით! აბა, ახლა თავისუფალი ხარ, მე კი დროა სამუშაოდ გავწიო, მშვიდობითო!

ერთ უბედურებას კი გადარჩა დედა წერო, მაგრამ მეორეს რა ეშველებოდა: აფრენა აღარ შეეძლო! აიქნია ფრთები, აიწია ზემოთ და ძირს ჩამოვარდა, აიქნია ფრთები და ისევ მიწას დაენარცხა. აიყვანა მოჯამაგირემ ხელში, თავზე ხელი გადაუსვა, მიუალერსა, გაუსწორა მოტეხილი ფრთა და ეუბნება:

_ აბა, წერო-ფარფატავ, დროა სამუშაოდ გავწიო, შენ კი გამოშუშდი კარგად და მერე გასწი შენთვის, სადმე კაი საცხოვრებელი ადგილი მოძებნეო!

გამობრუნდა მოჯამაგირე და გზას დაადგა, დედა წერო კი გაჰყურებს მიმავალს და ცრემლი სცვივა.

ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულიყო, რომ წვიმიანი ამინდი დადგა. სამუშაოდ ვერ წავიდა მოჯამაგირე და შინ დარჩა. ნაშუადღევს გამოიდარა და მთაში გასწია ფიჩხისთვის. უცბად ხედავს: ტყეში ვიღაც ქალი ფიჩხს აგროვებს. ასე, ოცი-ოცდაერთი წლისა იქნება, მის უკეთესს თვალი ვერაფერს ნახავს. გაუკვირდა მოჯამაგირეს: ასეთი მზეთუნახავი აქ საიდან გაჩნდაო. ქალმა კი შესცინა და გამოელაპარაკა:

_ რა ხანია შენთან შეხვედრა მწადიაო!

_ მითხარი, ვინ ხარო?

ქალი არაფერს უპასუხებს, კისკისებს, კისკისებს, სიცილით კვდება.

_ მაინც, სადაური ხარო?

არაფერს ეუბნება მზეთუნახავი, ეს კია, ფიჩხს გულმოდგინედ აგროვებს.

ასე ერთად იმუშავეს ტყეში საღამომდე.

რომ შებინდდა, მოჯამაგირემ უთხრა:

_ ფიჩხი საკმაო შევაგროვე, შინ მივდივარო.

მზეთუნახავი კი ეუბნება:

_ მეც შენთან მოვდივარო.

არა და არ დაეხსნა, ფეხდაფეხ მიჰყვა, ჯიქურ ქოხში შეჰყვა. შეცბუნდა საწყალი მოჯამაგირე:

_ ღარიბად ვცხოვრობ, მრცხვენია, შენისთანა სტუმარს როგორ უნდა დავხვდეო?

მზეთუნახავს წარბი არ შეუხრია:

_ ეგ არაფერიაო, _ ეუბნება, _ სახლ-კარი არ გამაჩნია, ნება დამრთე, გეთაყვა, აქ, შენთან დავსახლდეო.

ამოიღო უბიდან ქაღალდის პარკი, წამოყარა იქიდან ორად ორი ბრინჯის მარცვალი და კარდალა სთხოვა საწყალ მოჯამაგირეს. ჩააგდო მზეთუნახავმა ბრინჯის ორი მარცვალი კარდალაში და ცეცხლზე შემოდგა. უცბად კარდალა დარჩეული ბრინჯით გაივსო. დანაყრდნენ გვარიანად და დაწვნენ დასაძინებლად.

იმ დღიდან მოყოლებული, მზეთუნახავი დღეში სამჯერ იღებდა უბიდან ორ-ორ მარცვალს და კარდალაში ხარშავდა. რამდენიც უნდოდათ, იმდენს ჭამდნენ და კიდევაც რჩებოდათ.

თავდაპირველად საწყალი მოჯამაგირე ხშირად ეტყოდა ხოლმე მზეთუნახავს:

_ ხომ ხედავ, ყველაზე ღატაკი მე ვარ მთელ სოფელში! მალე მოგბეზრდება ძაღლუმადური ცხოვრება! მე შენ არ გაკავებ, თუ გსურს, წადი, სადაც შენთვის ემჯობინება! ჩემთან რად უნდა გაიტანჯოო?!

მაგრამ მზეთუნახავი არ მიდიოდა. საწყალ მოჯამაგირესთან ერთად ხან ფიჩხს აგროვებდა ტყეში, ხანაც შინ იჯდა და ბეჯითად ქსოვდა.

დაინახა საწყალმა მოჯამაგირემ, რომ არ სტოვებდა მზეთუნახავი, და გაიფიქრა: ცოტა მეტად უნდა გავისარჯო, სანამ ბრინჯიანი პარკი არ დასცარიელებიაო. დილიდან საღამომდე ტყეში მუშაობდა, ხეებს ჭრიდა, დაუღალავად შრომობდა.

მზეთუნახავი მოჯამაგირის ცოლი გახდა. მთელი დღეები შინ იჯდა, ქსოვდა და ქსოვდა, მისი ხელი არ გაჩერებულა. დილიდან საღამომდე საქსოვი დაზგის ხმაური ისმოდა ქოხში.

დრო გავიდა და გოგონა შეეძინათ. ახლა სამნი ცხოვრობდნენ.

მაგრამ, აი, სამმა წელმა გაიარა. ერთხელ ცოლმა უთხრა ქმარს:

_ წაიღე ქალაქს ჩემი ნამუშევარი და ვაჭრებს მიჰყიდეო.

_ მაინც, რა ეღირებაო ეს ფაფუკი ქსოვილი? _ ჰკითხა ქმარმა, გულში კი გაიფიქრა: მოვახერხებ კი მაგის გასაღებასო?

_ მე მაგ ქსოვილში მთელი ჩემი სული და გული ჩავაქსოვე, _ უთხრა ცოლმა, _ მაგრამ სამას ოქროდ, მგონი, კი უნდა გაყიდოო.

არ დაიჯერა ქმარმა, სამასი ოქრო საზღაპრო ფული იყო. მაინც წაიღო ქსოვილი და ქალაქში ყველაზე მდიდარ ვაჭარს მიუტანა.

_ ამ ქსოვილს ხომ არ იყიდიო?

_ მერედა, რამდენად ჰყიდიო?

_ სამას ოქროდ დაგითმობო.

_ ასე იყოს, მოგცემ სამას ოქროს და ამიერიდან მაგ ქსოვილს თვალისჩინივით გავუფრთხილდები, ავ თვალს არ დავანახვებ, ჩემი ოჯახის ყველაზე დიდი სიმდიდრე ეგ იქნებაო.

ჩაუთვალა ვაჭარმა სამასი ოქრო. ცხოვრობდა მას შემდეგ მოჯამაგირე თავის ცოლ-შვილში ისე, რომ არაფერი აკლდათ.

მაგრამ გავიდა ცოტა ხანიც და ცოლი ქმარს ეუბნება:

_ წამოგვეზარდა ქალიშვილი, სადილის გაკეთებასაც შეძლებს და მოგხედავს კიდეც. ახლა გული საგულეს მაქვს. ჩვენი განშორების დრომ მოაწიაო.

გაუკვირდა ქმარს:

_ რა მოხდა? ეგ სიტყვები რამ გათქმევინაო?

_ დიდი შრომა გავწიე შენთვის, მთელი ჩემი ძალ-ღონე შენ შეგალიე და ახლა იძულებული ვარ, პირვანდელი სახე მივიღოო, _ უთხრა ქმარს ქალმა. _ იცოდე: სწორედ ის წერო ვარ, შენ რომ ერთხელ გადაარჩინე. მინდოდა, სიკეთე სიკეთით გადამეხადა, მაგრამ შენთან დარჩენა უკვე აღარ შემიძლია. სამა-

გიეროდ, ქალიშვილი დაგრჩება. მე კი, შემხედე, რას დავემსგავსე! მე ხომ მთელი ბუმბული გამოვიწიწკნე, რომ ის საუცხოო ქსოვილი მომექსოვაო!

და ისევ წეროდ იქცა. შეხედა ქმარმა და რას ხედავს: სულ მთლად გასცლია ბუმბული, შიშველი ფერდები წითლად მოუჩანს, მარტო ფრთებზეღა შერჩენია. აიქნია წერომ ფრთები, ძლივძლივობით აიტანა სხეული ცაში და მძიმე-მძიმედ გაფრინდა მთებში.

<u>გველის თვალები</u>

ოდესღაც ცხოვრობდა ერთი ტყისმჭრელი, სახელად _ ნიხატი. ერთხელ ნიხატი მთიდან ჩამოვიდა და გზას ჭალაში შეჰყვა. უეცრად დაინახა, რომ ხეს შავი რაღაც შემოხვეოდა და ცოცხალ არსებასავით ირხეოდა. ნიხატი მხდალი არ იყო, მაგრამ მაინც შიშმა შეიპყრო. გაჩერდა, შორიდან შეხედა და რა დაინახა: ვიღაც ქალი ხეზე შავი თოკით იყო მიბმული.

ფრთხილად მიუახლოვდა შეშინებული ტყისმჭრელი და დაინახა, რომ ქალი ხეზე თოკით კი არა, თავისივე გრძელი ნაწნავით იყო მიბმული, თვალები დახუჭული ჰქონდა და გონმიხდილს ჰგავდა.

ნიხატის შეეცოდა ქალი, დასძლია შიშს და ნაწნავები გაუხსნა. ქალი ბალახზე დაეცა, ღრმად ამოისუნთქა და თვალები გაახილა. ახალგაზრდა და ლამაზი იყო.

_ რა დაგემართა, ხეზე ვინ მიგაბაო? _ შეეკითხა ნიხატი.

ქალს ცრემლები წასკდა, მაგრამ რამდენს არ ეკითხებოდა ტყისმჭრელი, ბალახში სახეჩარგული იწვა და არაფერს ეუბნებოდა, მხოლოდ ტიროდა. დიდხანს იდგა ნიხატი შორიახლოს. ქალს პასუხი არ გაუცია. ნიხატიმ წასვლა რომ დააპირა, მაშინ კი უეცრად წამოდგა და დაუძახა:

_ არ წახვიდე, მოიცაო!

ნიხატი მიბრუნდა. ქალმა სთხოვა:

_ მარტოკას ნუ დამტოვებ ტყეში. თუ შეიძლება, შენთან წამოვალო.

ვინ იცის, საიდან გაჩნდა ეს ქალი! მაგრამ, აბა, გასაჭირში როგორ დატოვებდა! ნიხატიმ უცნობი ქალი თავის ქოხში შეიკედლა.

გავიდა რამდენიმე კვირა. ქალი ისევ ტყისმჭრელთან იყო, მაგრამ თავის წარსულზე კრინტი არ დაუძრავს. ნიხატიც არაფერს ეკითხებოდა. ხვდებოდა, რომ ქალს რაღაც საიდუმლოება ჰქონდა.

ერთხელ ტყისმჭრელმა გაბედა და შეეკითხა:

_ ცოლად არ გამომყვები? მთელ სიცოცხლეს შენზე ვიზრუნებო.

_ დიდი მადლობა, რომ შემიყვარე ასეთი უბედური, _ უპასუხა ქალმა. _ მე თანახმა ვარ, მაგრამ ჯერ უნდა შემპირდე, რომ წარსულზე არასოდეს არაფერს შემეკითხებიო.

_ რაც იყო, იყო! რა ჩემი საქმეა! არასოდეს არაფერს არ შეგეკითხებიო, _ შეჰპირდა ნიხატი.

ცოტა ხანში იქორწინეს კიდეც და ცხოვრობდნენ ბედნიერად. მალე შვილიც უნდა ჰყოლოდათ. როდესაც მშობიარობის დრო დადგა, ქალმა ქმარს სთხოვა:

_ სახლს გარშემო ღობე შემოარტყი. იცოდე, სანამ მე თვითონ არ გამოვალ შენთან ბავშვით, სახლში არ შემოიხედოო.

ნიხატიმ სახლს ირგვლივ მაღალი ღობე შემოარტყა და, ცოლის სურვილისამებრ, სახლიდან წავიდა. ორი-სამი დღე ელოდა, მერე კი შეშფოთდა, ცოცხალია თუ არა ჩემი ცოლი, კარგად თუ მოიმშობიარაო!

ბოლოს ვეღარ მოითმინა და ღობეში შეიჭყიტა...

საშინელებისაგან ფეხები მოეკვეთა, კინაღამ გონება დაკარგა: ოთახში უშველებელი გველი დაინახა; ახალდაბადებულ ბავშვს გარშემო შემოხვეოდა.

ნიხატი ძლივს მოვიდა გონს და ჩუმად გასცილდა იქაურობას. მიდიოდა და ნანობდა:

_ ადამიანი კი არა, თურმე გველი ყოფილა! მაგრამ რაკი ცოლად შევირთე, ალბათ ასეთია ჩემი ბედი. რატომ არ დავუჯერე, რად შევიჭყიტეო!

შვიდი დღის შემდეგ ცოლი სახლიდან გამოვიდა. ხელში ლამაზი ბიჭი ეჭირა. მოდიოდა და ცხარე ცრემლით ტიროდა.

_ ხომ გთხოვე, არ გეთვალთვალა! რატომ არ დამიჯერე. აქამდე სიმართლე არ მითქვამს შენთვის, მაგრამ ალბათ ახლა ყველაფერი უნდა ვაღიარო. ერთხელ მთის ღმერთი გამირისხდა, დამწყევლა და საშინელ გველად გადამაქცია, მაგრამ დროებით ადამიანის სახე დამიტოვა. თუ ერთგული მეგობარი შემხვდებოდა, შემიყვარებდა და არ უღალატებდა თავის სიტყვას, მაშინ სამუდამოდ ადამიანად დავრჩებოდი. შენ კი სიტყვის პატრონი არ აღმოჩნდი! ამის შემდეგ სამუდამოდ გველად უნდა დავრჩე! მშიდობით! მე მთის ტბის ფსკერზე დავბრუნდები. შენ კი გაზარდე ჩვენი შვილი და გაუფრთხილდიო!

ნიხატიმ დაინახა, ქალი ნახევრად გველად როგორ გადაიქცა: ფეხების ნაცვლად ფარფლებიანი კუდი გამოება.

გამოართვა ნიხატიმ ბავშვი და უთხრა:

_ მარტოკას მტოვებ? როგორ უნდა გავზარდო ჩვენი შვილი! რა უნდა ვაჭამოო?

_ აი, ეს მიეცი, დედის ძუძუს მაგივრობას გაუწევსო.

ქალმა მარცხენა თვალის კაკალი ამოიღო, ნიხატის მისცა და თვითონ მაშინვე გაქრა, მის ადგილას გველიღა დარჩა. გველმა შეხედა დამწუხრებულ ნიხატის, თითქოს ემშვიდობებაო, და ნელა გასრიალდა მთებში.

ტყისმჭრელმა თავის პატარა ბიჭს ბოტარო შეარქვა და ისე უვლიდა, ზედ დაჰკანკალებდა. როგორც კი ბავშვს მოშივდებოდა, მაშინვე ძუძუს ნაცვლად პირში დედისეულ თვალს ჩაუდებდა ხოლმე.

ჭეშმარიტად ძლიერი დედობრივი სიყვარული იყო თვალში ჩაქსოვილი, რომ ბავშვი უცბად წყნარდებოდა და იღიმებოდა. მაგრამ თვალი თანდათან პატარავდებოდა და ერთხელ სრულიად დაილია.

როგორც კი დედისეული თვალი დაილია, ბოტარომ საშინელი ტირილი მორთო. მამა რას არ აძლევდა, მაგრამ ბოტარო არაფერს პირში არ იდებდა. გატანჯულმა ნიხატიმ მიიკრა ბავშვი ზურგზე და მთის ტბის საძებნელად წავიდა. დიდხანს დაეხეტებოდა ტყეში და მთებში. უცებ, მის წინ ბნელ ხევში წყალმა გაიელვა. მივიდა ნიხატი ნაპირთან და დაიძახა:

_ სად არის აქ პატარა ბოტაროს დედა? გამოჩნდი, გამოგვეხმაურე! შვილი მოგიყვანეო!

წყალი აიმღვრა და ტბიდან ცალთვალა ვეებერთელა გველი ამოცურდა.

ნიხატიმ უთხრა:

_ ჩვენი შვილი დღედაღამ შიმშილისაგან ტირის. მას შემდეგ, რაც ჩვენგან წახვედი, მხოლოდ შენი თვალით იკვებებოდა, მაგრამ თვალი სულ დადნა. მეშინია, შიმშილით არ მოკვდეს. შეიცოდე, შენი მეორე თვალის კაკალიც მიეციო.

გველმა ნაღვლიანად უპასუხა:

_ კარგი, მივცემ ჩემს მეორე თვალსაც, მაგრამ მაშინ ხომ მთლად დავბრმავდები, ვეღარ გავარჩევ განთიადს და საღამოს. ამიტომ გთხოვ, ყოველ დილა-საღამოს ამ ტბასთან ზარი დარეკო ხოლმე, ამით ახალი დღისა და ღამის დადგომას გავიგებო.

გველმა გამოუღო მეორე თვალის კაკალიც და მტირალა ბოტაროს მისცა.

_ მოუარე ჩვენს შვილს, ნიხატი! ძალიან მიჭირს თქვენთან განშორება, მაგრამ მთის ღმერთის წყევლა არ მასვენებს. ასეთია ჩემი საშინელი ბედი! მე შორიდანაც დავიცავ ჩვენს შვილს, _ თვალის გუგებიდან სისხლიანი ცრემლები წამოუვიდა და ისევ ტბის ფსკერზე ჩაეშვა.

ბავშვმა როგორც კი დედის თვალი პირში ჩაიდო, მაშინვე დაწყნარდა.

ნიხატიმ ერთი ტაძრიდან დიდი ზარი ითხოვა, დაჰკიდა ტბასთან და ყოველ დილა-საღამოს რეკავდა.

ამრიგად, ბრმა გველმა იცოდა, როდის დილა იყო და როდის საღამო.

როდესაც მეორე დედისეული თვალიც დადნა, ბოტაროც წამოიზარდა. საოცრად ჯანმრთელი და ღონიერი ბიჭი დადგა. უკვე ათი წელი შეუსრულდა. თამაშობდა სოფლის ბიჭებთან და ფიქრობდა: ყველას ჰყავს მშობელი დედა, რატომ მე არა მყავსო.

მივიდა და მამას ჰკითხა. ნიხატიმ შვილს სიმართლე უამბო.

ბიჭმა იფიქრა: მერე რა, რომ დედაჩემი საშინელი გველია, მე მაინც წავალ და ვნახავო.

მეორე დღეს ბოტარო სახლიდან ჩუმად გაიპარა და მთაში წავიდა.

დადგა ტბის ნაპირას და ხმამაღლა დაიძახა:

_ დედა! დედა! მე ბოტარო ვარ, შენთან მოვედიო!

აიმღვრა წყალი და ტბის ძირიდან უშველებელი ბრმა გველი ამოცურდა.

შეეშინდა ბიჭს და გაქცევა დააპირა, მაგრამ ამ დროს გაახსენდა, რომ დედამ მისთვის საკუთარი თვალები არ დაიშურა. გაახსენდა თუ არა, დაბრუნდა უკან, მაგრად მოეხვია გველს და ტირილით მოეფერა:

_ დედა, ძვირფასო დედა!

ბოტაროს ცრემლები გველის ცარიელ გუგებს დაეცა და გველი უცებ ქალად გადაიქცა.

_ ბოტარო, ბოტარო, შენ არ შეგეშინდა, მარტოკა წამოსულიყავი უღრან ტყეში ჩემს სანახავად! არც ჩემმა საზარელმა შესახედაობამ შეგაშინა! ახლა ჩემზე მთის ღმერთის წყევლამ ძალა დაკარგა და ისევ ადამიანად ვიქეციო!

ამ სიტყვებით დედამ მაგრად ჩაიკრა ბოტარო გულში და სახლისაკენ გაუდგნენ გზას.

მას შემდეგ ნიხატი, მისი ცოლი და ბოტარო ბედნიერად ცხოვრობდნენ, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ერთმანეთს არც დაშორებიან.

<u>შავი პირსახოცი</u>

ეს ამბავი უხსოვარ დროს მოხდა.

ერთ სოფელში ერთ საღამოს დიდი სახლის ჭიშკარზე ბერმა დააკაკუნა და ითხოვა, ღამე გამათევინეთო. ამ სახლის პატრონი მამასახლისი სოფელში ყველაზე მდიდარი კაცი იყო[1].

მამასახლისის ცოლი ამ დროს ჯარას უჯდა. წამოუხტა ბერს და ლანძღვა-გინებით გაისტუმრა:

_ წაეთრიე, მაწანწალავ, აქედან მოწყდიო!

ბერი სახლს ჩუმად გაშორდა.

სოფლის ბოლოს წაფერდებული ლერწმის ქოხი იდგა. ბერმა ქოხის კარზე დააკაკუნა. ქოხიდან მოხუცი ქალი და კაცი გამოფრატუნდნენ და ბერს ნაღვლიანად უთხრეს:

_ ნუ დაგვძრახავ, რომ ხელცარიელს გისტუმრებთ. ხომ ხედავ, რა ღარიბები ვართ, მარცვალი ბრინჯიც არ გაგვაჩნიაო.

_ ნუ შეწუხდებით, მე არაფერი მინდა, მხოლოდ ღამე გამათევინეთ. იატაკზე დავწვებიო.

_ თუ აგრეა, მობრძანდიო, _ მოხუცებმა თავის ქოხში შეიპატიჟეს ბერი.

ბერმა უთხრა დიასახლისს:

_ ბოდიშს ვიხდი შეწუხებისთვის, ცეცხლზე ყველაზე დიდი ქვაბი დადგიო.

დიასახლისმა წყლით სავსე ქვაბი ცეცხლზე დადგა. როდესაც წყალი ადუღდა, ბერმა თავისი გუდიდან ერთი მუჭა ბრინჯი ამოიღო და ქვაბში თითო-თითო მარცვალი ჩაყარა.

უცებ სასწაული მოხდა: ქვაბი თოვლივით თეთრი, რბილი და გემრიელი ბრინჯით აივსო.

როგორ გაუხარდათ მოხუცებს! შერცხვათ, რომ მათ სტუმარი გაუმასპინძლდა, მაგრამ ბერის თხოვნით თეთრ ბრინჯს შეექცნენ. მოხუცები იშვიათად თუ ჭამდნენ ამისთანა ბრინჯს.

ივახშმეს თუ არა, კარი გაიღო და ქოხში მოხუცების მხიარული გოგონა ო-კონო შემოვიდა. გულკეთილი და სათნო გოგონა იყო, მაგრამ შავი და ულამაზო სახე მთლად ნაყვავილარი ჰქონდა.

ო-კონო მამასახლისის ოჯახში მუშაობდა. სადილის შემდეგ ქვაბებში მოფხეკდა ხოლმე ბრინჯს და ჯამით დედ-მამასთან მოჰქონდა.

ახლაც გოგონამ მიმწვარი ბრინჯით სავსე ჯამი მოიტანა. გახარებულმა მშობლებმა ო-კონოს უთხრეს:

_ ო-კონო, ჩვენო გოგონა, დღეს მაძღრები ვართ. ჩვენი სტუმარი გაგვიმასპინძლდაო.

ო-კონომ სტუმარს მადლობა გადაუხადა.

მშობლებმა ბერს თავისი დარდი შესჩივლეს:

_ ხვდებით, ალბათ, რა უბედურებაა ჩვენს თავს! ერთადერთი გოგონა გვყავს. გულით ძალიან კეთილია, მაგრამ, ხომ ხედავთ, რა ულამაზოა... ჩვენისთანა ღარიბის შვილს, აბა, ვინ ითხოვს? გათხოვების დრო კი უკვე დაუდგაო.

_ ეს დიდი უბედურება არ არის, ნუ დარდობთ, მე დაგეხმარებითო, _ ანუგეშა ბერმა.

ბერმა სახელოდან კუპრივით შავი პირსახოცი გამოიძრო.

_ აჰა, გოგონა, ეს პირსახოცი! როცა იბანავებ, სახე ამ პირსახოცით შეიწმინდეო.

ო-კონო მამასახლისის ოჯახში დაბრუნდა და იმ საღამოთიც მამასახლისის ოჯახს კასრში საბანაო წყალი გაუცხელა.

პირველად მამასახლისმა იბანავა. მერე, როგორც წესი იყო, რიგრიგობით იბანავა ოჯახის ყველა წევრმა. ო-კონომ, რასაკვირველია, ყველაზე ბოლოს იბანავა და შავი პირსახოცით ლოყები ფრთხილად გაიწმინდა. და, აი, რა დაემართა: აქეცილი კანი უცებ აბრეშუმივით ნაზი და რბილი გაუხდა. შემდეგ პირსახოცი კისერზე მოისვა. კისრის კანიც გადაეტკიცა.

გოგონას შეეშინდა, კასრიდან ამოვიდა და სარკესთან მივიდა. ჩაიხედა და რა დაინახა: ნაყვავილარი სულაც აღარ ეტყობოდა, ნაზად და თეთრად უბრწყინავდა ლოყები. ო-კონო იშვიათი სილამაზის გოგონა დადგა.

მამასახლისის ცოლმა ეს რომ დაინახა, იმ წამსვე გამოჰკითხა, ეს ამბავი როგორ მოხდაო.

ო-კონომ ყველაფერი უამბო.

დიასახლისმა ამ პირსახოცის ჯადოსნური ძალის გამოსაცდელად ო-კონოს სთხოვა, მაგ პირსახოცით სახე ერთხელ მეც გამაწმენდინეო.

მეორე დღეს მამასახლისის ცოლი კასრში საბანაოდ ყველაზე ბოლოს ჩავიდა და სახე პირსახოცით გაიწმინდა. სახე მაშინვე გაუნაზდა და გაულამაზდა. მერე ხელებიც გაიწმინდა. ხელებიც გაუთეთრდა და გაულამაზდა.

გაუხარდა ქალს. აბა თუ ასეაო, პირსახოცით ტანი მთლიანად გაიწმინდა. ბოლოს თქვა:

_ მეყოფა! უკვე დავიღალე! სამაგიეროდ, ახლა ისე გავლამაზდი, ვეღარავინ მიცნობსო!

მაგრამ, ვაი, რომ თეთრი ხელ-ფეხით და ზურგით კასრს მიეკრა!

ძალიან ეცადა ქალი კასრიდან ამოსვლას, მაგრამ ვერასგზით ვერ ამოვიდა და ტირილი მორთო.

შემოვარდა ო-კონო, სტაცა ხელი დიასახლისს, მაგრამ კასრიდან ვერ ამოიყვანა.

როგორ მოქცეულიყო ო-კონო? ქალმა სთხოვა:

_ ო-კონო, გაიქეცი, ის ბერი აქ მომიყვანე, კასრიდან გამათავისუფლოსო.

ო-კონო გაიქცა თავის სახლში. ბერი შინ დახვდა. მოხუცებს ეთხოვათ, რამდენიმე დღეს კიდევ დარჩიო. ო-კონომ ბერი მამასახლისის ცოლთან წაიყვანა.

მამასახლისის ცოლმა ბერს რომ შეხედა, ელდა ეცა. ეს ის მათხოვარი იყო, გუშინ ლანძღვით რომ გაისტუმრა. მათხოვარი იდგა და ჩუმად იღიმებოდა.

_ გაგათავისუფლებ, მაგრამ ერთი პირობით: დღესვე გამართეთ დიდი ზეიმი და მთელი თქვენი მახლობელი და შორეული ნათესავი დაპატიჟეთო, _ უთხრა მათხოვარმა.

მამასახლისის მთელი ნათესაობა სადარბაზოში შეიკრიბა.

ბერი კასრთან მივიდა, სახელოდან ლერწმის პატარა ჯოხი ამოიძრო, აიქნია და შეულოცა. იმავე წუთს მამასახლისის ცოლი კასრს მოსცილდა. ქალს გაუხარდა, გაიქცა, მოირთო და სტუმრებთან გამობრძანდა.

სტუმრები ქეიფობდნენ, მღეროდნენ, ბერის არსებობა მაშინვე დაავიწყდათ, მადლობაც კი არ გადაუხადეს.

უცებ, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, შუა დარბაზში სტუმრების წინ ბერი გაჩნდა და მეხივით დაიქუხა:

_ მაიმუნებად გადაიქეცით! მაიმუნებად გადაიქეცითო!

ბერმა ლერწმის ჯოხი იატაკს დაჰკრა. იმწამსვე დარბაზში მყოფნი წითელდრუნჩიან მაიმუნებად გადაიქცნენ და წრიპინი და ხტუნვა დაიწყეს.

ბერმა აიქნია ლერწმის ჯოხი და ბრძანა:

_ გაიქეცით მთებში! გაიქეცით მთებშიო!

ბერმა წარმოთქვა თუ არა ეს სიტყვები, თვალის დახამხამებაზე მაიმუნები ყოფილი მამასახლისის მეთაურობით მთებისაკენ გაიქცნენ.

დიდი სახლი დაცარიელდა.

შიშისაგან სუნთქვაშეკრული ო-კონო კუთხეში მიმალულიყო. ბერმა ო-კონოს ალერსიანად დაუძახა და უბრძანა: დედ-მამა აქ მოიყვანეო. ო-კონო გაიქცა და დედ-მამა მოიყვანა.

ჯადოსანი გამოემშვიდობა და უთხრა:

_ ვისი გულიც ბალნით არის მოსილი, სჯობია მაიმუნად გადაიქცეს. ამიერიდან აქ იცხოვრეთ. მამასახლისი ამ სახლში არასდროს არ დაბრუნდებაო.

ბერი უეცრად გაქრა.

ო-კონო საყვარელ ვაჟკაცზე გათხოვდა და თავის მშობლებთან ერთად ბედნიერად ცხოვრობდა.

ხარბი დიასახლისი

ერთხელ სოფლის სასტუმროს ღამის გასათევად მეწვრილმანე ვაჭარი მიადგა. გასაყიდი საქონლით სავსე ფუთას ზურგით მოათრევდა. ოთახში რომ შევიდა, ტვირთი იატაკზე დადო და სასტუმროს დიასახლისს სთხოვა:

_ თუ ქალი ხარ, ერთი კარგი ვახშამი მომიმზადეო.

ეს დიასახლისი ხარბი ქალი იყო. ვაჭრის ფუთას თვალი რომ შეავლო, მოსვენება დაკარგა. ვაჭარი დააბინავა, ვახშმის თადარიგს შეუდგა, მაგრამ ის მუცელგამობერილი ფუთა სულ თვალწინ ედგა. ბოლოს ვეღარ მოითმინა და ქმარს რჩევა ჰკითხა:

_ რა ვქნა, ის ფუთა ხელში როგორ ჩავიგდოო?

_ ამაზე ადვილი რა არის, _ უთხრა ქმარმა, _ ის ბალახი უნდა მოხარშო, სოფელში მიოგას რომ ეძახიან, მერე მისი წვენი საჭმელში შეურიე და გათავდა. ის შენი ვაჭარი მაშინვე მეხსიერებას დაკარგავს. ხვალ დილით გამოიღვიძებს და თავისი ბარგის წაღება დაავიწყდება, ყველაფერი შენ დაგრჩებაო!

ქალიც ადგა და ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ქმარმა ურჩია. მოხარშა მათრობელა ბალახი და მისი წვენი კერძში შეურია.

ვაჭარმა გემრიელად ივახშმა. დიასახლისის მზაკვრობა ვერ შეამჩნია, მხოლოდ ცოტა გაბრუვდა და ძილი მოერია. სასთუმალზე თავის დადება ვერ მოასწრო, მაშინვე ჩაეძინა.

მეორე დღეს, სანამ კარგად გათენდებოდა, ვაჭარი თავის გზას გაუდგა.

დილით დიასახლისმა გაიღვიძა თუ არა, მაშინვე ვაჭრის ოთახში გაიქცა, რომ ფუთა ენახა. მაგრამ სად იყო ან ფუთა, ან ვაჭარი. ბევრი ეძება, მაგრამ ფუთა ნემსი ხომ არ იყო, რომ სადმე დაკარგულიყო! ვერაფერი იპოვა და ქმარს მივარდა, ლანძღვა დაუწყო:

_ შე ბრიყვო შენა, ტყუილად ვიწვალე და მოვხარშე შენი ნაქები ბალახი, ვაჭარი ისე წავიდა, არაფერიც არ დავიწყებიაო!

_ რას ამბობ, ქალო, ვინც იმ ბალახს შეჭამს, აუცილებლად რამე უნდა დაავიწყდეს. აბა, კარგად გასინჯე, ფუთა თუ არა, სხვა რამ მაინც დარჩებოდაო! _ მიუგო ქმარმა.

დიასახლისი ისევ იმ ოთახში გაიქცა, სადაც ვაჭარმა ღამე გაათია. მთლად გადააბრუნა ყველაფერი, მაგრამ რას იპოვიდა, როდესაც საპოვნელიც არაფერი იყო. ბოლოს შუა ოთახში გაჩერდა, დაბნეულმა მიიხედ-მოიხედა, მერე უეცრად შუბლზე ხელი შემოირტყა და იყვირა.

_ დაავიწყდა, დაავიწყდაო!..

ქმარმა მისი ყვირილი რომ გაიგონა, მხიარულად უთხრა:

_ ხომ გამართლდა ჩემი სიტყვები! მითხარი ჩქარა, რა დაავიწყდაო.

_ რა და, ფულის გადახდა დაავიწყდა, შე ბებერო ბაიყუშო! ვახშამი რომ მიირთვა და ღამე გაათია, ამას ფული არ უნდოდაო? _ გულჯავრიანად მიახალა ცოლმა.

სამართლიანი ბრძენი

ერთხელ ერთმა მდიდარმა კაცმა საფულე დაკარგა. შიგ ასი ოქრო იყო. მალე იმ გზაზე ღარიბმა კაცმა ჩამოიარა და ის ქისა იპოვა. ნაპოვნი ოქრო მოსამართლეს მიუტანა და ჩააბარა. მეორე დღეს მოსამართლესთან მდიდარი კაცი მივიდა და, საფულე დავკარგეო, შესჩივლა.

_ ეს არისო? _ ჰკითხა მოსამართლემ და ქისა უჩვენა.

_ დიახ, ეს არისო! _ გაუხარდა მდიდარს და ქისას სწვდა.

_ მოიცა, შენი ქისა არსად გაგექცევა! მხოლოდ ჯერ ის პატიოსანი გლეხი უნდა დაასაჩუქროო, _ უთხრა მოსამართლემ.

ეს მდიდარი ძალიან ძუნწი იყო, ფული დაენანა და ასეთი ეშმაკობა იხმარა: ქისაში ხელი ჩაყო და ფული დათვალა.

_ აქ მხოლოდ ასი ოქროა, მე კი ას ოცი ოქრო მქონდა. ამ კაცს ჩემთვის ოცი ოქრო მოუპარავსო!

_ არა, მართალი არ არის. ქისაში მხოლოდ ასი ოქრო იყო, მე სხვისი ფული არ წამიღიაო! _ უმტკიცებდა ღარიბი.

_ სტყუის, ჩემს ქისაში ას ოცი ოქრო უნდა იყოსო, _ დაიჩემა მდიდარმა.

დიდხანს დაობდნენ და ვერაფრით ვერ შეთანხმდნენ. მოსამართლე ადგა და მომჩივან-მოპასუხე ბრძენთან წაიყვანა.

ბრძენმა სამივეს სათითაოდ მოუსმინა, მერე მდიდარს მიუბრუნდა:

_ შენ დაკარგე ქისა და შიგ ას ოცი ოქრო იყო, არა?

_ დიახ, ჩემო ბატონო, _ მიუგო მდიდარმა.

_ მაშ ეს ქისა შენი არა ყოფილა, რაკი ამაში მხოლოდ ასი ოქროა. უთუოდ ეს საფულე სხვა ვინმემ დაკარგა და, რადგან პატრონი არ გამოჩენილა, ფული იმას უნდა დარჩეს, ვინც იპოვა. შენ კი შენი ქისა მოძებნე. მხოლოდ არ დაგავიწყდეს, რომ შიგ ას ოცი ოქრო იყოო! _ თქვა ბრძენმა და ოქროთი სავსე ქისა ღარიბ კაცს გადასცა.

სიძუნწე

იყო და არა იყო რა, იყო ორი მეზობელი. ორივენი ძალიან ძუნწები იყვნენ. ერთხელ ერთმა მეზობელმა გაუგზავნა მეორეს მსახური და შეუთვალა, ჩაქუჩი მათხოვეო.

მსახური რომ მივიდა, მეზობელმა ჰკითხა:

_ ჩაქუჩი რად გინდათ, როგორი ლურსმნები უნდა დააჭედოთ, რკინისა თუ ხისაო.

_ რკინისაო, _ მიუგო მსახურმა.

_ რკინისა?! _ გაიმეორა მეზობელმა, კეფა მოიფხანა და შეწუხებულმა უთხრა: _ ბოდიში მომხადე შენს ბატონთან, ჩაქუჩი შინ არა მაქვს, ამას წინათ ჩემს ძმას ვათხოვეო.

დაბრუნდა მსახური და ყველაფერი ბატონს მოახსენა.

_ რამდენი ძუნწი ადამიანია ქვეყანაზე! _ აღშფოთებით წამოიძახა ბატონმა. - მე დარწმუნებული ვარ, ჩემს მეზობელს შინა აქვს თავისი ჩაქუჩი, მაგრამ დაენანა და არ მათხოვა. ეჰ, რა გაეწყობა, ისევ ჩემი ჩაქუჩი უნდა ვიხმაროო.

ცოლი-მელია

ოდესღაც ცხოვრობდა ერთი ბატონი. ნადირითა და ფრინველით სავსე დიდი სანადირო ადგილ-მამული ჰქონდა. ერთხელ მსახურებმა გადაწყვიტეს, დაეჭირათ მელიები და მიერთმიათ ბატონისათვის.

უცებ ბუჩქებიდან გამოვარდა ბებერი თეთრი მელია და ერთ-ერთი მსახურის ფეხებთან ჩაიჩოქა.

_ მადლი ჰქენი და შემიბრალე, იქამდე მაინც მაცოცხლე, სანამ შვილებს გავაჩენო, _ შეემუდარა ცრემლმორეული მელია.

ამ მსახურს იასუნარი ერქვა. იასუნარს შეეცოდა მელია და გაუშვა. ეს ამბავი რომ იმისმა ბატონმა გაიგო, მსახური უდაბნოში გააგდო.

იასუნარს ლამაზი ცოლი ჰყავდა, სახელად კუძუნოხა ერქვა. კუძუნოხა ქმარს არ გაჰყვა, ქალაქში დარჩა.

საბრალო იასუნარმა მოიწყინა, ბევრი იდარდა და ავად გახდა.

ათი ერთგული მეგობარი იასუნარს თან ახლდა, ათივენი თავზე ევლებოდნენ, მაგრამ ამაოდ: იასუნარი დღითიდღე დნებოდა, იმისი სიცოცხლის დღეები უკვე დათვლილი იყო. ცოლი კი არსად ჩანდა.

ეს ამბავი თეთრმა მელიამ გაიგო, მაშინვე კუძუნოხად იქცა და გასწია ავადმყოფისაკენ. ოთახში რომ უნდა შესულიყო, კარებზე მიკრული ავგაროზი დაინახა და შეკრთა.

_ ავგაროზი მოხსენითო, _ შეემუდარა მელია მსახურებს. ავგაროზი რომ ჩამოხსნეს, მელია შევიდა ავადმყოფთან.

იასუნარის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როგორც იყო, ეღირსა და ცოლი მოუვიდა. ამ დღიდან ნელ-ნელა გამომჯობინდა, მალე სულ კარგად გახდა. წლისთავზე კი ვაჟიშვილი შეეძინათ და სახელად დოსიმარუ დაარქვეს.

მრავალმა წელმა გაიარა, რაც იასუნარი გააძევეს. ბოლოს, როგორც იყო, დადგა დიდი ხნის ნანატრი დღე. ბატონმა შეიწყნარა და უკან დააბრუნა თავისი მსახური. მაშინ კი ინება მისმა ცოლმა, მასთან მივიდა და რას ხედავს: სახლში მეორე კუძუნოხა ტრიალებს. ეს ქალი ისე ჰგავს მას, როგორც ორი წვეთი წყალი. იქვე მათი ბიჭუნა თამაშობს.

იასუნარი გაშტერდა: ვეღარ გაეგო, რომელი იყო თავისი ნამდვილი ცოლი. მაშინ ესღა მოიფიქრა: ქალებს უთხრა, რამდენი წლისა ხართო. პირველი ცოლი ოცდაცამეტისა ყოფილიყო, ხოლო ცოლი-მელია კი _ ათას სამი წლისა. რაღა დარჩენოდა თეთრ მელიას, უნდა გასცლოდა იქაურობას. გამო-სამშვიდობებლად ქმარს დაუტოვა ცრემლით დანამული ბარათი:

‘თუ კიდევ ვისმესთვის ძვირფასი ვარ, შორეული სინოდის ტყეშიაც მომაგნებს».

ბიჭს ძალიან უყვარდა თავისი დედა და გადაწყვიტა სანახავად წასულიყო სინოდის ტყეში. თეთრი მელია სიხარულით შეეგება და გულში ჩაიკრა.

_ შვილო, კეთილი იყოს შენი მოსვლაო, _ და საჩუქრად ლერწმის ჯოხი მისცახ ბიჭს ეს ჯოხი აღარასოდეს არ მოუშორებია, სადაც მიდიოდა, ყველგან თან მიჰქონდა.

იმ დღიდან, რაც იასუნარმა ბატონისაგან შეწყნარება მიიღო, ქალაქში დასახლდა და დაიწყო ძველებური ცხოვრება.

ერთ დღეს იასუნარი გაემგზავრა ზღვის ღმერთის სუმიოისის[1] ტაძარში სალოცავად, თან თავისი ბიჭიც წაიყვანა. მამამ დოსიმარუს ერთი-ორი გროში მისცა.

ბიჭი გაერთო ამდენი საოცრებების ნახვით, გზა აებნა და მლოცველებში შეერია. ბევრი იარა თავგზააბნეულმა და ზღვის ნაპირზე გაჩნდა.

უცბად დაინახა: ვიღაც ბიჭს დაუჭერია კუ და აწვალებს. დოსიმარუს შეეცოდა კუ, მისცა ბიჭს ფული და კუ გააშვებინა.

ცოტა ხანში ზღვის მოქცევა დაიწყო. კვიმატმა ბიჭმა ზღვაში შეცურა და ბედზე ისევ ის კუ არ დაიჭირა?!

დოსიმარუს ერთი გროშიც აღარ ჰქონდა, ბიჭს შეევედრა:

_ კუ გაუშვი და თუ გინდა, ჩემს ლამაზ ტანისამოსს შენს ძონძებში გაგიცვლიო.

გაუხარდა მეთევზის ბიჭს და მისცა კუ. ბიჭმა ისევ გაუშვა კუ ზღვაში და მიაძახა:

_ გაცურდი ჩქარა, თორემ, თუ კიდევ ჩაუვარდი ხელში, ვეღარაფერი გიშველისო!

კუმ ერთი ჩაყვინთა და გაქრა.

დოსიმარუ ზღვის ნაპირას დაეხეტებოდა.

რა ვქნა, მამაჩემი სად ვიპოვოო! _ ფიქრობდა ბიჭი. უცბად დაინახა მისკენ პატარა ლამაზი ნავი მოცურავს. ნაპირთან რომ მოცურდა, ნავიდან დრაკონთა მბრძანებელი გადმოვიდა და დოსიმარუს უთხრა:

_ შენა ხარ ჩემი მხსნელი, შენ გაათავისუფლე ჩემი საყვარელი ასული ოტოხიმე. ახლა გთხოვ, სტუმრად მეწვიეო.

ჩასხდნენ ნავში და გასწიეს ზღვის დრაკონთა სამეფოსკენ.

მშვენიერი ოტოხიმე მხიარულად შეხვდა თავის მხსნელს.

დოსიმარუს პატივსაცემად დიდი ნადიმი გამართეს. ოცდაათმა დღემ თვალის დახამხამებაში გაირბინა.

ორმოცდაათი დღე კი ერთი საათივით გაიპარა.

დოსიმარუს მოენატრა თავისი დედ-მამა, გულმა სამშობლოსაკენ გაუწია. თავისი დარდი დრაკონთა მბრძანებელს გაანდო. შინ მიმავალს მბრძანებელმა სამი ძვირფასი საჩუქარი მისცა:

პირველი საჩუქარი ზღვის მოქცევის მარგალიტი იყო. თუ მარგალიტს მაღლა ასწევდი, მთელი ხმელეთი ზღვით დაიფარებოდა, დასწევდი ძირს და _ ზღვა ისევ თავის ადგილას ჩადგებოდა.

მეორე საჩუქარი სიმაძღრის მარგალიტი იყო: ვინც მარგალიტს ალოკავდა, თხუთმეტი დღე მაძღარი იქნებოდა. ეს მარგალიტი სხვა რამითაც იყო კარგი, ბევრნაირ ავადმყოფობას კურნავდა.

მესამე საჩუქარი ყურთასმენის მარგალიტი გახლდათ. ვინც ამ მარგალიტს ყურზე მიიდებდა, ყველა სულდგმულის ენას გაიგებდა.

ამ საჩუქრების გარდა დრაკონთა მბრძანებელმა ბიჭს ოქროს ფარჩის ტანსაცმელიც უბოძა და სუმიოსის ნაპირებამდე მიაცილა.

დოსიმარუ გავიდა ნაპირზე და რას ხედავს: ბრინჯის თავთავები შემოსულა და ოქროსფრად ელავს. დრაკონთა მბრძანებლის სამეფოში რომ მიდიოდა, ბრინჯი ოდნავ იყო ამოჯეჯილებული.

დოსიმარუ დაბნეული იყურებოდა აქეთ-იქით, არ იცოდა, საით წასულიყო.

უეცრად თეთრი გედი მოფრინდა. დოსიმარუმ ყურზე მიიდო ყურთასმენის მარგალიტი და გაიგონა, რომ გედი ოხრავდა:

_ დოსიმარუ, დოსიმარუ, იჩქარე შინისაკენ. შენი დედინაცვალი ჯავრისაგან მოკვდა, მამა კი უკანასკნელ დღეშიაო.

დაღონდა დოსიმარუ. გედი მიუხვდა.

_ შენ თუ გზა არ იცი, მე მომყევიო.

გაჰყვა დოსიმარუ გედს და მალე მიადგა თავის სახლს. მართალი უთქვამს გედს: აღარც დედინაცვალი დახვდა და მამაც სიკვდილის პირზე იყო მისული.

დოსიმარუმ მომაკვდავს სახეზე მოუსვა დრაკონთა მბრძანებლის ნაჩუქარი მკურნალი მარგალიტი და იასუნარიც უცებ ისე გამოკეთდა, თითქოს თავის სიცოცხლეში ფრჩხილიც არ წამოსტკივნიაო.

ერთხელ დოსიმარუმ დაინახა, რომ მისი სახლის სახურავზე მტრედი დაჯდა და აღუღუნდა.

ბიჭმა სასწრაფოდ მიიდო ყურთასმენის მარგალიტი და გაიგონა:

_ დოსიმარუ, დოსიმარუ, ადექი და ჩქარა დედაქალაქში წადი, თორემ ბედს დაკარგავო.

ბიჭი მამას გამოეთხოვა და დედაქალაქისკენ გასწია. თან საგზალი არ წაუღია, სიმაძღრის მარგალიტი მიჰქონდა.

ქალაქში პაპანაქება სიცხე დახვდა. დოსიმარუს დასვენება მოუნდა, გზის პირას ჩრდილი დაინახა და წამოწვა. უცებ ორი ყვავი მოფრინდა: ერთი _ დასავლეთიდან, მეორე _ აღმოსავლეთიდან. დასხდნენ ხეზე და გააბეს მუსაიფი.

_ შენ საიდანა ხარო? _ შეეკითხა აღმოსავლეთის ყვავი.

_ მე კუმანოდან[1] მოვფრინდი. ჩვენთან ამ წელს ძალიან ცუდი მოსავალია, შიმშილით ვიხოცებით. თქვენთან რა ამბავიაო?

_ ეჰ, ჩვენთან ბარემ ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ ბოროტ, კუდიან დომანს ხელმწიფისთვის ჯადო არ გაეკეთებინა და ხელმწიფე ავად არ გამხდარიყო. დომანმა სასახლის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში[2] ისეთი გველი ჩაფლა, სამ სასიკვდილო შხამს უშვებს. ხალხმა არ იცის, ხელმწიფე რატომ გახდა ავად. მთელი ქვეყნის ექიმბაშები და მკითხავები დაახვიეს თავს, მაგრამ ამაოდ, არაფერი ეშველება, სანამ ორმოს არ ამოთხრიან და შხამიან გველს არ მოკლავენო.

_ ეს რა გავიგეო, _ გაუკვირდა დოსიმარუს და სწრაფად გასწია ქალაქისკენ. ქალაქში თავისი მამის ამხანაგს ესტუმრა. ამ ამხანაგს ცუნემოტო ერქვა.

მეორე დილით დოსიმარუ ქალაქში გავიდა თავისი ჯადოსნური ლერწმის ჯოხით, დადიოდა და ხმამაღლა გაჰყვიროდა:

_ რა საბრალოა ის, ვინც არ იცის, უეცარი უბედურება საიდან ეწვიაო!

ამ ყვირილს ყური მოჰკრეს ჯადოქარ დომანოს მსახურებმა და გაიფიქრეს, ეს ბიჭი ალბათ ტყუილუბრალოდ არა ყვირისო და, ის იყო, თავს უნდა დასხმოდნენ დოსიმარუს, რომ ბიჭი მოუტრიალდა მსახურებს და თავისი ლერწმის ჯოხით კარგა ლაზათიანად აუჭრელა გვერდები. ყველანი კუდამოძუებულები გაიქცნენ.

ეს ამბავი გაიგო დოსიმარუს მამის მეგობარმა და სახტად დარჩა ბიჭის სიმამაცით.

_ მე შემიძლია თქვენი ხელმწიფე განვკურნოო, _ უთხრა დოსიმარუმ.

ცუნემოტომ დაუჯერა ჭაბუკს და ეახლა ხელმწიფეს.

_ ჩვენს ქალაქში ჩამოვიდა ერთი ჭაბუკი, სახელად დოსიმარუ, გულადი ვაჟკაცია და იმედს გვაძლევს, რომ ხელმწიფეს მოარჩენსო.

ამ დროს ჯადოქარი დომანი ხელმწიფის სასთუმალთან იდგა.

_ ხელმწიფეს მე თვითონ ვმკურნალობ, _ შეჰყვირა ჯადოქარმა. _ მისი განკურნება მე დამავალეს და ვიღაც სულელი ბიჭის გულისთვის ხელს არ ავიღებო.

ცუნემოტოს რისხვისაგან სახეზე ალმური მოედო.

_ კარგი, რადგან ასეა, მე მინდა დოსიმარუ და დომანო ერთმანეთს შეეჯიბრონ. ვინც გაიმარჯვებს, ხელმწიფეს იმან უმკურნალოსო.

ხელმწიფემ მოისურვა თავისი თვალით ენახა ჯადოქართა შეჯიბრი. უხმეს დოსიმარუს და დასვეს დომანოს პირდაპირ.

დოსიმარუმ აიღო ქაღალდის ფურცელი და ყვავილების ქოთანში ჩადო. მერე ლერწმის ჯოხი შეახო და ქაღალდის ფურცელი უეცრად ქლიავის ხედ გადაიქცა. ტოტებზე ალისფრად გადაიფურჩქნა ულამაზესი ყვავილები, მათი სურნელება მთელ სასახლეს მოედო. დოსიმარუმ მეორე ფურცელი აიღო, დაკუწა, შეახო ლერწმის ჯოხი და უცებ ქაღალდის ნაკუწები გადაიქცნენ ბულბულებად, დასხდნენ ქლიავის ხეზე და გააბეს საამური სტვენა. მერე დოსიმარუმ სამჯერ შემოჰკრა ტაში და ყველაფერი გაქრა.

ამ ამბავმა დომანო ჩააფიქრა: მაშ, ძლიერ მეტოქესთან მქონიაო საქმე. აიღო ქაღალდის ორი ფურცელი და გველი გააკეთა. გაცურდა გველი და, ის იყო, დოსიმარუსთვის უნდა ეკბინა, რომ, დოსიმარუმ, ვითომც აქ არაფერიაო, ერთი გადახედა გველს და გააქრო.

_ პატარა ბიჭსა ჰგავს, მაგრამ დიდი ჯადოსნური ძალა აქვსო, _ გაუკვირდა დომანოს და ტკბილეულის კოლოფში ყველასათვის შეუმჩნევლად თორმეტი ლიმონი და ფორთოხალი ჩადო.

_ აბა, გამოიცანი, რა ჩავდე ამ ყუთში და რამდენიო.

დოსიმარუმ ისევ ლერწმის ჯოხი მოიშველია.

_ თორმეტი თაგვი, _ ჩასჩურჩულა ლერწმის ჯოხმა.

_ თორმეტი თაგვი! _ გაიმეორა დოსიმარუმ.

_ გავიმარჯვე! _ შეჰყვირა გახარებულმა დომანომ და ყუთის თავი სასწრაფოდ ახადა. იქიდან მართლა თორმეტი თაგვი ამოხტა და აქეთ-იქით მოცოცხეს.

დომანო მიხვდა, რომ დამარცხდა, წამოხტა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.

დოსიმარუმ ზღვის მოქცევის მარგალიტი მაღლა ასწია, ზღვა აბობოქრდა და ბოროტი დომანო შთანთქა. დასწია მარგალიტი დოსიმარუმ და ზღვა თავის ადგილას ჩადგა.

_ თქვენი სასახლის მსახურთ უბრძანეთ, ჩრდილო-დასავლეთის კუთხე ამოთხარონ, იმ კუთხეში ჯადოქარმა შხამიანი გველი ჩაფლა, ავად ამიტომა ხართო, _ უთხრა დოსიმარუმ ხელმწიფეს.

ხელმწიფის მსახურები ეცნენ იმ კუთხეს, ამოთხარეს და გველი მოკლეს.

იმისი მოკვლა იყო და, ხელმწიფე წამში გამოჯანმრთელდა.

დოსიმარუმ უამრავი ძვირფასი საჩუქარი მიიღო ხელმწიფისაგან და თავისი ლერწმის ჯოხით საცხოვრებლად კვლავ მამასთან დაბრუნდა.

<u>მარჯვნივაც მეჭეჭი,</u>
<u>მარცხნივაც მეჭეჭი</u>

დიდი ხნის წინათ სოფელ ასანოში ცხოვრობდა ერთი ბერიკაცი. სახელად გოემონი ერქვა. უცნაური შესახედავი იყო: მარჯვენა ლოყაზე ვაშლისოდენა მეჭეჭი აჯდა. მარცხნივ რომ გაიხედავდა, ყველაფერს ხედავდა, მარჯვნივ თუ გაიხედავდა, თავისი მეჭეჭის მეტს ვერაფერს დაინახავდა ხოლმე. თანაც ეს მეჭეჭი ისეთი მძიმე იყო, თავი ცალ მხარეს სძლევდა.

ძალიან წუხდა საცოდავი გოემონი და სულ იმის ფიქრში იყო, ნეტავ ეს მეჭეჭი მომაშორებინაო.

ერთხელ ტყეში შეშის მოსაჭრელად წავიდა. უცებ მოიღრუბლა, გაიელვა, დაიჭექა და წვიმა წამოვიდა. სად შევეფაროო, _ გაიფიქრა მოხუცმა და მიიხედ-მოიხედა. იქვე ფუღურო დაინახა. გაუხარდა მოხუცს, გაიქცა და შიგ შეძვრა.

ამასობაში კარგა დაღამდა. აღარ ისმოდა ტყისმჭრელების ცულის ხმა. გაირინდა მიდამო. ქარი თუ ჩაუქროლებდა ფუღუროს. გოემონი შიშმა აიტანა და ისე მოიკუნტა, ფუღუროში აღარც კი ჩანდა. თვალები მაგრად დახუჭა და ბუტბუტს მოჰყვა: ღმერთო, მიშველე! ღმერთო, მიშველეო!

შუაღამისას, როცა ქარი ჩადგა და წვიმის წკაპაწკუპიც მიწყდა, გორაკიდან რაღაც ხმაური, ფეხების ტყაპუნი და ლაპარაკი მოესმა.

მოხუცს მოეწყინა ფუღუროში ჯდომა, ძალიან გაუხარდა, ხმაური რომ შემოესმა, თვალები გაახილა, წამოდგა, ფრთხილად გამოყო თავი ფუღუროდან და იცით, რა დაინახა? გორაკიდან მისკენ მოდიოდნენ რაღაც მოჩვენებები: წითელი, ლურჯი, მწვანე ეშმაკები. ზოგს სამი თვალი ჰქონდა, ზოგს _ ორი ცხვირი, ზოგს შუბლზე რქა ამოსვლოდა, ლაშები ყურებამდე ახეოდა, მაგრამ გოემონისთანა მეჭეჭი არც ერთს არა ჰქონდა.

ამათ დანახვაზე გოემონს შეეშინდა, ფუღუროში მიიყუჟა და ისე მოიკუნტა, თავისი მეჭეჭისოდენაც აღარ იყო.

ეშმაკები დიდი ღრიანცელით მივიდნენ ხესთან და ბალახზე დასხდნენ. წინამძღოლი შუაში ჩასვეს. დანარჩენები გარშემო შემოუსხდნენ. ჯიბიდან ამოიღეს ბროლის ჯამები და სწორედ ჩვენებურად ბრინჯის არაყი შესთავაზეს ერთმანეთს. ჯერ ჩუმად სვეს, მერე კი სიმღერა შემოსძახეს. უცებ ერთი მომცრო ეშმაკი წამოფრინდა და მინდვრის შუაგულში ჩამოუარა. მას სხვებიც აჰყვნენ. ცეკვას რომ მორჩნენ, ეშმაკების წინამძღოლმა თავი დაუქნია, ვითომ, ყოჩაღ თქვენაო, მერე კი უთხრა:

_ ძალიან მასიამოვნეთ, ძალიან! დღეს კარგად გავმხიარულდი, მაგრამ ყველანი ერთნაირად ცეკვავთ. ნეტავ ერთი სხვანაირი მოცეკვავე მაჩვენაო!

გოემონმა ყველაფერი თავისი ყურით გაიგონა. მოხუცი ფუღუროში შიშისაგან თვალმოხუჭული იჯდა. მერე თანდათან ცნობის წადილმა შეიპყრო. ფრთხილად წამოიწია, ოდნავ გაყო თავი და მარცხენა თვალით გაიხედა. გოემონმა დაინახა, როგორ გაჰქონდათ და გამოჰქონდათ იქაურობა ეშმაკებს, და შიში დაავიწყდა. ფეხები საცეკვაოდ აუთამაშდა, მაგრამ ფუღუროში ფეხის გასასმელი ადგილი არ იყო, ცეკვა კი არა, განძრევაც არ შეიძლებოდა. სწორედ ამ დროს მოისმა ეშმაკების წინამძღოლის სიტყვები: ნეტავ ერთი სხვანაირი მოცეკვავე მაჩვენაო. ბერიკაცი აცუნდრუკდა, მოდი, ამოვხტები ამ

ფუღუროდან და ჩემებურად ჩამოვუვლიო. მაგრამ თან ეშინოდა, ემანდ არ შემჭამონო.

ვიდრე ბერიკაცი ფიქრობდა, გადავხტე თუ არაო, ეშმაკებმა ისეთი ტაში დასცხეს, გოემონს გულმა ვეღარ მოუთმინა.

_ რაც არის, არის, ჯანდაბას, ერთხელ ჩამოვუვლი და მერე გინდ შემჭამონო!

ფუღუროს კიდეს ხელი დაჰკრა და ზედ შუაგულ მინდორში ისკუპა.

_ ეს რა ამბავიაო?

_ ეს რა არისო?

_ ადამიანიაო!

ბერიკაცს ყური არ უგდია, ვინ რა თქვა, დაუარა, ხან ჩაბუქნა, ხან აიწურა, ხან ყელი მოიღერა, ხან ცერებზე შედგა, ხან ბზრიალასავით დატრიალდა, ხან წაღმა დაუარა, ხან უკან-უკან წავიდა. უვლიდა ბერიკაცი და იძახოდა:

_ ტაში, ტაშიო!..

ეშმაკები მოხუცს თვალს ვერ აშორებდნენ, იმათაც ფეხი ააყოლეს. უსტვენდნენ და ტაშს უკრავდნენ.

_ ყოჩაღ!

_ უყურე, ცერებზე დგებაო!

გოემონი დაიქანცა და ჩაჯდა. ეშმაკების წინამძღოლმა უთხრა:

_ დიდად გვასიამოვნე, მოხუცო! ძალიან გვიყვარს ცეკვა, მაგრამ შენთან ჩვენ რას მოვალთ! ხვალ საღამოსაც მოდი და ერთი კიდევ ჩამოუარეო.

გოემონს გაეღიმა.

_ ეგრე იყოს! კიდევაც რომ არ დამპატიჟოთ, მაინც მოვალ, სიმართლე გითხრათ, დღეს მე ცეკვას არ ვაპირებდი, არც მოვმზადებულვარ. ხვალ საღამოსთვის კი მოვიგონებ, ჩემს ახალგაზრდობაში როგორ ვცეკვავდიო!

ამ დროს ერთი ეშმაკი წამოხტა. ეს ეშმაკი წინამძღოლის გვერდით იჯდა.

_ იქნებ ბერიკაცმა მოგვატყუოს და არ მოვიდეს, გირაოდ რამე უნდა გამოვართვათო.

ეშმაკების წინამძღოლმა თავი დაუქნია.

_ მართალი ხარ, რამე უნდა გამოვართვათო.

_ რა გამოვართვათო?

ეშმაკები აყაყანდნენ, ერთმა თქვა, ქუდი გამოვართვათო, მეორემ თქვა, ცულიო.

ეშმაკების წინამძღოლმა ხელი ასწია და ყველა გააჩუმა.

_ მოდი, ლოყიდან ეს მეჭეჭი ავაცალოთ. ადამიანი მინახავს, მაგრამ ამისთანა მეჭეჭი არავის ჰქონია. ალბათ ძვირფასი რამ არისო.

გოემონს სიხარულისაგან ხელ-ფეხი აუცახცახდა, მაგრამ არ შეიმჩნია, ისე დაიჭირა თავი, ვითომ ძალიან ენანებოდა თავისი მეჭეჭი.

_ თუ გნებავთ, თვალი ამომთხარეთ, ენა ამომგლიჯეთ, ცხვირი მომჭერით, ყური ამახიეთ, ოღონდ ამ მეჭეჭს ხელს ნუ ახლებთ! რამდენი წელია, ეს მეჭეჭი მაქვს. ძალზე ვუფრთხილდები! უამისოდ არ ვიცი, რა მეშველებაო.

ეშმაკების წინამძღოლმა ეს რომ გაიგონა, თქვა:

_ ერთი შეხედეთ, როგორ უფრთხილდება თავის მეჭეჭს! რაკი ეგრეა, მოდით, მოაგლიჯეთო!

უცებ ყველაზე პატარა ეშმაკი მიახტა მოხუცს და მეჭეჭი ისე მოაძრო, გოემონს არც კი გაუგია.

ამ დროს ინათა კიდეც. ყვავებმა დაიჩხავლეს. ეშმაკებს ჩოჩქოლი შეუდგათ.

_ ბერიკაცო, ხვალ მოდი და შენს მეჭეჭს მოგცემთო.

ეშმაკები აქეთ-იქით გაიფანტნენ. გოემონმა მიიხედ-მოიხედა, აღარავინ არის. მოისვა ხელი ლოყაზე, მეჭეჭი აღარ აქვს. გაიხედა მარჯვნივ და ფიჭვიც დაინახა, ტოტებიც. მეჭეჭი ხელს აღარ უშლიდა!

ბერიკაცი შინისკენ გაიქცა, ჩემს დედაკაცს გავახარებო.

დედაკაცმა ტაში შემოჰკრა.

_ შენი მეჭეჭი რა იქნაო?

_ ეშმაკებმა ამაგლიჯესო.

_ კარგი ერთიო! _ თვალები დააჭყიტა დედაკაცმა.

ამ სოფელში სხვა ბერიკაციც ცხოვრობდა, სახელად ბუემონი ერქვა, როგორც ორი წვეთი წყალი, ისე ჰგვანდნენ ერთმანეთს. ბუემონსაც მეჭეჭი ჰქონდა ლოყაზე, ოღონდ მარცხნივ.

თუ მარჯვნივ გაიხედავდა, ყველაფერს ხედავდა, თუ მარცხნივ გაიხედავდა, მხოლოდ თავის მეჭეჭს დაინახავდა.

თავი მასაც ცალ მხარეზე სძლევდა.

ბუემონსაც დიდი ხანია უნდოდა ის მეჭეჭი მოეშორებინა.

ერთხელ ბუემონი გზაში თავის მეზობელ გოემონს შეხვდა და რასა ხედავს, მოხუცს ორივე ლოყა მოსუფთავებული აქვს, თითქოს არასოდეს მეჭეჭი არა ჰქონიაო.

_ ერთი მითხარი, ვინ მოგაცილა მეჭეჭი, კაი დასტაქარი ყოფილა, მასწავლე, სად ცხოვრობს, მეც წავალ და მოვიშორებო.

_ ჩემი მეჭეჭი დასტაქარს არ აუთლიაო, _ მიუგო გოემონმა.

_ მაშ ვინაო?

გოემონმა დაწვრილებით უამბო წინაღამის ამბავი.

_ რას ამბობ! ცეკვას რა უნდა! დღესვე წავალ ეშმაკებთან და ჩამოვუვლი. შენ ერთი კარგა მასწავლე, რა ადგილზეაო, _ სთხოვა ბუემონმა.

გოემონმა ასწავლა, სად იდგა ფუღუროიანი ფიჭვი, რომელშიც თვითონ იჯდა მოკუნტული.

ბუემონი გახარებული გაიქცა ტყეში, იპოვნა ის ფიჭვი, შეძვრა ფუღუროში და ეშმაკებს დაელოდა.

შუაღამე რომ დადგა, ფეხების ტყაპუნი და ყაყანი მოესმა. წითელი, ლურჯი და მწვანე ეშმაკები ამ ფიჭვისკენ მორბოდნენ ღრიანცელით.

მოირბინეს, ბალახზე მოიკეცეს და ნადიმი გამართეს. ჯერ ბრინჯის არაყი გამოწრუპეს, მერე სიმღერაც შემოსძახეს.

ეშმაკების დანახვაზე მოხუცი მოიკუნტა ფუღუროში და თვალებიც მაგრად დახუჭა. შიშისაგან ისიც კი დაავიწყდა, რისთვის მოვიდა ტყეში.

უცბად ეშმაკების წინამძღოლმა დაიღრიალა:

_ ბერიკაცი ჯერ არ გამოჩენილაო?

პატარა ეშმაკები აწრიპინდნენ:

_ სად არის ბერიკაცი? ნეტავ რად დაიგვიანაო!

ბუემონს ახლაღა მოაგონდა თავისი მეჭეჭი და გაიფიქრა: რახან აქამდე მოვედი, უნდა ვეჩვენო კიდეც. რაც იქნება, იქნება, უნდა ჩამოვუაროო!

და ძლივს გადმოფოფხდა ფუღუროდან. პატარა ეშმაკმა დაიჭყივლა:

_ მოვიდა! მოვიდა! აქ არისო!

ეშმაკების წინამძღოლს გაუხარდა:

_ მაშ, მოხვედი? ყოჩაღ, ბერიკაცო! აბა ერთი ჩამოუარეო!

ეშმაკებმა ტაში დასცხეს, ბერიკაცი შიშისაგან ცახცახებდა, მუხლები ეკეცებოდა.

ეშმაკების წინამძღოლმა უყურა, უყურა და გაცეცხლდა.

_ ეს არის, ცეკვა ვიციო? ისე უშნოდ უვლი, რომ გიყურებ, გული მერევა. გეყოფა, მოშორდი აქედან! შენ ეი, გირაო დაუბრუნეო!

პატარა ეშმაკი წამსვე მოხუცთან გაჩნდა.

_ აჰა, შენი გირაო წაიღეო!

და _ ტყაპ! _ მარჯვენა ლოყაზე მეჭეჭი მიატყაპა.

ახლა ბერიკაცს ორივე ლოყაზე აქვს მეჭეჭი. თავი აქეთ-იქით აღარ უვარდება და სწორად უჭირავს.

<u>დედობრივი სიყვარულის ძალა</u>

ერთი პატარა ქალაქის განაპირა უბანში ცხოვრობდნენ დედაბერი და ბერიკაცი. ცოლ-ქმარი კანფეტით ვაჭრობდა.

ზამთარი იყო. ერთ ბნელ ღამეს დუქნის კარზე კაკუნი მოესმათ. გააღეს კარი და დაინახეს, ახალგაზრდა ქალი დგას კარის ზღურბლზე. ქალმა მორიდებით მიაწოდა სამი გროში და უთხრა:

_ ამისი ცოტა კანფეტი მომეცითო.

_ ამ ქარში რასა დგახარ, ქალბატონო? შემოდი, გათბი, სანამ კანფეტს შეგიხვევთო.

_ არა უშავს, აქ ვიქნებიო.

ახალგაზრდა ქალმა გამოართვა კანფეტი და გაქრა.

ის ქალი მეორე ღამესაც მივიდა. მოხუცებს გაუკვირდათ, ამ შუაღამისას რას დადის, ნეტავი სხვა დრო არა აქვსო?

მესამე ღამესაც იმავე დროს მოვიდა ქალი. მეოთხე ღამესაც. რომ წავიდა, მოხუცებმა ფულს დახედეს და ხმელი ფოთოლი კი შერჩათ ხელში.

_ მაგ მატყუარას უყურე! _ შესძახა დედაბერმა, _ წადი, კაცო, გაჰყევი უკან, ჯერ შორს არ იქნება წასული. ეჰ, მე რომ თვალთ არ მაკლდეს, ხომ ვერ გამიბედავდა, ფულის მაგივრად ხმელი ფოთოლი შემოეჩეჩებინაო.

_ ნახე ერთი, გზაზე წითელი თიხის გოროხები ყრია, _ გაუკვირდა ბერიკაცს. _ ნეტავ საიდან მოდის ეს ქალი, ჩვენს ახლომახლო ხომ მხოლოდ თეთრი ქვიშაა ო.

მოხუცი მიდიოდა იმ გზით, სადაც უცნობი თვალს მიეფარა, თან თოვლს აკვირდებოდა, მაგრამ თოვლზე ნაფეხურები არა ჩანდა. მხოლოდ წითელი თიხის გოროხები ეყარა გზაზე.

აქ სახლებს რა უნდა, _ ფიქრობდა მოხუცი. _ ნუთუ სასაფლაოსკენ წავიდა. გარშემო მიცვალებულთა ძეგლებია, მეტი არაფერიო.

უცბად ბავშვის ტირილი შემოესმა.

ალბათ მომეჩვენა, ქარი თუ სისინებსო, _ გაიფიქრა მოხუცმა.

კვლავ გაისმა ბავშვის ტირილი, საცოდავად, ყრუდ, თითქოს მიწიდან ისმოდა.

მოხუცი ახლოს მივიდა და დარწმუნდა, რომ ტირილი მართლა ახლად გათხრილი საფლავიდან ისმოდა.

საოცარია! _ გაიფიქრა მოხუცმა. _ წავალ, გავაღვიძებ ტაძრის მსახურებს. უნდა გავიგო, რა ამბავია, ნუთუ საფლავში ცოცხალი ადამიანი დამარხესო!

წავიდა, გააღვიძა მოძღვარი და ორივენი ფრთხილად მივიდნენ საფლავთან.

_ ნეტავი რა ამბავია! აქ ხომ ორი-სამი დღის წინათ ფეხმძიმე ქალი დაასაფლავეს! მშობიარობამდე რაღაც ავადმყოფობით გარდაიცვალა. მოხუცო, ეგებ მოგეჩვენაო, _ უთხრა მოძღვარმა.

ამ დროს იქვე ახლოს ყრუდ გაისმა ბავშვის ტირილი.

ხელად გათხარეს მიწა და ახალი კუბო გამოჩნდა. სახურავი რომ ახადეს, დაინახეს, კუბოში ახალგაზრდა ქალი ესვენა. თითქოს სძინავსო, მკვდარი დედის გულზე ცოცხალი ბავშვი იწვა. პირში კანფეტი ედო.

_ თურმე რითი კვებავდა დედა თავის შვილს! ახლა კი ყველაფერი გავიგეო, - ჩაილაპარაკა ბერიკაცმა. _ რა ძლიერია დედის სიყვარული! ქვეყანაზე დედის სიყვარულს რა შეედრება! საბრალო ქალი ჯერ იმ ფულს გვაძლევდა, კუბოში რომ ჩაატანეს. როცა ფული შემოელია, ხმელი ფოთოლი მოიტანა. უბედური ქალი. თავის პირმშოს საფლავშიაც უვლიდაო.

ბევრი ცრემლი დაღვარეს მოხუცებმა სამარესთან, მერე მკვდარ დედას ბავშვი ააცალეს და ტაძარში წაიყვანეს.

ბავშვი იქვე გაიზარდა, იქვე დარჩა მოსიყვარულე დედის საფლავის მოსავლელად.

<u>რატომ არის ზღვა მლაშე</u>?

დიდი ხნის წინათ ერთ სოფელში ცხოვრობდა ორი ძმა. უფროსი მდიდარი იყო, უმცროსი _ ღარიბი.

ერთხელ უმცროსმა ძმამ იფიქრა, ახალი წელი დგება, წავალ, ჩემს ძმას ცოტაოდენ ბრინჯს ვესესხებიო. მდიდარმა ძმამ არც ბრინჯი მისცა, კარგა ლაზათიანადაც გამოლანძღა და გამოაგდო.

_ რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, შინ ასე ხელცარიელი როგორ დავბრუნდეო, _ წუხდა საცოდავი უმცროსი ძმა და გაოგნებული მიჰყვებოდა ბილიკს. უცბად დაინახა, რომ მისკენ თოვლივით თეთრთმიანი მოხუცი მოდის.

_ საით გაგიწევიაო? _ შეეკითხა მოხუცი.

_ რაღა საით გამიწევია, უკვე ახალი წელი მოგვადგა კარს. მე კი შინ ერთი მარცვალი ბრინჯი არა მაქვს, რომ მწყალობელ ღმერთს მივართვა და ახალ წელს ბედნიერება დამიკვებოს. ტყუილად შევირცხვინე თავი, ჩემს მდიდარ ძმასთან ვიყავი, მაგრამ ცარიელ-ტარიელი გამომისტუმრაო.

_ მაშ, რაკი ეგრეა, მე დაგეხმარები. აჰა, აიღე ეს ტკბილი კვერი და წადი ტყეში. ნიშთან დაინახავ გამოქვაბულს. იმ გამოქვაბულში ქონდრისკაცები ცხოვრობენ. იცოდე, ისინი მოგთხოვენ ამ ტკბილ კვერს, სამაგიეროდ კი უამრავ ოქროს შეგპირდებიან, მაგრამ დაიმახსოვრე: არამც და არამც არ დათანხმდე, მხოლოდ და მხოლოდ ხელსაფქვავი მოსთხოვეო.

მოხუცმა მისცა ტკბილი კვერი. წავიდა ღარიბი ძმა ტყეში. ნიშთან მართლა შეამჩნია გამოქვაბული. გარშემო გამალებით ფუსფუსებდნენ ცეროდენა კაცუნები. ნეტავი რას აკეთებენო, _ გაიფიქრა. უყურა, უყურა და დაინახა, რომ ერთ პატარა კენჭს დიდი ვაი-ვაგლახით მიათრევდნენ.

_ მოიცადეთ, მე მოგეხმარებითო, _ უთხრა უმცროსმა ძმამ, დაავლო კენჭს ხელი და წაიღო გამოქვაბულში.

უცბად ატყდა რაღაც ზუზუნი.

_ გვიშველეთ!.. ავაზაკმა კაცი მოგვიკლაო!

განცვიფრდა ღარიბი ძმა, დაიხარა და რას ხედავს: თურმე ერთი კაცუნასთვის ფეხი დაედგა. კიდევ კარგი, ქოშის შუა ადგილას მოჰყოლოდა, სადაც სიცარიელეა. კაცუნა ფართხალებდა და წიოდა. დიდი სიფრთხილით მოჰკიდა ორი თითი და აიყვანა. ქონდრისკაცი კი წრიპინებდა:

_ რა ძლიერი ყოფილხარ! ამისთანა ვაჟკაცი ხელში ბუმბულივით არ ამიტაცეო?!

კაცუნამ უცბად ღარიბ ძმას ხელში ტკბილი კვერი დაუნახა. გაუხარდა და ხვეწნა დაუწყო:

_ ოღონდ ეგ ტკბილი კვერი მოგვეცი და რაც გინდა, გვთხოვეო.

ქონდრისკაცებმა იმდენი ოქრო გამოზიდეს გამოქვაბულიდან, გორად დააყენეს. ღარიბს თვალები გაუბრწყინდა, მაგრამ გაახსენდა მოხუცის სიტყვები.

_ მე თქვენი ოქრო არ მინდა, ამ ტკბილ კვერში ხელსაფქვავი მომეცითო.

ქონდრისკაცებმა იფიქრეს, ეს თავის სიტყვას აღარ გადავაო. შეიყვანეს გამოქვაბულში. გამოქვაბულის კუთხეში ხელსაფქვავი იდო.

_ ეჰ, ბარემ ხელსაფქვავი ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი რამ არის, მაგრამ რა გაეწყობა, ისე მოგვეწონა შენი ტკბილი კვერი, უარს ვერ გეტყვით. აჰა! წაიღე და დაიმახსოვრე: მარჯვნივ მოატრიალებ სახელურს, რასაც ინატრებ, იმას დაგიფქვავს, ხოლო თუ გინდა გააჩერო, მარცხნივ გადაატრიალე სახელური. არ

დაგავიწყდეს, რომ მარცხნივ უნდა გადაატრიალო, თორემ არამც და არამც არ გაჩერდებაო.

ღარიბმა ძმამ დაავლო ხელსაფქვავს ხელი და სიხარულით მოკურცხლა შინისაკენ.

ცოლმა შინ შესვლა არც კი დააცადა, მაშინვე ისა ჰკითხა:

_ რა ქენი, იშოვე რამეო?

_ დამაცა, დედაკაცო, ჯერ ნურაფერს მკითხავ, ჩქარა ფარდაგი გაშალეო.

ცოლმა საჩქაროდ გაშალა ძირს ფარდაგი. ღარიბმა ძმამ ზედ ხელსაფქვავი დადგა, სახელური მარჯვნივ გადაატრიალა და ჩაიბუტბუტა:

_ ხელსაფქვავო, ბრინჯი მოგვეციო...

ამის თქმა იყო და, რას ხედავენ, ფარდაგი თეთრი მსხვილი ბრინჯით გაივსო.

_ ხელსაფქვავო, ხელსაფქვავო, ორაგული გააჩინეო.

ხელსაფქვავიდან მაშინვე დამარილებული ორაგული გადმოცვივდა. ცოლ-ქმარმა რა საჭმელიც კი ინატრა, ხელსაფქვავმა ყველაფერი გააჩინა. სანატრებელი რომ აღარაფერი დარჩათ, ღარიბმა მაშინღა გადაატრიალა სახელური მარცხნივ და ხელსაფქვავიც გაჩერდა.

გახარებული ცოლ-ქმარი მხიარულად შეუდგა ვახშამს. მეორე დილით ქმარი ეუბნება ცოლს:

_ გვეყოფა სულ სხვის ქოხებში წანწალი, მეც მინდა, ადამიანურად ვიცხოვრო და ჩვენი თავშესაფარი გვქონდესო, _ დაატრიალა ხელსაფქვავის სახელური და თქვა:

_ ხელსაფქვავო, აგვიშენე კარგი სახლი, დიდი საჯინიბო, შიგ სამოცდათოთხმეტი საუკეთესო რაში დააყენე, პური და ღვინოც ბლომად მოგვეციო.

ხელსაფქვავმა ყველაფერი აუსრულა. ღარიბმა ძმამ მოინდომა დიდი ნადიმი გაემართა.

დაპატიჟა მეზობელ-ნათესავები და თავისი მდიდარი ძმა.

ყველას გაუკვირდა სოფელში, ყველაზე ღატაკმა ამდენი სიმდიდრე საიდან შეიძინაო.

მდიდარი ძმა თვალებს არ უჯერებდა; ერთი დამიხედეთ, გუშინ ჩემგან ბრინჯს თხოულობდა, დღეს კი ყველაზე მდიდარია. ერთ ღამეში როგორ გამდიდრდა, რომ მოვკვდე, მაინც უნდა გავიგოო.

ქეიფობს უფროსი ძმა, მხიარულობს და თან აქეთ-იქით აცეცებს თვალებს.

როდის-როდის მორჩნენ ნადიმს და სტუმრები შინ წასასვლელად აიშალნენ.

უმცროსმა ძმამ იფიქრა, მოდი, ყველას დავასაჩუქრებო. ჩუმად გავიდა მეორე ოთახში და გადაატრიალა ხელსაფქვავის სახელური მარჯვნივ.

_ ხელსაფქვავო, ხელსაფქვავო, ჩემი სტუმრების სამყოფი ტკბილეული მომეციო.

უფროსმა ძმამ ჭუჭრუტანიდან ყველაფერი დაინახა და გაიცინა:

_ ხა-ხა-ხა! ახლა კი გავიგე, ამ ღატაკმა ამდენი სიმდიდრე საიდან იშოვაო.

მასპინძლებმა სტუმრები გააცილეს. უფროსი ძმა კი დარჩა, იხელთა დრო, შეიპარა ოთახში, ხელსაფქვავი ტომარაში გაახვია, ცოტა ტკბილეულიც გაიყოლა და ზღვისაკენ მოკურცხლა.

წავალ სადმე შორეულ კუნძულზე და იქ ფქვას ამ ხელსაფქვავმა მარტო ჩემთვის. ჩემისთანა მდიდარი მთელ დედამიწის ზურგზე არავინ იქნებაო, _ ფიქრობდა ხარბი ძმა.

დიდხანს დაცურავდა ზღვაში ნავით. ამასობაში მოშივდა კიდეც. ჩაყო ტომარაში ხელი და ამოიღო ერთადერთი ბრინჯის კვერი. ძალიან მოუნდა მარილიანი საჭმელი. მოდი, კვერს მარილს დავაყრი და ისე შევჭამო, _ გაიფიქრა და ხელსაფქვავის სახელური გადაატრიალა მარჯვნივ. დაიწყო წისქვილმა მარილის დაფქვა. იფქვება და იფქვება მარილი.

უფროსმა ძმამ თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო, ნავი ნახევრამდე გაივსო. კაცს უნდა, რომ გააჩეროს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ხელსაფქვავი ფქვავს და ფქვავს მარილს.

_ ეი, ხელსაფქვავო, გაჩერდი, გეყოფა! არ გესმის, შე წყეულო, გაჩერდიო! _ გაჰყვიროდა უფროსი ძმა, მარილი კი მატულობდა და მატულობდა. ნავი ნელ-ნელა დამძიმდა და ბოლოს ჩაიძირა. ნავთან ერთად დაიღუპა ხარბი ძმაც.

ზღვის ფსკერზე კი ახლაც დევს ის ხელსაფქვავი და ფქვავს და ფქვავს მარილს.

აი, რატომ არის ზღვა მლაშე.

ლერწამა და მჭედელი

იყო ერთი მოხუცი კაცი, სახელად ტაკეტორი ერქვა. ტაკეტორი ლერწმისაგან ლამაზ ჭილოფებსა და კალათებს წნავდა და ბაზარზე ყიდიდა.

ერთხელ ტაკეტორიმ ტყიდან ერთი კონა ლერწამი მოიტანა, კუთხეში მიჯდა და მუშაობას შეუდგა. უცებ მოესმა, რომ ვიღაცამ ძალიან წვრილი ხმით თქვა:

_ გამარჯობაო!

_ გაგიმარჯოსო! _ უპასუხა ტაკეტორიმ და გარშემო მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ქოხში ვერავინ დაინახა.

_ ალბათ მომეჩვენაო, _ იფიქრა და მუშაობა განაგრძო. აიღო ლერწმის ღერო და ის იყო უნდა მოეღუნა, რომ სულ ახლოდან მოესმა იგივე ხმა:

_ გამარჯობაო!

ტაკეტორიმ ლერწმის ღეროში ჩაიხედა და შიგ ციცქნა გოგონა დაინახა. ბერიკაცმა გოგონა ხელისგულზე დაისვა. გოგონა ისეთი ლამაზი იყო, ბერიკაცი მისი ცქერით ვერ გამძღარიყო.

_ აქ საიდან გაჩნდი? ასეთი პატარა რატომ ხარო? _ ჰკითხა ოსტატმა.

_ იმიტომ, რომ მთვარეზე დავიბადეო, _ უპასუხა გოგონამ. _ მთვარეზე გოგონები ჩემსავით პატარები არიან. სამაგიეროდ, სწრაფად ვიზრდებით. მალე მეც დიდი გავხდებიო.

_ აქ როგორღა გაჩნდიო? -_ისევ იკითხა ტაკეტორიმ.

_ მთვარის ბილიკზე ვსეირნობდი, ფეხი დამიცდა და დედამიწაზე ჩამოვვარდი. კიდევ კარგი, ლერწმის ღეროში ჩავვარდი, თორემ ნამდვილად დავიმტვრეოდიო.

_ ახლა ამ ნამცეცას რა ვუყოო? _ ხმამაღლა თქვა ტაკეტორიმ.

_ მიშვილეო, _ გამოეპასუხა გოგონა. _ ჭილოფების დაწვნაში მოგეხმარები, კერიაზე ცეცხლს არ გაგიქრობ, ტანსაცმელს დაგიკემსავ, ბაღში ყვავილებს მოვუვლიო.

_ კარგი, დარჩი ჩემთან, ჩემი შვილი იყავი, ლერწამას დაგარქმევო, _ უთხრა ბერიკაცმა.

ასე დარჩა ლერწამა ტაკეტორის ქოხში.

გოგონას ნათქვამი გამართლდა: დღეობით კი არა, საათობით იზრდებოდა, მამას ჭილოფების დაწვნაში ეხმარებოდა, კერიისათვის ფიჩხს აგროვებდა და მოხუცს ტანსაცმელსაც უკემსავდა.

რამდენიმე თვის შემდეგ ლერწამა უკვე ნამდვილი მზეთუნახავი იყო.

ტაკეტორის ქოხის მახლობლად ერთი მჭედელი ცხოვრობდა. მხიარული და ღონიერი კაცი იყო. მთელ იმ არემარეზე უკეთესი ოსტატი არ მოიპოვებოდა. მჭედელი ათასნაირ ნივთს ამზადებდა ოქროს, ვერცხლის, რკინისა და ძვირფასი ქვებისაგანაც კი. თავის სამჭედლოში მთელი დღე მუშაობდა და ხმა-მაღლა მღეროდა.

ერთხელ მჭედელმა ლერწამა დაინახა და შეუყვარდა. ლერწამასაც შეუყვარდა მხიარული მჭედელი.

მჭედელმა უთხრა:

_ ლერწამა, ცოლად გამომყევიო.

ლერწამამ მიუგო:

_ ხვალ მამაჩემთან მოდი და ჩემი თავი სთხოვე, როგორც მამა გადაწყვეტს, ისე იყოსო.

სანამ ლერწამა მჭედელს ელაპარაკებოდა, ტაკეტორს მეზობელი პროვინციების სამი წარჩინებული მმართველი ეწვია. ქოხში პირველად მმართველი ისიძუკური შევიდა და ბერიკაცს უთხრა:

_ შენი ქალიშვილი ცოლად მინდა შევირთო. თუ არ მომათხოვებ, ვბრძანებ, ზღვაში გადაგაგდონ ზვიგენების შესაჭმელად. პასუხისათვის ხვალ მოვალო.

თქვა და გავიდა ქოხიდან.

მერე მმართველი კურამოტი შევიდა და ბერიკაცს უთხრა:

_ შენს ქალიშვილს თუ არ მომათხოვებ, ვბრძანებ, ვეფხვებს მიუგდონ შენი თავი. პასუხისთვის ხვალ მოვალო.

თქვა და ისიც გავიდა ქოხიდან.

სულ ბოლოს ტაკეტორთან მმართველი მიუსი შევიდა.

_ მომათხოვე შენი ქალიშვილი. თუ არ მომათხოვებ, ვბრძანებ, თავი მოგკვეთონ. პასუხისთვის ხვალ მოვალო.

როდესაც ლერწამა შინ მივიდა, მოხუცმა ყველაფერი უამბო.

_ როგორ მოვიქცეთო? _ ჰკითხა მოხუცმა.

_ ნუ გეშინია. ხვალ მე თვითონ შევხვდები მმართველებს და პასუხსაც გავცემო, _ დაამშვიდა ლერწამამ.

გათენდა დილა. ტაკეტორის ქოხთან პირველად ისიძუკური მივიდა. ზღურბლზე ლერწამა შეეგება და უთხრა:

_ გავიგე, ცოლად მთხოულობთ, მართალიაო?

_ რა თქმა უნდა, მართალია, სწორედ ამისთვის მოვედიო.

ლერწამამ უთხრა:

_ მე მსურს შენი სიყვარული გამოვცადო, მინდა გავიგო, გულადი ხარ თუ არა. ქორწილისათვის ინდოეთიდან ალმასებით სავსე რკინის თასი ჩამომიტანე. იმ თასს რვათავიანი კაციჭამია სდარაჯობს. გახსოვდეს, თასი ჭრიჭინას გამჭვირვალე ფრთაზე უფრო თხელი რკინისაგან არის გამოჭედილი. ჩამომიტანე ის თასი და მაშინ დაგიჯერებ, რომ გიყვარვარ. ას დღეს დაგე-ლოდებიო.

_ მე მოვკლავ კაციჭამიას და ინდოეთიდან თასს ჩამოგიტანო, - უთხრა ისიძუკურიმ და ქოხიდან გავიდა.

გზაზე მას კურამოტი და მიუსი შემოხვდნენ.

_ ლერწამა თანახმაა, ცოლად გამომყვეს! _ შესძახა კმაყოფილმა ისიძუკურიმ. _ ასი დღის შემდეგ ქორწილში მეწვიეთო.

კურამოტიმ და მიუსიმ ეს ამბავი რომ გაიგეს, თავიანთ სამფლობელოებში გაბრუნდნენ. ისიძუკური კი, გასცდა თუ არა ტაკეტორის ქოხს, თავისთვის ჩაილაპარაკა: რად შევებრძოლო კაციჭამიას, ჩემი ალმასებიც თავსაყრელად მაქვს. თასს კი ყველა მჭედელი გამომიჭედავსო.

ისიძუკურიმ მსახურს ფული მისცა და უთხრა:

_ გასწი მჭედელთან და უბრძანე, რკინის თასი გამომიჭედოს. თანაც უთხარი, რკინა ჭრიჭინას გამჭვირვალე ფრთაზე თხელი იყოს-თქო.

მჭედელმა ულამაზესი რკინის თასი გააკეთა. მსახურმა გამოართვა თასი და ფული თვითონ ჩაიჯიბა.

მეასე დღეს ისიძუკურიმ სადღესასწაულო ტანსაცმელი ჩაიცვა, გამჭვირვალე რკინის თასი ალმასებით აავსო და საცოლესაკენ გასწია.

პროვინციის მმართველმა ლერწამას ფეხებთან დადო საქორწილო საჩუქარი და მოჰყვა ტრაბახს:

_ ორმოც დღეს მივცურავდი ინდოეთისაკენ. ორმოცდამეერთე დღეს ჩემი გემი ნაპირს მიადგა. ნაპირზე საშინელი კაციჭამია დავინახე, ოთხი კისერი ჰქონდა და თითო კისერზე ორ-ორი თავი ება. ამოვიძრე ხმალი და შევებრძოლე. რამდენიმე დღეს გასტანა ბრძოლამ. ჩემი სიცოცხლე ასჯერ ეკიდა ბეწვზე, მაგრამ უკან არ დავიხიე, არ შევშინდი და მოვკალი კაციჭამია.

მერე ავიღე ალმასებით სავსე რკინის თასი და წამოვიღე. ახლა მსურს, ქორწილი დღესვე გადავიხადოთო.

ლერწამამ ისიძუკურის მოუსმინა, მჭედელი გაახსენდა და ატირდა.

ტაკეტორიმ თქვა:

_ პატივცემულმა მმართველმა დაამტკიცა თავისი სიყვარული და გამბედაობა. წავალ, ხალხს ქორწილში მოვიპატიჟებო.

მაგრამ ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, რომ ქოხთან მჭედელი გამოჩნდა, მიესალმა ისიძუკურის და უთხრა:

_ სამართლიანო ბატონო, თქვენი მსახური მატყუარაა. ფულს შემპირდა, აი, ამ თასის გამოჭედვაში, ლერწამას ფეხებთან რომ დგას, და არ კი გადამიხადა. ამიტომ ეს თასი შენი კი არა, ჩემიაო.

მჭედელმა ალმასები გადმოყარა და თასი ქალიშვილს გაუწოდა:

_ შენთვის მიჩუქებიაო.

მერე სამჭედლოსკენ გასწია.

ლერწამამ თასი გულზე მიიხუტა და პროვინციის მმართველს უთხრა:

_ არასოდეს მატყუარას ცოლი არ გავხდები! გასწი აქედანო!

შერცხვენილმა ისიძუკურიმ სახეზე მარაო აიფარა და იქაურობას სწრაფად გაშორდა.

სულ მალე კურამოტი მოვიდა.

_ მე ისიძუკურის ქორწილში მოვედიო.

_ ისიძუკური მშიშარაა და მატყუარა! _ უთხრა ლერწამამ. _ არასოდეს მისი ცოლი არ გავხდებიო.

გაუხარდა კურამოტის.

_ მე გამომყევი ცოლად. მე გულადი ვარ და ყოველთვის მართალს ვამბობ. თუ არ გამომყვები, მამაშენს ვეფხვების ლუკმად ვაქცევო!

ლერწამამ უპასუხა:

_ მე მინდა შენი სიყვარული გამოვცადო. მსურს გავიგო, გულადი ხარ თუ არა. ოკეანეში არის მცურავი მთა ხორაი. მთაზე დიდებული ალუბლის ხე ხარობს. ხეს ფესვი ვერცხლისა აქვს, ტანი - ოქროსი, ნაყოფი _ მარგალიტისა. ძნელი გზა მიდის იმ მთისკენ. თუ გიყვარვარ, ქორწილისთვის მარგალიტის ალუბლებიანი ტოტი მომიტანეო.

_ მე ვიპოვი ოკეანეში ხორაის მთას და მოგიტან მარგალიტის ალუბლებიან ტოტს, - ამაყად უთხრა კურამოტიმ. _ ასი დღის შემდეგ ქორწილში სტუმრები მოიწვიეთო.

თქვა ეს და წავიდა. ცოტა ხანში სამჭედლო დაინახა. სამჭედლოში მჭედელი მუშაობდა.

კურამოტიმ ჰკითხა:

_ რისი გაკეთება შეგიძლიაო?

_ რასაც მიბრძანებ, ყველაფერს გავაკეთებო.

_ მაშ, ისეთი ალუბლის ტოტი გამიკეთე, ზედ მარგალიტის ალუბლები ესხას. სამაგიეროდ აბრეშუმის კიმონოს გაჩუქებო.

მჭედელი დაეთანხმა და მუშაობას შეუდგა. ქურაში რამდენიმე დღეს არ ჩამქრალა ცეცხლი, მჭედელი სულ თავის სამჭედლოში ტრიალებდა და დანიშნულ დღეს მმართველ კურამოტის მარგალიტის ალუბლებიანი ტოტი მიუტანა.

კურამოტიმ ტოტს ხელი დასტაცა და სწრაფად გასწია ლერწამასთან. სიხარულისაგან დაავიწყდა, მჭედლისთვის დაპირებული აბრეშუმის კიმონო მიეცა.

მმართველი საცოლესთან მივიდა და ხედავს, ტაკეტორი და ლერწამა ქოხის წინ ჭილოფებს წნავენ.

კურამოტიმ საქორწილო საჩუქარი ლერწამას ფეხებთან დადო და მოჰყვა ტყუილებს:

_ ადვილად არ მიშოვია ეს ტოტი. ოცდაათი დღე ვიცურე ოკეანეში ხომალდით. ქარმა იალქნები დამიგლიჯა, ქარიშხალმა ანძა გადამიტეხა, მაგრამ უკან არ დამიხევია, მაინც განვაგრძე ცურვა, სულ წინ მივდიოდი. ორმოცდამეერთე დღეს მივადექი ნაპირს. მაგრამ როგორც კი მიწაზე დავადგი ფეხი, დავინახე უშველებელი ურჩხული. თავი ვეფხვისა ჰქონდა, თათები _ მაიმუნისა, ხახიდან შავი კვამლი ამოსდიოდა, თვალებიდან ნაპერწკლები სცვიოდა. დამინახა თუ არა, დაიღრიალა: გაბრუნდი უკან, თორემ ნაკუწ-ნაკუწად გაქცევო! მე არ შევეპუე და ვუპასუხე: მირჩევნია დავიღუპო, თუ ლერწამას ბრძანებას არ შევასრულებ-მეთქი. ურჩხული დამეძგერა და გაჩაღდა ბრძოლა. საღამომდე ვიბრძოლეთ, საღამოს კი ურჩხულს თავი მოვკვეთე და კვლავ ოკეანეში მცურავი ხორაის მთის საძებნელად გავწიე. უცებ დავინახე, ხომალდისაკენ მაღალი მთა მოცურავდა. მწვერვალზე ღრუბლები შემოხვეოდა. გადავედი ხორაის მთაზე, დავიწყე ალუბლის ძებნა. როგორც იქნა, მთის მწვერვალზე ვიპოვე. ხეს სამი ვეფხვი იცავდა, მაგრამ არ შემშინებია. ერთს თავი მოვკვეთე, მეორეს _ თათი, მესამემ კი კუდი ამოიძუა და გაიქცა. მაშინ მოვტეხე მარგალიტის ალუბლებიანი ტოტი, ჩავჯექი ხომალდში და ზურგის ქარმა ჩვენს კუნძულზე მომაგდო. შევასრულე შენი ბრძანება, ახლა კი მსურს, ქორწილი დღესვე გადავიხადოთო.

_ გულადმა კურამოტიმ დაამტკიცა თავისი სიყვარული და გამბედაობა. წავალ, სტუმრებს ქორწილში მოვიპატიჟებო, _ თქვა ტაკეტორიმ.

მაგრამ წასვლა რომ დააპირა, ქოხთან მჭედელი გამოჩნდა, კურამოტის მიესალმა და უთხრა:

_ ჩემო ბატონო, ამ ტოტის გაკეთებაში აბრეშუმის კიმონოს შემპირდით. რატომ არ შეასრულეთ დაპირება? რაკი არ შეასრულეთ, ეს ტოტი თქვენი კი არა, ჩემიაო.

მჭედელმა აიღო ტოტი და ლერწამას გაუწოდა.

_ შენთვის მიჩუქებიაო.

მერე კი ისევ სამჭედლოსკენ გასწია.

ლერწამამ კუნძულის მმართველს უთხრა:

_ მე არასოდეს არ გავხდები მატყუარას ცოლი! გასწი აქედანო!

შერცხვენილმა კურამოტიმ სახეზე მარაო აიფარა და სწრაფად გაშორდა იქაურობას.

სულ მალე ქოხთან მიუსი გამოჩნდა.

_ მე კურამოტის ქორწილზე მოვედი. დიდებული სასიძო, მმართველი კურამოტი სად არისო?

_ კურამოტი მშიშარა და მატყუარაა! _ უთხრა ლერწამამ. _ არასოდეს მისი ცოლი არ გავხდებიო!

გაუხარდა მიუსის.

_ მე გამომყევი ცოლად. მე გულადი ვარ და ყოველთვის მართალს ვამბობ. თუ არ დამთანხმდები, ვუბრძანებ, მამაშენს თავი მოჰკვეთონო.

ლერწამამ უპასუხა:

_ მსურს, შენი სიყვარული გამოვცადო. მინდა გავიგო, გულადი ხარ თუ არა. ამიტომ ჩინეთიდან ოქროს ჩიტი ჩამომიყვანე. ის ჩიტი ნეკის ფრჩხილის ტოლია, მაგრამ თითო ფრთაზე ათი ათასი ბუმბული აქვს. მხოლოდ იცოდე, ოქროს ჩიტს მძვინვარე ზღვის დრაკონი იცავს; თუ გიყვარვარ, ქორწილისთვის ის ჩიტი ჩამომიყვანეო.

_ ჩამოგიყვანო, _ შეჰპირდა მიუსი და წავიდა.

დილით მმართველი ხომალდში ჩაჯდა და ჩინეთისაკენ გასწია. ზღვა მშვიდი იყო. მიუსიმ ორ დღეს იცურა წყნარ ზღვაზე, მესამე დღეს კი ტრაბახით თქვა:

_ არასოდეს არავისი შემშინებია და არც ზღვის დრაკონისა შემეშინდება. ვიპოვი, თავს მოვკვეთავ და ოქროს ჩიტს შინ წამოვიყვანო.

ამის თქმა იყო და, ამოვარდა ქარი, საზარელმა ტალღებმა ხომალდი პირდაპირ კლდისკენ გააქანეს.

მიუსი მიხვდა, რომ ტრაბახი ზღვის დრაკონმა გაიგონა. აბა თუ გაიგონაო, შიშისაგან აკანკალდა და აბღავლდა:

_ მაპატიე, მბრძანებელო! სისულელე მომივიდა! სად შემიძლია შენთან ბრძოლა! ოღონდ ნუ მომკლავ და, მთელი სიცოცხლე შენი სიკეთის მადიდებელი ვიქნები. ლერწამაზე კი სულაც აღარ ვიფიქრებო.

დრაკონმა გაიგონა მმართველის სიტყვები და შეეცოდა. ცაზე ღრუბლები გაიფანტა. ტალღები დამშვიდდა. ქარმა კი ხომალდი მოპირდაპირე მხარეს წაიყვანა. ღამით ხომალდი რომელიღაც ნაპირს მიადგა.

მიუსი ხმელეთზე გადმოვიდა და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა. ამ დროს მთებიდან მთვარე ამოიწვერა და მმართველმა დაინახა, რომ ქარს მისი ხომალდი სწორედ იმ სოფელთან მიეყვანა, სადაც ტაკეტორი და ლერწამა ცხოვრობდნენ.

მიუსის უცებ გაახსენდა ჩიტი. რა უნდა ეთქვა საცოლისთვის? როგორ გაემხილა, რომ ძლიერი ქარისა შეეშინდა და უარი თქვა მის სიყვარულზე? ლერწამა ასეთ მშიშარას ცოლად არ გაჰყვებოდა.

უცებ მმართველს შორიდან უროს ხმა შემოესმა.

_ მჭედელიაო, _ მიხვდა მიუსი. _ მზე ჯერ არ ამოსულა და ის კი უკვე საქმეს შესდგომია.

მმართველი მჭედლისაკენ გაეშურა.

_ შუადღისთვის ნეკის ფრჩხილის ტოლა ოქროს ჩიტი დამიმზადე, - უბრძანა მჭედელს, _ მხოლოდ გახსოვდეს: თითო ფრთაზე ათი ათასი ბუმბული უნდა ჰქონდეს. თუ გააკეთებ, აბრეშუმის ქოლგას და ახალ სანდლებს გაჩუქებო.

მჭედელი დათანხმდა და შეუდგა მუშაობას.

შუადღისას მმართველი მჭედელთან მივიდა. ოქროს ჩიტი უკვე მზად იყო. ნეკის ფრჩხილის ტოლა ჩიტს თითო ფრთაზე ათი ათასი ბუმბული ესხა. ჩიტი ცოცხალივით იჯდა მჭედლის ხელისგულზე, კაცს ეგონებოდა, სადაცაა გაფრინდებაო.

მიუსიმ ხელი დასტაცა საოცარ ჩიტს და ტაკეტორის ქოხისაკენ მოკურცხლა. მიირბინა, საჩუქარი ლერწამას ფეხთით დაუდო და უთხრა:

_ შენი ბრძანება შევასრულე, ახლა მინდა, ქორწილი დღესვე გადავიხადოთო.

ტაკეტორიმ შვილს უთხრა:

_ პატივცემულმა მმართველმა შეასრულა თავისი პირობა, ახლა შენ უნდა შეასრულოო.

_ მე ჩემს პირობას არ დავარღვევ, _ თქვა ლერწამამ, _ მხოლოდ მინდა გავიგო, გულადმა მმართველმა ზღვის დრაკონს ოქროს ჩიტი როგორ გამოსტაცაო.

მმართველი უსინდისოდ მოჰყვა ტყუილებს:

_ ათ დღეს ატარა ქარმა ჩემი ხომალდი. მეთერთმეტე დღეს ნაპირზე დავინახე ათთავიანი დრაკონი. დავიწყეთ ბრძოლა, ცხრა თავი მოვკვეთე და ის იყო მეათე თავიც უნდა მომეკვეთა, რომ მშიშარა დრაკონი შემევედრა: წაიღე ოქროს ჩიტი, ოღონდ სიცოცხლეს ნუ გამომასალმებო! შემეცოდა და ცოცხალი დავტოვე. ოქროს ჩიტი კი შინ წამოვიღეო.

ლერწამამ მოუსმინა და გულდაწყვეტილმა ამოიოხრა. უცებ ქოხისაკენ მომავალი მჭედელი დაინახა.

_ უნამუსო მმართველო! _ დაიყვირა მჭედელმა. _ ყველაფერი გავაკეთე, რაც მთხოვე; ნეკის ფრჩხილის ტოლა ოქროს ჩიტი გამოვჭედე და თითო ფრთაზე ათი ათასი ბუმბული გამოვასხი. შენ კი გასამრჯელო არაფერი მომეცი. ეს ჩიტი შენი კი არაა, ჩემიაო!

თქვა ეს და ოქროს ჩიტი ლერწამას გაუწოდა.

_ შენთვის მიჩუქებიაო!

ლერწამა მივიდა მჭედელთან, გვერდში ამოუდგა და მკაცრად უთხრა მმართველს:

_ მე არასოდეს არ გავხდები მატყუარას ცოლი! გაეთრიე აქედანო!

შერცხვენილი მიუსი სწრაფად მიეფარა თვალს.

ლერწამამ სიხარულისაგან გაიცინა და მჭედელს უთხრა:

_ ყველა დიდებული მმართველი მატყუარა და მშიშარა გამოდგა. მხოლოდ შენ გააკეთე ის, რაც მე მსურდა. ახლა დანიშნოს მამამ ქორწილის დღე, ცოლად შენ უნდა გამოგყვეო.

როგორც კი ეს თქვა, მზე მაშინვე ჩაქრა და შავ ცაზე უშველებელი წითელი მთვარე ამოგორდა.

თავზარდაცემული ლერწამა ატირდა.

_ მე ვიცი, ამ შუადღისას რატომ ჩაქრა მზე და შავ ცაზე მთვარე რატომ ამოვიდა! მთვარის მეფე განმირისხდა, რადგანაც დედამიწაზე შევიყვარე ადამიანი. ახლა მთვარეზე წამიყვანსო.

_ არ დავანებებ შენს თავს მთვარის მეფეს! _ დაიყვირა მჭედელმა და ურო მოიქნია. _ დღე და ღამე შენს ქოხს ვუდარაჯებო!

ლერწამამ არაფერი უპასუხა. დამწუხრებულმა მხოლოდ თავი გააქნია და მამა-შვილი ქოხში შევიდა.

დარჩა მჭედელი ქოხის საყარაულოდ. მაგრამ მთვარის ყოვლისმძლე მეფემ თავისი სხივები მჭედელს თვალებზე მოუთათუნა და ჩააძინა. შუაღამისას მთვარის მბრძანებელმა ლერწამასთან თავისი მსახურები გაგზავნა. მთვარის მეფის მსახურები ღრუბლებით დაეშვნენ ქოხის წინ, ქოხის კარი გაიღო და ტაკეტორისთან შევიდნენ.

_ უჩემოდ დაბრუნდით მთვარეზე! მე მჭედელი მიყვარს და ვერ დავშორდებიო, _ უთხრა ლერწამამ.

მთვარის მეფის მსახურებმა უპასუხეს:

_ მთვარის კეთილმა მეფემ საქორწილო საჩუქარი გამოგიგზავნა, აბა შეხედეო, _ და პატარა ყუთი გახსნეს. შიგ ისეთი ლამაზი კიმონო იდო, იმპერატორის ცოლსაც კი შეშურდებოდა.

გახარებულმა ლერწამამ კიმონო ჩაიცვა.

აბა რა იცოდა, რომ ეს სამოსი მოჯადოებული იყო: ვინც კი ჩაიცვამდა, მაშინვე ავიწყდებოდა თავისი წარსული. მხოლოდ მზის სხივებს შეეძლო მთვარის სამოსელის ჯადოსნური ძალის გაქრობა.

ლერწამამ ჩაიცვა კიმონო, ჩაიცვა და მაშინვე დაავიწყდა თავისი მამაც _ მოხუცი ტაკეტორი, და თავისი საქმროც _ ყველაზე კარგი მჭედელი ამქვეყნად.

მთვარიდან მოსულებმა ლერწამა ღრუბელზე დასვეს და მაღლა ააფრინეს.

მჭედელმა მაშინვე გაიღვიძა და ქოხში შევარდა, მაგრამ ქოხში მხოლოდ ტაკეტორიღა დახვდა, ლერწამა აღარსად ჩანდა.

ტაკეტორიმ უამბო მჭედელს, როგორ მოატყუეს მისი ქალიშვილი მთვარის მეფის მსახურებმა, როგორ დასვეს ღრუბელზე და წაიყვანეს.

მჭედელმა ცას ახედა, სტაცა ხელი უროს, გამოეკიდა ღრუბელს და იქამდე სდია, ვიდრე ღრუბელი მაღალი მთის მწვერვალზე არ შეჩერდა. მჭედელი ავიდა მთაზე და დაიძახა:

_ მე აქა ვარ, ლერწამა, მე დაგიხსნიო!

მაგრამ თქვა თუ არა ეს, ღრუბელი მთას აშორდა და მთვარისაკენ გაცურდა. გამწარებულმა მჭედელმა ურო ისე შემოჰკრა მთას, რომ მწვერვალი შუაზე

გაიპო, ნაპრალიდან ცეცხლის სვეტი ამოვარდა და ღრუბელს შემოეხვია. სიმხურვალისაგან ღრუბელი დადნა, მთვარის მეფის მსახურები ცეცხლში ჩაიფერფლნენ და მხოლოდ ლერწამა დარჩა უვნებელი, რადგანაც მას ჯადოსნური კიმონო იცავდა.

ლერწამა უვნებლად დაეშვა მთის მწვერვალზე. გახარებულმა მჭედელმა დაიყვირა:

_ ჩქარა გავიქცეთ, დავიმალოთ, სანამ მთვარის მეფე დაგვედევნებოდესო!

მაგრამ საცოდავ ლერწამას ხომ მოჯადოებული სამოსი ეცვა; უყურებდა მჭედელს და ვერა სცნობდა.

_ წავიდეთ აქედან, ჩქარა წავიდეთო! _ აჩქარებდა მჭედელი.

მაგრამ ლერწამა მაინც ვერ სცნობდა საქმროს.

_ ვინა ხარ? _ იკითხა გაბრაზებულმა, _ წადი აქედან! მე შენ არ გიცნობო! _ და ხელი ჰკრა მჭედელს.

საცოდავმა მჭედელმა ესღა თქვა:

_ რაღად მინდა სიცოცხლე, თუ აღარ გიყვარვარო!

და მთის ნაპრალში გადაეშვა.

იმავე წუთში ამოვიდა მზე, გაანათა მოჯადოებული სამოსი და მისი ჯადოსნური ძალაც გააქრო.

ლერწამამ მაშინვე გაიხსენა ყველაფერი: როგორ მოიტაცეს მთვარის მეფის მსახურებმა, როგორ გადაარჩინა მჭედელმა, როგორ ჰკრა ხელი მჭედელს და როგორ გადაეშვა ვაჟკაცი მთის ნაპრალში.

ლერწამამ ყველაფერი გაიხსენა და შესძახა:

_ მე სამარადისოდ დავრჩები იმასთან, ვინც მიყვარდაო! _ და მჭედელს ნაპრალში გადაჰყვა.

ათი ათასმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ლერწამა და მჭედელი გაუჩინარდნენ, მაგრამ ხალხს იაპონიაში დღემდე ახსოვს ორივე. ბევრი კი დარწმუნებულია, რომ ლერწამა და მჭედელი კი არ დაღუპულან, მიწისქვეშა სასახლეში ცხოვრობენ, ემალებიან მთვარის მეფის რისხვას და, როდესაც თავიანთ კერიას აჩაღებენ, ნაპრალიდან მთვარისაკენ კვამლი მიემართება ხოლმე.

მას შემდეგ ამ მთას იაპონელები ფუძი-სანს ეძახიან, რაც უკვდავების მთას ნიშნავს.

ცეცხლოვანი ტარო

ძველად, სულ ძველად, ცხოვრობდა ერთი გოგო, სახელად ო-კიკუ ერქვა. ერთხელ გოგონა სეირნობდა თავისი სახლის უკან, მინდორზე. უცებ ხედავს, მის წინ დიდი შავი ორმოა.

_ აქ ორმო არა ყოფილა, ნეტავი საიდან გაჩნდაო?

გაოცდა. ჩაცუცქდა და შიგ ჩაიხედა. სიბნელეში ვერაფერი გაარჩია. სულმა წასძლია და ორმოში ჩავიდა. იმდენი იარა, რომ ბოლოს მიწისქვეშა სამეფოში ამოყო თავი. მიდის და მიდის გრძელ გზაზე ო-კიკუ. გზის პირას ისეთი ლამაზი ყვავილებია ამოსული, იმისთანას მთელ დედამიწაზე ვერ ნახავ.

დიდხანს იარა თუ ცოტა ხანს, ერთ დიდ შავ ჭიშკარს მიადგა. დააკაკუნა: ტუკ, ტუკ, ტუკ. ცოტა ხანში ლამაზი ჭაბუკი გამოვიდა. სახე ისე გაჰფითრებოდა, თითქოს ძარღვებში წვეთი სისხლი არ უდგასო. ჭაბუკმა გოგონა შინ შეიპატიჟა.

_ მე ცეცხლოვანი ტარო მქვია. მამაჩემი ამ ცეცხლის სამეფოს მფლობელი იყო. ის მოკვდა და ახლა ეშმაკები აღარ მასვენებენ. ერთ უბედურებაში ვარ. არ ვიცი, ამ გაჭირვებიდან ვინ დამიხსნისო.

გოგონას შეებრალა ცეცხლოვანი ტარო და მასთან დარჩა.

მეორე დილით ჭაბუკმა წასვლა დააპირა.

_ არ მითვალთვალო, საით წავალ. ამ ოთახში მელოდე, აქედან ფეხი არ მოიცვალოო, _ უთხრა ო-კიკუს და მეორე ოთახში გავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ ო-კიკუს განაპირა ოთახებიდან ხმაური, ქოთქოთი, გნიასი, რკინის ჯახაჯუხი შემოესმა. ვერ მოითმინა გოგონამ, ოდნავ გამოაღო კარი და რას ხედავს: მახინჯ ეშმაკებს ჭაბუკი გაუშიშვლებიათ, რკინის ცხაურზე დაუწვენიათ და ქვემოდან ცეცხლი შეუნთიათ.

საბრალო ჭაბუკი სიმწრისაგან იკლაკნებოდა, ღმუოდა. გონება რომ დაკარგა და სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა, ეშმაკების წინამძღოლმა ბრძანა:

_ დღეს ეყოფაო.

ეშმაკებმა ჭაბუკი ცეცხლიდან გადმოიყვანეს. ო-კიკუ შიშისგან კინაღამ გაგიჟდა. კარი ჩუმად მიხურა და ისევ ოთახში შევიდა.

მეორე დღეს ჭაბუკმა ო-კიკუს უთხრა:

_ მე ისევ უნდა წავიდე ჩვენი სასახლის ერთ-ერთ განაპირა დარბაზში. შენ ალბათ მოწყენილი ხარ მარტოკა. ბაღში გაისეირნე და დატკბი მისი მშვენიერებით. აჰა, ცამეტი საკუჭნაოს ცამეტი გასაღები. თორმეტი საკუჭნაო გააღე, მეცამეტეს ხელი არ ახლო. განსვენებულმა მამაჩემმა აგვიკრძალა გაღება. კარგად დაიმახსოვრე, რაც გითხარი. არც მე ვყოფილვარ იმ საკუჭნაოში. არამც და არამც არ გააღო, _ გააფრთხილა გოგონა, მისცა ცამეტი შავი გასაღები და წავიდა.

გულჯავრიანი გავიდა ო-კიკუ ბაღში. დაინახა, ერთიმეორის გვერდით ქვის ცამეტი საკუჭნაო დგას.

გოგონას ძალიან უნდოდა ენახა, რა იყო შიგ შენახული. ჯერ პირველი საკუჭნაო გააღო. გააღო და გოგონას ამქვეყნად ყველაფერი დაავიწყდა: საკუჭნაოში საახალწლო ზეიმი იყო გამართული[1]. კაცუნები საზეიმო სამოსელში გამოწყობილიყვნენ და ჭრელაჭრელა სათამაშოებით რთავდნენ საახალწლო ნაძვის ხეს, ცეროდენა გოგონებს ხასხასა ფერის კაბები ეცვათ და კისკისით ათამაშებდნენ ბუმბულიან ბურთებს.

მეორე საკუჭნაოში თებერვალი იდგა. ქლიავის ხე ყვაოდა, პაწაწინა ბიჭუნები ქაღალდის ფრანს უშვებდნენ.

რა იყო მესამე საკუჭნაოში? იქ ატმების აყვავებას დღესასწაულობდნენ[1]. ცეროდენა გოგონები ლამაზად მორთულ პატარა თოჯინებს ესიყვარულებოდნენ.

მეოთხე საკუჭნაოში აპრილის მზე ბდღვრიალებდა. ჭაღაროსან ჯუჯა კაცებს შვილიშვილები ტაძარში მიჰყავდათ ბუდას დღესასწაულზე[2].

მეხუთე საკუჭნაოში მაისის თბილი დღე იდგა. მოკრიალებულ ლურჯ ცაზე ჭრელ-ჭრელი ჭანარები[3]ცოცხლებივით დაცურავდნენ. ცეროდენა ბიჭუნები აყვავებული ზამბახებით რთავდნენ ქოხების სახურავს და მღეროდნენ. სადარბაზო ოთახში კი ლამაზად გამწკრივებულიყვნენ თოჯინა-მეომრები.

მეექვსე საკუჭნაოში მზე უფრო მცხუნვარედ ანათებდა. იქვე ანკარა მდინარესთან ჯუჯა ქალები გულმოდგინედ რეცხავდნენ სარეცხს, მდინარის გაღმა მწვანედ მობიბინე ბრინჯის მინდვრებზე გლეხები იღებდნენ ბრინჯს. ყველა ისეთი პატარა იყო, თავისუფლად დაისვამდი ხელისგულზე.

ო-კიკუმ გამოაღო მეშვიდე საკუჭნაოს კარი და დაინახა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა. ამ საკუჭნაოში ორი ვარსკვლავის შეხვედრას ზეიმობდნენ[1]. ჯუჯების ბავშვები ლერწმის ხეებს ფერადი ქაღალდებით რთავდნენ. ლერწამს ზედ ეწერა ‘ციური მდინარე».

დიდხანს უყურა ო-კიკუმ ამ ზეიმს და მერე გამოაღო მერვე საკუჭნაოს კარი. მერვეში შემოდგომის სავსე მთვარის დღესასწაული იყო[2]. პატარა კაცუნები გაბრწყინებული თვალებით შეჰყურებდნენ მთვარეს. პატარა მაგიდაზე ელაგა ციცქნა ვაშლები და მსხლები. ვაშლიცა და მსხალიც ველური მარწყვისოდენაც კი არ იქნებოდა.

ციდან კი ბრინჯის მინდვრებს მედიდურად თავს დასცქეროდა ტაბაკისოდენა მთვარე.

ო-კიკუმ მეცხრე საკუჭნაოში შეიხედა. იქ ყველაფერი წითელი და ოქროსფერი იყო. ჯუჯები კომბალს ეყრდნობოდნენ და დინჯად სეირნობდნენ მთებზე. ხან ზევით აუყვებოდნენ დამრეც ფერდობს, ხან ქვევით დაეშვებოდნენ მინდვრებისაკენ და შემოდგომის ნეკერჩხლების ცქერით ტკბებოდნენ.

მოვიდა მეათე საკუჭნაოს რიგიც. იქ უკვე ოქტომბრის თვე იდგა. ჯუჯები ხეზე აცოცებულიყვნენ და ტოტებს არხევდნენ. მიწაზე სეტყვასავით ცვიოდა კარგად შემოსული წაბლი. ბავშვები გაფაციცებით კრეფდნენ და კალათებში ყრიდნენ.

ო-კიკუმ გამოაღო მეთერთმეტე საკუჭნაოს კარი. იქიდან დაუბერა ცივმა ქარმა, გოგონამ შეიხედა და დაინახა, რომ დედამიწა დაფარული იყო პირველი თრთვილით. ფარდულებში ეკიდა ხურმის ჩირი და ბოლოკი. კარგი მოსავლით გახარებული ცეროდენა გლეხები მხიარულად ბეგვავდნენ ბრინჯს.

მეთორმეტე საკუჭნაოში ზამთარი გამეფებულიყო. საითაც უნდა გაგეხედა, თოვლის ზვინები იდგა. ბავშვები ჟრიამულით დარბოდნენ, გუნდაობდნენ და თოვლის პაპას აკეთებდნენ.

აი, მეცამეტე საკუჭნაოც. ცეცხლოვანმა ტარომ აუკრძალა ამ საკუჭნაოში შესვლა. გოგონას კი სულითა და გულით უნდა, რომ შევიდეს. გავაღო კარი თუ არ გავაღოო, _ ფიქრობდა ო-კიკუ და ნელ-ნელა უახლოვდებოდა კარს, თითქოს რაღაცა იზიდავდა იმ კარისაკენ.

მალე გასაღებიც მოარგო, სცადა გადაეწია, მაგრამ საკეტი ჩაჟანგებულიყო. დიდხანს ეწვალა, ბოლოს, როგორც იქნა, გააღო კარი. ეს საკუჭნაო დანარჩენ საკუჭნაოებს არა ჰგავდა. იქ არ იყვნენ არც ᲧᲣᲧᲐ კაცუნები და არც საზეიმო სანახაობა მოსჭრიდა კაცს თვალს.

იქაურობა მდიდრულად იყო მორთული. ო-კიკუმ მიმოიხედა და დაინახა, თაროზე დევს შავი პრიალა კოლოფი. გოგონას სულმა წასძლია, აიღო კოლოფი, სახურავი ახადა და ჩაიხედა. შიგ იდო ორი წითელი ბურთი. შუშისას ჰგავდა, მაგრამ რბილი იყო.

_ ნეტავ რა არისო, _ გაუკვირდა გოგონას, დაავლო კოლოფს ხელი და მოკურცხლა.

მზე კარგა მაღლა ასულიყო. გოგონას მოსწყინდა. დაინახა, იქვე ბაღში ნაკადული მოჩუხჩუხებდა. ჩაიჩოქა და პეშვით წყალი ამოიღო. კრიალა ნაკადულში ნაპირზე ჩარიგებული ხეები ჩანდა. გოგონამ დაინახა, რომ ერთ ხეზე ჭრელი რაღაცა მოძრაობდა. აიხედა და რასა ხედავს: უზარმაზარი გველი შემოხვევია ხეს და გოგონას უყურებს ანთებული თვალებით. შიშისაგან თავ-ზარდაცემული გოგონა გადაახტა ნაკადულს და მოქუსლა. სირბილში ვერც კი შეამჩნია, როგორ გაიხსნა კოლოფი, გადმოვარდა ერთი ბურთი და წყალში ჩაგორდა.

გულგახეთქილი შევარდა ოთახში. წინ ცეცხლოვანი ტარო შეეფეთა.

გოგონამ უამბო, რა სასწაულები ნახა თორმეტ საკუჭნაოში, მეცამეტე საკუჭნაოზე კი კრინტიც არ დაუძრავს.

უგდებდა ყურს ჭაბუკი და ეღიმებოდა. უეცრად ბრაგაბრუგი და ღრიანცელი გაისმა და ოთახში ეშმაკები შემოცვივდნენ. ო-კიკუ შიშისაგან აცახცახდა, ხოლო ეშმაკებმა თაყვანი სცეს და უთხრეს:

_ საღამო მშვიდობისა! თქვენი წყალობით, ჩვენი წინამძღოლის დაკარგული თვალი ვიპოვეთ. ჩვენმა სარდალმა გვიბრძანა, ორივენი აქ მომგვარეთო.

ეშმაკებმა ო-კიკუ და ცეცხლოვანი ტარო თავიანთ სარდალს მიჰგვარეს. მას ერთი თვალი ჰქონდა შუბლზე და წითლად ანათებდა. მეორე თვალის ადგილზე ცარიელი ორმო უჩანდა.

_ დიდი მადლობა მომიხსენებიაო! _ თავი დახარა სარდალმა. _ რამდენიმე ათეული წლის წინათ, ჭაბუკო, მამაშენი ჩემზე განრისხდა და ორივე თვალი ამომთხარა. იმის მერე უსინათლოდ დავდივარ. აი, სწორედ ამისათვის გაწამებდი, მაგრამ ახლა გახარებული ვარ, რაკი ჩემი დაკარგული თვალი ვიპოვეო.

უგდებს ყურს ცეცხლოვანი ტარო და ვერაფერი გაუგია. მერე გოგონას ჰკითხა:

_ ხომ არაფერს მიმალავო?

_ ჰო, მე დავარღვიე პირობა და გავაღე მეცამეტე საკუჭნაო. იქ შავი კოლოფი ვნახე. შიგ ორი წითელი ბურთი იდო. მე რა ვიცოდი, თუ ეშმაკის თვალები იყო, ავიღე და გამოვედი გარეთ. წყალთან უზარმაზარი გველი დავინახე, შემეშინდა და, რომ მოვრბოდი, ერთი ბურთი ისე ამომივარდა, ვერაფერი გავიგეო.

სარდალს გაუხარდა.

_ აი, სწორედ ეგ არის ჩემი თვალი. გემუდარები, მეორეც დამიბრუნეო, _ ყვიროდა გახარებული ეშმაკი.

ამოიღო გოგონამ კოლოფიდან მეორე თვალიც და მისცა ეშმაკების სარდალს. ეშმაკმა მაშინვე ჩაიდგა თვალი. ახლა უკვე ორი თვალი ანათებდა წითლად.

გახარებულმა ეშმაკმა უამრავი თვალ-მარგალიტით დაასაჩუქრა ო-კიკუ და ცეცხლოვანი ტარო.

ქალ-ვაჟმა ჯვარი დაიწერა და დიდი ქორწილიც გადაიხადა. ცხოვრობდნენ ბედნიერად და მხიარულად. ყოველდღე ტკბებოდნენ წელიწადის დროების ხილვით.

ვუსურვოთ, დიდხანს იბედნიერონ და იმხიარულონ.

<u>ტ ე ნ გ უ ს მ ა რ ა ო</u>

გაზაფხულის თბილი დღე იყო. ხეისაკუ მთაში წავიდა თივის მოსათიბად.

მზე ისე სასიამოვნოდ აცხუნებდა, ზარმაცმა ხეისაკუმ იფიქრა, მოდი, ცოტას დავისვენებ და მზეს ზურგს მივუფიცხებო. კუნძზე ჩამოჯდა, მოწმენდილ ლურჯ ცას ახედა და ბეღურების ჟღურტულს მიუგდო ყური. ჩიტების ჟღურ-ტულში საქმე სულ გადაავიწყდა. კუნძზე ჯდომით რომ დაიღალა, ჯიბიდან კამათლები ამოიღო და შეისროლა. კამათლები ბრტყელ, დიდ ქვას ეცემოდა. ხეისაკუ კამათლებს ჰაერში ისროდა და ბუტბუტებდა:

_ კამათლებო, კამათლებო,

მოდით,

თეთრო კამათლებო.

უცებ მაღალი ფიჭვიდან ვიღაცამ წვრილი ხმით ჩამოსძახა:

_ ხეისაკუ, რას აკეთებო?

ხეისაკუს შეეშინდა, აიხედა და ტოტზე ჩამომჯდარი ცხვირა ეშმაკი ტენგუ დაინახა. ნამდვილი ტენგუ იყო, როგორსაც სურათებში ხატავენ. გრძელი ცხვირი მაღლა აეშვირა და ხელში მარაო ეჭირა.

ხეისაკუმ დაუჩოქა, აკანკალდა და ცრემლები გადმოღვარა:

_ ტენგუ, შემიბრალე, ნუ მომკლავო!

_ ნუ გეშინია, _ მიუალერსა ტენგუმ. _ შენი მოკვლა არც მიფიქრია. მე ის მინდა გავიგო, ეგ რა არი, რას ათამაშებ, ან რას ბუტბუტებ და ხელში რა გიჭირავსო.

_ ესა? ეს სათამაშო კამათლებია. ნახე, ასე თუ დაეცემა, ერთსა ვარ, თუ ასე _ ორსა ვარ. სამსაც შეიძლება ვიყო, ოთხსაც და ექვსაც. კამათლების თამაშში კაცმა შეიძლება კარგი ფული მოიგოსო.

ტენგუმ ვერაფერი გაიგო, მაგრამ გულში იფიქრა, კარგი რამ ყოფილაო, და კამათლების ხელში ჩაგდება მოუნდა.

_ ხეისაკუ, მოდი, ეგ შენი კამათლები მომეციო.

ხეისაკუ უარზე დადგა.

_ კამათლები როგორ მოგცე, გინდა თავი წაგიჭრია ჩემთვის და გინდა ეს კამათლები წაგიღიაო.

ცხვირა ტენგუს უფრო მეტად მოუნდა კამათლების ხელში ჩაგდება.

_ ისე ხომ არა გთხოვ, ერთ კარგ რაღაცას გაჩუქებო, _ ხმა უფრო დაიწვრილა ეშმაკმა.

_ რას მაჩუქებო?

_ აი, ამასო, _ ტენგუმ თავისი მარაო გაუწოდა.

_ მაგას მაჩუქებ? მაგ დაგლეჯილ მარაოს რა თავში ვიხლიო!

_ თავში იხლი? მაშ, შენ არა გცოდნია, რა არის ტენგუს მარაო! აი ახლავე ყველაფერს გეტყვი: თუ დახატული მხრიდან მარაოს თითს სამჯერ მოარტყამ და ეტყვი: ცხვირო, გაიზარდე, ცხვირო, გაიზარდე, ცხვირო, გაიზარდეო, შენი ცხვირი იქნება, თუ სხვისი, როგორც შენ მოგეპრიანება, ისე გაიზრდება და მაღლა-მაღლა წავა. თუ მოინდომებ, ცხვირი ძალიან მაღლა წავიდეს, უფრო მაგრად მოარტყამ თითს მარაოზე. თუ გინდა, ნელა გაიზარდოს, ნელა დაჰკრავ თითს მარაოს. თუ ცხვირის დაპატარავებას მოინდომებ, ესეც შეიძლება: მხოლოდ მაშინ მეორე მხრიდან დაარტყი თითი და თქვი: ცხვირო, დამოკლდი, ცხვირო, დამოკლდი, ცხვირო, დამოკლდი-თქო და ცხვირიც ნელ-ნელა დაპატარავდება. ხომ ხედავ, რა მშვენიერი რამ ყოფილა ტენგუს მარაო! თქვი, გჯერა თუ არა, რასაც გეუბნები? თუ არა გჯერა, მაგ პაჭუა ცხვირს ახლავე ისე დაგიგრძელებ, შუბლზე რქასავით წამოგაჯდებაო.

ხეისაკუს შეეშინდა და ცხვირზე ხელი მიიფარა.

_ მჯერა, მჯერა! ღმერთი არ გაგიწყრეს, თავი დამანებე! ეგეთი ცხვირით ქვეყანაზე როგორ გამოვჩნდეო.

_ მაშ, თუ ეგრეა, გავცვალოთ. აჰა, ჩემი მარაო, შენ კი შენი კამათლები მომეციო.

_ ეგრე იყოსო, _ მიუგო ხეისაკუმ. თუმცა სიხარულისაგან ცას ეწეოდა, მაგრამ თავი ისე მოაჩვენა, ყველაფერს შენი შიშით ვაკეთებო.

ხეისაკუმ მისცა დაძველებული, დამსკდარი კამათლები, სამაგიეროდ ჯადოსნური მარაო გამოართვა და გახარებულმა გასწია შინისაკენ.

მცონარა ხეისაკუ შინისაკენ მიდიოდა და ფიქრობდა: მარაოს ჯადოსნური ძალა ვისზე გამოვცადოო?

უცებ დაინახა, რომ ოთხ მსახურს აბრეშუმით მოფარდაგებული ლერწმის ტახტრევნით მზეთუნახავი მოჰყავდა, გარშემო მოახლეებისა და მსახურების მთელი ჯარი ეხვია.

მზეთუნახავი ამ მხარეში ყველაზე შეძლებული თავადის ასული იყო.

მოდი ერთი, ამ მზეთუნახავს ცხვირს რქასავით წამოვასკუპებ, რა სეირი იქნებაო! _ გაიფიქრა ხეისაკუმ.

მივიდა, მსახურებში შეერია, ტახტრევანისაკენ გაძვრა, მარაოს მოხატული მხრიდან ოდნავ დაჰკრა თითი და სამჯერ თქვა:

_ ცხვირო, გაიზარდე, ცხვირო, გაიზარდე, ცხვირო, გაიზარდეო!

მზეთუნახავის ცხვირი ნელ-ნელა წავიდა მაღლა-მაღლა. ჯერ ერთ გოჯამდე გაიზარდა, მალე ორ გოჯამდე მიაღწია, ბოლოს სამი გოჯი გახდა.

ხეისაკუს ისე შეეშინდა, რომ შინისაკენ მოუსვა.

ორ-სამ დღეში ხმა დაირხა, თავადის ასულს უცნაური სენი შეეყარა: ცხვირი ისე გაეზარდა, ეშმაკ ტენგუს დაემსგავსაო. არც მკურნალის წამალი, არც მისნის ლოცვა, არც ექიმბაშის შელოცვა არა შველის. საცოდავი მზეთუნახავი კოშკშია ჩაკეტილი, სახეზე სახელო აქვს აფარებული და მთელ დღეს ცრემლსა ღვრის. დედ-მამას, ხომ, ნუ იკითხავთ, დარდისაგან თავგზაარეულები არიანო.

ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ციხე-კოშკის გალავანზე დააწერეს:

‘ვინც მზეთუნახავს მოარჩენს, ცოლად იმას მივცემთო».

უქნარა ხეისაკუმ ეს რომ წაიკითხა, შინ გაიქცა, ხელი დაავლო თავის ჯადოსნურ მარაოს და კოშკისაკენ გაეშურა.

_ მე მოვარჩენო! _ თქვა ხეისაკუმ, კოშკში რომ შეუშვეს.

მსახურებმა მზეთუნახავთან შეიყვანეს. ხეისაკუმ დაბლა დაუკრა თავი მზეთუნახავს, მერე წაღმა მხრიდან დაჰკრა თითი მარაოს და სამჯერ წაიბუტბუტა:

_ ცხვირო, დამოკლდი, ცხვირო, დამოკლდი, ცხვირო, დამოკლდიო!

მზეთუნახავს ცხვირი ნელ-ნელა, თითო გოჯით დაუმოკლდა. ბოლოს ისევ ლამაზი ცხვირი დარჩა.

მზეთუნახავი კი უფრო დამშვენდა.

მეტი რა გზა იყო, მზეთუნახავი ცოლად გაჰყვა ხეისაკუს.

ტენგუს ამ ჯადოსნური მარაოს წყალობით ზარმაცი ხეისაკუ მთელ სოფელში ყველაზე მდიდარი კაცი გახდა. ახლა უკვე შეეძლო, შემწვარი თევზითა და თეთრი ბრინჯით გამძღარიყო. ან დილიდან საღამომდე ლოგინში ეგორავა, ან არადა, გორებზე ესეირნა. ერთი სიტყვით, შეეძლო, სულ უსაქმურად ყოფილიყო. ჰოდა, იყო კიდეც.

ერთ დღეს იმდენს ჭამდა, რომ გულზე შემოაწვებოდა ხოლმე, მეორე დღეს სულ ეძინა, მესამე დღეს თავისი მამულის მინდვრებს ტკეპნიდა, მერე ისევ ყველაფერს თავიდან იწყებდა.

მაგრამ ესეც მალე მობეზრდა, უსაქმურად ყოფნაც ძალიან მოსაწყენი ეჩვენა.

ერთხელ ხეისაკუ ბაღში იყო წამოგორებული და უსაქმურობისაგან ამთქნარებდა. თავის შესაქცევად ქამარში გარჭობილი მარაო ამოიღო,

გადაატრიალ-გადმოატრიალა და გაიფიქრა: ნეტავ ჩემი ცხვირი რამოდენა გაიზრდებაო! ამან გაამხიარულა, წამოჯდა, თითი დაარტყა მარაოს და სამჯერ თქვა:

_ ცხვირო, გაიზარდე! ცხვირო, გაიზარდე! ცხვირო, გაიზარდეო!

ხეისაკუს ცხვირი მაშინვე აეწია და ნელ-ნელა ერთი გოჯით გაიზარდა, მერე ორი გოჯი გახდა, მერე სამი, ხეისაკუმ ისევ დაარტყა თითი მარაოს, ახლა ცხვირი ექვსი გოჯი გაუხდა, მალე სახლსა და ყველაზე მაღალი ალვის ხის კენწეროს ასცდა. მერე კიდევ უფრო გაიწელა, გაიწელა, ისე რომ ხეისაკუ თავისი ცხვირის ბოლოს ვეღარა ხედავდა. ამან ისე გაამხიარულა, რომ ისევ შემოჰკრა თითი მარაოს. ცხვირი გაიწელა, ღრუბლებს ასცდა, ცას მიატანა და გახვრიტა.

სწორედ ამ დროს ცაზე ჭექა-ქუხილი ბრძანდებოდა. უცებ ხედავს: ცა რაღაცამ გახვრიტა და ზევით-ზევით მოიწევს. ჭექა-ქუხილს გაუკვირდა.

_ თუ სტაფილოა, სტაფილო ცაზე არ იზრდება და ისიც თავდაყირაო, _ და სტაფილოს წვერში სტაცა ხელი.

_ ვაიმე! _ შეჰყვირა ხეისაკუმ.

თუმცა იმისი ცხვირი შორს გაიწელა, მაგრამ ცხვირის წვერი ხომ იმისი ცხვირისა იყო, ამიტომ საცოდავ ხეისაკუს ემწვავა. ხელად გადააბრუნა მარაო, დაარტყა თითი და ჩქარა-ჩქარა დააყარა:

_ ცხვირო, დამოკლდი! ცხვირო, დამოკლდი! ცხვირო, დამოკლდიო!

ცხვირი მართლაც დამოკლდა, ორი-სამი გოჯი მოაკლდა. ქუხილს მაინც მაგრად ეჭირა ხელში. მოგეხსენებათ, ხეისაკუზე ღონიერი იყო, ამიტომ ცხვირი რომ ნელ-ნელა პატარავდებოდა და პატარავდებოდა, ცხვირის წვერი ისევ ქუხილს ეჭირა ხელში და ცაზე იყო, ხეისაკუ კი ცისკენ წავიდა. ჯერ ფეხზე ადგა, მერე ფეხის წვერებზე აიწია, მერე მიწას მოსცილდა. ცხვირი ნელ-ნელა მოკლდებოდა და ხეისაკუც ნელ-ნელა ზევით მიიწევდა. ჯერ სახლს ასცდა, მერე ალვის ხის კენწეროს, მერე ღრუბლებს ასცილდა და ცას მიეკრო, მაგრამ ნაჩვრეტში ვერ გაეტია და თავის ცხვირზე ჩამოკიდებული დარჩა.

ასე ჰკიდია ხეისაკუ დღესაც.

<u>მფრინავი ეტლისა და ჯადოსნური ნემსის ზღაპარი</u>

დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა ერთი მდიდარი კაცი. ამ კაცს ჩვეულება ჰქონდა: ახალი წლის პირველ დღეს მსახურებს მოუყრიდა თავს, დასხამდა კერასთან და თავისი ხელით უმასპინძლდებოდა. მიჰქონდა საჭმელი და უს-ხამდა ღვინოს.

ერთ ახალი წლის დღეს მსახურები მხიარულად ატარებდნენ დროს. ბატონმა უთხრა:

_ იცოდეთ, ამ ღამის სიზმარი მისნურია. კარგად დაიმახსოვრეთ, რა სიზმარს ნახავთ, ხვალ კი მე მიამბეთ, თითო სიზმარში თითო ვერცხლის ფულს გაჩუქებთო.

მეორე დილით მსახურებს ჰკითხა:

_ აბა, რომელმა ნახა კარგი სიზმარი? რიგრიგობით მომიყევითო.

სუფრის თავში წამომჯდარი უფროსი მსახური შეკრთა და დაბნეულმა უპასუხა:

_ მაპატიე, ჩემო ბატონო, მაგრამ დილამდე ისე მკვდარივით მეძინა, სიზმარი სულაც არ მინახავსო.

მეორემაც პირველს მიჰბაძა და უთხრა:

_ მე კი, საღამოთი რომ დავხუჭე თვალი, გავახილე და რას ვხედავ, უკვე დილაა. ღამე ისე გამეპარა, ვერც კი გავიგეო.

დანარჩენმა მსახურებმაც დააჯერეს ბატონი, სიზმარი არ გვინახავსო.

_ მე კი უცნაური სიზმარი ვნახეო! _ თქვა სულ უმცროსმა თხუთმეტ-თექვსმეტი წლის მსახურმა.

_ ერთი ამას უყურე? მართალს ამბობ? თუ აგრეა, მომყიდე, აჰა, ვერცხლი, აიღეო.

_ არა, არ შემიძლია გავყიდო ჩემი ბედნიერი სიზმარი. ერთიც ვნახოთ და არ ახდესო!

_ მაშ, ორ ვერცხლს მოგცემო.

მაგრამ ყმაწვილმა თავი გაიქნია.

_ სამადაც არ გინდაო?

_ არა, არც სამად მოგყიდიო.

_ რა ჯანჯალი ვინმე ყოფილხარ, აჰა, ოთხი იყოსო!

სიზმრის გაგების სურვილმა ისე გაიტაცა მდიდარი ბატონი, ნელ-ნელა ფასს უმატებდა და უმატებდა, მაგრამ ახალგაზრდა მსახური მაინც ვერ დაიყოლია. მოთმინებიდან გამოსულმა მდიდარმა ახლა ოცი ოქრო შეაძლია, მაგრამ ყმაწვილი არც ამაზე დათანხმდა.

განრისხდა ბატონი, ჩასვა უნიჩბო-უიალქნო ნავში და ზღვის ტალღებს გაატანა ურჩი მსახური. შიმშილით რომ არ მომკვდარიყო, ნავში ორიოდე ბრინჯის კვერი ჩაუგდო.

დიდხანს ათამაშეს ზღვის ტალღებმა ნავი და ბოლოს ერთ მიუვალ კუნძულს მიაყენეს. მსახური გადმოვიდა ნაპირზე და მიიხედ-მოიხედა: ადამიანის ჭაჭანება არ იყო. კუნძულზე მხოლოდ მაიმუნები ცხოვრობდნენ. ჭაბუკი რომ დაინახეს, ერთბაშად აყაყანდნენ:

_ ადამიანი! შეხედეთ, ადამიანი! დაიჭირეთ, არ გაუშვათ, ვნახოთ ერთი, როგორი გემო აქვსო! _ და ყველანი ბიჭს გამოუდგნენ. შეშინებულმა ჭაბუკმა ჯერ ერთი კვერი გადაუგდო, მერე რამდენიმე კიდევ მიაყოლა.

მაიმუნები ეცნენ კვერს. მსახურმა დრო იხელთა, ჩახტა ნავში და გასწია ისევ ზღვით.

კვლავ გაიტაცეს ნავი ტალღებმა და მალე ისევ მიადგა ერთ კუნძულს. მსახურმა ვერც კი მოასწრო მიწაზე ფეხის დადგმა, რომ უეცრად ტყიდან ურჩხულები გამოცვივდნენ ღრიალით. ესენი იყვნენ სხვადასხვა ჯიშის ეშმაკები: ზოგი წითელი, ზოგი ლურჯი და ზოგიც შავი.

_ ადამიანი! ნახეთ, ადამიანი! დაიჭირეთ, არ გაუშვათ, ამისთანა გემრიელი ლუკმა დიდი ხანია არ გვიგემიაო!

რა ექნა საბრალო ბიჭს, დარჩენილი ბრინჯის კვერი გადაუგდო ეშმაკებს, მაგრამ ეშმაკებმა ზედაც არ დახედეს, დაიჭირეს მსახური და ის იყო ნაკუწ-ნაკუწად უნდა ექციათ, რომ უეცრად გაისმა უფროსი ეშმაკის ხმა:

_ დაიცადეთ, ბიჭებო. მის შეჭმას ყოველთვის მოვასწრებთ, ჯერ ვკითხოთ, ჩვენთან რა ქარმა გადმოაგდოო.

_ ეი! ადამიანთა ნაშიერო, შენი ნებით მოცურდი ჩვენთან, თუ ზღვის ტალღებმა მოგიყვანესო?

_ არა, ჩემი ნებით კი არა, ზღვის ტალღებმა მომიყვანეს. ამას წინათ ჩემს ბატონს საახალწლო სიზმარი არ მივყიდე, ადგა, უნიჩბო-უიალქნო ნავში ჩამსვა და გამომაგდოო.

_ რა სიზმარი ნახე ამისთანა, აბა, ჩქარა ჩვენც გვიამბეო.

_ როგორც ვხედავ, კარგი გაიძვერები ყოფილხართ. მე ჩემს ბატონს ოც ოქროდაც არ მივყიდე ჩემი სიზმარი და თქვენ გინდათ, მუქთად გიამბოთ? არ გიამბობთ, თუგინდ ნაკუწებად მაქციოთო.

წითელმა, ლურჯმა და შავმა ეშმაკებმა ერთმანეთში მოითათბირეს და ბოლოს ჭაბუკს უთხრეს:

_ მოდი, გავცვალოთ: შენ მოგვეცი შენი სიზმარი, ჩვენ კი ჩვენს ჯადოსნურ ეტლს მოგცემთო.

მოკურცხლეს ეშმაკებმა შუაგული ტყისაკენ და მოაგორეს ბრწყინვალე ჯადოსნური ეტლი.

_ აი, ნახე, მფრინავი ეტლია, ერთხელ რომ დაჭკრა რკინის კეტი, მაშინვე ცაში აიჭრება და ოთხი ათას კილომეტრზე გაფრინდება, ორჯერ თუ დაჭკრავ, ორმოცი ათას კილომეტრზე გაფრინდებაო.

მსახურმა ეტლს გადახედა, გაიბღინძა და ისეთი სახე მიიღო, ვითომ ფიქრობდა, წაგებული ხომ არ დავრჩებიო.

ეშმაკებმა ისევ ბევრი ითათბირეს, იყაყანეს და ორი გრძელი ნემსიც მოუტანეს.

_ ადამიანო, უყურე, ეს სიკვდილის ნემსია. ვისაც ნემსს უჩხვლეტ, როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს, მაშინვე მოკვდება. მეორე კი უკვდავების ნემსია: მომაკვდავს რომ უჩხვლიტო, მაშინვე მორჩება. ეს ორივე ნემსი დიდი საუნჯეა, სიკვდილიც ამ ნემსების ხელშია და სიცოცხლეცო.

_ თუ მართალს მეუბნებით, მეც ავდგები და ჩემს საახალწლო სიზმარს გიამბობთ. ოჰმე, რომ იცოდეთ, რა სასწაული ვნახე. მაგრამ ვიდრე გიამბობთ, მინდა, თქვენი ეტლი გამოვცადო, მართლა ჯადოსნურია თუ არაო.

აიღო ორივე ნემსი, ჩაჯდა ეტლში, შემოჰკრა ერთხელ კეტი და აფრინდა ცაში ჩიტივით.

ეშმაკებმა ღრიალი ატეხეს, მაგრამ ეტლი ცაში გაუჩინარდა. დაიწყეს ტირილი და მოთქმა, სულ წისქვილის დოლაბებისოდენა ცრემლებს აფრქვევდნენ, მაგრამ, აბა, რაღას უშველიდნენ.

ეტლმა ამასობაში გადაუქროლა ზღვებს, მთებს და ბოლოს დაფრინდა ერთ დიდ ბრინჯის მინდორზე.

მსახურმა ახლა ორჯერ შემოჰკრა კეტი. ეტლი ისე მაღლა აფრინდა, რომ ღრუბლებში დაიმალა. იფრინა, იფრინა და ბოლოს ერთ სოფელში ჩამოფრინდა... სოფლის შუაგულში პატარა მდინარე მორაკრაკებდა. მდინარის გაღმა-გამოღმა კრამიტით გადახურული ორი მდიდრული სახლი იდგა. ერთი სახლის გვერდით ჩაიხანა იყო.

შევიდა ახალგაზრდა მსახური ჩაიხანაში და ვერც კი მოასწრო დანაყრება, რომ უეცრად მეორე სახლში აურზაური ატყდა, ხალხი აქოთქოთდა, აწრიალდა, იქაურობა აიკლო კივილითა და ყვირილით.

_ რა მოხდა? რა უბედურებაო? _ შეეკითხა ყმაწვილი ჩაიხანის მეპატრონეს.

_ ოი, ნუ მკითხავთ! ჩვენს მეზობელს მზეთუნახავი ქალი უკვდება, მთელი ქვეყნის ექიმბაშები და ექიმები დაასიეს, მაგრამ ვერ უშველეს! დედ-მამა თავს იკლავსო.

_ საწყლები, როგორ მეცოდებიან. დიასახლისო, წადი და უთხარი თქვენს მეზობლებს, ამ მხარეს ისეთი მკურნალი მოევლინა, ყველა სნეულს არჩენს-თქო. ავადმყოფს მე მოვარჩენო.

ეს ამბავი რომ გაიგეს, მშობლები სიხარულით ცას ეწივნენ. საჩქაროდ მიიყვანეს ახალგაზრდა მსახური მზეთუნახავთან.

ყმაწვილმა უჩხვლიტა თუ არა მომაკვდავს უკვდავების ნემსი, მზეთუნახავს ფერი მოუვიდა და ლოგინიდან წამოხტა, თითქოს ფრჩხილიც არ წამოსტკივებიაო.

გაიხარეს, მაგრამ როგორ გაიხარეს! ბოლოს ჭაბუკმა წასვლა დააპირა, მაგრამ ქალის მშობლები არ უშვებდნენ, შენ ჩვენი მხსნელი ხარო. აღარ იცოდნენ, რითი ეცათ პატივი. უმართავდნენ წვეულებას, ცეკვითა და სიმღერით ართობდნენ. ბოლოს უთხრეს, ჩვენი შვილი ცოლად შეირთეო. ჭაბუკს მზე-თუნახავი მოეწონა და ჯვარი დაიწერა.

ამ დროს მდინარის გაღმა სახლშიც ავად გაუხდათ ერთადერთი შვილი.

მშობლებს მისი გადარჩენის იმედი აღარა ჰქონდათ და დიდი ხმით მოთქვამდნენ. მსახურს ძალიან შეებრალა ავადმყოფის მშობლები, მივიდა გოგონასთან და უკვდავების ნემსი უჩხვლიტა. გოგონა ისე მხიარულად წამოხტა, გეგონებოდათ, მისდღეში ავად არ ყოფილაო.

მშობლებმა აღარ იცოდნენ, რითი გადაეხადათ მადლობა და იმათაც ჭაბუკის პატივსაცემად დიდი ნადიმები გამართეს. ბოლოს იმათაც სთხოვეს, ცოლად შეერთო მათი ერთადერთი ქალიშვილი. ჭაბუკი დაჰყაბულდა და ეს გოგოც ცოლად შეირთო, მაგრამ მერე ფიქრმა წაიღო, რომელ სახლში ვიცხოვროო.

ამასობაში ორივე ოჯახმა მოილაპარაკა, რომ მდინარეზე ოქროს ხიდი გაედოთ. ამის შემდეგ ჭაბუკი ნახევარ თვეს ერთ სახლში ცხოვრობდა, ნახევარ თვეს _ მეორე სახლში.

ახალგაზრდა მკურნალის ამბავი მთელ იაპონიას მოედო. ჭაბუკმა უამრავი ავადმყოფი განკურნა უკვდავების ნემსით, სასიკვდილო ნემსის გამოყენება კი არასოდეს დასჭირვებია, რადგან მტრები არა ჰყავდა.

ერთ დღეს ჭაბუკი ოქროს ხიდზე გადადიოდა, მხარმარცხნივ ერთი მზეთუნახავი ცოლი მიჰყვებოდა, მხარმარჯვნივ _ მეორე. ფეხთით ეგო ოქროს ხალიჩა, ამ ხალიჩის ბზინვა ყველას თვალს სჭრიდა.

ჭაბუკმა გაიფიქრა, ეს ყველაფერი სადღაც ვნახეო, და გაახსენდა, რომ სწორედ ეს ნახა სიზმრად იმ ახალი წლის ღამეს.

<u>იხვებზე მონადირე გომბეი</u>

ჩრდილოეთ იაპონიაში, კუნძულ ხოკაიდოზე, სოფელ ინაგში, ცხოვრობდა ერთი გლეხი, სახელად გომბეი ერქვა. დედ-მამით ობოლი იყო. არც ცოლ-შვილი ჰყავდა, არც სახლ-კარი და მიწა-წყალი ჰქონდა. ცხოვრობდა სოფლის ბოლოს ერთ პატარა ქოხში და თავს გარეულ იხვებზე ნადირობით ირჩენდა.

ყოველდღე მზის ამოსვლამდე დგებოდა, მიდიოდა ტბაზე, დგამდა ტირიფის ფაცერს და დიდხანს, დიდხანს ყარაულობდა იხვს.

ზოგჯერ იყო, სამ იხვს გააბამდა მახეში, ხან ორს იჭერდა, ხან ერთს, მაგრამ ხანდახან სულ ცარიელზედაც რჩებოდა.

ადრეული გაზაფხული იყო. გომბეის სამი დღე ზედიზედ თითო-თითო იხვი მოჰქონდა შინ. მესამე დღეს ნადირობიდან რომ ბრუნდებოდა, თავისთვის ფიქრობდა: ყოველდღე სამ-სამ ფაცერს ვდგამ, ტბასთან ვაღამებ და დღეში ერთი იხვის მეტს ვერ ვიჭერ. ხვალაც გამთენია უნდა ავდგე და მთელ დღეს ტბასთან დგომით გავიყინო. რა იქნება, რომ ასი ფაცერი დავდგა? ერთბაშად იმდენ იხვს დავიჭერდი, მთელ თვეს ფეხს აღარ გავდგამდი შინიდან და გვერდებს ცეცხლთან გავითბობდიო.

მეორე დღეს ცხვირი არ გაუყვია გარეთ, იჯდა და ტირიფის წნელის ფაცერს წნავდა. დაწნა ასი ფაცერი, ჩაარიგა ტბაზე და გამობრუნდა დასაძინებლად. მთელ ღამეს სულ ერთ სიზმარს ხედავდა: თითქოს მოფრინავდნენ იხვები და მის დადგმულ ფაცერში ებმებოდნენ. შუაღამისას გამოეღვიძა გომბეის, საჩქაროდ ჩაიცვა და გაიქცა ტბისკენ. მიირბინა და რას ხედავს, ტბა სულმთლად მოცარიელებულია, ერთი იხვიც არ ჭაჭანებს. ფაცერები კი, როგორც დადგა, ისევ ისე დგას _ თოკით ერთიმეორეზე გადაბმული და თოკის ბოლო ხეზეა შემოხვეული.

გომბეიმ თვალი გადაავლო ფაცერებს და იქვე ხესთან მიიყუჟა.

ირიჟრაჟა თუ არა, უცებ ტბისკენ ღრუბელივით წამოვიდა იხვების გუნდი. ჯერ ერთი იხვი დაჯდა ტბაზე, მერე მეორე, მესამე, მეოთხე. იხვის წყალზე

დაჯდომა და ფაცერში გაბმა ერთი იყო. სულ მალე ყველა ფაცერში იხვი იყო გაბმული. მარტო ერთი დარჩა ცარიელი. ტბაზედაც ერთი იხვიღა დაფრინავდა.

გომბეიმ თოკი შეხსნა ხეს და ხელზე დაიხვია, მაგრამ ენანებოდა ფაცერიდან იხვების გამოხსნა, ერთი ფაცერი ცარიელიაო. _ ერთი იხვიც რომ დამაჭერინა, ასი იხვის პატრონი ვიქნებოდი. მოდი, მერე მოვხსნი ფაცერს. ნეტავი კი ის ერთიც მალე გაებასო! _ ბუტბუტებდა გომბეი.

ამასობაში კარგა გათენდა. მზემ ქედიდან თავი ამოყო, სხივები ტბას დაეცა და ააციმციმა.

იხვებმა წყალში შეიფრთხიალეს, ფრთა-ფრთას შემოჰკრეს და ოთხმოცდაცხრამეტი იხვი ფეხზე მიბმული ფაცერებით ჰაერში აფრინდა. გომბეიმ უფრო მაგრად დაიხვია ხელზე თოკი, მაგრამ იხვები ოთხმოცდაცხრამეტნი იყვნენ და აჯობეს.

იხვები სულ მაღლა-მაღლა მიფრინავდნენ და თოკსაც თან მიათრევდნენ. ახლა უკვე გომბეი კი არ ეწეოდა თოკს, თოკი ეწეოდა გომბეის.

ბოლოს გომბეი მიწას მოსწყდა და ჰაერში ავარდა. იხვები სულ მაღლა და მაღლა მიფრინავდნენ, გომბეიც თან მიჰყავდათ. გომბეი თოკის ბოლოს ორივე ხელით მაგრად ჩასჭიდებოდა. ტბა შორს, დაბლა დარჩა. გომბეის ძირს ჩახედვის ეშინოდა და თვალებს მაგრად ხუჭავდა. იხვები კი სულ მაღლა-მაღლა მიფრინავდნენ. უცებ თოკი გაწყდა, იხვები გაფრინდნენ, გომბეი კი ჰაერში ჩამოეკიდა და შიშისაგან კინაღამ გული გაუსკდა, სადაცაა ჩავვარდებიო. უნდა ჩავარდნილიყო კიდეც, მაგრამ არ ჩავარდა. გომბეის გაუკვირდა, რატომ არ ჩავვარდიო, ნელ-ნელა თვალები გაახილა და რას ხედავს, ისევ ისე არ მიფრინავს?!

თურმე ქარმა აიტაცა და მიაქროლებს. ასე გადაიარა ხნულები, ტყეები, მთები, ხეობები, მიქრის სამხრეთისაკენ. ერთი დღე იფრინა გომბეიმ, ორი დღე იფრინა, მესამე დღეს კი ქარი თანდათან ჩაწყნარდა, გომბეიც ნელ-ნელა მიწისკენ დაეშვა. ქვემოთ მინდორი იყო, მინდორში გლეხები ქერსა თესავდნენ. გომბეი ზედ შუაგულ მინდორში დაჯდა.

გლეხები აქეთ-იქიდან მოცვივდნენ. გომბეიმ ჯერ ხელები დაიქნია, მერე ფეხები დაატყაპუნა. იმდენი ფრენისაგან ხელ-ფეხი დაბუჟებოდა. ბოლოს გლეხებს თავაზიანად მიესალმა და ჰკითხა:

_ რა სოფელია? სადა ვარო?

_ ეს სოფელი აკანო გახლავთო, _ მიუგეს გლეხებმა.

_ ამ სოფლის სახელი არ გამიგონია. თქვენ იაპონელები ხართო?

_ მაშ ვინა ვართ! ალბათ შორიდან მოხვედი, რომ ჩვენი სოფლის სახელი არ გაგიგონიაო.

_ მე ჩრდილო იაპონიიდან გახლავარ, კუნძულ ხოკაიდოს მკვიდრი ვარო.

_ სოფელი აკანო კუნძულ კიუსიუზეა, იაპონიის სულ სამხრეთით. აქ როგორ გაჩნდი, ან ციდან რად ჩამოვარდიო?

გომბეიმ უამბო გლეხებს, ასე და ისე იყო, იხვებმა ამაფრინეს ჰაერში და სამი დღე ქარი დამაქროლებდაო.

_ აბა ახლა შინ რა წაგიყვანს, რამდენი სრუტე და რამდენი ზღვა უნდა გაცურო! მთელი იაპონია სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე ფეხით უნდა გაიარო. მაგის თავი სადა გაქვს, ის გირჩევნია, ჩვენთან დარჩე და მუშაობაში ხელი წაგვახმარო, სამაგიეროდ, ჭამა-სმა ჩვენზე იყოსო, _ უთხრეს გლეხებმა.

გომბეიმ აწონ-დაწონა ყველაფერი და დარჩენა არჩია.

_ სამშობლოში არც არაფერი გამაჩნია, არც არავინა მყავს. რატომაც არ დავრჩებიო!

ის დღე იყო და ის დღე, დარჩა კუნძულ კიუსიუზე სოფელ აკანოში საცხოვრებლად. გლეხებთან დასახლდა, მუშაობაში მხარი აუბა: ქერსაც თესავდა, ყანასაც მარგლიდა. დრო კი გარბოდა, გაზაფხულს ზაფხული მოჰყვა, ქერი შემოვიდა და მკის დრო დადგა.

ერთ დილას გლეხები უთენია შეესივნენ ყანას. გომბეიც გულდაგულ მკიდა. ამ მუშაობაში, ერთიც ვნახოთ, კარგა დიდი ხელეური გადმოზნიქა, რომ მოეჭრა, უცებ ხელეური დაუსხლტა და ისე შემოჰკრა გომბეის, რომ ჰაერში აისროლა. გომბეი მიწაზე კი არ დაეცა, ქარმა აიტაცა და მაღლა-მაღლა წაიღო. გომბეის არ გაჰკვირვებია, მიხვდა, რაც მოხდა: ეს ის ქარია, რომელმაც კიუსიუზე გადმომაგდო. ახლა უკან მიმაფრენს და შინ მიმიყვანსო, _ გაიფიქრა და უფრო მოხერხებულად მოეწყო, რომ ხელ-ფეხი არ დაბუჟებოდა.

ქარი კი მიაქროლებდა და მიაქროლებდა მაღლა-მაღლა, გადაატარა ტყეები, მთები, მინდვრები, ზღვა... შორს, შორს, ჩრდილოეთისაკენ მიჰყავდა. მთელი დღე იფრინა გომბეიმ, საღამო ხანს ქარი ჩადგა და გომბეიც ნელ-ნელა მიწაზე დაეშვა.

ახლა ერთ დღეს ვიფრინე, მაშინ კი სამ დღეს მივფრინავდი, მაშ, ჯერ ხოკაიდოში არა ვარო. _ გაიფიქრა გომბეიმ. მიიხედ-მოიხედა და, მართლაც, მიდამო ვერ იცნო.

წინ ტრიალი მინდორი იყო, საცხოვრებელი სახლი კი არა, არც ხე ჩანდა სადმე, არც ბუჩქი.

გომბეის შეეშინდა. ამასობაში მზე ჩავიდა, შებინდდა, დიდრონი საავდრო ღრუბლები გაწვა ცაზე.

წვიმას დასცხებს სადაცაა, რას შევეფაროო? _ გაიფიქრა გომბეიმ და ფეხი ააჩქარა, იქნებ თავშესაფარი სადმე ვნახოო...

უცებ დიდი თეთრი სოკო დაინახა.

აქეთ რა უცნაური სოკო სცოდნიაო, დაიხარა და დაინახა, რომ სოკო კი არა, თურმე ბრინჯის ჩალისაგან დაწნული გლეხური ქუდი ყოფილიყო.

_ ეს კარგი რამ ვიპოვე! - გაუხარდა გომბეის. _ ამ ქუდში წვიმა ვერაფერს დამაკლებსო! _ ხელი დაავლო და სცადა, რომ დაეხურა, მაგრამ პატარა მოუვიდა. ჩაავლო ნაპირებში ხელი, გასწი-გამოსწია და იმდენი ეჯაჯგურა, სანამ კარგად არ მოირგო თავზე, მერე ნიკაპთან ყაითნით ამოიბა, ქარმა არ გადამიგდოსო, ადგა და ისევ გზას დაადგა.

ასი ნაბიჯიც კი არ გაევლო, წვიმის წვეთები დაეცა. ცა ღრუბლებით იყო დაფარული. ქარი ქუდს სტაცებდა, მაგრამ გომბეის მაგრად ეხურა თავზე და ყაითნითაც მაგრად ჰქონდა შეკრული.

დიდხანს ებრძოდა გომბეის ქუდს ქარი და ბოლოს გომბეიანად აიტაცა ჰაერში. ისე მაღლა აიტაცა, გომბეიმ ვეღარც მიწა დაინახა, ვეღარც ტყე, ვეღარც მთები და ზღვები. მარტო ღრუბლები ეფინა ფეხქვეშ.

გომბეი ასე ახლოს პირველად ხედავდა ღრუბლებს: ზოგი ღრუბელი მატყლივით იყო ჩახუჭუჭებული, ზოგი ფოთლებივით ელაგა, ზოგი აფუებული იყო, ზოგი დატკეპნილი, ზოგი სქელი, ზოგი კი სიფრიფანა.

ორ დღეს იფრინა ასე, მესამე დღეს ქარი ჩადგა და გომბეიც ნელ-ნელა ქვევით დაეშვა.

ნეტავი ახლა სადღა ჩავფრინდებიო, _ გაიფიქრა გომბეიმ. ძირს ჩაიხედა და დაინახა, რომ დაბლა დიდი სოფელი იყო. შუა სოფელში მაღალი, ხუთსართულიანი კოშკი იდგა. ვერც კი მოასწრო, კარგად დაეთვალიერებინა კოშკი, რომ უცბად მის წვერზე დასკუპდა. კოშკი იმ სიმაღლე იყო, გომბეი ახლა უფრო აიტანა შიშმა.

მიიხედ-მოიხედა, ეგება კიბე აქვს სადმეო, მაგრამ ვერსად დაინახა.

სხვა რაღა უნდა ექნა, მორთო ყვირილი:

_ მიშველეთ! მიშველეთო!

ყვირილზე ხალხი გამოცვივდა. მთელი სოფელი გამორბოდა კოშკისაკენ. ჯერ ვერ გაეგოთ, საიდან მოდიოდა ყვირილი. უცბად ერთმა ბიჭმა შესძახა:

_ კოშკზე კაციაო!

მაშინვე ყველანი კოშკთან მოგროვდნენ და მაღლა აიხედეს. ქვევიდან ისეთი პატარა ჩანდა გომბეი, ვერც კი არჩევდნენ, რა იყო, ის კი ქვევით იხედებოდა და ყვიროდა:

_ მიშველეთ! მიშველეთო!

უცებ თავბრუ დაესხა, გადმოვარდა და შეგროვილ გლეხებს ზედ დაეცა. გლეხებმა ერთი _ ვაიო! _ დაიძახეს, ზოგი აქეთ ეცა, ზოგი _ იქით და შუბლებით ისე შეეჯახნენ ერთმანეთს, ყველას თვალებიდან ნაპერწკლები წამოსცვივდა. ამ ნაპერწკლებიდან ცეცხლი წაეკიდა იქაურობას. დაწვა ყველა და ყველაფერი _ დაიწვა გომბეიც და ზღაპარიც ამ ცეცხლში ჩაიწვა.

<u>საიდან გაჩნდნენ ოქროს ხოჭოები</u>

ძველად, ძალიან ძველად, მთა ხიკოძანის ძირში ერთი ღარიბ-ღატაკი ქვრივი ტოკუბეი ცხოვრობდა.

მთელი სიცოცხლე იმის ხელებს არ დაუსვენია, მაგრამ სიბერის ხანს ავადმყოფობა მოერია და ლოგინში ჩავარდა. ტოკუბეის სახლში გაჭირვებამ მოიკალათა. ბერიკაცს ყოველდღე შიმშილით სიკვდილი ელოდა.

ტოკუბეის ორი შვილი ჰყავდა. ვაჟს გენკიტი ერქვა, გოგოს _ იუკი. ერთ დღეს დაუძახა შვილებს და უთხრა:

_ მაპატიეთ, შვილებო, კუნძივითა ვდევარ და ლუკმის მომტანი არა გყავთ. ჩემი ბრალია, რომ შიმშილით კუჭი გიხმებათო.

_ რას ამბობ, მამი! მაგაზე ჩვენ სულაც არა ვფიქრობთ. ჩვენ ის გვადარდებს, რომ შენთვის წამალი ვერ გვიყიდია. შენ კი დღითიდღე სანთელივითა დნები. მოდი, იცი რას ვიზამ: რაც იქნება, იქნება, წავალ ბიძაჩემ გონძასთან და ფულს ვესესხები. ფული რომ გვექნება, შენც მორჩები, მამაჩემო, და შიმშილისაგან აღარც იუკა იფშრუკუნებსო.

_ გენკიტო, შენ ხომ იცი, გონძა რა ძუნწია. ძაღლი უფრო გამოიმეტებს რამეს, ვიდრე ისა. საცოდავი დედაშენი სიკვდილის სარეცელზე რომ იწვა, ერთხელ არა ნახა. ახლაც ისე იქცევა, თითქოს არ იცის, რომ იმისი ღვიძლი ძმა სიკვდილის პირზეა. ფულს ესესხები და ლანძღვა-გინებას დაგიწყებს. ერთი კაპიკის გულისთვისა კვდებაო.

_ მამი, მაშ, შიმშილით ხომ არ დავიხოცებითო?

_ ოჰ, ჩემო საბრალო შვილო, მაპატიეო...

_ მამი, ერთი კარგი რამ მოვიფიქრეო, _ და გენკიტი გარეთ გამოვარდა. კოკისპირულად წვიმდა. საით წასულიყო არ იცოდა. მხოლოდ მამის დასამშვიდებლად თქვა, კარგი რამ მოვიფიქრეო, თორემ არაფერიც არ მოჰფიქრებია. უნებურად მაინც ბიძის სახლისაკენ გაუხვია. ვინ იცის, იქნებ ცოტა მოლბეს, მართლა ქვის გული ხომ არ უდევსო, _ ფიქრობდა გენკიტი.

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მამამ უთხრა.

_ მე რომელი მდიდარი მნახეთ, თქვე მათხოვრებო! გასასესხებელი ფული სადა მაქვს, გასწი აქედან, დაიკარგეო! _ უყვირა ბიძამ.

_ მამა გვიკვდება შიმშილით. მე მუქთად არაფერი მინდა, სამაგიეროდ მამუშავე, მოგემსახურებიო.

_ რა ჩემი საქმეა, კვდება თუ რჩება, გასწი აქედანო.

მდუღარეგადასხმულივით გამოვარდა გენკიტი ბიძის სახლიდან და მთის ბილიკს დაადგა. თვალები ცრემლით აევსო და ვეღარაფერს ხედავდა. ფიჭვის ტოტებიდან წვიმის წყალი წვეთებად ჩამოდიოდა, თითქოს ისინიც ტირიანო. დიდხანს იხეტიალა უგზო-უკვლოდ. არც გაუგია, რა დრო გავიდა.

უცებ მოხუცებულის ალერსიანი ხმა გაიგონა:

_ გაჩერდი, გენკიტი! გენკიტი, მომიცადეო!

_ ვინ მეძახის? _ გაეხმაურა გენკიტი.

თითქოს მიწიდან ამოძვრაო, გენკიტის წინ ჯადოქარი ბერიკაცი აიტუზა. ხელში ტალახიანი ხის სანდლები ეჭირა.

_ აბა, მითხარი, რა გატირებსო? _ ჰკითხა გენკიტის.

_ ფული მჭირდება და არ ვიცი, სად ვიშოვოო.

_ ფული რად გინდაო?

_ წამალი და ბრინჯი უნდა ვიყიდოო.

_ შენა გჭირდება თუ სხვისთვის გინდაო?

_ ჩემი გულისთვის არ ვიტირებდი, მამა შიმშილით მიკვდებაო.

_ რაკი ეგრეა, ამ სანდლებს შენ მოგცემო.

_ სანდლები რად მინდა, რა ვუყოო.

_ ამის პატრონს ფული არ გამოელევა. ჩაიცვი და შენი თვალითა ნახავ... რამდენ ნაბიჯსაც გადადგამ, ამ სანდლებიდან ოქროს ფულები ჩამოცვივა. მაგრამ თუ გახარბდი და მთელ ოქროს მარტო შენთვის მოინდომებ, საზარელი ბედი გეწევა: ოქროს ფული მდინარედ მოსკდება, შენ კი თანდათან დაპატარავდები და დაპატარავდები. ეს გახსოვდეს, ახლა კი მამაშენთან გასწიო.

ბერიკაცი ისე გაქრა, თითქოს არცა ყოფილაო.

ნეტავ ხომ არ მომეჩვენაო, _ გაიფიქრა გენკიტიმ, მაგრამ მაშინვე დაინახა, რომ ფეხზე ხის სანდლები ეცვა...

გენკიტი შინ დაბრუნდა, სანდლები ჩაიცვა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. სანდლებიდან მაშინვე ოქროს ფულები გამოცვივდა. ამ ფულით ჭაბუკმა წამლები უყიდა მამას. მოხუცი მომჯობინდა, დაც აღარა ტიროდა შიმშილისაგან. სამივენი კარგად და ბედნიერად ცხოვრობდნენ.

ეს საოცარი ამბავი ახლომახლო სოფლებს მოედო, ხან ერთი მოდიოდა, სანდლები გვათხოვეო, ხან მეორე. ბიჭი ყველას ერთსა და იმავეს ეკითხებოდა:

_ ვისთვის გინდა ეგ ფული, შენთვის თუ სხვისთვისო?

გენკიტი სიხარულით აძლევდა სანდლებს იმათ, ვისაც სხვის დასახმარებლად უნდოდა ფული.

ერთ დღეს ეზოდან ხმა შემოესმა:

_ ძმა, ტოკუბეი, შინა ხარ? მე ვარ, გონძა. ოჰო, გენკიტი, რამოდენა ბიჭი გაზრდილხარ! შენზე ამბობენ, დიდი ყოჩაღი ბიჭიაო. როგორც ვატყობ, კარგად ცხოვრობთ. თქვენი დარდი მქონდა, ძმაო, როგორ არიან-მეთქი. თავს გაუფრთხილდი, ჯანი ყველაზე ძვირფასი რამა ყოფილაო.

_ გონძა, ჩვენთან რამ მოგიყვანაო?

_ რამ მომიყვანა? ხე-ხე-ხე, ვიფიქრე, ერთი ავადმყოფ ძმას ვინახულებ-მეთქი.

მაგრამ გონძა ძმას არც კი უყურებდა, საოცარი სანდლებისთვის თვალი არ მოუშორებია.

_ კარგად გიცნობ, გონძა, რაცა ხარ, ამ სანდლებისთვის მოხვედი ჩვენთან. ბოროტი გულისა ხარ, გონძა, გასწი აქედანო.

_ ხე-ხე-ხე... ძმაო, შენ რა გალაპარაკებს, სანდლები ხომ შენი არ არის, შენი ვაჟისაა, გენკიტისა, მაშა! მე შენ არაფერსა გთხოვო.

_ რაო! შე უსინდისო, ენა როგორ მოგიტრიალდაო!

_ შენ, ძმაო, გირჩევნია, ჩუმად იყო. ყური მიგდე, გენკიტი, ჩემო კეთილო გენკიტი, ასეა თუ ისე, ერთადერთი ბიძა გყავარ. მოდი, ეგ სანდლები მარტო ერთ საღამოს მათხოვეო.

_ ერთ საღამოს?

_ ჰო, მარტო ამ საღამოს მათხოვეო.

_ ეგრე იყოს, გენკიტი, ბიძას სანდლები გაატანეო, _ უთხრა შვილს მამამ.

ჯერ სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ გონძამ ხელი დასტაცა სანდლებს და გახარებულმა შინისაკენ მოუსვა.

_ ოჰ, მამაჩემო, შეიძლება დიდ უბედურებას გადაეყაროს: ამ სანდლებს ჩაიცვამს და მარტო თავის სიკეთეზე იფიქრებს. წავალ, გონძას დავეწევიო.

შეწუხებული გენკიტი ბიძასთან გაიქცა. მივიდა ბიძის სახლთან და რას ხედავს: ცარიელი ოთახი ოქროთია სავსე. საითაც მიიხედავ, ყველგან ოქრო ყრია, ამ ოქროებში კი პატარა ხოჭო დაღოღავს. თურმე ხარბი გონძა ამ ოქროს ხოჭოდ ქცეულიყო.

<u>მზეთუნახავის სურათი</u>

დიდი ხნის წინათ ერთ სოფელში ცხოვრობდა ერთი ყეყეჩი კაცი, სახელად გომბეი. ოცდაათი წლისაც გახდა, ორმოც წელსაც გადასცდა, მაგრამ ცოლის შერთვას ჯერ მაინც არა ფიქრობდა. იქაური გოგოები კი გომბეის არ ასვენებდნენ და დასცინოდნენ.

ერთ საღამოს მის ფერდებმოქცეულ ქოხში ლამაზი გოგო შევიდა და გომბეის სთხოვა:

_ მოიღე მოწყალება და ერთი ღამით შემიფარეო.

მართალია, გაუკვირდა გომბეის, მაგრამ სტუმარი მაინც გულით მიიღო.

სტუმარ-მასპინძელმა ერთად ივახშმა და კარგად რომ დანაყრდნენ, გოგომ უთხრა:

_ როგორცა ვხედავ, მარტოკა ცხოვრობ. მეც მარტოხელა ვარ. მოდი, ცოლად შემირთეო.

გომბეი ამას კი არ ელოდა და გაშეშდა ბედნიერებისაგან. იმ დღიდან გომბეის ისე შეუყვარდა თავისი ცოლი, ვერც ერთ სამუშაოს გულს ვეღარ უდებდა. დაიწყებდა ქალამნების ამოსხმას და, თან თვალს არ აშორებდა ცოლს. როდის-როდის ამოასხამდა ქალამანს, მაგრამ ცოლის ყურებაში ისეთი დიდი გამოუვიდოდა, რომ ქალამანს კი არა, ვარცლსა ჰგავდა. ახლა ლაბადის ქსოვას მოჰკიდებდა ხელს და იმასაც ისეთს მოქსოვდა, რომ გოლიათსაც კი დიდი მოუვიდოდა.

წავიდოდა გომბეი მინდორში სამუშაოდ, ვერც იქ დაუდებდა საქმეს გულს. ერთს დაჰკრავდა ბარს თუ არა, იმწამსვე სახლისაკენ მოკურცხლავდა ცოლის სანახავად.

_ დედაკაცო, სადა ხარო? _ შეხედავდა და ისევ მინდვრისაკენ გარბოდა.

უყურა, უყურა მზეთუნახავმა, რომ ქმრის მუშაობას ბარაქა არა ჰქონდა, ადგა, წავიდა ქალაქში მხატვართან და თავისი სურათი დაახატვინა.

_ ნახე, ეს სურათი როგორა მგავს, _ უთხრა ქმარს, _ წაიღე მინდორში და შენთან ახლოს ხეზე ჩამოჰკიდე. რამდენ ხანსაც გინდოდეს, იმდენ ხანს უყურე და დატკბიო.

ამ დღიდან გომბეი წამდაუწუმ შინ აღარ გარბოდა. შეხედავდა სურათს, დატკბებოდა მისი ცქერით და ისევ მუშაობდა. ასე შრომობდა საღამომდე, მაგრამ ერთ დღეს ქარი ამოვარდა, ჩამოგლიჯა ხიდან სურათი და ცაში ააფრინა.

გომბეი ტირილით დაბრუნდა შინ და ცოლს შესჩივლა თავისი დარდი.

_ ნუ ტირი! _ დაამშვიდა ცოლმა. _ წავალ მხატვართან და ისეთ სურათს დავახატვინებ, პირველს კიდევაცა სჯობდესო.

ქარმა დიდხანს აფრიალა სურათი გამხმარი ფოთოლივით და ბოლოს ერთი თავადის ბაღში ჩამოაგდო. თავადმა ქალის სურათი რომ დაინახა, თქვა, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ამ ქალს მოვძებნი და ცოლად შევირთავო.

თუ სურათი დახატეს, მაშინ ქვეყანაზე ასეთი მზეთუნახავი სხვა არ იქნებაო, _ გაიფიქრა თავადმა და მსახურებს უბრძანა:

_ ახლავე მოძებნეთ და ნებით თუ ძალით ეს ქალი აქ მომგვარეთო.

მსახურები მაშინვე ახლომახლო სოფლებს მოედვნენ, მაგრამ ყველგან ერთსა და იმავეს ეუბნებოდნენ:

_ ასეთი ქალი არ გვინახავსო.

ბოლოს იმ სოფელშიც მივიდნენ, სადაც გომბეი ცხოვრობდა.

გლეხებმა შეხედეს თუ არა სურათს, მაშინვე იცნეს:

_ ეს ხომ ჩვენი გომბეის ცოლიაო!

მსახურები შევიდნენ ქოხში და რას ხედავენ, ქოხში ის მზეთუნახავი ზის.

_ თავადის ბრძანებაა, ეს მზეთუნახავი მივგვაროთო.

გომბეი შეევედრა:

_ ცოლს ნუ წამართმევთო!

მსახურებმა ყურიც არ შეიბერტყეს, ძალისძალად გამოათრიეს ქოხიდან მზეთუნახავი.

გომბეის ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლები. ცოლიც ცრემლად იღვრებოდა, მაგრამ მოახერხა და ქმარს გადაუჩურჩულა:

_ რასაც გეუბნები, კარგად დაიმახსოვრე: ახალი წლის წინადღეს თავადის სახლთან გასაყიდად ნაძვის ხეები გამოატარე, მეც დროს ვიხელთებ და გნახავო.

ისევ მარტო დარჩა გომბეი. იჯდა და თითებზე ითვლიდა, როდის გავიდოდა ძველი წელი.

დიდი ხნის ნანატრი ახალი წლის წინადღეც დადგა. გომბეიმ შეიწყო მხარზე ნაძვის ხეები და გასწია თავადის სასახლისაკენ. აიარა და ჩაიარა, აიარა და ჩაიარა.

_ საახალწლო ნაძვის ხე! საახალწლო ნაძვის ხეო!

მზეთუნახავმა ყური მოჰკრა, იცნო გომბეი და გაუხარდა.

თავადის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, ჩემი ცოლი ძლივს გაღიმებული ვნახეო. რაც სასახლეში მიიყვანა, ბევრსა ცდილობდა, მაგრამ ამაოდ, ვერც ტაკიმასხარები, ვერც სხვადასხვა სანახაობა მზეთუნახავს ვერ ართობდა.

_ თუ ეგრე მოგწონს ნაძვით მოვაჭრეები, მეც ახლავე დავიწყებ ნაძვების გაყიდვასო, _ თქვა თავადმა და გარეთ გავარდა. ჩაიცვა გომბეის დაძონძილი ტანისამოსი, გომბეი კი თავადის ძვირფას ტანისამოსში გამოეწყო.

თავადი და გომბეი ღვიძლი ძმებივით ჰგვანდნენ ერთმანეთს.

უვლის სასახლეს ძონძებში გახვეული თავადი და ხმამაღლა გაჰყვირის:

_ საახალწლო ნაძვის ხე! საახალწლო ნაძვის ხეო!

მზეთუნახავმა დრო იხელთა და მსახურებს უბრძანა:

_ შემოუშვით თქვენი ბატონი სასახლეში და მაგრად ჩაკეტეთ კარი. სხვა არავინ შემოუშვათო!

შემოვიდა თუ არა გომბეი, ცოლი სიხარულით მიეგება. იმათ ბედნიერებას ენა ვერ იტყვის.

იარა, ბევრი იარა თავადმა, სანამ არ მოსწყინდა და არ დაიღალა. ბოლოს სასახლის კარებთან მივიდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დააბრახუნა:

_ თქვენ ეი, დოყლაპიებო! ვერა მხედავთ? თქვენს ბატონს ვეღარა სცნობთო?

_ ჭკუა გამოგლევია, შე ოხერო, თავი არ გამატეხინო, მოშორდი აქედან! ჩვენი ბატონი თავის ადგილას არისო, _ მიუგეს მსახურებმა.

ბევრს ეცადა თავადი, რომ დაერწმუნებინა, ნამდვილი ბატონი მე ვარო. რა ხერხი არ იხმარა, მაგრამ სასახლეში მაინც არ შეუშვეს.

იმ დღიდან თავადი კარდაკარ დაწანწალებდა.

გომბეი კი თავის მზეთუნახავთან ერთად ბედნიერად ცხოვრობდა თავადის სასახლეში.

ამ ზღაპრის მთქმელს კი საჩუქრად ტკბილი მარწყვის კუნწულა ერგო.

ბულბულის სახლი

ძველად, ძალიან დიდი ხნის წინათ, ცხოვრობდა ერთი ღარიბ-ღატაკი ტყისმჭრელი. ყოველდღე მთაში დადიოდა ხის მოსაჭრელად.

ერთხელ მის ქოხში ერთი უცხო გოგონა შევიდა. სახე თეთრად ჰქონდა გადატკეცილი, მზეს ქოლგით იჩრდილებდა. ტყისმჭრელს თვალში მოუვიდა. ეს რა მზეთუნახავი მომევლინა! ნეტავ ცოლად მომცაო!

_ ნება მიბოძე, შენს ქოხში სული მოვითქვაო, - სთხოვა ტყისმჭრელს გოგონამ.

_ დაბრძანდი, დაისვენეო, _ შესთავაზა ტყისმჭრელმა და დიდი მუსაიფი გააბეს...

ბოლოს ქალმა ჰკითხა:

_ ცოლად არ შემირთავ? გული შემივარდა შენზე. სახლი დიდი მაქვს, ჩემთან წამოდიო.

_ კარგი იქნებოდა, მაგრამ მე ნაბოლარა შვილი ვარ, მემკვიდრეობა არ მერგება, ჩვენი სახნავი მიწა კი კატის შუბლზე დაეტევაო.

_ თუ ეგრეც არის საქმე, წამოდი, არაფერს გაგიჭირვებო.

ტყისმჭრელმა თავის ხერხსა და ცულს წამოავლო ხელი და გაჰყვა. გოგონამ მთებში წაიყვანა.

იარეს, იარეს და ტყისმჭრელი დაიღალა.

_ ერთი მითხარი, შენი სახლი კიდევ შორს არისო?

_ არც ახლოა. აგერ, იმ მთების იქით რომ მთაა, იმის იქით ვცხოვრობო.

რას იზამდა ტყისმჭრელი, ისევ გზას გაუდგნენ. ერთი მთა გადაიარეს, მეორე, მესამე და ტბასთან მივიდნენ. ტბის პირას ლამაზი სახლი იდგა.

_ მივედით. შემოდი, დღეიდან ამ სახლის ბატონ-პატრონი შენა ხარო.

ხედავს ტყისმჭრელი, რომ ხალვათი და მდიდრულად მორთული ოთახებია, მაგრამ ადამიანი არა ჭაჭანებს. ჩაიდანი თუხთუხებს ცეცხლზე, სახურავს რაკარუკი გაუდის, ვარცლში კი თბილი წყალია. მაშინვე გადაივლო წყალი ტყისმჭრელმა და სუფრა უკვე გაშლილი დახვდა. ასეთი გემრიელი ბრინჯი არასოდეს ეჭამა, არც ასეთი ღვინო დაელია არასოდეს.

ტყისმჭრელმა ეს გოგონა ცოლად შეირთო და უდარდელად დაიწყო ცხოვრება. რასაც ინატრებდა, იქვე გაჩნდებოდა ხოლმე ყველაფერი. მალე ერთი კარგი ბიჭიც გაუჩნდათ.

ერთხელ ცოლმა უთხრა ტყისმჭრელს:

_ მინდა ჩემს მშობლებს ვესტუმრო, იმათაც გაიხარონ ჩემი შვილის ნახვით. შენ აქ დარჩი, სახლს უყარაულე. აჰა, გამომართვი თორმეტი გასაღები, მეთორმეტეში კი ნუ შეხვალო.

ცოლმა რამდენჯერმე გაუმეორა შეშისმჭრელს, მეთორმეტე კარი არ გააღოო. ბოლოს გამოეთხოვა ქმარს, ბავშვი ზურგზე შეისვა და შორს, მთებში გასწია.

მოეწყინა ტყისმჭრელს, მარტოკა რომ დარჩა. გამოვიდა ეზოში და საკუჭნაოს ჯერ ერთი კარი გააღო, მერე მეორე.

პირველი საკუჭნაო სულ დარჩეული ბრინჯით იყო სავსე, მეორეში მისოთი სავსე კასრები იდგა. მესამეში შაქარი ეწყო, მეოთხეში თეთრი ბამბის ფთილები ელაგა. მეხუთეში მარილი იყო, მეექვსე საკუჭნაო ზღვის ტალღებს ეკავა და შიგ თევზები დაცურავდნენ.

სად გაგონილა, მთებში თევზი იყოსო? _ გაუკვირდა ტყისმჭრელს. დანარჩენ საკუჭნაოებშიც უამრავი სურსათ-სანოვაგე ეწყო.

მეთორმეტე საკუჭნაოს რომ მიადგა, ცოლის სიტყვები მოაგონდა: მეთორმეტე კარი არამც და არამც არ გააღოო.

შინ ხომ არავინ არის, ვინ დამინახავსო? _ გაიფიქრა ტყისმჭრელმა და მეთორმეტე საკუჭნაოს კარს გასაღები როგორც იყო მოარგო. გასაღებმა გაიჩხაკუნა. შიშით შეაღო ტყისმჭრელმა კარი, ცალი თვალით შეიჭყიტა და ცარიელი საკუჭნაო მოათვალიერა.

_ ეშმაკმა დასწყევლოს! რად არის ცარიელი? ნეტავ კარს რაღას კეტავდნენო?

კიდევ კარგად მოათვალიერა და დაინახა, რომ საკუჭნაო გადაღობილი იყო. კედელში სარკმელიც შეამჩნია.

რაც იქნება, იქნება, მოდი, შევიხედავო, _ გაიფიქრა ტყისმჭრელმა. გამოაღო სარკმელი, შეიჭყიტა და რას ხედავს! საკუჭნაოს შუაში ქლიავის ბაღი ყვავის. გარეთ გვიანი შემოდგომაა, საკუჭნაოში კი გაზაფხული დგას, ხეებს თითქოს ვარდისფერი ღრუბლები ეხვევიან. ტოტიდან ტოტზე ბულბულები ხტიან და უსტვენენ.

ადგილზე გაშეშდა ტყისმჭრელი, სმენად იქცა.

უცებ ბულბულებმა სტვენა შეწყვიტეს, თითქოს რაღაცამ დააფრთხოო, აფრინდნენ და სადღაც გაუჩინარდნენ. ქლიავებს უცებ ყვავილი დასცვივდა, საკუჭნაოში შემოდგომის სიცივემ დაბერა. გაყვითლებული ბალახი და გამხმარი ლერწამი აშრიალდა.

შეეშინდა ტყისმჭრელს, სასწრაფოდ გამოვარდა საკუჭნაოდან და კარი მიხურა. უცებ დაინახა ცოლი, მოდის და მწარედ ტირის.

_ ეს რა ჰქენი! ხომ გთხოვე, მაგ კარს ნუ გააღებ-მეთქი! როგორა გთხოვე! ახლა ყველაფერს ბოლო მოეღო! იცოდე, მე ადამიანი კი არა, ბულბული ვარ. შენი ქოხის ახლოს მდგარ ხეზე ვგალობდი ამ გაზაფხულზე. შენ რომ სიტყვა არ გაგეტეხა, საუკუნოდ ერთად ვიქნებოდით უდარდელად და ბედნიერად. ამ საკუჭნაოში ამ მთების ღმერთი მობრძანდება ხოლმე და ისმენს ბულბულების გალობას. შენ კი გააბრაზე და ახლა, მშვიდობითო!

უცებ ცოლი ბულბულად იქცა, შეისვა ბარტყი ბოლოზე და გულსაკლავი სტვენით შორს გაფრინდა.

ტყისმჭრელი თითქოს ძილიდან გამოფხიზლდა. ზის ისევ თავის ჩალის ქოხში და ცალ ხელში ხერხი უჭირავს, მეორეში კი _ ცული.

ჯადოსნური ქოთნის ზღაპარი

ერთ დროს კუნძულ მიაკოზე ცხოვრობდა ასე ოცი წლის ახალგაზრდა მეთევზე. სახელად მასარია ერქვა.

ერთ მთვარიან საღამოს მასარია ზღვაზე წავიდა სათევზაოდ. უცებ ანკესის ჯოხი ხელში მშვილდივით მოიღუნა.

_ აჰა, ახლა კი წამოეგოო!

ჭაბუკმა ძლივს ამოათრია წყლიდან უზარმაზარი თევზი. თავიდან ბოლომდე სამი სიაკუ[1] იქნებოდა.

ის იყო მასარიას კავიდან უნდა მოეხსნა თევზი, რომ უცებ ხელები გაუშეშდა და მკვდარივით დაეცა მიწაზე.

გონზე მოვიდა თუ არა, ნახა, თევზი სადღაც გამქრალიყო, მის წინ კი საოცრად ლამაზი ქალიშვილი იდგა.

_ გზაში შემომაღამდა, ერთი ღამე გამათევინეო, _ სთხოვა ქალიშვილმა. ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს ვერცხლის ზარები წკრიალებენო.

_ ჩემს ქოხში თაგვი კუდს ვერ მოიქნევს, ხეირიანად კაცი ფეხს ვერ გაშლისო.

_ ეგ არაფერი, ოღონდ ამ წვიმასა და ავდარში თავი შევაფარო სადმე, უარს ნუ მეტყვიო.

მასარიას შეებრალა ქალიშვილი და შეიყვანა ქოხში, თან იმის გულს ისეთი ბაგაბუგი გაჰქონდა, თითქოს უნდა ამოუვარდესო. ამისთანა მზეთუნახავს ჭაბუკი პირველად ხედავდა.

ის ღამე ერთად გაატარეს. დილით კი მეთევზემ თვალი რომ გაახილა და მიმოიხედა, მზეთუნახავი ვეღარსად დაინახა, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ უყო პირი, ვერაფერი გაიგო.

დიდხანს ვერ დაივიწყა მეთევზემ მზეთუნახავი. ყოველ საღამოს დაეხეტებოდა ზღვის ნაპირზე, მაგრამ ამაოდ, მზეთუნახავი აღარ გამოჩენილა.

ერთ დღეს მასარიამ ბადე ჩაუშვა ზღვაში და დაუწყო ლოდინი, როდის გაებმებოდა თევზი. უცებ დაინახა, ზღვის ტალღები ნელა მოარწევენ ქალამანივით პატარა ნავს, შიგ სხედან პატარა ბიჭები: თვალები გადმოკარკლული აქვთ, ტანი კი თევზის ქერცლით აქვთ დაფარული.

_ მამა, მამილო! გამარჯობაო!

სახტად დარჩა მასარია.

_ ნეტავი რა თქვენი მამა ვარ, თქვენ ხომ ზღვის შვილები ხართო!

_ რად უარობ, აღარ გახსოვს, ამ სამი წლის წინათ ზღვის დედოფალმა შენს ქოხში რომ შეაფარა თავი? ჩვენ იმისი შვილები ვართო.

_ თუ ეგრეა, ჩემი შვილები ყოფილხართ. ერთი მითხარით, დედათქვენი სად არისო?

_ ზღვის ფსკერზე, დრაკონთა მბრძანებლის სასახლეშიო.

_ იჰ, კარგი ერთიო!

_ დიახ, მამილო, იქ არის და შენთან გამოგვგზავნაო.

მასარიამ სიყვარულით გადახვია შვილებს ხელი და სამივემ ერთად გასწია ზღვის ფსკერისაკენ.

დრაკონის სასახლესთან ბიჭებმა ჟრიამული ატეხეს.

_ დედილო, დედილო, მამა მოვიყვანეთო.

გაიღო სასახლის გალავნის კარი. ლამაზად გამოწყობილი მშვენიერი მოახლეების მთელი გუნდი საამური ჰანგებით მოაცილებდნენ დრაკონთა მბრძანებლის მზეთუნახავ ქალიშვილს, ოტოხიმეს.

_ კეთილი იყოს შენი მობრძანება. შენს მოლოდინში თვალები დამეღალაო, _ მოჰკიდა ხელი ოტოხიმემ და სასახლისაკენ წაიყვანა.

მბრძანებლის სასახლე ლამაზ-ლამაზი ფერებით ბრწყინავდა.

_ ოჰ, რომ იცოდე, როგორ მინდოდა შენი ნახვა. ჩვენ ხომ ორი შვილი გვყავს! დარჩი და ტკბილად ვიცხოვროთო, _ ემუდარებოდა ოტოხიმე.

მასარია განცვიფრებული იყურებოდა გარშემო და ხმას ვერ იღებდა. ოტოხიმემ შეიყვანა სადარბაზოში. იქ დიდი ნადიმი გაემართათ. მუსიკოსები თავდავიწყებით უკრავდნენ სხვადასხვა საკრავებს. გაჩაღდა მხიარული ცეკვა-თამაში.

მასარიამ ბევრი იმხიარულა, სიცილისაგან თვალებზე ცრემლი მოადგა.

ამ მხირულებაში გადიოდა დრო. ბოლოს კი ყველაფერი მობეზრდა და გულმა დედამიწისკენ გაუწია.

ხედავენ შვილები, რომ მამას სახე მოეღრუბლა და მოიწყინა.

_ მამა, უხასიათოდა ხარ, მიწაზე დაბრუნება ხომ არ გინდაო?

მასარიას გაუკვირდა, მართალი უთქვამთ, ბავშვები რა დაკვირვებულები ყოფილანო.

_ ჰო, ეგრეა, გული დამიმძიმდა. დამეხმარეთ, რომ კვლავ ჩემს მიწა-წყალს დავუბრუნდეო.

_ ნეტავი დედილო რას იტყვისო!

_ მე ვთხოვ, რომ გამიშვასო.

_ მაშ, კარგი. რახან ეგრეა, გულახდილად უთხარი ყველაფერი. მხოლოდ გახსოვდეს: როცა გამოემშვიდობები, დედა სამახსოვროდ რაღაცას გაჩუქებს. შენ უთხარი, რომ გაჩუქოს პატარა ლურჯი ქოთანი. ეს ქოთანი ჩვენი სასახლის ყველაზე ძვირფასი განძიაო, _ ურჩია ერთ-ერთმა შვილმა და გაუძღვა დედის ოთახისაკენ.

_ ჩვენი შვილებისაგან მე უკვე ყველაფერი ვიცი. მაშ, დედამიწაზე დაბრუნება გადაწყვიტეო?

_ ჰო, რა ვქნა. მთელი ჩემი სიცოცხლე შრომაში გავატარე, აქ კი უსაქმურობისაგან ადგილს ვეღარ ვპოულობ. დარდი გულს მიღრღნის. მე მიწის შვილი ვარ და მინდა, მიწას დავუბრუნდეო.

_ რაკი ასეა, მეც სათქმელი აღარაფერი მაქვს, მაგრამ წასვლის წინ მინდა რამე გაჩუქო. აჰა, შენ თვითონ აირჩიე, რაცა გსურსო.

_ მაშ, კარგი. აი, ის ლურჯი ქოთანი მაჩუქეო.

ამის გაგონებაზე ოტოხიმეს სახე მოეღრუბლა, მერე გაეღიმა და უთხრა:

_ ეს ქოთანი ძვირფასი განძია, მაგრამ შენთვის არაფერი მენანება. წაიღე და გახსოვდეო, _ და ოტოხიმემ მისცა ლურჯი ქოთანი.

დიდი სიყვარულით გამოეთხოვა ქმარი ცოლს, მოხვია ხელი თავის შვილებს და თვალის დახამხამებაში კუნძულ მიაკოს მიწაზე გაჩნდა.

მასარიამ თავისი სოფლისაკენ გასწია, მაგრამ რას ხედავს: სულ გამოცვლილია ყველაფერი. რაღაც უცნაურად და უცხოდ ეჩვენა იქაურობა.

ბევრი ეძება მეთევზემ თავისი სახლი, მაგრამ მისი კვალიც კი აღარსად იყო. იმის ადგილას მშვენიერი ხეივანი გაეშენებინათ.

მასარია თვალებს არ უჯერებდა, ნეტავი სიზმარში ხომ არა ვარო, _ ფიქრობდა.

უეცრად დაინახა, გზაზე მოჩანჩალებს სამოცდაათს მიღწეული, ჯოხზე დაყრდნობილი მოხუცი.

_ ერთი მითხარი, რამ შეცვალა აქაურობა? მე ამ სოფლელი მეთევზე ვარ, მასარია მქვია. სულ ხუთიოდე დღე ვიყავი დრაკონთა მბრძანებლის სასახლეში და უკვე ვეღარაფერსა ვცნობო.

_ რაო, მასარია მქვიაო? ჩვენ გვყავდა ერთი მეთევზე მასარია. ორმოცდაათი წლის წინათ წავიდა ზღვაზე და იქიდან უკან აღარ დაბრუნებულა. მოჩვენება

ხომ არა ხარ? ფუი ეშმაკს! შორს ჩემგანო! _ და მოხუცმა მასარიას ჯოხი მოუქნია.

აი, სასწაული თუ გინდა, სწორედ ეს არისო, _ გაიფიქრა მასარიამ და სოფლის ბოლოს ტბისკენ ბორძიკით გასწია.

ტბასთან ჩაიმუხლა და დაინახა, რომ წყლიდან ოცი წლის ჭაბუკი კი არა, ჭაღარა, დანაოჭებული მოხუცი შემოჰყურებს, აი, ისეთი, წეღან რომ შეხვდა გზაზე.

_ ვაი, მე საცოდავს, ეს რა მომივიდა, რა ღმერთი გამიწყრა. რამ წამიყვანა იმ ოხერ დრაკონთა სამეფოში! მე მეგონა, მარტო ხუთიოდე დღე დავრჩი იქ. თურმე ორმოცდაათი წელი გასულა. ვაი, ჩემო ახალგაზრდობავ, _ ქვითინებდა მასარია.

გამწარებულმა მასარიამ ლურჯი ქოთანი შეაჯანჯღარა. ქოთანში რაღაც შეჭანჭყარდა. სასწრაფოდ მოხსნა სარქველი და ძველი ღვინის სუნი ეცა.

_ ეტყობა, ძვირფასი ღვინოა. ჯანდაბას ჩემი თავი, ამ ჯავრიან გულზე ერთი ლაზათიანად გამოვთვრებიო, _ მოიყუდა ქოთანი და გამოცალა.

ღვინომ თბილად დაუარა მთელ სხეულში. მასარიამ ხელი მოისვა სახეზე და მიხვდა, რომ შეიცვალა. ჩაიხედა მდინარეში და სიხარულით ტაში შემოჰკრა: ის ისევ ოცი წლის ჭაბუკად ქცეულიყო.

_ აი, თურმე რა ძალა ჰქონია ამ ქოთანს! აფსუს, რომ გამოვცალეო!

და კვლავ შეაჯანჯღარა ქოთანი. შეაჯანჯღარა და გაოცდა: ქოთანი ისევ პირთამდე ავსებულიყო ღვინით.

აი, საოცრება! დალიე, რამდენიც გინდა! ეს ისევ დალოცვილ ანკარა წყაროსავით მორაკრაკებს. ქოთანში ღვინო არასოდეს არ გამოილევა. სიხარულისაგან აღარ იცოდა, რა ექნა.

_ მე შემიძლია, ხალხსაც დავეხმარო, ღვინო ხომ ყველას ეყოფაო.

გახარებული მასარია მთელ კუნძულს უვლიდა და ყველას უამბობდა თავისი ჯადოსნური ქოთნის ამბავს: დალევს ღვინოს მოხუცი _ გაახალგაზრდავდება, დალევს მომაკვდავი და, მომჯობინდებაო.

ჯადოსნური ქოთნის ამბავი ახლომახლო კუნძულებსაც მოედო. ხალხის ბრბო მოაწყდა მასარიას სახლს.

ზოგი თავისი ფეხით მოდიოდა, ზოგი კი, ვისაც სიარული არ შეეძლო, მოჰყავდათ. ასე მისდევდა დღეს დღე, მაგრამ, როგორც იტყვიან, სიხარულსა და მწუხარებას შორის ძალიან ცოტა მანძილია.

ერთხელ მასარიას სამჯერ უფრო მეტი ხალხი მოადგა კარს, ვიდრე სხვა დროს მოსდიოდა ხოლმე. ისინი რომ გაისტუმრა, დაღლილ-დაქანცულს ის იყო ტკბილად ჩაეძინა, რომ ვიღაცამ კარს ისეთი ბრახაბრუხი აუყენა, თითქოს ჩამოგდება უნდაო.

_ ეი, მასარია, გააღე ჩქარა კარი, შორეული კუნძულიდან ნავით ავადმყოფი მოვიყვანეთ. ძლივსღა სუნთქავს. დაალევინე შენი სასწაულმოქმედი ღვინო, ნებით თუ არ გააღებ კარს, ძალით შემოვამტვრევთო!

მასარია თვალების ფშვნეტით ადგა.

_ ესღა მაკლდა! რა გაღრიალებთ, მადლობის მაგიერია? მე უფასოდ ვასმევ ამ ღვინოს ყველას, ვისაც უჭირს, და თქვენ კი ამ შუაღამეს აურზაური ატეხეთ. ნეტავი რა მასიამოვნა ამ ქოთანმა, წვალების მეტი არაფერი მინახავს. ეშმაკმაც წაიღოსო!

სიტყვა არც კი ჰქონდა დამთავრებული, რომ უეცრად ქოთანი შუაზე გასკდა, მისი ნამტვრევები ორ გედად გადაიქცა და ზღვისაკენ გაფრინდნენ.

მასარია ყვირილით გამოედევნა უკან, მაგრამ გვიან იყო. იმწუთშივე მასარია მოხუცად იქცა. ისინიც, ვინც ქოთნის ჯადოქრობით გაახალგაზრდავდნენ, ისევ მოხუცებად იქცნენ. ისინი კი, ვინც მოარჩინა _ დაიხოცნენ.

აი, რა მოხდა დიდი ხნის წინათ.

<u>როგორ გადაიქცა ბრინჯის ღვეზელები ბაყაყებად</u>

ძველ დროში ერთი რძალ-დედამთილი ცხოვრობდა.

ერთხელ დღესასწაულზე ბრინჯის ღვეზელები იყიდეს. რძალ-დედამთილი გემრიელად შეექცა. თეფშზე რამდენიმე ნაჭერიღა დარჩათ.

დედამთილმა სუფრა აალაგა. ღვეზელის შენახვა რომ დააპირა, სიხარბემ დასძლია და გაიფიქრა: დილით უფრო გემრიელი იქნება ეს ღვეზელი. ესღა მაკლია, ჩემს უქნარა რძალს შევუნახოო.

_ ეი! ღვეზელებო, ყური მიგდეთ, რას გეტყვით: დაგინახავთ თუ არა ჩემი რძალი, ბაყაყებად იქეცით! გაფრთხილებთ, არ დაგავიწყდეთო, _ რამდენჯერმე გაუმეორა დედაბერმა ეს სიტყვები და ღვეზელებიანი ყუთი კარადაში შეინახა. იმან არ იცოდა, რომ რძალმა ყველაფერი თავისი ყურით გაიგონა.

დილით რძალი ალიონზე წამოდგა, ამოიღო ყუთიდან ღვეზელები, მის მაგივრად ბაყაყები ჩასვა და ყუთი თავის ადგილას დადგა.

დედამთილს გაეღვიძა და მოუთმენლად ელოდა, რძალი როდის წავიდოდა მინდორში. ის იყო რძალმა კარი გაიხურა და, მოხუცმა ისკუპა კარადისაკენ, ახადა ყუთს სახურავი და უეცრად...

_ ყი, ყი, ყი... _ სკუპ-სკუპით გადმოხტნენ ბაყაყები და აქეთ-იქით მიმოიფანტნენ.

_ ეი, ღვეზელებო, ღვეზელებო, რამ დაგაბრმავათ, ჩემი რძალი კი არა, მე ვარ! სულელებო, საით მიხტიხართო!

დიდხანს სდია დედაბერმა, მაგრამ, აბა, რაღას გახდებოდა.

<u>ბრიყვების ქვეყანა</u>

ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა ქვეყანას ბრიყვი და შურიანი თავადი მასაუკი მართავდა. ამ თავადზე ბრიყვები კიდევ მისი მრჩევლები იყვნენ.

თავად მასაუკის არ უყვარდა ჭკვიანი და გონიერი ადამიანები. საკმარისი იყო მის სამთავროში ჭკვიანი ადამიანი გამოჩენილიყო, რომ იმ უბედურს სამუდამოდ აძევებდნენ სამშობლოდან.

ერთხელ თავადს საყვარელი ძაღლი დაეკარგა. სამთავროს ყოველ კუთხეში გაგზავნეს მსახურები და მკაცრად უბრძანეს: უძაღლოდ არავინ დაბრუნებულიყო სასახლეში.

ამ ძებნა-ძებნაში ერთმა მსახურმა ბრინჯის პატარა ნაკვეთის გვერდით ჩაიარა. სწორედ იმ დროს ბოსტანში ბაბუა რისკე მუშაობდა. ეს იყო სამთავროში დარჩენილი ერთადერთი ჭკვიანი ადამიანი. დანარჩენები სამთავროდან დიდი ხნის წინ გაერეკათ სამურაებს.

ყოველ შემთხვევისათვის, მსახურმა ბაბუა რისკეს ჰკითხა:

_ ერთი მითხარი, აქ თავადის ძაღლს ხომ არ ჩამოურბენიაო?

ბაბუა რისკე წელში გაიმართა და უთხრა:

_ ჩვენი თავადის ძაღლს? ერთი ბეწო ფინიას? ყურები რომ მიწაზე დასთრევს და წინა ფეხით რომ კოჭლობსო?

_ ჰო, ჰო, სწორედ იმას! ჩქარა მითხარი, საით გაიქცაო.

_ საით გაიქცა? რა ვიცი, საით გაიქცა, მე თვალიც არ მომიკრავსო.

_ როგორ თუ თვალიც არ მოგიკრავს, მაშინ საიდან იცი, როგორიაო?

_ საიდან? ამას რა ცოდნა უნდა! გზაზე პატარა ძაღლის ნაკვალევი შევამჩნიე. ჩვენს სოფელში ასეთი პატარა ძაღლი არავის ჰყავს. ქვიშაზე კარგად აჩნდა სამი ფეხის ნაკვალევი, მეოთხე ფეხისა კი ძლივს მოჩანდა. ჰოდა, მივხვდი, რომ ძაღლი ცალი ფეხით კოჭლობდაო.

_ ის საიდანღა იცი, რომ ყურები მიწაზე დასთრევსო?

_ საიდან? ფეხის ნაკვალევს ორივე მხარეს უწყვეტი კვალი მისდევდა და მივხვდი, რომ ძაღლს ყურები მიწაზე დასთრევდაო.

_ ერთი სიტყვით, არ გინახავს ძაღლი ხომ? მაშინ ის ნაკვალევი მიჩვენეო.

ბაბუა რისკემ მსახური გზაზე გაიყვანა და ისიც სწრაფად გაჰყვა ძაღლის ნაკვალევს. მალე მსახურმა თავადის ფინიაც დაინახა. ძაღლი ჩაცუცქულიყო, გარშემო მთელი სოფლის მშვენიერი ძაღლები შემოხვეოდნენ, იჯდა და შიშისაგან ცახცახებდა.

მსახურმა ხელი დასტაცა ძაღლს და სასახლისკენ გაიქცა.

_ ჩემი საყვარელი ძაღლი როგორ იპოვეო? _ გაიხარა თავადმა.

მსახურმა უამბო ბატონს, როგორ აპოვნინა ბაბუა რისკემ დაკარგული ძაღლი. თავადი მოიღუშა:

_ ახლა იმ სოფლელ არარაობას უნდა ეგონოს, რომ ისეთი რამ იცის, რაც მე არ ვიციო!

მეორე დღეს თავადს ცხენი დაეკარგა და ისევ აფრინეს მსახურები ოთხივ კუთხით ცხენის საძებნელად. ერთმა მსახურმა ისევ შეიარა ბაბუა რისკესთან.

_ პატივცემულო მოხუცო, აქ ახლომახლო თავადის ცხენს ხომ არ ჩაურბენიაო? _ ჰკითხა მსახურმა.

_ თავადის ცხენს? თეთრფაფარიანს? თითქმის ერთი კენის[1] სიმაღლის რომ არისო?

_ ჰო, ჰო, მითხარი ჩქარა, საით წავიდაო?

_ საით? რა ვიცი, მე ის ცხენი არასოდეს მინახავსო.

_ როგორ თუ არ გინახავს? მაშ, საიდან იცი, როგორიაო?

_ საიდან? ახლავე გეტყვი: გზაზე ცხენის ნაკვალევი დავინახე. გზის ორივე მხარეს ჩარიგებულ ხეებზე ფოთლები ერთი კენის სიმაღლეზე იყო ჩამოჭმული, ცოტა ქვემოთ კი ქარი ტოტებზე წამოდებული ფაფრის თეთრ ბალანს აფრიალებდაო.

_ ერთი სიტყვით, ცხენი არ გინახავს, ხომ? მაშ, ნაკვალევი მაინც მაჩვენეო.

ბაბუა რისკემ, ამ ერთადერთმა ჭკვიანმა ადამიანმა, მსახური გზაზე გამოიყვანა და ნაკვალევი აჩვენა. მალე მსახურმა დაინახა, თეთრფაფრიანი ცხენი ბალახს ძოვდა და აბეზარ ბუზებს კუდის ქნევით ზანტად იგერიებდა.

როცა მსახური ცხენით მიადგა სასახლეს, გახარებულმა თავადმა ჰკითხა:

_ ჩემი საყვარელი ცხენი როგორ იპოვეო?

მსახურმა ყველაფერი უამბო.

ისევ შეიჭმუხნა წარბები თავადმა:

_ ამ თავხედმა მოხუცმა სულ არ იცის თავის დაჭერა! ერთხელ კიდევ თუ გავიგე, რომ მან ისეთი რამე იცის, რაც მე არ ვიცი, ჩემს დიდებულ სამთავროდან მაშინვე გავაძევებო.

თავადის მუქარა ჭკვიანი მოხუცის ყურამდე მივიდა. მოხუცმა კარგად დაიმახსოვრა ეს სიტყვები.

გავიდა ერთი კვირა და თავადის ციხიდან ერთი ტუსაღი გაიქცა. თავადს ბრაზი ახრჩობდა: იმ ტუსაღისათვის დილით თავი უნდა მოეკვეთათ. თურმე ამ გლეხს დღესასწაულზე ზედმეტი ჭიქა საკე გადაეხუხა და მთელი სოფლის გასაგონად დაეყვირა:

_ ჩვენი თავადი ჩვენს ქვეყანაში პირველი ბრიყვიაო!

და, აი, სწორედ ასეთი დამნაშავე გაიქცა! რამდენი არ ეძებეს, მაგრამ ვერაფრით ვერ იპოვეს. მცველებმა დაინახეს, რომ ლტოლვილი ბაბუა რისკეს სახლისკენ გარბოდა, პოვნით კი ვერ იპოვეს.

ბაბუა რისკე თავისი სახლის წინ იჯდა და იცინოდა. მოხუცი მიხვდა, ტუსაღი მუხის კენწეროზე დაიმალაო. ჭკვიანმა რისკემ შეამჩნია, რომ მუხას ყვავები დასტრიალებდნენ და დაჯდომას კი ვერ ბედავდნენ.

მცველებმა სტაცეს ხელი რისკეს და სასახლეში მიიყვანეს.

_ თქვი, დამნაშავე სად დაიმალაო! _ უყვიროდა თავადი.

_ არ ვიცი, აბა, საიდან უნდა ვიცოდე ისეთი რამ, რაც თავადმა არ იცისო? _ მიუგო მოხუცმა გლეხმა.

_ მცველებმა თქვეს, რომ შუადღისას შენი ქოხის ფანჯრის წინ ჩაირბინა! უქნარავ, ალბათ იმ დროს გეძინაო.

ბაბუა რისკემ უპასუხა:

_ თავადმა ალბათ არ იცის, რომ გლეხები მზის ამოსვლამდე დგებიან და გვიან ღამით წვებიანო?

_ მაშ, შენ ის გცოდნია, რაც მე არ ვიცი. ჰეი, მცველებო, ეს მოხუცი ჩემი სამფლობელოდან გააგდეთო!

ბრიყვმა ჯარისკაცებმა სტაცეს ხელი უკანასკნელ ჭკვიან კაცს _ ბაბუა რისკეს _ და ქალაქიდან გააგდეს.

სამთავროში არც ერთი ჭკვიანი ადამიანი აღარ დარჩა.

ამის შემდეგ ამ სამთავროს ყველანი ბრიყვების ქვეყანას ეძახდნენ.

მოქანდაკე და ხვლიკი

ძველ დროს ცხოვრობდა ერთი კარგი მოქანდაკე, მაგრამ არავინ იცნობდა ამ მოქანდაკეს და სიღარიბისთვის თავი ვერ დაეღწია იმ საცოდავს.

ერთ დღეს თავისი სახლის უკან, ბაღში, დაინახა, რომ ქვაზე ხვლიკი თამაშობდა, კუდს კლაკნიდა და მზეზე ვერცხლისფრად ბზინავდა.

მოქანდაკეს ისე მოეწონა ხვლიკი, თვალი ვერ მოაშორა. დიდხანს ტკბებოდა იმისი ცქერით, ბოლოს გადაწყვიტა, გამოეძერწა სწორედ ასეთი ხვლიკი. საჩქაროდ გამოძერწა ხვლიკის ყალიბი და მერე ვერცხლისა ჩამოასხა. კარგი გამოვიდაო, _ გაიფიქრა და ძვირფასი სამკაული დუქანში წაიღო გასაყიდად.

ერთ დღეში გაიყიდა ხვლიკი. ეს დღე იყო და, ხალხში ხმა გავარდა, ამა და ამ მოქანდაკეს ასეთი და ასეთი ვერცხლის ხვლიკი გაუკეთებიაო.

ყველას მოუნდა, ასეთი ხვლიკი ჰქონოდა, ყველა ამ ხვლიკს უკვეთავდა. ისიც აკეთებდა და ყიდიდა.

ნელ-ნელა გამდიდრდა მოქანდაკე. მაგრამ ერთი რამ იყო უცნაური: ზამთარი იყო თუ ზაფხული, პაპანაქება იყო თუ არემარე თოვლით გადათეთრებული, როცა არ უნდა გასულიყო მოქანდაკე ბაღში, ხვლიკი ისევ იმ ქვაზე თამაშობდა. მოქანდაკე მიხვდა, რომ იმის მეტი ვერავინ ამჩნევდა ხვლიკს. ამ ამბავმა შეაშინა მოქანდაკე. ბევრი აღარ უფიქრია, აიღო ქვა, დაარტყა ხვლიკს და მოკლა.

ამ დღიდან მისმა ვერცხლის ხვლიკმაც დაკარგა სილამაზე, ხალხიც აღარ ყიდულობდა მის ნამუშევარს. მალე მოქანდაკე გაღატაკდა და მისი სახელიც ყველას გადაავიწყდა.

ცალთვალათა ქვეყანა

ძველად ერთი კაცი ცხოვრობდა, სულ იმის ცდაში იყო, ნეტავი, იოლ სამუშაოზე დამაყენაო.

იშოვიდა სამუშაოს.

_ უჰ, ამაში რა სარფააო.

ბოლოს მოჰკრა ყური, ერთი კუნძულია, ამ კუნძულზე სულ ცალთვალა ხალხი ცხოვრობსო.

ნეტავი ცალთვალა კაცი ჩამაგდებინა ხელში, ხალხს ვაჩვენებდი და ბლომა ფულს ავიღებდი. მაიმუნის ტარებას ესა სჯობიაო, _ გაიფიქრა.

ჩაჯდა ნავში და გასწია ზღვის იმ კუნძულის საძებნელად, სადაც ცალთვალა ხალხი ცხოვრობდა.

დიდხანს იცურა ზღვაში, ბევრ ხიფათს გადაეყარა, სანამ მიადგებოდა იმ მიუვალ კუნძულს.

უცებ, უღრანი ტყიდან ველური კაცი გამოვიდა. შუბლზე ერთი თვალი ჰქონდა.

გაუხარდა ზარმაცს: ამ მახინჯს ჩემს ნავში მოვიტყუებო.

ამ დროს კი ცალთვალამ ატეხა ყვირილი:

_ ხალხნო, ხალხნო, ჩქარა მოდით აქ! ეს რა საშინელება დაგვატყდა თავს: ზღვის გაღმიდან ორთვალა კაცი მოგვადგაო.

ყვირილზე მოცვივდა ხალხი. სულ ცალთვალები იყვნენ. სტაცეს ხელი ორთვალა უქნარას და იმ დღიდან თავიანთი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში ხალხის საჩვენებლად დაატარებდნენ.

სულ ჩხრიალ-ჩხრიალით მოდიოდა ვერცხლის ფულები, ფულს არავინ იშურებდა ამ საოცრების სანახავად.

<u>როგორ მიდიოდა ცოლი სახლიდან</u>

ერთ ცოლიან კაცს მოეწონა მეზობლის ქალი და მოუხშირა მათთან სტუმრობას.

_ ჩემი ცოლი არც კი შეედრება. აი, ქალი ასეთი უნდა იყოს! ჩემი ცოლი მუდამ ტურტლიანია, კაცს შეხედვა შეეზარებაო.

ამ კაცის ცოლი მუშა ქალი იყო. გარიჟრაჟიდან შუაღამემდე თავაუღებლად საქმიანობდა, სად ეცალა დასასვენებლად და საკოხტაოდ.

ერთხელ ქმარმა უთხრა:

_ რასა ჰგავხარ, მომბეზრდა შენი ყურება, წადი, მომშორდი თავიდანო.

რა ექნა საბრალო ქალს, შეუდგა სამზადისს. შეკრა თავისი ბარგი, ჩაიცვა ძვირფასი კაბა, ლამაზად დაივარცხნა თმა, ფერ-უმარილი წაისვა.

ქმარმა რომ შეხედა, განცვიფრდა, ამას როგორ მოვიშორებ, ჩემი ცოლი მეზობლის ქალს სჯობსო.

ცოლი მორჩა საგზაო სამზადისს და ქმარს უთხრა:

_ მშვიდობით იყავი, მადლობელი ვარ ყველა სიკეთისათვის. თუ რამე დავაშავე, მაპატიეო.

და წასვლა დააპირა. ქმარმა გზა გადაუღობა.

_ სამზარეულოზე ნუ გაივლი, ჩემი სამზარეულოაო.

ცოლმა საწოლი ოთახისაკენ გაიწია. აქაც გადაეღობა ქმარი.

_ არც აქედან გაბედო გასვლა, ჩემი საწოლი ოთახიაო.

ცოლმა აღარ იცოდა, რა ექნა. ბოლოს სასტუმრო ოთახისაკენ წავიდა.

_ ერთი მითხარი, შენ სტუმარი ხომ არ ხარ, სასტუმრო ოთახზე რომ გადიხარო! _ უყვირა ქმარმა.

ცოლი შეჩერდა.

_ აქედან არ შეიძლება, იქიდან არ შეიძლება, მაშ, რა ვქნაო!

_ რა ქნა და, როცა სხვა გზა არა გაქვს, შინ დარჩიო.

ამ დღიდან ტკბილად ცხოვრობდნენ და ის კაცი მეზობელთან მისული აღარავის უნახავს.

ნახევარი ჰექტარი მიწა

სოფელ ოკუში ცხოვრობდა ერთი მდიდარი კაცი, რომელიც უამრავ მიწის ნაკვეთს ფლობდა. ამ მიწებიდან ერთი ნახევარი ჰექტარი იყო და, რატომღაც, უმიჯნო მინდორს ეძახდნენ.

ყოველ წელიწადს, მაისში, როცა ბრინჯის თესვის დრო დადგებოდა, მდიდარი მუშებს ქირაობდა ხოლმე და, თუ თესვას ერთ დღეში მორჩებოდნენ, მის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა.

მართალია, ყოველთვის ვერ ესწრებოდა ყველა მიწის ერთ დღეში დათესვა, მაგრამ 'უმიჯნო მინდვრის» დათესვა კი ერთ დღეში, მზის ჩასვლამდე, უსათუოდ უნდა მოესწროთ.

აი, ასეთი ახირება სჭირდა მდიდრის ოჯახს. ერთხელაც მდიდარმა სხვა მუშებთან ერთად ერთი წყნარი, ლამაზი გოგონა დაიქირავა. ამ გოგონას გლეხური საქმეები ისე ემარჯვებოდა, ქვეყანაზე ბადალი არა ჰყავდა.

მდიდარს ძალიან მოეწონა გოგონა და გადაწყვიტა, თავის ვაჟისთვის მიეთხოვებინა.

ერთ დღეს მდიდარმა ნათესაობა შეკრიბა და რჩევა ჰკითხა: ასე და ასე მწადია, თქვენ რას იტყვითო.

_ სად გაგონილა, მდიდრის შვილმა ვიღაც გლეხუჭა შეირთოსო, _ გაცხარდნენ ნათესავები.

იდავეს, ბევრი იდავეს და ბოლოს გადაწყვიტეს: თუ გოგონა ერთ დღეში, მზის ჩასვლამდე, მოასწრებს 'უმიჯნო მინდვრის» დათესვას, რა გაეწყობა, რძლად მივიღოთო.

ადგნენ და, რაც გადაწყვიტეს, გოგონასა უთხრეს. გოგონა სიხარულისაგან ფეხზე ვეღარ დადგა. სულ მალე ის დღეც დანიშნეს, როცა ‘უმიჯნო მინდორი» უნდა დაეთესათ.

გოგონას მოსვენება დაეკარგა. მოუთმენლად ელოდა გათენებას. დილაადრიანად, როგორც კი მზე ამოიწვერა, გოგონამ მინდორს მიაშურა, და ისეთი გამალებით შეუდგა საქმეს, გეგონებოდა, ნათესი კვლები ფეხდაფეხ თავისით მისდევენო.

მართალია, მაისის დღე გრძელია, მაგრამ ნახევარი ჰექტრის დათესვა გაუჭირდა ერთ ადამიანს.

შუადღემ ისე მოატანა, გოგონას პირში ლუკმა არ ჩაედო. ეხლა ჩემთვის დრო ძვირფასიაო, _ ფიქრობდა და მუშაობაში გართულს თავი არც აუწევია მაღლა. ნეტავი კი მოვასწროო, _ ნატრობდა.

ამასობაში ხალხი ბლომად შეიყარა მინდორში. იდგნენ და, თან ამხნევებდნენ, თან აჩქარებდნენ გოგონას: ჩქარა, ჩქარაო.

მზე თანდათან დასავლეთისაკენ გადაიხარა და ნელ-ნელა მთის იქით ჩაეშვა, ნახევრად ჩაიმალა კიდეც. ჩრდილიც ჩამოწვა. გოგონას კი ერთი კვალი კიდევ რჩებოდა დასათესი.

რა უნდა ექნა? შეშფოთებულმა ცისკენ აღაპყრო ხელები და მზეს შეღაღადა:

_ ნუ ჩახვალ, მზეო, ცოტა ხანს შეჩერდიო!

უცებ, მზე მართლა შეჩერდა, ისევ მაღლა აიწია და კვლავ მოჰფინა სხივები არემარეს.

გოგონამ უფრო გამალებით განაგრძო თესვა. ჩაათავა უკანასკნელი კვალი და მზეც ჩაეფარა მთებს.

ამ სანახაობით განცვიფრებული ხალხი გაქვავდა. შემდეგ, როცა გონს მოეგნენ, დაინახეს, რომ გოგონა უსულოდ ეგდო მიწაზე.

აბა, როგორ შეძლებდა პატარა გოგონა იმხელა მინდვრის ერთ დღეში დათესვას?!

მას შემდეგ მდიდრის ოჯახმა კარგი ვეღარ ნახა და სულ მალე გაღატაკდა კიდეც.

ახლა სოფელ იუკოში აღარავის აქვს დიდი მინდორი, იმ ადგილს კი, რომელსაც გოგონა ემსხვერპლა, ‘ნახევარი ჰექტარი მიწა» ჰქვია.

ახალგაზრდა იურივაკას მოგზაურობა[1]

ეს ამბავი ათასი წლის წინათ მოხდა. ცხრა პროვინციის[2] მმართველს, საძიოს, ჰყავდა ვაჟიშვილი, სახელად იურივაკა. პატარაობიდანვე მარჯვე ბიჭი იყო. მშვილდის ხმარებაში ხომ ბადალი არა ჰყავდა მთელს იმ მხარეს. ისე კი უნდა ითქვას, ბედიც სწყალობდა ყველაფერში.

ასეთ ვაჟკაცს ცოლიც შესაფერისი ჰყავდა. კეთილი და ლამაზი ქალი იყო კასუგა-ხიმე.

ერთხელ სირაგის მხარეს დიდი არეულობა ატყდა. დაიწყეს თავდასხმები ცხრა პროვინციის ნაპირებზედაც.

სასწრაფოდ გაიცა ბრძანება: ამ არეულობის დასაწყნარებლად იურივაკა ზღვით უნდა წასულიყო სირაგის მხარეს დიდძალი ჯარით.

მეტი გზა არ იყო, დროებით უნდა გამოსთხოვებოდა იურივაკა ცოლს.

_ მშვიდობით, კისუგა-ხიმე, არ იდარდო, მე აუცილებლად დავბრუნდებიო.

_ მშვიდობით, ჩემო კარგო. თავს გაუფრთხილდი. წინ ძნელი გზა გიდევს. მე კი მუდამ შენი ერთგული დავრჩებიო.

გავიდა სამი წელი.

იურივაკამ დიდი ბრძოლები გადაიტანა, ბოლოს გაიმარჯვეს და გემებით თავისი ქვეყნისაკენ აიღეს გეზი.

დაღლილ მეომრებს დასვენება სწყუროდათ. შუა ზღვაში ერთი კუნძული დაინახეს და გადაწყვიტეს, იქ დაესვენათ. გადავიდნენ ნაპირზე და დაბანაკდნენ. რომ შეღამდა, გამარჯვების საზეიმოდ დიდი ნადიმი გამართეს.

იურივაკას დიდი ხანია წვეთი ღვინო არ ჩაუშვია პირში. ახლა კი ზომაზე მეტი დალია, კარგა ლაზათიანად დათვრა და მკვდარივით დაეძინა.

მეომრებში ორი ძმა ერია: კარანაკა და მოტომასა. ძმებს ძალიან ეჯავრებოდათ იურივაკა. შურით კვდებოდნენ, რაკი ყველა იმის სიმამაცეზე და იმის ვაჟკაცობაზე ლაპარაკობდა. ითათბირეს და გადაწყვიტეს, თავიდან მოეშორებინათ იურივაკა.

ჭორები შეთითხნეს, სხვა მეომრებიც მოატყუეს, ჩასხდნენ გემებში და გასწიეს იაპონიისაკენ. მამაცი იურივაკა კი მარტოდმარტო დატოვეს უკაცრიელ კუნძულზე.

იაპონიაში რომ ჩავიდნენ, ძმებმა ხმა დაარხიეს:

_ ჩვენი სარდალი იურივაკა ბრძოლაში მოკლესო.

ხალხმა დაიჯერა. ძმებმა გულის წადილი აისრულეს: ხალხმა დიდი პატივით მიიღო ორივენი და მხედართმთავრობაც უბოძა. ბოლოს ძმები ისე გაძლიერდნენ, ცხრა პროვინციის მმართველობაც ხელში ჩაიგდეს.

კასუგა-ხიმეს მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა, დღედაღამ თვალწინ იურივაკა ედგა, იგონებდა გამოთხოვების დღეს და მწარე ცრემლებს ღვრიდა.

ერთ დღეს კასუგა-ხიმესთან მივიდა კარანაკასაგან გამოგზავნილი შუამავალი და სთხოვა, მის ბატონს ცოლად გაჰყოლოდა. კასუგა-ხიმეს სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა, სიკვდილი მირჩევნიაო.

_ აღარ გაბედო და ეგ აღარ თქვა. მე ქმარი მყავს და სხვას არ გავყვებიო!

ხან აქედან მოუარეს, ხან იქიდან, მაგრამ კარანაკა ვერაფერს გახდა, ვერ აისრულა სურვილი. ბოლოს ისე გაცეცხლდა, ბრძანა, კასუგა-ხიმე დილეგში ჩაეგდოთ.

იურივაკას ბანგდალეულივით ეძინა მთელი ღამე. გათენებისას თვალი გაახილა და მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ვერავინ დაინახა: აღარც მეომრები

იყვნენ და აღარც თეთრი იალქნები ჩანდა ზღვაში. მთელი კუნძული მოცარიელებული იყო. მიხვდა, მარტოდმარტო მიმატოვესო. ამ გაჭირვებაში იმედად დარჩენოდა ძლიერი მშვილდი და ერთგული შავარდენი ფუტიმარუ.

იურივაკა მწარე დარდს მიეცა.

_ ფუტიმარუ! შენა ხარ ჩემი ერთადერთი მეგობარი. თუმცა მე სროლაში ვერავინ მჯობნის, ამ უკაცრიელ კუნძულზე ვეღარც ეგ მიშველისო.

შავარდენმა თითქოს გაიგოო, რაც ბატონმა უთხრა, აფრინდა ჰაერში და მოჰყვა ჭყივილს, თითქოს უნდოდა, გაემხნევებინა.

კუნძულზე ნადირიც ბევრი იყო, ხეხილიც და თევზიც. იურივაკამ იფიქრა, ნანადირევით ერჩინა თავი; იმისი ნასროლი ხომ მიზანს არ ასცდებოდა! ასე გადიოდა დღეები.

დილეგში ჩაგდებული საბრალო კასუგა-ხიმე კი ოხვრაში აღამებდა და ათენებდა. ნატრობდა, ნეტავ მომკლა, ჩემი სიცოცხლე აღარა ღირსო. მაგრამ უცბად თავიდან იშორებდა ამ ფიქრს: ჯერ ადრეა იმედის დაკარგვა! იქნებ იურივაკა ცოცხალიაო.

ერთ დღეს კასუგა-ხიმეს ფრინველის ფრთების ტყლაშუნი შემოესმა. გაიხედა სარკმელში და რასა ხედავს: ციდან ტრიალ-ტრიალით ძირს ეშვება შავარდენი.

_ ეს ხომ ფუტიმარუა! ფუტიმარუ... მაშ, იურივაკა ცოცხალიაო!

კასუგა-ხიმეს სიხარულისაგან გულმა ისე დაუწყო ბაგაბუგი, თითქოს ბუდიდან გადმოვარდნას ლამობსო.

_ გაფრინდი, ფუტიმარუ! ჩქარა გაფრინდი, შენ ბატონს ეს პატარა ბარათი წაუღეო!

იურივაკამ ცოლის ბარათი რომ წაიკითხა, სახე მოეღრუბლა.

_ ჩემს მტრებს ქალიც კი არ დაუნდიათო.

და გადაწყვიტა, სასწრაფოდ პასუხი მიეწერა, მაგრამ რით მიეწერა?

ბოლოს თითი გაიჭრა, წამოსასხამის ნაგლეჯზე სისხლით დაწერა ლექსი და თავისი ერთგული შავარდენი ცოლთან გაგზავნა.

კასუგა-ხიმემ ბარათი რომ წაიკითხა, სიბრალულის ცრემლები წასკდა. მელნით სავსე სამელნე აიღო და შავარდენს მიაბა ფეხზე. შავარდენს ფეხი დაუმძიმდა, ძლივძლივობით აფრინდა. იფრინა, იფრინა, ძლიერ დაიქანცა, ვეღარ შეძლო ფრენა და ზღვაში ჩავარდა.

გავიდა რამდენიმე დღე. იურივაკა მოუთმენლად ელოდა ერთგულ მეგობარს. და, აი, ერთ დღეს ტალღებმა ნაპირზე გამორიყა უსულო ფუტიმარუ.

იურივაკამ კუნძულზე დაასაფლავა ერთგული მეგობარი.

დაასაფლავა და სულ მარტო დარჩა საბრალო იურივაკა. ყოველდღე ადიოდა მთაზე და გაჰყურებდა ზღვას, იქნებ სადმე იალქანი გამოჩნდესო. ერთხელ ძალიან შორს შეამჩნია მეთევზის პატარა ნავი, გაუკვირდა: სიზმარში ვარ თუ მართლა ნავიაო.

_ ეჰეი, მეთევზეებო! აქეთ, აქეთ მოაცურეთ ნავი! მე იურივაკა ვარ, ბუნგოს ქვეყნიდან![1] _ რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჰყვიროდა.

მეთევზეებმა გაიგეს ეს ყვირილი და დაინახეს კიდეც, მაგრამ იმის მაგივრად, რომ მოახლოებოდნენ, მიატრიალეს ნავი და შორს გაცურეს.

_ ეჰეი, ეჰეი, ხალხო! მე იურივაკა ვარ! რამ დაგაყრუათ, მიშველეთ, წამიყვანეთ! ლანდი ხომ არა გგონივართ, რამ დაგაბრმავათ, ადამიანი ვარო!

ტყუილად გაჰყვიროდა საბრალო. დაიხედა თავის თავზე და მწარედ გაეცინა, მართლაც ლანდსა ჰგავდა: აბურძგნილი თმა-წვერი გრძლად ჩამოშლოდა, ტანსაცმლის მაგივრად ძონძები ეკიდა ტანზე.

ამ გაჭირვებაში დაჰყო იურივაკამ ორი წელი. ერთ დღეს გემი მიადგა კუნძულს და იურივაკა თავის ქვეყანაში წაიყვინა.

ამ დროს იქ დიდი დღესასწაული იყო: მშვილდის სროლაში გაემართათ შეჯიბრი.

_ აბა, ვინ არის თქვენში ღონიერი! გამოდით, სცადეთ თქვენი ძალა, _ და კარანაკამ უზარმაზარი რკინის მშვილდი აჩვენა ხალხს. გულში კი ფიქრობდა, ამის ხმარებას ვინ შეძლებსო!

ამ დროს ბრბოს გამოეყო იურივაკა და ნელი ნაბიჯით გასწია მშვილდისაკენ. ხალხმა ვერც იცნო იურივაკა.

_ ეგრე იყოს, უცნობო, სცადე ბედი. ჩვენ კი სეირს ვუყურებთო, _ ჩაეცინა კარანაკას.

იურივაკამ გრძელი ისარი მშვილდს მოარგო, მოზიდა ძლიერად, ისარმა გაიზუზუნა ჰაერში და, თვალის მოკვრაც ვერავინ მოასწრო, შუაგულ ნიშანში ჩაერჭო. ამას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და...

_ ეს ხომ იურივაკაა!

_ უყურეთ, ის არის, ის არის!

_ იურივაკა დაბრუნდაო! _ აჩოჩქოლდა ხალხი.

მოღალატე ძმებმაც დაინახეს, რომ იურივაკა იყო, და თავის დაძვრენა მოინდომეს, მაგრამ გვიანღა იყო: მეოთხე ისარი შიგ გულში მოხვდა კარანაკას. მოტომასამ გაქცევა დააპირა, მაგრამ მეხუთე ისარმა ისიც დასცა ძირს.

გამარჯვებულ იურივაკას გულმა გაუწია იქითკენ, სადაც თავისი ცოლი ეგულებოდა.

გაიღო დილეგის კარი და ბედნიერი და გახარებული კასუგა-ხიმე გამოიყვანა.

ის დღე იყო და ის დღე, მას შემდეგ ცხრა პროვინციაში მშვიდობიანად და ბედნიერად ცხოვრობს ხალხი.

ხიკოიტის ოინები

1. როგორ მიჰყიდა ხიკოიტიმ თავადს ცოცხალი ქოლგა

დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა ერთი მხიარული და კვიმატი კაცი, სახელად ხიკოიტი.

ერთხელ ხიკოიტიმ ქალაქ იასიროში ქოლგების დუქანი გახსნა. ზემო სართულზე ჭრელი ქოლგა დადო და ყველას არწმუნებდა, ცოცხალი ქოლგა არისო.

_ თუ წვიმა წამოვა, ქოლგა თავისით გაიხსნება, თუ წვიმა გადაიღებს, თავისითვე დაიხურებაო.

გამვლელ-გამომვლელნი დუქნის წინ ჩერდებოდნენ და ერთმანეთში საუბრობდნენ ამ საოცარ ქოლგაზე.

_ მართლაც, რა უცნაური რამ არის! გუშინ წვიმას რომ აპირებდა, ჩემი თვალით დავინახე, ქოლგა ნელ-ნელა გაიშალაო.

_ დღეს კი, უყურე, აღარა წვიმს და ქოლგაც დაიხურაო.

ამ უცნაური ქოლგის ამბავმა თავადის ყურამდეც მიაღწია.

_ ტყუილია, ხიკოიტის რომ ქოლგა აქვს, მაგისთანას მთელ დედამიწის ზურგზე ვერ იშოვი. თვითონ იხსნება და თვითონ იხურება, ჩვენი საკუთარი თვალით ვნახეთო, _ არწმუნებდნენ თავადს.

თავადის გაგზავნილმა მსახურებმაც გაიმეორეს ხალხის ნათქვამი.

_ გასწი ახლავე დუქანში და ის გასაოცარი ქოლგა მიყიდეო, _ უბრძანა თავადმა მსახურს.

მსახური მივიდა ხიკოიტისთან და გადასცა თავადის ბრძანება.

ხიკოიტიმ ყურიც არ შეიბერტყა.

_ რას ამბობ! ის ქოლგა წმინდა თილისმაა, ჩემი ოჯახის ძვირფასი საუნჯე! ჩემთან ყოველდღე ასობით ხალხი მოდის მაგის საყიდლად, მაგრამ მე გაგონებაც კი არ მინდა. ვერავის მივყიდი, თვით თავადსაც კი ვერ მივყიდიო!

ადამიანის გული ხარბია, რაც ძნელი მისაწვდომია, სწორედ ის უნდა. თავადსაც ასე დაემართა. ადგა და ხელმეორედ გაგზავნა მსახური დუქანში.

_ რაც გინდა, ის დააფასე ეგ ქოლგა, ოღონდ მომყიდეო.

ხიკოიტისაც სწორედ ეს უნდოდა.

_ ეჰ, ბარემ ამ ძვირფას განძს მე არავითარ ფასად არ გავყიდიდი, მაგრამ რაღას ვიზამ, თავადის სურვილი ჩემთვის კანონია. აღსრულდეს თავადის სურვილი. წაიღეთო, _ და ხიკოიტიმ დიდძალი ფული მოითხოვა.

მსახურმა თავადს მიუტანა უჩვეულო ქოლგა. ცნობისმოყვარე ხალხი გარეთ გამოეფინა მის სანახავად. პირველი კი თვითონ თავადი მორბოდა.

_ სასწაულმოქმედი ქოლგაა, თვითონ იცის, როდის იცვლება ამინდი! ოჰ, ნეტავი კი წვიმა ჩქარა წამოვიდოდესო, _ ნატრობდა ხალხი.

როგორც იყო, წამოვიდა ნანატრი წვიმა. მთელი ხალხი გარეთ გამოეფინა. თავადიც თავისი ამალით და მეომრებით ელოდა საოცარი ქოლგის ნახვას.

დიდი მოწიწებით გამოიტანეს ეზოში. წვიმამ თანდათან უმატა, ქოლგა კი გაშლას არ აპირებდა.

დიდხანს ელოდა თავადი ქოლგის გაშლას, მოთმინების ფიალა აევსო და გაურისხდა მსახურებს:

_ რად მომატყუეთ, თქვე ყეყეჩებო, ეს არის ცოცხალი ქოლგაო?

შეშინებული მსახურები ფიცულობდნენ: ხიკოიტის დუქანში ცოცხალი ქოლგა ჩვენი თვალით ვნახეთო.

_ აქ მომგვარეთ ხიკოიტი! _ ბრძანა თავადმა.

ხიკოიტი კი ამასობაში თავადის ფულებით დიდ განცხრომაში იყო. დროს ქეიფში ატარებდა და თავადს დასცინოდა, ეს რა კარგი ოინი ვუყავიო.

'ცოცხალი» ქოლგის საიდუმლოება ეს იყო: მოიღრუბლებოდა თუ არა ცა, ხიკოიტი აძვრებოდა სხვენში და ჩუმად გაშლიდა ქოლგას. გამოიდარებდა და, ჩუმად დახურავდა.

ხიკოიტიმ თვალი მოჰკრა თავადის მსახურს, მიხვდა, საქმე ცუდად იყო: იცოდა, სამართალში მიცემა არ ასცდებოდა, და ისევ ხრიკებით სცადა თავის დაძვრენა.

ხიკოიტი თავადს მიჰგვარეს. თავადი გაურისხდა:

_ ოი, შე მატყუარავ, შენა! აკი ამბობდი, ქოლგა ცოცხალიაო! ამდენი ფული რაში დამცინცლე! გარეთ წვიმა ნიაღვარივით მოდის, შენი ქოლგა კი არც ინძრევაო.

ხიკოიტი ჩაფიქრდა.

_ რა ვიცი, მეც მიკვირს მაგისი საქციელი, სხვა დროს ეგ არ მოსვლია და ახლა რა ღმერთი გაუწყრა! მე ხომ გავაფრთხილე თქვენი მსახურები, უძვირფასესი განძია და სათუთად მოექეცით-მეთქი! აბა, ერთი მაჩვენეთო! _ გამოართვა ქოლგა და დაუწყო სინჯვა. უცბად შეჰყვირა:

_ რა გიქნიათ, ეს უბედური შიმშილით მოგიკლავთ. საცოდავი, რა ღონიერი იყო, რა მხიარული! მე ისე ვატყობ, სასახლეში ერთხელაც არ გიჭმევიათ საჭმელი. ცოცხალ არსებას რომ ჭამა უნდა, დაგავიწყდათ? მე ღარიბი კაცი ვარ, მაგრამ ქოლგისთვის საჭმელი არ მომიკლია: ყოველდღე თევზითა და საუკეთესო ღვინით ვუმასპინძლდებოდი. საწყალი, საწყალი, რა ტანჯვა გადაუტანია თქვენს ხელში. ჩემი საუკეთესო მეგობარი დავკარგეო!.. _ ხიკოიტი მწარედ აქვითინდა.

იქ თავმოყრილმა ხალხმა ერთმანეთს გადახედა. ხიკოიტი ძალიან შეებრალათ, მაგრამ რას უშველიდნენ, ადგნენ და სახლებში წავიდ-წამოვიდნენ.

2. როგორ გახდა ხიკოიტი უჩინმაჩინი

ერთხელ ხიკოიტიმ ყური მოჰკრა, ტყის ჯადოქარ ტენგუს ორი ძვირფასი განძი აქვს: უჩინმაჩინის ქუდი და უჩინმაჩინის წამოსასხამიო.

ხიკოიტიმ გაიფიქრა: ნემსის ყუნწში გავძვრები და იმ განძეულს ხელში ჩავიგდებო.

აიღო ძველი საცერი და წავიდა მთაში. ფიჭვის კენწეროდან თვალი მოჰკრა ტენგუმ და ძირს ჩამოვიდა. ხიკოიტიმ ზედ არ შეხედა, თითქოს ვერც კი

ხედავსო. აიღო საცერი, თვალებზე მიიდო და შიგ გახედა. უეცრად წამოიყვირა:

_ ვაიმე, ვაიმე, ეს რა ამბავია! მაცუიამას სასახლის მეზობელ სოფელს ცეცხლი უკიდია! უი, როგორ გიზგიზებს! ერთი უყურე, მთელ სოფელს როგორ მოედოო!

მივიდა ტენგუ და შეეკითხა:

_ რას ამბობ, ნუთუ ამ მთიდან სოფელს მართლა ხედავო?

_ შენ რა იცი, ამ საცერში ხელისგულივითა ჩანს ყველაფერი. სულ პატარა ბუჩქსაც კი დაინახავ, ძალიან შორსაც რომ იყოსო.

_ კარგი ერთი! თუ არ მატყუებ, მოდი, გავცვალოთ: უჩინმაჩინის ქუდსა და წამოსასხამს მოგცემ, შენ კი ეგ საცერი მომეციო.

ხიკოიტიმ ისე დაიჭირა თავი, თითქოს ყოყმანობსო. ბოლოს, როგორც იყო, დათანხმდა. დაიხურა თავზე ქუდი, წამოისხა ლაბადა და უცებ გაუჩინარდა.

ტენგუმ საცერში გაიხედა, მაგრამ ვერაფერი დაინახა. მერე საცერს აქეთ-იქით დაუწყო ტრიალი, ბოლოს მიხვდა, ხიკოიტიმ მომატყუაო, მაგრამ რაღას იზამდა, სადღა იპოვიდა უჩინმაჩინს.

ხიკოიტი ჩამოვიდა მთიდან და სოფლის ბაზარში შეიარა. ბევრი ხალხი ირეოდა. ხიკოიტიმ ერთ ბიჭს ცხვირზე ხელი მოუჭირა.

_ ვაიმე, მიშველეთ, ვიღაცამ ცხვირი მომაძროო! _ აყვირდა ბიჭი.

ახლა მეორე ბიჭს მოუჭირა ცხვირზე ხელი.

ატყდა აყალმაყალი. ხიკოიტი ხან ერთს წასწვდებოდა და ხან მეორეს. გაიმართა დაკა-დაკა.

თავისი ოინით კმაყოფილი ხიკოიტი კი სიცილით იგუდებოდა.

_ ეს რა კარგი გასართობი ვიშოვეო, _ უხაროდა ხიკოიტის.

ბევრი იცინა, იხარხარა და ბოლოს სასაუზმეში შევიდა. დაითრია კარგი თევზი, გადაჭკრა ღვინო და შინისაკენ გასწია, ვითომც აქ არაფერიო.

შინ რომ მივიდა, საკუჭნაოში დამალა თავისი უჩინმაჩინის ქუდი და ლაბადა.

ერთ დღეს ცოლი საკუჭნაოს ალაგებდა და კუთხეში მიგდებული ძველი ქუდი და წამოსასხამი ნახა. დაავლო ხელი და პირდაპირ აგიზგიზებულ ბუხარში შეუძახა.

ხიკოიტი საკუჭნაოში რომ შევიდა, აღარც ქუდი დახვდა, აღარც წამოსასხამი. ეს სულ ჩემი ცოლის ოინებიაო, _ მიხვდა ხიკოიტი და ბუხარს ეცა ფერფლის გამოსაღებად. გამოხვეტა ფერფლი, შიგ ამოიგანგლა და უცებ გაუჩინარდა.

წავიდა ხიკოიტი. სასაუზმეში შევიდა, დაავლო დიდი ღვინის ბოთლს ხელი და მოიყუდა. ღვინომ ტუჩებიდან ფერფლი ჩამორეცხა და გამოჩნდა გაღიმებული ტუჩები. ადამიანი კი არსად ჩანდა.

ხალხი განცვიფრდა.

_ ერთი უყურეთ, პირი ჩანს და კაცი არაო.

_ დაიჭირეთ, დაიჭირეთო! _ გაჰყვიროდა ბრბო. გამოუდგნენ დასაჭერად.

ხიკოიტიმ მოუსვა. ისე გარბოდა, ოფლი გამოუვიდა მუცელზე და ჭიპი გამოუჩნდა.

_ უყურეთ, უყურეთ, ჭიპიც უჩანს, ჭიპიც! დაიჭირეთ, არ გაუშვათო!

ხიკოიტი გრძნობდა, რომ ხალხი ფეხდაფეხ მისდევდა. მოუმატა და მოუმატა სირბილს. ოფლი ღვარად წამოუვიდა: ჯერ ფეხები გამოუჩნდა, მერე ხელები და ზურგი. ამ დროს მდინარეს მიაღწია და შიგ ჩაყურყუმელავდა. ნაპირზე რომ ამოვიდა, ხალხმა იცნო:

_ ეს ხომ ჩვენი ხიკოიტიაო!

3. როგორ დაიჭირა ხიკოიტიმ ანკესით კაპა[1]

ერთ დღეს მდინარე ტამამას ნაპირზე იჯდა ხიკოიტი და ანკესით თევზაობდა. სწორედ ამ დროს გამოიარა ერთმა თავადმა.

_ ეი, მეთევზევ, რას აკეთებო? _ გადასძახა ხიკოიტის. ხიკოიტიმ მიიხედა და დაინახა, თავზე წამოსდგომია თავადი.

_ ვიფიქრე, ვინ არის-მეთქი, თურმე თქვენი კეთილშობილება ბრძანდებაო.

_ დიახ, მე გახლავარო.

ხიკოიტიმ დროზე დააჭირა ენას კბილი, რომ არ წამოსცდენოდა, თევზს ვიჭერო.

_ დილას აქეთია აქა ვზივარ. მინდა, კაპა დავიჭირო, მაგრამ არა და არ იქნა, ანკესს ვერ წამოეგოო.

_ რაო, კაპაო? აბა, ეგ ანკესი აქ მომეციო, _ გაიბღინძა თავადი.

ხიკოიტი ფიქრობდა, ამ ოინით თავს შევიქცევო, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ვის დაუჭერია ანკესით კაპა, რომ მას დაეჭირა, მაგრამ წამოსროლილ სიტყვას რაღას უშველიდა.

_ კარგი სატყუარა არა მაქვს და ანკესს იმიტომ არ წამოეგო. აი, ვეშაპის ხორცი რომ მქონდეს, დავიჭერდიო, _ თქვა ხიკოიტიმ. გულში კი გაიფიქრა, ვეშაპის ხორცის შოვნა არც ისე იოლია და თავადიც თავს დამანებებსო. მაგრამ თავადმა უთხრა:

_ ეგ იოლი საქმეა, ვეშაპის ხორცი ბლომადა მაქვს. შენ ოღონდ მითხარი, რამდენი დასჭირდებაო?

_ ასე, ექვს-ნახევარი კილოო, _ წამოაყრანტალა ხიკოიტიმ, რაც პირველად მოადგა ენაზე. _ საღამოსთვის მომიტანე. ანკესს ბნელში უფრო კარგად წამოეგებაო.

_ ეგრე იყოსო, _ თქვეს და ერთმანეთს გაშორდნენ.

საღამოს თავადი მოვიდა და მოიტანა შეპირებული ვეშაპის ხორცი. ხიკოიტის თავ-პირი აღარ ჩამოსტიროდა. შეარჩიეს მდინარის პირას ადგილი და დასხდნენ. ისე ბნელოდა, თვალთან თითი რომ მიგეტანა, ვერ დაინახავდი.

ხიკოიტი დაფაცურდა, ვითომ ანკესზე სატყუარა უნდა გაეკეთებინა.

_ აბა ერთი ცოტა ხორცი მომიგლიჯე. ასე, ოთხ გრამამდე იყოსო, _ უთხრა თავადს.

თავადმა მოუგლიჯა. ხიკოიტიმ აიღო ხორცი და ბამბუკის ამოღრუტნულ გულში ჩამალა. ცარიელი ანკესი კი მდინარეში ჩაუშვა. სხედან გვერდიგვერდ ხიკოიტი და თავადი, ჩუმად არიან. ანკესი კი არ იძვრის.

მობეზრდა თავადს და შეეკითხა:

_ როგორ არის საქმე, ანკესს არ წამოეგოო?

_ ეს რა ჰქენი, სწორედ ახლა უნდა ამომეწია ანკესი, შენ კი ისე დაიყვირე, კაპა დააფრთხე, სატყუარა გაიტაცა და გაქრა. აფსუს, ეს რა დაგვემართაო.

ამოსწია წყლიდან ცარიელი ანკესი და უჩვენა თავადს. ისევ მოუგლიჯა თავადმა ვეშაპის ხორცი.

ასე ნელ-ნელა სულ დასცინცლა თავადს ვეშაპის ხორცი.

_ ეგრე ვერაფერსაც ვერ დავიჭერთ, შენ თუ წამდაუწუმ დაიწყე ყვირილი: ხიკოიტი, საქმე როგორ არისო! არაფერი გამოგვივა, ტყუილად ვწვალობთო.

_ თუ ეგრეა, მოცლილი კი არა ვარ! ადექი და ხვალ მარტოკამ ითევზავეო, _ იწყინა თავადმა.

ხიკოიტისაც ეს უნდოდა: ხვალაც დასცინცლავდა თავადს ვეშაპის ხორცს.

_ ეჰ, ბარემ მწყინს, რომ ხვალე მარტომ უნდა დავიჭირო კაპა, მაგრამ რა გაეწყობაო...

მოკრიალებული მთვარიანი საღამო იყო. ხიკოიტი მდინარე ტამამას ნაპირას თავისი ანკესით თევზის დასაჭერად მივიდა, კაპაზე არც უფიქრია. უცბად ანკესი გაუსხლტა ხელიდან და მდინარიდან კაპამ ამოყო თავი.

_ ხიკოიტი, მოდი, დავეჭიდოთ ერთმანეთს და ვნახოთ, ვინ უფრო ღონიერიაო.

გაკვირვებისაგან ხიკოიტი გაშეშდა, მაგრამ მალე გონს მოეგო და უცბად დათანხმდა.

დაიწყეს ჭიდაობა. ხიკოიტიმ მოიქნია ხელი და კაპას ალიყური აჭამა. კაპას კი თავის ქალის ღრმულში ძალისმიმცემი წყალი ედგა. აი, სწორედ ეს წყალი დაეღვარა და ძალაც დაკარგა.

ხიკოიტიმ შეკრა თოკით კაპა და უცბად დაინახა, რომ მდინარიდან მეორე კაპა გამოცურდა. ისიც ასევე დაიჭირა. მეორეს მესამე კაპაც მიაყოლა. ასე დაიჭირა ხუთი კაპა და გასწია თავადის სასახლისაკენ.

_ მაპატიე, თქვენო აღმატებულებავ. გუშინ ანკესზე ვერ მოეკიდა კაპა. დღეს ესღა მოჰყვა ანკესს. გუშინ რომ არ გეყვირათ, გიყვარდეს, კარგა ბლომად დავიჭერდით! დღეს კაპა დამფრთხალიაო.

_ თევზაობის ოსტატი შენა ყოფილხარო, _ უთხრა თავადმა და დიდძალი ოქრო აჩუქა.

4. როგორ გააცურა ხიკოიტიმ მელა

ქალაქ იასიროსთან არის ერთი მთა, ურჩხულთა მთას ეძახიან. უწინდელ დროში იმ მთაზე ცხოვრობდა ერთი მელა, სახელად ო-სანი ერქვა. ეს მელა იმით იყო სახელგანთქმული, რომ შეეძლო ყოველგვარი სახე მიეღო.

ერთხელ ხიკოიტი შეხვდა ამ მელას. ისინი დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ.

_ შენა ხარო?

_ აი, შეხვედრაც ეს არისო, _ გააბეს მუსაიფი.

ბოლოს ხიკოიტიმ უთხრა:

_ მოდი, ერთმანეთს შევეჯიბროთ, რომელი უფრო კარგ სასწაულს ვაჩვენებთ. შენზე ამბობენ, ოსტატიაო, მაგრამ იცოდე, არც მე ჩამოგრჩებიო.

_ მე არ ვიცოდი, თუ შენც შეგეძლო ასეთი რამ, _ გაუკვირდა ო-სანს. _ რახან ასეა, ჯერ შენი ოსტატობა მაჩვენეო.

_ კეთილი, ხვალ წადი ტირიფის მთისკენ, აირჩიე ყველაზე მაღალი ფიჭვი, ადი კენწეროზე და კარგად იყურე. უსათუოდ დაინახავ თავადსა და იმის ამალას. თავადიც და ამალაც მხოლოდ მე ვიქნები. შენ ჩემთან ვერაფერს გახდებიო! _ უთხრა ხიკოიტიმ და გასწია შინისაკენ.

ხიკოიტის, მე ისე ვატყობ, არაფერი გაეგება გარდასახვის ხელოვნებისა, თორემ ასეთ რამეს არ წამოროშავდა! ოჰ, რამდენს ვიცინებო, _ ფიქრობდა მელა.

უეცრად შორს გაიელვა მეომართა შუბებმა. ჯერ ფეხშიშველა მაცნეები გამოჩნდნენ, მერე ჩუმად გაიარეს ჩალისქალამნიანმა მეომრებმა. და ბოლოს თავადის ბრწყინვალე ტახტრევანი გამოჩნდა. წინაც სადღესასწაულოდ გამოწყობილი მახვილამოწვდილი მეომრები მოუძღვებოდნენ, უკანაც ასეთივე მეომრები მოსდევდნენ.

მელამ ჯერ თვალებს არ დაუჯერა; მერე აღტაცება ვეღარ დამალა და ხმამაღლა შესძახა:

_ ყოჩაღ, ყოჩაღ, ხიკოიტი! დიდი მოხერხებული ვინმე ყოფილხარო!

_ ერთი ამ თავხედს შეხედეთო! _ განრისხდნენ მეომრები და ალყა შემოარტყეს ფიჭვის ხეს.

მელა შიშისაგან აცახცახდა და ხეს მიეყუჟა.

_ შე ბრიყვო, გაიძვერების ნაშიერო! შე ოხერო, როგორ გაბედე და ხელი შეუშალე თავადის სადღესასწაულო ზეიმს, ჩვენ გასწავლით ჭკუასო!

ჩამოაგდეს ძირს მელა და შუბებით იმდენი ურტყეს, დასისხლიანებულმა ძლივს აითრია წელი და ვაი-ვაგლახით გაძუნძულდა. იქვე მიმალული ხიკოიტი სეირს უყურებდა. მართალია, გუნებაში ეცინებოდა, მაგრამ გულის ერთ კუნჭულში მელა შეეცოდა კიდეც. არ ეგონა, ასე მაგრად თუ მიბეგვავდნენ.

ხიკოიტიმ გადაწყვიტა, ნაცემი მელა ენახა და ტკბილი კვერი მიერთმია. მივიდა გამოქვაბულთან და იკითხა:

_ მელა ო-სანი აქა ცხოვრობსო?

გამოქვაბულიდან პატარა მელაკუდამ გამოყო თავი.

_ ჩემი დედილო ლოგინში წევს, ცუდად არისო.

_ ახლა როგორ ბრძანდებაო?

_ ცუდად არის, ცუდად, სულ კვნესის. ალბათ გვერდები ძალიან სტკივაო, _ წუხდა პატარა მელა.

_ უი, საწყალი, საწყალი! აჰა, ეს ტკბილი კვერი დედილოს წაუღეო, _ უთხრა ხიკოიტიმ და კვერი მიაწოდა.

მელამ სიხარულით გამოართვა კვერი და დედასთან გაიქცა:

_ თვალთმაქცი ხიკოიტი იყო და ეს ტკბილი კვერი მოგიტანაო.

კვერის დანახვაზე ავადმყოფი მელა შიშისაგან აცახცახდა.

_ ჩქარა, ჩქარა შორს გადააგდე! კიდევ რაღაცას ითვალთმაქცებდა, ასეთ რამეებში ბადალი არ ჰყავს! კვერის მაგივრად ნეხვს მოგვიტანდაო!

ფხიზელი ყური

ერთ სოფელში მოხუცი კაცი ცხოვრობდა. ერთ დღეს ტყეში წავიდა და წითელი ქუდი იპოვა. გაუხარდა ბერიკაცს: მართალია, ქუდი გახვრეტილი იყო, მაგრამ სულ უქუდობას მაინც ეს ჯობდა.

ნეტავი კარგად მექნებაო? _ გაიფიქრა მოხუცმა და ქუდი დაიხურა. დაიხურა და, იცით, რა მოხდა? აქამდე თუ მარტო ჩიტების ჟივჟივი და სტვენა ესმოდა, ახლა მთელი ტყე ალაპარაკდა. აქეთ დედა ჩიტი ეძახდა ბარტყებს, იქით ქმარი ეჩხუბებოდა ცოლს, ერთგან ნაზად ესიყვარულებოდნენ ერთმანეთს.

ბერიკაცი შიშისაგან დაბარბაცდა, თავზე ტოტი წამოედო და ქუდი გადაუვარდა. ტყე უცებ გაჩუმდა. მხოლოდ ჩიტების გაუგებარი ჟივჟივიღა ისმოდა. მოხუცი ქუდს დასწვდა, დაიხურა და ისევ მოესმა ლაპარაკი ტოტებიდანაც და ბუჩქებიდანაც. მოიხადა ქუდი _ ისევ ჩიტები ჟივჟივებდნენ და ფოთლები შრიალებდნენ. დაიხურა ქუდი _ ისევ გაიგონა აზრიანი ლაპა-რაკი.

ერთი ამას უყურეთ, რა ყოფილა! _ გაიფიქრა მოხუცმა. _ უბრალო რამ კი არ მიპოვია, განძს წავწყდომივარ. ეს ქუდი ‘ფხიზელი ყური» ყოფილა. ვინც ამ ქუდს დაიხურავს, რაც კი დედამიწის ზურგზე სულიერია, _ ფრინველი, ნადირი თუ მცენარე, _ ყველას ენას გაიგებს. გამიგონია, ასეთი ქუდი არისო, მაგრამ არა მჯეროდა.

მოხუცი ისევ გზას გაუდგა. იარა, იარა, დაიღალა და ცოტა ხნით დიდი ხის ძირში დაჯდა, თვალს მოვატყუებო. უცებ ყვავის ჩხავილმა გამოაღვიძა.

_ მგონი, ჩამთვლიმა, _ შეკრთა მოხუცი, აიხედა და რასა ხედავს: საიდანღაც ყვავი მოფრენილა და სწორედ იმ ხის ტოტზე დამჯდარა, რომლის ძირშიც ამ მოხუცს ეძინა. მალე მეორე მხრიდან კიდევ ერთი ყვავი მოფრინდა და ისიც ტოტზე შემოჯდა.

მოხუცმა უცებ დაიხურა თავისი წითელი ქუდი და ყური დაუგდო.

ყვავები ჩახრინწული ხმით ლაპარაკობდნენ.

_ დიდი ხანია, ერთმანეთი არ გვინახავს, ძმაო, საიდან მოდიხარო? _ თქვა ერთმა.

_ ზღვის პირზე ვიყავი, მაგრამ თევზი გაწყდა, საჭმელი აღარა მქონდა და აქეთკენ გამოვფრინდი, _ უპასუხა მეორემ. _ შენა, ძმაო, შენ სად იყავიო?

_ მე ატამიდან მოვფრინავ. სიმართლე გითხრა, არც იქ არის კარგი ცხოვრება. ყველგან ასეთი ამბავია? შენ ერთი ეს მითხარი, ახალი რა იციო?

_ ისეთი არაფერი ვიცი. იმას გიამბობ, რა მოხდა ჩვენს მხარეში, ზღვის პირას. ამ ექვსი წლის წინათ ერთმა მდიდარმა კაცმა ბეღელი ააშენა და ყავრით გადახურა. სწორედ იმ დროს ერთი დიდი გველი აცურდა იმ სახურავზე და ყავართან ერთად, ლურსმნით ის გველიც დააკრეს. ახლაც იქ არის დაკრული და ისე იტანჯება, ლამის სული ამოხდეს. მთელი ეს ხანი თავისი ერთგული მეგობარი უზიდავს საზრდოს. მწარე დარდი გულს უღრღნის ორივეს. ნელ-ნელა იზრდება მათი წყენა და რისხვა, ამიტომაც მდიდრის ქალს უკურნებელი სენი შეეყარა[1]. თუ ვერავინ მოიფიქრებს, ყავარი ასწიოს და გველი გაათავი-სუფლოს, გველიც მოკვდება და მდიდრის ქალიც. ბევრჯერ ვიყავი ამ ბეღლის სახურავზე, რაც ძალა და ღონე მქონდა ვჩხაოდი, ასე და ასე არის-მეთქი, მაგრამ რა გამოვიდა? ყური არავინ დამიგდოო.

მეორე ყვავმა მიუგო:

_ შენ მართალი ხარ, ხალხი მიუხვედრელია! გინდ ყურში ჩასძახო, მაინც ვერ გაიგებს.

გული იჯერეს ყვავებმა ლაპარაკით და გაფრინდნენ. ერთი აღმოსავლეთით გაფრინდა, მეორე _ დასავლეთით.

ბერიკაცმა მოისმინა მათი ლაპარაკი და გაიფიქრა: კიდევ კარგი, ეს საოცარი ქუდი მეხურა! უნდა ფეხი ავაჩქარო, მდიდართან მივიდე და ქალი გადავურჩინო. მოდი, უცნაურად ჩავიცვამ, იფიქრონ, რომ მე უბრალო კაცი არა ვარო.

ნაგავში ჩაგდებული სკა იპოვა, ქაღალდები შემოახვია, თავზე ჩამოიმხო, მერე მივიდა მდიდრის სახლთან და კარებიდან დაიძახა:

_ მკითხავი მოვიდა, მკითხავი!

მდიდარი ამ დროს საგონებელში იყო ჩავარდნილი, ჩემს ქალს რა ვუშველოო. მკითხავის ხმა რომ გაიგონა, მაშინვე იხმო მოხუცი:

_ შენ ეი, მკითხავო, კარებთან კი ნუ დგახარ, აქ მოდი და მიმკითხავეო!

მოხუცი სახლში შევიდა და მდიდარს ჰკითხა:

_ რაზე გინდა გიმკითხავოო?

_ რამდენიმე წელიწადია ქალიშვილი მყავს ავად. ლამის ხელიდან გამომეცალოს, რა სატკივარი აქვს და რა ეშველება, ეს გამიგეო.

_ ავადმყოფთან შემიყვანეთო, _ მოითხოვა მოხუცმა.

მაშინვე წაიყვანეს.

ბერიკაცი ავადმყოფს თავით დაუჯდა და აბუტბუტდა:

გველხოკერა, გველხოკერა,

მცოცავი გველხოკერა,
მთაზე ცოცავს, ცოცავს,
ოცი რის სიგრძეა,
გველხოკერა, გველხოკერა.
მცურავი გველხოკერა.

ასე ჩაიბუტბუტა და მერე ავადმყოფის მამას უთხრა:

_ ამ ექვსი წლის წინათ ბეღელი აგიშენებიათ და შემთხვევით სახურავზე გველი მიგილურსმავს. შენი უბედურების მიზეზი, აი, ეს არისო.

_ მართალს ამბობს წინასწარმეტყველი! _ აღელდა მდიდარი. _ სწორედ ამ ექვსი წლის წინათ ავაშენე ბეღელი. ალბათ, სწორედ მაშინ მოაყოლეს გველი ყავარქვეშ. ჩქარა ავწიოთ ყავარი და გველი გამოვუშვათო!

მაშინ მეზობელ ხუროს დაუძახეს და უთხრეს, ყავარი ასწიეო. ყავარქვეშ კი, მართლაც, გველი იყო, მთლად სისხლისაგან დაცლილი, გამხმარი, ცარიელი ტყავი გეგონებოდათ.

_ აი, ავადმყოფობის მიზეზი ეს არისო, _ უთხრა მდიდარს მოხუცმა.

ფრთხილად ჩადეს გველი კალათში, ჩამოიტანეს სახურავიდან, მერე კალათი მდინარის პირას დადგეს და გველს იმდენი აჭამეს და ასვეს, სანამ არ მოიკეთა. როცა მოიკეთა, გაუშვეს.

მდიდრის ქალმაც ნელ-ნელა მოიხედა და მალე სულ გამოჯანმრთელდა.

მდიდარი ისე იყო გახარებული, სულს არ დაიშურებდა მოხუცისათვის, ადგა და სამასი რე აჩუქა.

მოხუცი შინ დაბრუნდა, ახალი ტანისამოსი იყიდა და თქვა, წავალ, თვალს გავახელ, სოფელ-ქვეყანას ვნახავო. თქვა და მაშინვე გზას დაადგა.

ერთხელ დაიღალა და გზის პირას აქოჩრილი ხის ქვეშ ჩაიმუხლა. უცებ ისევ ორი ყვავი მოფრინდა. ერთი _ დასავლეთიდან, მეორე _ აღმოსავლეთიდან. შემოსხდნენ ხეზე და გააბეს ლაპარაკი.

_ მომწყინდა, მომბეზრდა სულ ერთ ქალაქში ცხოვრება. ახალს ვერაფერს გაიგონებ, _ შესჩივლა ერთმა ყვავმა მეორეს. _ ძალიანაც რომ არ გინდოდეს, ადგები და სხვა ქალაქში გაფრინდებიო.

_ მართალი ხარ, _ მიუგო მეორე ყვავმა, _ მაგრამ იმ ქალაქში, სადაც მე ვცხოვრობდი, გაუგონარი ამბავი მოხდა. ერთი მდიდარი კაცი მძიმედ გახდა ავად. დღეს-ხვალ უნდა მოკვდეს. მერე, იცი, რისი ბრალია? ამ ექვსი წლის წინათ სახლისთვის სადარბაზო ოთახები უნდა მიეშენებინა. იმ ადგილს რომ ასუფთავებდნენ, ერთი ბებერი ქაფურის ხე მოაჭრევინა. ამ ხის კუნძი დარჩა საჩეხის ქვეშ და წვიმა ისევ ეცემა სახურავიდან. ხის ფესვები არ მომკვდარა, ისევ ცოცხალია, ახალი ყლორტები გამოაქვს, მაგრამ მაშინვე აჭრიან. ისე რომ, ის ხე არც ცოცხალია, არც მკვდარი. მწარე ფიქრები აღონებს ხეს და ამ ფიქრებმა გახადა მდიდარი ავად. ყოველ ღამე ტყეებიდან ხეები ჯარად მოდიან საცოდავი მეგობრის სანახავად.

ქაფურის ხე თავის გაჭირვებას შესჩივის მეგობრებს, მაგრამ ისინი, აბა, რას უშველიან. ნეტავი ან სხვა ადგილას გადარგან და თავისუფლება მისცენ, ან სულ ძირიანად ამოაგდონ, გახმებოდა და ამ ტანჯვა-წამებას მორჩებოდაო.

გაიგონა მოხუცმა ყვავის ნაამბობი და გაეშურა ავადმყოფ მდიდართან. მივიდა იმის სახლთან და დაიძახა:

_ მკითხავი მოვიდა, მკითხავი!

გამოცვივდნენ მდიდრის მსახურები.

_ მკითხავო, აქ მოდი, სახლის პატრონი გეპატიჟებაო.

მოხუცი სახლში შეიყვანეს. თავის სიცოცხლეში არსად ენახა ასეთი სიმდიდრე. მიიხედ-მოიხედა და იკითხა:

_ სამკითხაო რა გაქვთო?

_ ამ სახლის პატრონი დიდი ხანია დასნეულდა, მკურნალიც ბევრი მოვგვარეთ, შევალოცვინეთ კიდეც, მაგრამ არაფერმა უშველაო, _ მიუგეს.

_ ნუ გეშინიათ! მე გავიგებ სატკივრის მიზეზს და უცებ მოგირჩენთ ავადმყოფს. ეს ჩემთვის იოლი რამ არისო, _ დიდი ამბით დააიმედა მოხუცმა და აბუტბუტდა:

გველხოკერა, გველხოკერა, მცოცავი გველხოკერა,
მთაზე ცოცავს, ცოცავს,
ოცი რის სიგრძეა,
გველხოკერა, გველხოკერა,
მცურავი გველხოკერა.

მერე თქვა:

_ ამ ექვსი წლის წინ სახლისთვის სადარბაზო ოთახები მიგიშენებიათ.

_ ოჰ, წინასწარმეტყველო, შენ რა იცი, რომ ეს ოთახები სწორედ ამ ექვსი წლის წინ მოვაშენეთო, _ ჰკითხეს შინაურებმა.

_ მაშ, რისი მკითხავი ვარ, თუ მაგასაც ვერ გავიგებ. სამი დღეღამე იმ ოთახში ვიცხოვრებ, გავიგებ თქვენი ბატონის ავადმყოფობის მიზეზს და განვკურნავ კიდეცო.

შეიყვანეს მოხუცი ერთ ოთახში. მოხუცმა ბრძანა:

_ ვიდრე მე არ დაგიძახებთ, ფეხი არავინ შემოდგასო!

დაღამდა, მაგრამ მოხუცს არც კი უფიქრია დაძინება. წამოიდო თავზე ქუდი და სმენად იქცა.

შუაღამისას ფანჯარასთან რაღაც აშრიალდა და ალაპარაკდა:

_ შენ, ეი, ქაფურის ხევ, ხმა გამეცი, როგორა ხარო?

პასუხი ძლივს გაისმა, თითქო ხმა მიწის ქვეშიდან ამოდისო.

_ რომელი ხარ? ნამდვილად კრიპტომერია იქნები. მთიდან ჩამოხვედი? აღარ ვიცი, რითი გადაგიხადო მადლობა, ყოველ ღამე მოდიხარ იმ სიშორედან ჩემს სანახავად! მე კი ისღა დამრჩენია, სიკვდილი ვინატრო, რომ მოვრჩე ამ წამებას, მაგრამ ეტყობა, სიკვდილსაც დავავიწყდიო.

_ აბა, რას ამბობ, გამაგრდი! ეგრე გულის გატეხა როგორ შეიძლებაო!

იმასლაათეს და გაშორდნენ ერთმანეთს.

ერთ წუთსაც არ გაუვლია, ისევ გაისმა შრიალი და ვიღაცამ იკითხა:

_ ქაფურის ხევ, როგორა ხარ?

_ ეს ვინღა არის, ვინა მკითხულობს? ალბათ ფიჭვის მთიდან მოსული ფიჭვის ხე იქნებიო!

_ დიახ, მე ვარო.

_ დიდი მადლობა მომიხსენებია, რომ იმ სიშორიდან ჩამოხვედი ჩემს სანახავად!

_ რას ამბობ, მე გასეირნება გადავწყვიტე და გზად შენც შემოგიარე. იმედიანად იყავი, აი მალე გაზაფხულდება და შენც გამოკეთდები. იმედიანად იყავიო!

შრრ... შრრ... _ და ფიჭვი გაუყვა მთებისკენ.

მოხუცმა მოიხადა თავისი 'ფხიზელი ყური» და გაიფიქრა, ნეტავი მალე გათენდესო.

ის-ის იყო ირიჟრაჟა და მოხუცმაც მოუსვა ავადმყოფისაკენ. დაუჯდა თავით და მოჰყვა ბუტბუტს:

'გველხოკერა, გველხოკერა, მცოცავი გველხოკერა...»

მერე კი უამბო, რაც იმ ღამეს გაიგონა.

_ ავადმყოფობის მიზეზი სხვისი ნაღველია. მარტო ქაფურის ხე კი არ იტანჯება, რაც ხეებია, ყველა მისი საცოდაობით კვნესის. ჩქარა მოთხარეთ ის ხე და ავადმყოფიც მორჩებაო, _ თქვა მოხუცმა.

საჩქაროდ ამოთხარეს ქაფურის ხე, დარგეს ბაღში და ისე მორთეს-მოკაზმეს, როგორც ღვთაება. ბატონიც გამოკეთდა. ავადმყოფობა ისე ჩამოსცილდა, როგორც გამხმარი ფოთოლი _ ხეს.

მთელი სახლი ფეხზე დადგა, აღარ იცოდნენ, რითი გადაეხადათ მადლობა მოხუცისათვის.

ბერიკაცმა ახლაც სამასი რე მიიღო და გახარებულმა გასწია შინისაკენ.

იმ დღიდან მკითხაობას თავი დაანება მოხუცმა. გააშენა კარგი ბაღი. მთელი ქვეყნის საუკეთესო ხეებმა დაიდეს ბინა მოხუცის ბაღში მადლობის ნიშნად და ყოველ გაზაფხულზე ყვაოდნენ თვალით უნახავი ფერებით.

მოხუცი ძალიან უყვარდათ მხეცებსა და ფრინველებსაც, რადგან მოხუცს საკუთარ თავზე მეტად უყვარდა ისინი და იმათი ენაც ესმოდა.

ობოლი და-ძმა

ეს ამბავი წინათ, დიდი ხნის წინათ მოხდა.

ერთ სოფელში, მთის ძირას, ობოლი და-ძმა ცხოვრობდა.

დას სეკიხიმე ერქვა. გოგონა ჯერ თორმეტი წლისაც არ იყო და ოჯახის ყველა საქმეს მარტოდმარტო უძღვებოდა. არც უმცროს ძმას აკლებდა მოვლა-პატრონობას.

უთენია წამოფრინდებოდა, წყალს მოზიდავდა, სახლს მიალაგებდა, საუზმეს მოამზადებდა. მერე უმცროს ძმას, ვაკამაცუს, გააღვიძებდა, ხელ-პირს დააბანინებდა, ტანთ ჩააცმევდა და თან ზღაპარს უამბობდა.

მერე კი დაზგას მიუჯდებოდა და გასაყიდ ტილოს ქსოვდა.

_ კირიკარა ტონ-ტონ-ტონ, კირიკარა ტონ-ტონ-ტონ, _ დაბინდებამდე გაჰქონდა დაზგას ტაკა-ტუკი. სწრაფად გარბოდა მისაქსელი და ძაფს ქსელავდა. მარჯვედ ქსოვდა სეკიხიმე. ქსოვდა და თან მღეროდა.

ქუჩის თავში კი დიდი, ლამაზი სახლი იდგა. ამ სახლში მდიდარი კაცი ცხოვრობდა. სახლი მოახლე-მოსამსახურეებით იყო სავსე, მაგრამ იქიდან მხიარული სიმღერის ხმა არასოდეს გამოსულა.

ხომ იცით, სიმდიდრე და მხიარულება ხშირად ერთ ჭერქვეშ ვერ თავსდება.

გულბოროტ მდიდარს ენამწარე და მოჩხუბარი შვილი ჰყავდა. სახელად ძიროს ეძახდნენ. სკოლაში ყველას ეშინოდა მისი, ყველა ერიდებოდა.

ერთხელ ვაკამაცუმ სკოლასთან ჩაიარა.

ამ დროს მოწაფეები ეზოში თამაშობდნენ. ძიროც აქეთ-იქით დარბოდა, ზოგს სარმას გამოჰკრავდა, ზოგს კისერში წაუთაქებდა. პატარა ვაკამაცუს თვალი მოჰკრა და დაცინვა დაუწყო:

_ ჰეი, ვაკამაცუ! სკოლაში რატომ არ დადიხარ? შეგისრულდა შვიდი წელი, მაინცა ხარ ჭკუათხელი... აბა, მითხარ: ერთი ძაღლი და ერთი ყვავი ერთად რამდენი იქნება? არ იცი? კიოტოდან ოსაკამდე მეტი მანძილია, თუ ოსაკადან კიოტომდე? არც ეს იცი? მაშ, მართლა სულელი ყოფილხარო!..

ვაკამაცუ სირცხვილისაგან წითელ ყაყაჩოზე და შემოსულ წიწაკაზე მეტად გაწითლდა და შინისაკენ ატირებული გაიქცა.

სეკიხიმემ ძმის ტირილი გაიგონა, სახლიდან გამოეგება და ჰკითხა:

_ რა დაგემართა, რა გატირებს, ვინ გაწყენინაო?

_ ბიჭები მაბრაზებენ, სულელი ხარ, არაფერი იციო, _ უპასუხა ვაკამაცუმ.

სეკიხიმემ გაიღიმა, ძმას მხარზე ხელი მოუთათუნა და უთხრა:

_ ნუ ტირი, მაგ საქმეს იოლად ეშველება, ხვალვე წაგიყვან სკოლაში. ოღონდ ამაღამ ადრე დაიძინე, რომ დილაზე ადრე გაგეღვიძოსო.

დილით სეკიხიმემ ძმას შავი ტუშით სავსე კოლოფი და ლამაზი ფუნჯი მისცა, ხელი მოჰკიდა და სკოლაში მიიყვანა.

მასწავლებელი ვაკამაცუს ალერსიანად შეხვდა და შეაქო:

_ ყოჩაღ, ვაკამაცუ, სწავლა რომ მოგინდომებია. ფეხის ნაკვალევი წაიშლება, ფუნჯისა კი არაო.

_ მე ჯერ არაფერი ვიცი, არაფერი შემიძლიაო... _ შესჩივლა ბიჭუნამ მასწავლებელს.

_ არა უშავს, _ უთხრა მასწავლებელმა, _ მაღალი კოშკის შენებასაც საძირკვლიდან იწყებენ. ქვას ქვაზე აწყობენ და ბოლოს კოშკის წვერი ღრუბლებს მისწვდება. დაჯექი, შენი ადგილი, აი, აქ იქნებაო.

ვაკამაცუმ სწავლა დაიწყო. გონიერი ყმაწვილი იყო, ყველაფერს ადვილად იგებდა და მალე ყველა მოწაფეს აჯობა.

მდიდრის შვილმა ძირომ კი გულში შური ჩაიდო. მივიდა მამასთან და აწუწუნდა:

_ ცეროდენა ვაკამაცუ მჯობნის. განა ამისი მოთმენა შეიძლება? ყველა დამცინებს, ჯერ მიწასაც არ ამოგლია და გჯაბნისო.

_ ალბათ შენს ჯიბრზე სწავლობს კარგად, _ უთხრა მამამ, _ შენ კი ასე და ასე მოიქეციო.

და დაარიგა, ვაკამაცუსთვის როგორ ეჯობნა.

_ ბიჭებო, _ უთხრა ძირომ მოწაფეებს მეორე დღეს, _ ამდენს რომ ვსწავლობთ, ცოტა გართობაც არ გვაწყენს. მოდი, ხვალ მარაოების შეჯიბრი გავმართოთ. ვინც ყველაზე უკეთეს მარაოს მოიტანს, გამარჯვებულიც ის იყოს, პირველობა იმას მივაკუთვნოთო.

ბიჭები დაეთანხმნენ.

ვაკამაცუ შინისაკენ დანაღვლიანებული წავიდა. ობლებს ხომ ერთი მარაოც არ ჰქონდათ!

_ ჩემო ძამიკო, ნურაფრის ჯავრი ნუ გაქვს, _ დაუყვავა სეკიხიმემ, _ ამ საღამოსვე წავალ ქალაქში და მარაოს გიყიდიო.

ქალაქი კი შორს იყო. ბამბუკის სამი ტევრი უნდა გაევლო, სამი მთა უნდა გადაეარა. სეკიხიმეს მალე შემოაღამდა. მიდიოდა და გზას ჩირაღდნით ინათებდა.

ღამით მთაში სიარული საშიშია: ხან ბუ შეჰკივლებდა, ხან ფოთოლი გაიშრიალებდა...

სეკიხიმეს ეჩვენებოდა, თითქოს ერთი ხე მეორეს გასძახოდა:

“შრრ... შრრ... ვინ მოდის? შრრ.. შრრ... ვინ მოდის? შრრ... კეთილი დაიკო მობრძანდება. ტოტებო, აქეთ-იქით გაიწიეთ! ლოდებო, გზა მიეცითო!»

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, როცა სეკიხიმე ქალაქში ჩავიდა, მარაოების ოსტატის დუქანი მოძებნა და კარზე დააკაკუნა.

გაისმა მძიმე ურდულის ჟღარუნი და მარაოების ოსტატი თვალების ფშვნეტით გამოვიდა.

_ რა გინდა, გოგონავ? ხალხს ძილს რატომ უფრთხობ, დილამდე ვერ მოითმენო? _ ჰკითხა სეკიხიმეს.

სეკიხიმემ უამბო, მარაო რად უნდოდა და სოფლიდან ღამით რატომ ჩამოვიდა.

ოსტატი გაოცდა:

_ გეტყობა, ძმა ძალიან გიყვარს, ამ ბნელი ღამით მთაში მარტოდმარტო სიარულს რომ არ მოერიდე. კარგი, ყველაზე უკეთეს მარაოს მოგცემ, რაც კი

ოდესმე გამიკეთებია. ფულსაც არ გამოგართმევ. აჰა, წაიღე! თითქოს დიდი არაფერია, მაგრამ ერთი საუცხოო თვისება აქვსო.

ოსტატმა გოგონას ასწავლა, მარაო როგორ უნდა გამოეყენებინა. სეკიხიმემ კეთილ ოსტატს მადლობა გადაუხადა და შინისაკენ გახარებული გაბრუნდა.

მიდიოდა და ეჩვენებოდა, რომ ხეები ჩურჩულებდნენ:

‘შრრ... შრრ... ტოტებო, აქეთ-იქით გაიწიეთ! ლოდებო, გზიდან ჩამოეცალეთო!»

სეკიხიმე შინ რომ დაბრუნდა, მხოლოდ მაშინღა ირიჟრაჟა. გოგონამ უმცროსი ძმა გააღვიძა და სკოლაში წასასვლელად გაამზადა. წასვლის წინ მკაცრად უბრძანა:

_ ვაკამაცუ, აჰა, ეს მარაო, მაგრამ იცოდე, ვიდრე სკოლაში არ მიხვალ, მანამდე არ გაშალოო!

როცა რამეს აგიკრძალავენ, ცნობისმოყვარეობა სწორედ მაშინ არ მოგასვენებს. ბიჭუნას გული აღარ უთმენდა, ისე უნდოდა ენახა, დამ როგორი მარაო უშოვა.

ერთი შეხედვით არაფერია, უბრალო ქაღალდისაა... მაგრამ იქნებ ლამაზად არის მოხატული?

‘მოდი, ცოტათი, სულ ცოტათი გავშლი და ერთ წამს შევხედავო», _ გაიფიქრა ვაკამაცუმ.

მართლაც, მარაოს ერთი ფრთა გაშალა.

ხედავს, ზედ ხალებიანი, ქარში ძუაფაფარაშლილი ცხენია დახატული. უცებ _ აი, სასწაული! _ ცხენი გაცოცხლდა, ყალყზე შედგა და დაიჭიხვინა: ‘ი-ჰო,-ჰო-ჰო!» _ მერე გაჩუმდა და ერთ ადგილზე გაშეშდა.

ვაკამაცუ შეკრთა და მარაო სწრაფად დაკეცა.

მალე სკოლაც გამოჩნდა. მოწაფეები ეზოში შეკრებილიყვნენ. ხელში გაშლილი მარაოები ეჭირათ. კაცს ეგონებოდა, სკოლის ეზოში ჭრელაჭრელა პეპლები შემოფრენილანო.

ყველა მოწაფეს ქაღალდის მარაო ჰქონდა, ძიროს კი ტარმოოქრული აბრეშუმის მარაო მოეტანა. ზედ თითქოს ცოცხალი ყვავილები ეხატა. ყვავილებში მდიდრულად მორთულ-მოკაზმული ქალები დასეირნობდნენ.

_ ხომ ხედავთ, ჩემი მარაო ყველაზე ლამაზიაო! _ ტრაბახობდა ძირო. მერე ვაკამაცუს მიუბრუნდა: _ ვაკამაცუ, აბა, გვაჩვენე, შენ რაღა მოიტანე... ოჰ, რა უხეირო მარაო მოუტანია! იაფფასიანი! ალბათ ზედ ერთი ნახატიც არ არისო.

ვაკამაცუმ ნელა, ძალზე ნელა დაიწყო მარაოს გაშლა. ერთი ფრთა გაშალა და ხალებიანი ცხენი გამოჩნდა.

_ ერთი ამ ჯაგლაგს შეხედეთ. აბა, ეს რა ნახატიაო! _ ხითხითებდა ძირო.

ვაკამაცუმ მარაო ოდნავ გაშალა და მეორე, ქურანი ცხენი გამოჩნდა. იდგა ცხენი და ბალახს წიწკნიდა, მერე უცაბედად თავი მაღლა ასწია, ფაფარი შეარხია და დაიჭიხვინა: ‘ი-ჰო-ჰო-ჰო!» _ ისე მძლავრად დაიჭიხვინა, რომ მეზობელი ეზოდან ცხენი ჭიხვინითვე გამოეპასუხა.

ბიჭებმა გაოცებისაგან პირი დააღეს.

ვაკამაცუმ მარაოს ერთი ფრთა კიდევ გაშალა და ახალი სურათი გამოჩნდა.

ო, რა მშვენიერი შავი ბედაური იყო!

შავი ბედაური ყალყზე შედგა, შეიკუნტრუშა და გაინავარდა. მაგრამ, უცებ, მეზობელი ეზოდან ცხენის ჭიხვინი შემოესმა, შეჩერდა, ყურები ცქვიტა და თვითონაც აჭიხვინდა: ‘ი-ჰო-ჰო-ჰო!»

მერე დადუმდა და ადგილზე გაშეშდა.

ბიჭები გაფაციცებით დააშტერდნენ, მაგრამ სურათი აღარ ირხეოდა.

ვაკამაცუ ზედიზედ შლიდა მარაოს ფრთებს და ყოველ გაშლაზე ახალი სასწაული ხდებოდა. მარაოზე რვა ცხენი ეხატა, პირველი ცხენის გარდა ყველა გაცოცხლდა და აჭიხვინდა.

ძირო გონს მოვიდა და თქვა:

_ დიდი ამბავია, ხომ იცი! ნეტავი რა გიკვირთ? ვერ ნახეთ, მარაოს როგორი ნაკლი აქვს? ეტყობა, ერთი ცხენი მკვდარია და არ გაცოცხლდაო.

_ ეს ჩემი ბრალია, _ თქვა დანაღვლიანებულმა ვაკამაცუმ. _ დამ დამარიგა, მარაო გზაზე არ გაშალოო. მე არ გავუგონე და ოდნავ გავშალე... ცხენი მაშინვე გაცოცხლდა და აჭიხვინდა, ახლა კი აღარ შეირხაო.

_ ცუდად მოქცეულხარ, ვაკამაცუ, _ უთხრა მასწავლებელმა, _ დას რატომ არ გაუგონე? მაგრამ შენი მარაო მაინც საუკეთესოა, ვერც ერთი მოწაფის მარაო ვერ შეედრებაო.

ძირომ ეს გაიგონა, გული ბოღმით აევსო, თავისი ძვირფასი მარაო ნაკუწებად აქცია და თქვა:

_ რა დიდი რამეც მარაოა! ხვალ უფრო მხიარულ შეჯიბრს მოვაწყობთ! მდინარეზე გემებს გავუშვებთ. ვნახოთ, ყველაზე კარგი გემი ვის ექნება. რა თქმა უნდა, ვინც ყველაზე ჭკვიანია, კარგ გემსაც ის გაუშვებს. ყველაზე ცუდ გემს კი ყველაზე სულელი მოიტანსო.

ვაკამაცუ შინისაკენ თავჩაქინდრული წავიდა.

_ რა დაგემართა, ვაკამაცუ, რამ დაგაღონაო? _ ჰკითხა სეკიხიმემ.

_ ხვალ ყველა მოწაფე მდინარეზე გემს გაუშვებს. მე კი გემი არა მაქვს. შევრცხვები. ამხანაგები დამცინებენო, _ შესჩივლა ვაკამაცუმ.

_ ნუ წუხხარ, ვაკამაცუ, ამ საქმეს ადვილად ეშველება, _ ანუგეშა სეკიხიმემ, _ წავალ ქალაქში და გიყიდიო.

უკვე შებინდებული იყო, როცა სეკიხიმე გზას გაუდგა. მალე მთლად ჩამობნელდა. გოგონა მთის ციცაბო ბილიკზე მიაბიჯებდა. ჩირაღდანი ძლივს ბჟუტავდა. ირგვლივ კი ხეები ჩურჩულებდნენ:

“შრრ... შრრ... კეთილი დაიკო მობრძანდება. შრრ... შრრ... კეთილი დაიკო მობრძანდება. გაუფრთხილდით... გაუფრთხილდით! ქაჯები დააფრთხეთ, მგლები გზიდან გადარეკეთო!»

სეკიხიმე ქალაქში შუაღამისას ჩავიდა. ქუჩებში ბნელოდა, არც ერთ სახლში შუქი არ ენთო. დიდხანს დახეტიალობდა ქალაქში სეკიხიმე, ვიდრე სათამაშოების ოსტატის სახლს იპოვიდა და კარზე დააკაკუნებდა.

კარი ნამძინარევმა, გაბრაზებულმა ოსტატმა გააღო.

_ რა გინდა, რა ცეცხლის კიდება გაქვს? _ დაუყვირა საბრალო გოგონას. _ შე უსირცხვილო, ამ შუაღამისას რას დამაფეთეო!

სეკიხიმემ პატიება სთხოვა და უამბო, ასე გვიან კარზე რატომ მიადგა.

ოსტატს ბრაზმა მყისვე გაუარა.

_ რა გულადი გოგონა ყოფილხარ! _ უთხრა სეკიხიმეს. _ რახან ასეა, ხელცარიელს არ გაგიშვებ. ბატონიშვილისთვის საუცხოო გემი მქონდა გაკეთებული. აჰა, წაიღეო!

ოსტატმა გოგონას უბრალო ხისგან გამოთლილი, შეუღებავი გემი აჩუქა. გემის ანძას იალქნის ნაცვლად ნაცრისფერი ტილოს ნაგლეჯი ჰქონდა შებმული.

სეკიხიმე შინ დილას დაბრუნდა, ძმა ასაუზმა და სკოლაში გაისტუმრა.

სკოლას გვერდზე მდინარე ჩაუდიოდა. ბიჭები ნაპირზე მოგროვდნენ. ყველას ერთიმეორეზე უკეთესი პატარა გემი ეჭირა ხელში.

ძიროს ყველაზე ლამაზი გემი მოეტანა. ზღვაზე რომ დასრიალებენ, აი, ისეთ, ნამდვილ დიდ ხომალდს ჰგავდა. ცხვირი მოჩუქურთმებული ჰქონდა, ფერდები მოოქრული, ანძაზე წითელი აბრეშუმის იალქანი უფრიალებდა. მოკლედ, ისეთი ლამაზი იყო, თვალს ვერ მოსწყვეტდი.

ბიჭებმა წყალზე გემები გაუშვეს. გაზაფხულის მზიანი დღე იდგა. მდინარის ნაპირებზე შეფენილი ბოლოკა ყვითლად ყვაოდა და მდინარესაც ყვითელი ფერი გადაჰკვროდა. ჭრელაჭრულა გემები ოქროსფერ წყალზე აცურდნენ. წითელიალქნიანი ხომალდი ისე მიცურავდა, თითქოს დიდი კუ პატარა თევზების ქარავანს შერევიაო.

ვაკამაცუს შერცხვა, ყველაზე ცუდი გემი რომ ჰქონდა, და ამხანაგების ზურგს ამოეფარა. მდინარეს ცალი თვალით გასცქეროდა.

_ ჰეი, ვაკამაცუ! _ შესძახეს მოწაფეებმა. _ სადა ხარ? მოდი აქ, შენი რიგიაო!

ვაკამაცუსაც სხვა გზა აღარ ჰქონდა, წინ წამოდგა. ხელში პატარა გემი ეჭირა.

_ ხა-ხა-ხა, ერთი ამას უყურეთ! _ ახარხარდა ძირო. _ გემი კი არა, ნაფოტიაო!

ვაკამაცუმ გემი წყალში შეაცურა. უცებ, სად იყო და სად არა, გემზე ცეროდენა თოჯინები გამოჩნდნენ და ნამდვილი მენიჩბეებივით შესძახეს:

_ მოვუსვათ ნიჩბები! ერთად, შეწყობილად! ერთად, შეწყობილადო!

დაფაცურდნენ თოჯინები: ზოგი ნიჩაბს უსვამდა, ზოგი იალქანს ჭიმავდა. გემი ჩიტივით გაფრინდა და მალე ყველას გაასწრო. წითელიალქნიანი ხომალდი შორს ჩამოიტოვა.

თოჯინებმა სიმღერა წამოიწყეს:

ჩვენო გემო,
წინ, წინ გასწი,
ნუ შეგაკრთობს მორევი,
მდინარეზე ჩაიქროლე,
ზღვის ტალღებს შეერიე.
გამოძებნე შორეული

მარგალიტის კუნძული,
სადაც თვლემამორეული
მზე ქვიშაზე ისვენებს.

ბიჭები მდინარის ნაპირზე გარბოდნენ. საოცარ გემს თვალს ვეღარ აცილებდნენ. გემი კი სულ უფრო სწრაფად მიჰქროდა და ბოლოს ზღვაზე გაინავარდა.

_ შენ ახლაც გაიმარჯვე, ვაკამაცუ, _ გაიღიმა მასწავლებელმა. _ შენს გემზე უკეთესი ალბათ მთელს ქვეყანაზე არ იქნებაო.

ძირო ბრაზისაგან აცახცახდა. აღარ იცოდა, რა ექნა, ვაკამაცუსთვის როგორ ეჯობნა.

_ ვნახოთ, ბოლოს ვინ გაიმარჯვებს, _ უთხრა ბიჭებს. _ გემიც საქმეა? მოდით, ხვალ ცაში ფრანები გავუშვათ. ვისი ფრანიც მაღლა ავა, პირველობაც იმისი იყოსო.

ბიჭები ძიროს დაეთანხმნენ. ვაკამაცუს კი ფრანი არ ჰქონდა და დანაღვლიანდა. შინისაკენ თვალცრემლიანი წავიდა. დამ ანუგეშა:

_ ვაკამაცუ, ნურაფრის დარდი ნუ გაქვს. დილაზე საუკეთესო ფრანი გექნება. აი, ნახავ, თუ არაო!

სეკიხიმე ღამით კვლავ მთის ციცაბო ბილიკებს გაუყვა. მთვარე გზას უნათებდა. თითქოს საიდანღაც ჩურჩული მოისმოდა:

“შრრ... შრრ... ტოტებო, აქეთ-იქით გაიწიეთ! შრრ... შრრ... ლოდებო, გზიდან ჩამოეცალეთ! შრრ... შრრ... კეთილი დაიკო მობრძანდება!.. შრრ... შრრ... კეთილი დაიკო მობრძანდებაო!»

სეკიხიმე ქალაქში ჩავიდა, ფრანების ოსტატის სახლი მოძებნა და კარზე დააკაკუნა.

ოსტატი სახლიდან მთქნარებით გამოვიდა.

_ ვინ აკაკუნებს? ამ შუაღამისას რამ მოგიყვანა? წადი და ხვალ დღისით მოდიო! _ უთხრა სეკიხიმეს.

სეკიხიმემ უამბო, ასე გვიან კარზე რატომაც მიადგა.

ოსტატი ჩაფიქრდა.

_ კარგი გოგონა ყოფილხარ, ძმა ასე რომ გყვარებია, _ უთხრა სეკიხიმეს. _ ყური მიგდე. ერთი ისეთი ფრანი მაქვს, ქვეყნად ბადალი არ მოეძებნება. რამდენი ფულიც არ უნდა მოეცათ, არ გავყიდდი... შენ კი გაჩუქებო!

შებრუნდა შინ და ფრანი გამოუტანა.

ფრანი უბრალო თეთრი ქაღალდისაგან იყო გაკეთებული. კუდი კი ნეჭისა ჰქონდა.

სეკიხიმემ ოსტატს მადლობა გადაუხადა და შინისაკენ გაეშურა. ძმა დილაადრიანად გამოაღვიძა და უთხრა:

_ ადექი, ვაკამაცუ, ფრანი მოგიტანე. თამამად წადი სკოლაში, შენი ფრანი სხვისაზე ნაკლები არ იქნებაო.

ბიჭები მინდორზე გავიდნენ. ყველას ხელში ფრანი ეჭირა. რანაირ ფრანს არ ნახავდით: ერთი ჩიტს ჰგავდა, მეორე _ თევზს, მესამე _ ღამურას. ზოგ ფრანს ორი კუდი ჰქონდა, ზოგს სამი...

ძიროს ყველაზე დიდი ფრანი მოეტანა, საზარელ დრაკონს ჰგავდა. ძირომ ვაკამაცუს ფრანი რომ დაინახა, დაცინვა დაუწყო:

_ ესეც თუ ფრანია! უარესს ალბათ მთელ კუნძულზე ვერ იპოვი. მისმინე, ვაკამაცუ, ერთ რამეს გირჩევ: წადი შინ და დის კალთას ამოეფარეო.

უცებ ნიავმა დაჰქროლა და ბიჭებმა ფრანები გაუშვეს.

ო, როგორ აშრიალდნენ ფრანები, რა სიმაღლეზე აფრინდნენ! ძიროს ფრანი ყველაზე მაღლა მიფრინავდა, თითქოს ცოცხალიაო, კუდს ისე არხევდა.

_ ვაკამაცუ, შენ რაღას უცდი? _ შესძახეს ბიჭებმა. _ ფრანი გაუშვიო!

ვაკამაცუმ ფრანი გაუშვა და სიმღერა დაიწყო:

ფრანო,
გაფრინდი,
გაკვეთე ჰაერი,
გაასწარ ღრუბლებს,
გაასწარ ქარს!
გაინავარდე
ვარსკვლავებ შორის...
გისურვებ
ბედნიერ გზას!

ფრანი მაღლა, ძალიან მაღლა აფრინდა და უცებ ნამდვილ დრაკონად გადაიქცა. გრძელ კუდს აქეთ-იქით მძლავრად იქნევდა, ქიცვი ოქროსფრად უელავდა, ნესტოებიდან ნაპერწკლებს აფრქვევდა... ძიროს ქაღალდის დრაკონს წამოეწია, ხახა დააღო და გადაყლაპა.

შეშინებული ბიჭები მიწას გაეკვრნენ.

დრაკონი კი უცაბედად ცისარტყელად გადაიქცა. შვიდფეხა ხიდი ყველაზე დიდი მთიდან ყველაზე შორეულ მთამდე გადაიჭიმა და მერე გაქრა.

ბიჭები გონს მოვიდნენ და ყიჟინა დასცეს:

_ ვაკამაცუმ გაიმარჯვა! ვაკამაცუმ გაიმარჯვა! ვაკამაცუ ყველაზე ჭკვიანიაო!

მასწავლებელმაც თქვა:

_ დიახ, ვაკამაცუმ გაიმარჯვაო!

ძიროს ბრაზისაგან სახე წამოუჭარხლდა, შინისკენ გაიქცა და მამას შესჩივლა:

_ აბა, ეს საქმეა? მთელ სოფელში ყველაზე მდიდარი ხარ და ვერაფერს მშველი! საუკეთესო ოსტატები ვაკამაცუს უფასოდ აძლევენ ყველაფერს, ჩვენ კი ფულითაც ვერაფერს გავმხდარვართ. მაშ, რაღას მეუბნებოდი, ფულით ამქვეყნად ყველაფრის გაკეთება შეიძლებაო!

_ ჰო, _ შუბლი შეიჭმუხნა მამამისმა, _ ნათქვამია, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო. მაგრამ ახლა თუ არ ვიეშმაკეთ, ვერაფერს გავხდებით. ხვალ ბიჭებს ესა და ეს უთხარიო...

და ასწავლა, ამხანაგები როგორ მოეტყუებინა.

ძირო დილას სკოლაში მივიდა და ბიჭებს უთხრა:

_ ოჰ, თქვე სულელებო, არც იცით, გამარჯვება ვის მიაკუთვნოთ! ვაკამაცუს ხომ და ეხმარებოდა. ახლა ნამდვილ შეჯიბრში გამოვიწვევ და მაშინ გამოჩნდება, ვინ არის ყველაზე გულადი და ყველაზე ღონიერი. ჩვენს სოფელთან ორი მთაა: ერთი აღმოსავლეთით, მეორე დასავლეთით. ორივე მთა ტოლია, ორივე ციცაბოა. ბებიაჩემმა მითხრა, ერთ მთაზე ალქაჯები ცხოვრობენ, მეორეზე _ ეშმაკებიო. ამაღამ ვაკამაცუ შემეჯიბროს. მე აღმოსავლეთის მთაზე ავალ, ის კი დასავლეთის მთაზე ავიდეს. ორივეს ანთებული ჩირაღდანი დაგვაჭერინეთ. ჩირაღდნების შუქზე დაინახავთ, ვინ უფრო მაღლა ავა. ვინც აჯობებს, გულადიც ის იქნება, გამარჯვება იმას მივაკუთვნოთ! რას იტყვი, ვაკამაცუ, შემეჯიბრებიო?

რაღა უნდა ექნა ვაკამაცუს, უარს ხომ ვერ იტყოდა?

_ შეგეჯიბრებიო, _ უპასუხა.

_ თუ შემეჯიბრები, უფროსებთან ერთი სიტყვაც არ დაგცდეს, თორემ მხდალად ჩაითვლებიო, _ უთხრა ძირომ.

როცა დაღამდა, მოწაფეები დათქმულ ადგილას, გზაჯვარედინზე შეიკრიბნენ, საიდანაც ერთი ბილიკი მარჯვნივ, აღმოსავლეთის მთისკენ მიდიოდა, მეორე კი _ მარცხნივ, დასავლეთის მთისკენ.

ბიჭებმა ძირო და ვაკამაცუ ერთმანეთთან ზურგშექცევით დააყენეს და ორივეს ხელში ანთებული ჩირაღდანი დააჭერინეს. მერე ერთმა ბიჭმა ტაში შემოჰკრა.

მყისვე ვაკამაცუ ერთი მთისკენ გაიქცა, ძირო კი მეორე მთისკენ.

ვაკამაცუ დასავლეთის მთაზე ციცაბო ბილიკს მიუყვებოდა. თან ისე ეშინოდა, ლამის უკან გამობრუნებულიყო. მაგრამ არ უნდოდა, სირცხვილი ეჭამა და სიმხდალე გამოეჩინა. ამიტომ კვლავ ზემოთ და ზემოთ მიიწევდა. მწვერვალს ისე მიაღწია, უკან არც მიუხედავს.

მწვერვალზე მაღალი ფიჭვი იდგა. ვაკამაცუმ ჩირაღდანი მიწაზე დადგა, თოკი მოაბა და ფიჭვზე აცოცდა. ქვემოთა ტოტებს კი მიაღწია, მაგრამ ზემოთ ასვლა ვეღარ შეძლო.

მწვერვალზე ძლიერი ქარი ქროდა და ფიჭვს აქეთ-იქით ისე ხრიდა, თითქოს წამიც და, ძირფესვიანად ამოგლეჯსო. ვაკამაცუმ ჩირაღდანი მაღლა ასწია და ჰაერში გაიქნ-გამოიქნია.

აბა, რა იცოდა, ძირომ როგორ მოატყუა. ძირო შორს არ წასულა. ბილიკის მოსახვევში ორი მსახური უცდიდა. ერთი მსახური მთის ძირას დარჩა, რომ ძიროს არ შეშინებოდა, მეორე კი მწვერვალისკენ გაეშურა.

თბილ ხალათში გახვეული ძირო ქვაზე იჯდა და გულში იცინოდა:

‘რა მარჯვედ მოვატყუე ის ბრიყვი. მარტოდმარტოს შიშისაგან გული გაუსკდებოდა და ახლა ალბათ უკან ღრიალით გამორბისო».

ძიროს მსახური კი აღმოსავლეთის მთაზე ავიდა. ამ მთის მწვერვალზეც მაღალი ფიჭვი იდგა. მსახურმა ფიჭვის კენწეროზე თოკი დღისითვე ისე მოაბა, რომ ჩირაღდანი აეწია და დაეწია. ახლა ჩირაღდანი თოკს გამოაბა და მაღლა ასწია.

გზაჯვარედინზე დარჩენილი ბიჭები კი გახარებულნი გაიძახოდნენ:

_ ჩვენი ვაკამაცუ დასავლეთის მთაზე ავიდა. ჩვენი ვაკამაცუ არ შეშინებულა! ჩვენმა ვაკამაცუმ გაიმარჯვაო!

უცებ ჩირაღდანი აღმოსავლეთის მთის მწვერვალზეც აციმციმდა და მაღლა, სულ მაღლა ჩიტივით აფრინდა.

ვისი ჩირაღდანი უფრო მაღლაა? თითქოს ძიროს ჩირაღდანია მაღლა.

ბიჭები დაღონდნენ.

ქარისაგან გათოშილი ვაკამაცუ კი ფიჭვის ტოტზე იჯდა და კანკალებდა. უკვე დაბლა ჩამოცოცებას აპირებდა, მაგრამ უცებ ფრთების შრიალი გაიგონა. თითქოს რაღაც დიდი ფრინველი მოფრინდა და ვაკამაცუს ახლოს ტოტზე ჩამოჯდა.

ვაკამაცუმ გვერდზე მიიხედა და თვალები დააჭყიტა: ფიჭვის ტოტზე ფრინველი კი არა, ტენგუ იჯდა. ხმლის ტარივით გრძელი ცხვირი და მოკაუჭებული კლანჭები ჰქონდა.

შეშინებული ბიჭუნა გაინაბა. ტენგუ კი ჩირაღდანს დააშტერდა და ვაკამაცუს უთხრა:

_ ჰეი, ადამიანის ნაშიერო! ეგ პატარა მთვარე სად გიშოვია? ძალიან მომწონს და მაჩუქეო!

ვაკამაცუს კი ენა ვეღარ დაეძრა.

_ თუ არ მაჩუქებ, გამიცვალე მაინც, _ უთხრა ტენგუმ. _ მე ჯადოსნური მარაო მაქვს. თუ ამ მარაოს ვინმეს ცხვირწინ გაუშლი, ცხვირი უზომოდ გაეზრდება. თუ მარაოს დაკეცავ და იტყვი: ‘ცხვირო, დამოკლდიო!», რამხელაც ადრე იყო, ისევ იმხელა გახდება. აბა, გამიცვლი თუ არაო?

ვაკამაცუმ თავი დაუქნია. ტენგუმ მარაო მისცა, ჩირაღდანი გამოართვა და გაფრინდა.

გზაჯვარედინზე მოგროვილმა ბიჭებმა დაინახეს, რომ ვაკამაცუს ჩირაღდანი მაღლა, სულ მაღლა წავიდა და ღრუბლებში შეიჭრა.

_ სასწაული მოხდა, სასწაული! _ ყვიროდნენ ბიჭები.

ამ დროს ძირო დაბრუნდა თავისი ჩირაღდნით და აყვირდა, ფეხები ააბაკუნა...

აი სასწაული! ვაკამაცუს ჩირაღდანი ისევ მაღლა მიფრინავდა, ციცინათელასოდენაღა მოჩანდა.

ისევ ვაკამაცუმ გაიმარჯვა!

თავად ვაკამაცუ კი გათენებამდე ფიჭვის ტოტზე იჯდა და ისე გაითოშა, მთიდან ძლივსღა ჩამოვიდა.

სეკიხიმეს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. დარდობდა, ჩემი ძმა სად დაიკარგაო. როცა ვაკამაცუ დაინახა, სიხარულით ცას ეწია. მაშინვე ცხელი სასმელი დაალევინა და ლოგინში ჩააწვინა. ვაკამაცუმ დას ყველაფერი უამბო, რაც თავს გადახდა, და ტენგუს მარაო მისცა.

ძირომ დილით სკოლაში ბიჭებს უთხრა:

_ რაო, თქვენი გმირი არ მოვიდა? ალბათ ისეა შეშინებული, შინიდან ფეხი ვეღარ გამოუდგამსო.

ბიჭები ვაკამაცუს სანახავად წავიდნენ.

სეკიხიმემ ციტრა იატაკზე დადო, მაღლა კი ძაფით პატარა კიბორჩხალა ჩამოჰკიდა. კიბორჩხალა ციტრაზე დადიოდა და სიმებს აჟღარუნებდა.

გორონ-გორონ.

ტენტენტენ.

გორონ-გორონ.

ტენტენტენ.

სეკიხიმემ ბიჭებს უთხრა:

_ გესმით? ჩემი ძმა თავის საყვარელ ციტრას უკრავს. ხელს ნუ შეუშლითო.

_ ოჰ, რა მშვენიერი სიმღერაა! _ გაოცდნენ ბიჭები. _ ასეთი სიმღერა ჯერ არ გაგვიგონიაო.

_ ამ სიმღერას ‘კიბორჩხალას ცეკვა» ჰქვიაო, _ გაიღიმა სეკიხიმემ.

ბიჭები სკოლაში დაბრუნდნენ და ძიროს უთხრეს:

_ ვაკამაცუს ცილს რატომ სწამებ? ჯანმრთელი და მხიარულია, ციტრას უკრავს. ჩვენს ვაკამაცუს ქვეყნად არაფრისა ეშინია. შენ კი თავი მოგვაბეზრე. ამის მერე ყურს აღარ დაგიგდებთო.

სეკიხიმემ კი ძმას სამკურნალო წვენი დაალევინა, შუბლზე ალისფერი იორდასალამის ფურცლები დააწურა.

მეორე დღეს ვაკამაცუ გამოკეთდა და სეკიხიმემ სკოლაში წაიყვანა. გზაზე ძირო და მისი გულბოროტი მამა წამოეწივნენ. თან მსახურები ახლდათ.

ძირომ მამას უთხრა:

_ აგერ, ის საძაგელი ბიჭი სკოლისკენ მიდის. მაგის გამო მოსვენება აღარ მაქვს. მსახურებს უბრძანე, ერთი კარგად მიტყიპონო!

_ აბა, იმ ბიჭს ჭკუა ასწავლეთ! _ უბრძანა მდიდარმა მსახურებს. _ ნახოს, როგორ უნდა ჩემი შვილის წყენინებაო.

სეკიხიმე პატარა ძმას ჩამოეფარა და შესძახა:

_ ახლოს არ მოხვიდეთ, თითის მიკარება არ გაბედოთ!

მსახურები სეკიხიმეს ეცნენ და განზე გათრევა დაუპირეს. მაგრამ სეკიხიმემ მარაო გაშალა და გულბოროტ მდიდარს, მის შვილს და მოჩხუბარ მსახურებს ცხვირწინ აუფრიალა. თან იძახდა:

ცხვირო,

წაწვეტდი, წაწვეტდი!

ცხვირო,

წაგრძელდი, წაგრძელდი,
მთის წვერს უწიე,
მთვარეს უწიე,
შემოერკალე სამგზის!
ტენტენ-ტონ-ტონ.
ტენტენ-ტონ-ტონ.

ძიროს, მამამისს და მათ მსახურებს ცხვირები მყისვე საოცრად დაუგრძელდათ, თითქოს გვზელთევზა, თითქოს ვაზის ლერწი, თითქოს ხომალდის ბაგირი იყო. ცხვირები ხეებს გარს ეხვეოდნენ, ტოტიდან ტოტზე მიცოცავდნენ.

მდიდრის ცხვირი სახლის სახურავზე წამოსკუპებულ ხის ცხენს შემოეხვია და მერე უფრო მეტად გაიწელა, მაღლა-მაღლა წავიდა. შეშინებული მდიდარი აღრიალდა. ვაი, ვაი, ნუთუ მისი ცხვირი მართლა მთვარემდე გაიწელება? ძირო და მსახურნიც ხმაშეწყობილად ტიროდნენ.

ყოველი მხრიდან ყვავები მოგროვდნენ და აჩხავლდნენ:

_ ყვა-ა, ყვა-ა, ნაქურდალი ცხვირი! ყვა-ა, ყვა-ა, ნაქურდალი ცხვირიო!

და მდიდრის ცხვირს ძიძგნა დაუწყეს.

_ ვაი, ვაი! _ აღრიალდა მდიდარი. _ მიშველეთ! მიშველეთ! ვაკამაცუს აღარასოდეს ვაწყენინებ და არც შვილს მივცემ ამის ნებას. მაპატიეთ, მაპატიეთო!

გულკეთილმა სეკიხიმემ ყველა შეიბრალა, მარაო დაკეცა და ბრძანა:

ცხვირო,
დამოკლდი, დამოკლდი!
გრძელცხვირას
ნუ მოჰკლავ სირცხვილით.
დამოკლდი,
ნუ გაუტოლდები
ბელურას პატარა ნისკარტსაც.

მისი ბრძანება მყისვე შესრულდა.

იმ დღიდან ძირომ და მამამისმა პატარა ვაკამაცუს წყენინებას თავი გაანებეს.

მას შემდეგ დიდმა ხანმა გაიარა. ვაკამაცუ დავაჟკაცდა და ბევრი რამ ისწავლა. ტენგუს მარაოს დიდხანს ინახავდა. მერე კი მარაო ქვეყნიერების შემოსავლელად გაემართა.

ვისაც თავისი ცხვირი არ მოსწონს, ეს მარაო მოძებნოს.

<u>დაფრინავენ, მაგრამ</u>
<u>მაინც სარეგია!</u>

ერთ დღეს ზღვის ნაპირზე ორი მეგობარი დასეირნობდა. უცბად შეამჩნიეს, შორს, წყალში, რაღაც მოჩანდა შავად.

_ ეს ძველი სარებიაო, _ თქვა ერთმა.

მეორემ გადაიხარხარა:

_ რის სარები, რა სარები, სარები კი არა, ყვავებიაო.

დაიწყეს ამაზე დავა. ერთი ყვიროდა: სარებიაო, მეორე: ყვავებია, ყვავები, ყვავებიო!

_ ყვავები კი არა, სარებია, ვერა ხედავ, ოდნავადაც არ ირხევიანო.

_ კარგი, მაშ, თუ ეგრეა, ახლავე ვნახავთო, _ უთხრა მეორემ, აიღო ქვა და გაისროლა. შეშინებული ყვავები ფრთების ტყლაშუნით ცაში აფრინდნენ.

_ ხომ გეუბნებოდი! ახლა რაღას იტყვი! კიდევ კარგი, შენი თვალით ნახე, ეგ სარები როგორ აფრინდნენო! _ უთხრა გამარჯვებულმა.

_ მართალია, გაფრინდნენ, მაგრამ მაინც ვამბობ, რომ სარებიაო.

ამის მერე ჯიუტ კაცზე ამბობენ:

_ ამას ვერაფერს გააგებინებ. რაც უნდა ელაპარაკო, ის მაინც თავისას იტყვის: დაფრინავენ, მაგრამ მაინც სარებიაო.